

ტიპიშვილი მზია

# ეკონომიკური და ბიზნეს ამოცანების გადაწყვეტა Excel-ში

წიგნი განკუთვნილია დამხმარე სახელმძღვანელოდ  
უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკური და ბიზნესის  
პროფილის სტუდენტებისთვის

თსუ, თბილისი

2021

წინამდებარე დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია როგორც სტუდენტებისთვის, ასევე პედაგოგებისთვისაც (სავარჯიშოების თვალსაზრისით). მთავარი ყურადღება მიმართულია ეკონომიკისა და ბიზნესის სფეროს ამოცანათა გადაწყვეტაზე Excel-ის საშუალებით, თუმცა უნდა ითქვას, რომ მასალა საინტერესო იქნება Excel-ის შესწავლით დაინტერესებული ნებისმიერი პირისთვის. თვალსაჩინოების მიზნით წიგნში უხვადაა ილუსტრირებული პრაქტიკული ამოცანებისა და მაგალითების რეალიზება, რაც მასალის უკეთ გააზრებასა და განმტკიცებაში დაეხმარება მკითხველს.

წიგნი შედგება ორი ნაწილისგან, პირველ ნაწილში (Excel-ის საფუძვლები) სწავლა იწყება ნულოვანი დონიდან, ნაბიჯ-ნაბიჯ, საფუძვლიანად, თუმცა უკვე პირველივე ნაწილში განიხილება ისეთი საკითხები, როგორიცაა მონაცემთა დახმარისხება მრავალი ნიშნის მიხედვით, ფილტრაცია, გაფართოებული ფილტრაცია, ქვეჯამების გამოთვლა, სტატისტიკური თუ ფინანსური ფუნქციები და ა. შ. მეორე ნაწილი მოიცავს მონაცემთა ანალიზის საშუალებებს, აღწერით სტატისტიკას, თპტიმიზაციის ამოცანების გადაწყვეტას, დინამიურ ცხრილებს, მონაცემთა კონსოლიდაციას, სცენარების მენეჯერს და ა. შ.

რედაქტორი: პროფ. დემური სიჭინავა

რეცენზენტი: ასოც. პროფ. რუსულან სეთურიძე

ასოც. პროფ. თინა მელქოშვილი

# I ნაწილი. EXCEL –ის საჭუმვლებელი

## შესავალი

Excel წარმოადგენს ერთ-ერთ მძლავრ პროგრამულ საშუალებას ელექტრონული ცხრილების დასაპროექტებლად, მათი ფორმატირების, რედაქტირების, დამუშავებისა და შენახვისთვის.

ელექტრონული ცხრილის პროგრამა სახელწოდებით “Visicalc” პირველად შექმნეს პარვარდის უნივერსიტეტის სტუდენტებმა დენი ბრიკლინმა და ბობი ფრანკსტორმა 1979 წელს. მის უფრო გაუმჯობესებულ ვერსიას წარმოადგენდა “Supercalc”. 1982 წელს ფირმა Lotus Development-ის მიერ შეიქმნა უფრო სრულყოფილი ელექტრონული ცხრილი სახელწოდებით “Lotus”. დღეისათვის პოპულარული ელექტრონული ცხრილი - Excel კი შემუშავებული იქნა 1987 წელს ფირმა Microsoft-ის მიერ, და მისი შესაძლებლობები დღემდე სხვადასხვა ვერსიების სახით უფრო და უფრო ფართოვდება.

Excel მოიცავს ერთ ან უფრო მეტ სამუშაო ფურცელს და ცალენებული ფაილი მთლიანობაში სამუშაო წიგნს შეადგენს, რომლის ყოველი სამუშაო ფურცელი ელექტრონული ცხრილის სახით, სტრიქონებისა და სვეტების გადაკვეთით მიღებული უჯრედების ერთობლიობით, ბადით წარმოიდგინება. ბეჭდვის დროს ჩვეულებრივ შემთხვევაში ბადე “არ ჩანს”, ანუ არ იბეჭდება, თუ სპეციალური ბრძანებით არ მივუთითეთ. თუ წინა ვერსიებში Excel-ის სამუშაო ფურცელი წარმოიდგინებოდა 65 536 სტრიქონით და 256 სვეტით, ახლა იგი წამოდგენილია 1 048 576 -ზე მეტი სტრიქონითა და 16 384 სვეტით.

# I თავი. EXCEL-ის ინტერფეისი

## 1.1. EXCEL-ის საწყისი ფანჯარა

Excel –ის პროგრამაში შესვლა და მუშაობა შეგვიძლია:

1. Start - მთავარი მენიუდან საოფისე პროგრამებში შესვლით და Excel -ზე მოქმედებით, ანუ შემდეგი გზით:

**Start/All Programs/Microsoft Office/Microsoft Office Excel 2016/2019...**

2. Excel-ის ფაილის შექმნა შესაძლებელია აგრეთვე ეკრანის სამუშაო არეზე (Desktop) კონტექსტური მენიუდან (თაგვის მარჯვენა ღილაკზე მოქმედებით გამოსული მენიუ) New ბრძანებების ჯგუფში Microsoft Office Worksheet-ზე მოქმედებით (იხ. სურ.1).




სურ. 1. ფაილის შექმნა Excel-ის პროგრამაში

ორიგე შემთხვევაში იხსნება Excel-ის საწყისი ფანჯარა, რომლის ინტერფეისი შესაბამისი აღწერებით წარმოდგენილია სურ. 2-ზე.

სატიტულო ზოლის (სათაურის ზოლის) მარჯვნივ, როგორც ვხედავთ, განლაგებულია ფანჯრის მართვის ღილაკები. ფანჯრის დაპატარავებისას ლენტა სრული სახით აღარ ჩანს, ჩნდება მხოლოდ ბრძანებათა ჯგუფების სახელები შემცირებული ღილაკებით.

Excel-ის ფაილებიც (სამუშაო წიგნები), ისევე როგორც Word-ის დოკუმენტები, ავტომატურად ინახება სტანდარტულ საქაღალდეში - My Document.


სატიტულო ზოლი (იხ. სურ. 2) ხშირად სათაურის ზოლის სახელითაც მოიხსენიება.



**სურ.2. Excel-ის საწყისი ფანჯრის ინტერფეისი**

სამუშაო ზოლი ანუ ლენტა როგორც ვხედავთ, მოიცავს ჩანართების მენიუს ინსტრუმენტების პანელთან ერთად. თუმცა შეგვიძლია მხოლოდ ჩანართების ზოლი ჩანდეს და ინსტრუმენტების პანელი დავმალოთ.

სამუშაო არის უფრო მეტი სიფართოვის მიზნით შეგვიძლია სამუშაო ზოლის დამალვა-გამოჩენა, ან სამუშაო ზოლის მხოლოდ ჩანართების მენიუთი წარმოჩენა ინსტრუმენტების პანელის გარეშე, ეს კი შესაძლებელია სატიტულო ზოლის მარჯვნივ ფანჯრის მართვის დილაკებამდე განთავსებული სამუშაო ზოლის



### სურვე სამუშაო ზოლის მართვის დილაკი

მართვის დილაკით, რომლის საშუალებითაც ხდება სამუშაო ზოლის დამალვა-გამოჩენა Auto-hide Ribbon ბრძანებით.

Show Tabs ბრძანებით ხდება ჩანართების გამოჩენა, ხოლო Show Tabs and Commands ბრძანებით - მთელი სამუშაო ზოლის.

Excel-ში მუშაობის დროს სატიტულო ზოლში ყოველთვის ჩანს აქტიური წიგნის სახელი (რომელშიც ვმუშაობთ). როცა სამუშაო მაგიდაზე რამდენიმე Excel-ის ფაილია გახსნილი, მათგან მხოლოდ ერთია აქტიური.

სათაურის ზოლში თაგვის მარცხენა დილაკზე ორჯერ მოქმედებით ხდება ფანჯრის დაპატარავება, განმეორებითი მოქმედებით კი ხდება აღდგენა, ისე როგორც ეს ფანჯრის მართვის შეა დილაკით (ფანჯრის დაპატარავება/გაშლა) ხდება.

სამუშაო ზოლის მართვის დილაკის შემდეგ მარჯვნივ მოთავსებულია საცნობარო დილაკი Tell me what you want to do..., მასზე ან [ALT] +[Q] დილაკთა კომბინაციაზე მოქმედებით და მითითებულ არეში საძიებო ბრძანების ჩაწერით მივიღებთ შესაბამის დახმარებას.

ჩანართები და ბრძანებათა ჯგუფები. File ჩანართში განთავსებულია სტანდარტული ბრძანებები: New - ახალი ფაილის შექმნა, Open - არსებული ფაილის გახსნა, Save –



სურ. 4. File ჩანართის ბრძანებები

შენახვა, Save As შენახვა სხვა სახელითა და საჭირო ფორმატით, Print - ბეჭდვა, Share – გაზიარება, Export (სხვა პროგრამულ ფაილში გატანა) და ა. შ. ბოლო პუნქტს წარმოადგენს Option, რომელზე მოქმედებითაც იხსნება Excel-ის პარამეტრების ფანჯარა (სურ. 4). მოცემული ფანჯრიდან შეგვიძლია დავაყენოთ სხვადასხვა პარამეტრები..


Open – ბრძანებაზე მოქმედებით იხსნება ფანჯარა, რომლის მარცხენა ნაწილში "Recent" ჩამოთვლილია იმ ფაილების სახელები, რომლებთანაც ბოლო დროს ვმუშაობდით.

**როგორ დავაფიქსირო ბოლო დროს ნამუშევარი ფაილების რაოდენობა Excel-ის პარამეტრების ფანჯარაში?**

ბოლო დროს ნამუშევარი Excel-ის ფაილების რაოდენობა (Recent) ავტომატურად 25-მდე აღწევს, თუმცა ჩვენ შეგვიძლია დავაფიქსიროთ სხვა ოდენობაც (მაქსიმალური – 50) თუ ვიმოქმედებთ File/Excel Option ბრძანებათა თანმიმდევრობაზე და გახსნილი ფანჯრიდან დილაკზე - Advanced. ნავიგაციის დილაკების საშუალებით Display განცოფილებაში „Show this number of Recent Documents“ დიალოგურ ველში ვაფიქსირებთ სასურველ რაოდენობას, მაგ. 4-ს და ვმოქმედებთ OK-ზე.

**როგორ შევინახოთ Excel-ის ფაილი PDF ფორმატში?**


Save As ბრძანების გამოყენებით შეგვიძლია ის სამუშაო წიგნი შევინახოთ PDF ფაილად შემდეგი გზით: File/save as/Pdf მივუთითოთ სად ვინახავთ (მაგ., Desktop) ფაილის სახელი File name ველში და ვიმოქმედოთ Publish-ზე).



სურ. 5. Pdf ფორმატში შენახვა

## 1.2 სწრაფი წვდომის პანელი

**რა დანიშნულება გააჩნია სწრაფი წვდომის პანელს?**



სურ. 6. სწრაფი წვდომის პანელი

სწრაფი წვდომის პანელი - Quick Access Toolbar

(იხ. სურ. 6) განკუთვნილია ყველაზე ხშირად

შესასრულებელ ბრძანებათა ღილაკების

განთავსებისთვის მათთან სწრაფად მიმართვის

მიზნით. სწრაფი წვდომის პანელზე სტანდარტულად განლაგებულია სამი


ბრძანების ღილაკი: - შენახვის, - ბრძანების გაუქმების და - ბრძანების

აღდგენის. მასზე შესაძლებელია განთავსდეს ბრძანებათა ღილაკები სხვადასხვა

ჩანართებიდან, მისი გაწყობა დამოკიდებულია მომხმარებელზე.

**რა მდებარეობები შეიძლება ეკავოს სწრაფი წვდომის პანელს და როგორ მოვახდინოთ მისი აღგილდებარეობის შეცვლა?**

სწრაფი წედომის პანელს შეიძლება ჰქონდეს ორი მდებარეობა: ლენტის ზემოთ ან



სურ. 7. სწრაფი წედომის პანელის პუნქტები

ქვემოთ.

სწრაფი წედომის პანელის განთავსება ლენტის (სამუშაო ზოლის) ქვემოთ ხდება მის უკიდურეს მარჯვენა კუთხეში მოთავსებულ სამკუთხა სიის ღილაკზე მოქმედებით და **Show Below the Ribbon** ბრძანების გააქტიურებით (იხ. სურ. 7)

სწრაფი წედომის პანელის განთავსება ლენტის ზემოთ ხდება **Show Above the Ribbon** ბრძანების გააქტიურებით<sup>1</sup>;

სწრაფი წედომის პანელის გადაადგილება შესაძლებელია აგრეთვე სწრაფი წედომის პანელის არეში (და არა მის ბოლოში მოთავსებულ სამკუთხა ისარზე) კონტექსტური მენიუდან (თაგვის მარჯვენა ღილაკზე მოქმედებით) ბრძანების - **Show Quick Access Toolbar Below the Ribbon** გააქტიურებით (იხ. სურ .8).

### როგორ წავშალოთ სწრაფი წედომის პანელზე ბრძანებათა ღილაკები?


სწრაფი წედომის პანელიდან რომელიმე საბრძანებო ღილაკის წასაშლელად თაგვის მიმთითებელს დავაყენებოთ წასაშლელი ბრძანების ღილაკზე და მასზე ვიმოქმედებოთ კონტექსტური მენიუდან ბრძანებაზე - **Remove from Quick Access Toolbar**

### როგორ დაგამატოთ სწრაფი წედომის პანელზე ბრძანებათა ღილაკები?

<sup>1</sup> ეს ბრძანება ამ პანელში ჩნდება იმ შემთხვევაში, თუ სწრაფი წედომის პანელი სამუშაო ზოლის ქვემოთაა.

სწრაფი წვდომის პანელზე დილაკების დამატება შეგვიძლია სხვადასხვა გზით:

1. სწრაფი წვდომის პანელის სტანდარტული ბრძანებებიდან. მის უკიდურეს მარჯვენა კუთხეში მოთავსებულ სამკუთხა სიის დილაკზე მოქმედებით იხსნება ფანჯარა (იხ. სურ. 7), რომლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილია ხშირად განმეორებადი ბრძანებების სია, მათგან რომელიმეს გააქტიურებით (ე.ი. არჩეულ ბრძანებაზე თაგვის მარცხენა დილაკზე მოქმედებით) შესაბამისი დილაკი (სურ.7-ის მიხედვით: Save, Undo, Redo) განთავსდება სწრაფი წვდომის პანელზე;




სურ. 9 ლენგიდან დილაკის დამატება სწრაფი წვდომის პანელზე

უნდა მოვნახოთ ის ბრძანება, რომლის დამატებაც გვინდა (მაგალითისთვის „Copy“) და ამ ბრძანების კონტექსტური მენიუდან გამოსულ ფანჯარაში გაგაქტიუროთ ბრძანება: Add to Quick Access Toolbar (იხ. სურ. 9).

3. **More Commands**-ზე მოქმედებით (იხ. სურ. 7), სწრაფი წვდომის პანელის უკიდურეს მარჯვენა კუთხეში მოთავსებულ სამკუთხა სიის დილაკზე მოქმედებით გახსნილი ფანჯრიდან (იხ. სურ. 10) მოვნიშნავთ დასამატებელი ბრძანების დილაკს და ვიმოქმედებთ „ADD“-ზე, ყველა სასურველი ბრძანების არჩევის დასრულების შემდეგ კი ვმოქმედებთ „OK“-ზე.


შეცდომით გადატანილი დილაკის გაუქმება შეგვიძლია მისი მონიშვნით და „Remove“-ზე მოქმედებით.

4. სწრაფი წვდომის პანელის კონტექსტური მენიუდან - **Cutomize Quick Access Toolbar** (იხ. სურ. 8) და ლენგიდან რომელიმე დილაკზე კონტექსტური მენიუდან (იხ. სურ. 9). ორივე შემთხვევაში იხსნება ბრძანებების სიის ფანჯარა (იხ. სურ. 10), სადაც უკვე აღწერილი გვაქვს ბრძანებათა დილაკების დამატების პროცესი.



სურ.10 საბრძანებო ღილაკების დამატება სწრაფი წვდომის პანელზე

5. Excel-ის პარამეტრების ფანჯრიდან: File/Option/Quick Access Toolbar (იხ. სურ. 11). იხსნება სურ. 10-ის წარმოდგენილი ფანჯარა.



სურ. 11. ბრძანებების დამატება სწრაფი წვდომის პანელზე ექსელის პარამეტრების ფანჯრიდან.

## კითხვები და საგარჯო შოგბი


- რა დანიშნულება გააჩნია სწრაფი წედომის პანელს?
- რომელი ჩანართის ძრძანებათა ღილაკები შეიძლება განთავსდეს სწრაფი წედომის პანელზე?
- რა მდებარეობები შეიძლება გვავოს სწრაფი წედომის პანელს?
- სწრაფი წედომის პანელზე ლენტადან გადავიტანოთ შემდეგი ძრძანებათა ღილაკები:
  - Home ჩანართიდან: სტრიქონთა შორის ინტერვალის დაყენების დაზღვანდვის ინდიკატორი
  - Insert ჩანართიდან: გეომეტრიული ფიგურების (Shapes) და ცხრილის Table ღილაკი;

## 13 სამუშაო ზოლი ანუ ლენტა

სამუშაო ზოლი ლიტერატურაში ლენტას (ინგლისური- Ribbon ქართულად “ლენტა”ს ნიშნავს) სახელითაცაა ცნობილი.

სამუშაო ზოლი მოიცავს შემდეგ სტანდარტულ ჩანართებს (იხ. სურ.12): File, Home (მთავარი ჩანართი), Insert (ჩასმა), Page Layout (გვერდის მაკეტი), Formulas (ფორმულები), Data (მონაცემები), Review (ხელახლი გადახედვა), View(გადახედვა). ცხრილების ან გრაფიკული ობიექტების მონიშვნის დროს ჩნდება დამატებითი ჩანართები.

კლავიატურიდან ALT დილაკზე მოქმედებით ჩნდება თითოეული ჩანართის მოკლე



სურ.12 სამუშაო ზოლი, ლენტა

აღნიშვნა (ერთი ასოთი). ამ სიმბოლოზე მოქმედებით სრულდება შესაბამისი დილაკის ბრძანება.


რომელიმე ჩანართი აერთიანებს ერთი საერთო ფუნქციური მიმართულების მქონე ბრძანებებს. თითოეულ ჩანართზე მოქმედებით ლენტაზე ჩნდება მისი შესაბამისი ბრძანებათა ჯგუფი. ლენტაზე უმეტესად განთავსებულია ხშირად გამოყენებადი ბრძანებები, ამ ჯგუფის დანარჩენი ბრძანებები შეგვიძლია ვიხილოთ შესაბამის დიალოგურ ფანჯარაში, რომელიც მიიღება ყოველი ჩანართის ქვემოთ კუთხეში (ბრძანებათა ჯგუფის სახელის მარჯვნივ) მოთავსებულ პატარა ისარზე - დიალოგური ფანჯრის ღილაკზე (იხ. სურ. 12) მოქმედებით.

### **რომელი ჩანართი წარმოადგენს ლენტაზე ყველაზე მთავარს?**

ჩანართებიდან ავტომატურად ყოველთვის გააქტიურებულია საწყისი, ყველაზე მთავარი ჩანართი Home (იხ. სურ. 12), რომლის ბრძანებათა ჯგუფებს წარმოადგენებს: Clipboard- ბუფერთან მუშაობა, Font-ტექსტის ფორმატირება, Alignment- მონაცემთა განლაგება, Number – მონაცემთა კატეგორიები (ტიპები), Styles-სტილები, Cells- უჯრები, Editing-რედაქტირება.

## 1.4 სახელის არე, ფორმულის ზოლი და დამისამართება

ყველ ცალკეულ უჯრას ელექტრონულ ცხრილში გააჩნია მისამართი, რაც მიიღება შესაბამისი სვეტისა და სტრიქონის დასახელებათა კომბინაციით. თუ სამუშაო ფურცლის არის რომელიმე უჯრაზე ვიმოქმედებოთ თაგვით, მივიღებთ აქტიურ უჯრას, რომელსაც გაუკეთდება მუქი ჩარჩო. აქტიური უჯრის მისამართი ფიქსირდება სახელის არეში (Name box), რომელიც განთავსებულია სამუშაო



სურ.13 სახელის არე და ფორმულის ზოლი

ზოლის ქვემოთ. მის მარჯვნივ მოთავსებულია ფუნქციების ოსტატი  $f_x$ , ხოლო შემდეგ ფორმულის ზოლი - Formula Bar (იხ. სურ. 13).

ნებისმიერი შეტანილი ინფორმაცია აქტიურ უჯრაში ფიქსირდება. ამიტომ, თუ რომელიმე უჯრაში გვსურს განვათავსოთ მონაცემები, ეს უჯრა წინასწარ უნდა გავააქტიუროთ (ვიმოქმედოთ ამ უჯრაზე უბრალოდ თაგვის მარცხენა ღილაკით). მაგ. სურ.13-ზე აქტიური უჯრის მისამართია B2, ხოლო სურ.2-ზე - C2.

აქტიური უჯრის სრული მისამართი ზოგადად სამი ნაწილისაგან (ფაილის სახელი, ფურცლის სახელი, უჯრის სახელი) შედგება, რომლებიც ერთმანეთისგან ძახილის ნიშნით „!“ გამოიყოფა: მაგ. Book2! Sheet3!A1

ფორმულის ზოლში - Formula Bar (სურ.13) იწერება გამოსათვლელი ფუნქციები, ფორმულები, ტექსტი და ა.შ. ფორმულის ზოლში აისახება აქტიურ უჯრაში

ჩაწერილი მონაცემები და პირიქით, ფორმულის ზოლში ჩაწერილი ნებისმიერი ფორმულა თუ ტექსტი ყოველთვის ჩაიწერება აქტიურ უჯრაში.

ფორმულის ზოლის გადიდება/სტანდარტულ ზომაზე დაყვანა შესაძლებელია ფორმულის ველის მარჯვნივ მოთავსებულ ორმაგ ისარზე მოქმედებით (იხ სურ. 13).

სანდახან არის შემთხვევა, როცა Excel-ში ფორმულის ზოლი არ ჩანს, ამ შემთხვევაში მისი გამოჩენა-გააქტიურება შესაძლებელია ლენტაზე View ჩანართის Show/Hide ბრძანებათა ჯგუფში Formula Bar გააქტიურებით (მის წინ თხევუთხა დილაკზე მოქმედებით).

### **აქტიური უჯრის სახელის შეცვლა შეგვიძლია:**

- სახელის არეში (Name Box - ფორმულის ზოლის მარცხნივ) თაგვის მარცხენა დილაკზე მოქმედებით. ამ შემთხვევაში მოინიშნება აქტიური უჯრის სახელი და მასზე ნებისმიერი სახელის გადაწერით მიიღება უჯრის ახალი სახელი;
- უჯრის კონტექსტური მენიუდან, Name a Range ბრძანებაზე მოქმედებით, Name სახელის ველში ახალი სახელის დაფიქსირებით და OK დილაკზე მოქმედებით.


### **კოსტკები და სავარჯიშოები**

1. სად დაფიქსირდება ფორმულის ზოლი შეტანილი მონაცემები?
2. A5 უჯრაში ჩაწერეთ კლავიატურიდან აკრეფილი ნებისმიერი 4 სიმბოლო
3. Excel-ის ფაილის გახსნისას აღმოჩნდა, რომ ფორმულის ზოლი არ იყო გამოტანილი. როგორ მოვახდინოთ მისი გამოტანა?
4. გააქტიურეთ C5 უჯრა და სახელის არეში შეუცვალეთ სახელი „Stud” – ით, კიდევ რა საშუალება არსებობს აქტიური უჯრის სახელის შეცვლისთვის?
5. როგორ მივუთითოთ Book1 წიგნის პირველ ფურცელზე განთავსებული C65 უჯრა?
6. გააფართოვეთ/შეამცირეთ ფორმულის ზოლი;
7. დამალეთ/აღადგინეთ ფორმულის ზოლი.

## 1.5 სამუშაო ფურცელი

**რას წარმოადგენს სამუშაო ფურცელი? რატომ არის იგი ელექტრონული ცხრილი?**

სამუშაო ფურცელი ეს არის Excel-ის სამუშაო არე, უზარმაზარი ელექტრონული ცხრილი, სადაც ხდება მონაცემთა შეტანა, რედაქტირება, გამოთვლები, გრაფიკების აგება და ა. შ. სამუშაო ფურცელი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმოადგენს უჯრების ერთობლიობას (იხ. სურ.14), ელექტრონულ ბადეს, რომელიც მხოლოდ ეკრანზე ჩანს სამუშაოთა გასაადგილებლად, ბეჭდვისას კი თუ სპეციალური პარამეტრი არ ჩავრთეთ, არ იძეჭდება.




სურ. 14

**როგორ შეგვიძლია Excel-ის სამუშაო ფურცლის წარმოდგენა ბადის გარეშე?**

Excel - ის სამუშაო ფურცლის ბადით ან მის გარეშე წარმოდგენა ხდება


ლენტაზე View ჩანართში Show/Hide ბრძანებათა ჯგუფში Gridlines ბრძანების ჩართვა-ამორთვით.



სურ. 15. სამუშაო ფურცელის ბადის ჩართვა-ამორთვა

სამუშაო ფურცლები გაერთიანებული არიან ერთ ფაილად – სამუშაო წიგნად. სამუშაო ფურცლის სახელებია: Sheet1, Sheet2, Sheet3 (იხ. სურ. 14), მათ გვერდით მოთავსებულია ფურცლის დამატების დილაკი. იმ შემთხვევაში, თუ წიგნი ბევრ ფურცელს მოიცავს და მათი სახელები გედარ ეტევა შესაბამის გელში, ვისარგებლებთ გადაფურცელის დილაკით (იხ. სურ. 14).

თუ გვსურს ფურცლის კონკრეტული რაოდენობის განსაზღვრა, მაგალითად, 5-ის, მაშინ File ჩანართიდან Excel -ის პარამეტრებში Options (იხ. სურ.16) გახსნილი ფანჯრის მეორე ნაწილში „Include this many sheets” - ველში უნდა დავაფიქსიროთ ფურცლების ნებისმიერი რაოდენობა 1-დან 255-მდე, ჩვენს შემთხვევაში 5 (იხ. სურ. 17) და ვიმოქმედოთ OK-ზე. ამის შემდეგ Excel -ის ყოველი გამოძახებისას ნებისმიერ წიგნში დაფიქსირდება 5 ფურცელი, Sheet1, Sheet2,...Sheet5.



სურ. 17. ფურცლის რაოდენობის განსაზღვრა


სურ. 16 ექსელის  
პარამეტრების  
გამოძახება

მუშაობის დაწყებისას ავტომატურად პირველი ფურცელია (Sheet1) აქტიური, ანუ ჩვენი სამუშაო აისახება Sheet1-ზე. ყოველთვის ის ფურცელია გააქტიურებული, რომელშიც ვმუშაობთ. თუ გვსურს მუშაობა მაგ. Sheet3-ზი, მაშინ შესაბამისად ვიმოქმედებთ Sheet3-ზე თაგვის მარცხენა დილაკით.

მოელი სამუშაო ფურცლის მონიშვნა შესაძლებელია როგორც [CTRL]+ [A]-თი, ასევე სამუშაო ფურცლის ზედა მარცხენა კუთხეში მოთავსებულ ფურცლის მონიშვნის დილაპზე (იხ. სურ. 14) მოქმედებით.

Sheet1, Sheet2,sheet3...-ს შესაძლებელია სხვა სახელები, ფონი, შრიფტის ფერი განვითაროთ, ეს კი ხდება თითოეულ მათგანზე კონტექსტური მენიუდან შესაბამისი ბრძანების არჩევით (იხ. სურ. 18).

ფურცელზე მოქმედებები შესაძლებელია აგრეთვე Home ჩანართის Cells ბრძანებათა ჯგუფიდან Insert, Delete და Format ბრძანებათა დილაკებით გამოსული ფანჯრიდანაც (იხ. სურ. 19, 20).




- Home/Cells/Format/Organize Sheets/Move or Copy (იხ. სურ. 19);
- თაგვის საშუალებით: იმ ფურცლის სახელი, რომლის გადატანაც გვინდა, თაგვის მარცხენა ღილაკით ხელისაუდებლად გადავიტანოთ საჭირო ადგილზე, ამ დროს გამოჩენილი პატარა სამკუთხედი გვიჩვენებს ჩასმის ადგილს, ხოლო კოპირებისას - ვიმოქმედოთ Ctrl ღილაკთან ერთად.

**1.5.4 ერთი ფურცლიდან მეორეზე გადასვლა** შესაძლებელია შესაბამისი ფურცლის სახელზე მოქმედებით, თუ ფურცლის სახელები ბევრია, მაშინ გადაფურცლის ღილაკების საშუალებით ვახდენთ გადასვლებს: - შესაბამისად პირველ ფურცელზე გადასვლა, წინა-ზე გადასვლა, მომდევნოზე და საბოლოო ფურცელზე გადასვლა, ან კლავიატურის ღილაკთა კომბინაციით [CTRL]+[Page Down] - წინა ფურცელზე გადასვლა, [CTRL]+{Page Up}- შემდეგ ფურცელზე გადასვლა.

**1.5.5 ფურცლის წაშლა.** ფურცლის წაშლა ხდება:

- ფურცლის კონტექსტური მენიუდან Delete(იხ. სურ. 18);
- Home/Cells/ Delete Sheet (იხ. სურ.22)

**1.5.6 სამუშაო ფურცელზე უჯრების შემცველობის (შიგთავსის) წაშლა**




სურ. 20 წაშლის დილაკი

- მოვნიშნოთ და ვიმოქმედოთ უჯრის კონტექსტური მენიუდან ბრძანებაზე - Clear Contents;
- Home/Editing წაშლის ღილაკიდან/ Clear Contents (სურ. 20).
- მოვნიშნოთ და ვიმოქმედოთ კლავიატურიდან Delete ღილაკზე. ამ შემთხვევებში მოხდება მხოლოდ წაშლა უჯრაში ჩაწერილი შიგთავსის წაშლა, მაგრამ მისი ფორმატი, მაგალითად ცხრილის სახე რჩება. თუ ყველაფრის წაშლა გვსურს, უნდა ვიმოქმედოთ ბრძანებაზე Clear all.


**1.5.7 ფურცლის ჩამატება:** ფურცლის ჩამატება შესაძლებელია:

- ფურცლის ჩამატების ღილაკით (იხ. სურ.14), რომელიც მოთავსებულია ფურცლის სახელების გვერდით. მასზე ყოველი ახალი მოქმედებისას ხდება ახალი ფურცლის დამატება;
- ფურცლის სახელის კონტექსტური მენიუდან ბრძანებით Insert;

- Home/Cells/Format/Insert Sheet (იხ. სურ. 21). ფურცლის ჩამატება მოხდება აქტიური ფურცლის წინ;
- ფურცლის ჩამატება შესაძლებელია აგრეთვე ღილაკთა კომბინაციით: [Shift]+[F11];



სურ. 21. ჩამატების ღილაკი



სურ. 22. წაშლის ღილაკი

ამ ღილაკების საშუალებით ფურცელი ჩაისმება აქტიური ფურცლის გვერდით;

### 1.5.8 ფურცლის დამაღვა: ფურცლის დამაღვა ხდება:

- ფურცლის კონტექსტური მენიუდან Hide (იხ. სურ. 18); ამ შემთხვევაში მოცემული ფურცლის სახელი გაქრება ჩამოთვლილებიდან, ე. ი. დაიმაღვა, გამოჩენისთვის კი ფურცლის სახელების არედან ვიმოქმედებთ Unhide-ზე და ჩამოთვლილთაგან ავირჩევთ იმას, რომელი დამაღველი ფურცლის გამოჩენაც გვსურს.;
- Home/Cells/Format/ Visibility/Hide & Unhide/Hide Sheet (იხ. სურ. 19) გამოჩენისთვის კი Unhide Sheet

### 1.5.9 ფურცლის ზომების განსაზღვრა. ფურცლის ზომების განსაზღვრა შესაძლებელია Page Layout ჩანართში Scale to Fit პრძანებათა ჯგუფში Width –სიგანის და Height –სიმაღლის დიალოგურ ველებში საჭირო ზომის დაფიქსირებით.



სურ. 23 ფურცლის დაცვა

პაროლის მოხსნა

### 1.5.10 ფურცლის დაცვა. ფურცლის დაცვა შესაძლებელია ფორმატირების ფანჯრის

(სურ. 19) მესამე ნაწილში მოთავსებული ბრძანების Protect Sheet საშუალებით. ამ დროს გამოდის იგივე ფანჯარა, რაც ფურცლის კონტექსტური მენიუს დროს, კერძოდ, იხსნება ფანჯარა პაროლის მოთხოვნით (სურ. 23). პაროლის შეტანის და OK-ზე მოქმედების შემდეგ გამოდის ფანჯარა, სადაც პაროლის ხელახლა დაფიქსირებაა საჭირო (იხ. სურ. 23, Confirm Password ფანჯარა).

პაროლის შეტანის შემდეგ ინფორმაციის შეტანა შეუძლებელია, სანამ არ ვიმოქმედებთ ფორმატირების ფანჯრიდან ან ფურცლის კონტექსტური მენიუდან Unprotect Sheet-ზე, ხელახლი გამოძახებით და პაროლის ჩაწერით (იხ. სურ. 23 პაროლის მოხსნის - Unprotect Sheet ფანჯარა).

ფურცლის დაცვა შესაძლებელია აგრეთვე Review-ჩანართიდანაც Protect Sheet-ზე მოქმედებით.


**Excel-ის ფაილის დაცვა** კი შესაძლებელია File/Save as/ Tools –ის გვერდით სამკუთხა ისრით გამოსული მენიუდან General Options –ზე მოქმედებით და პაროლების დადებით.

### 1.5.11 ფურცლის გონი

#### როგორ დაგაყენოთ ფურცლის ფონად რომელიმე სურათი?

Page Layout/Page Setup/Background ბრძანებათა თანმიმდევრობით, ანუ უნდა ვიმოქმედოთ Page Layout ჩანართიდან Page Setup ბრძანებათა ჯგუფის Background

დილაკზე (სურ. 24). გამოსულ ფანჯარაში ავირჩევთ რომელიმე სურათს და ვიმოქმედებოთ ამ სურათზე თაგვის მარცხენა ღილაკით ორჯერ ან ფანჯრის ქვემოთ Insert-ბრძანებაზე (იხ. სურ. 25).



სურ. 25 ფურცლის ფონი

**ფურცლის ფონის დაშლა:** ფურცელზე ფონის წაშლა შესაძლებელია შემდეგი ბრძანებათა თანმიმდევრობით:


Page Layout /Page Setup/Delete background

### 1.5.12 ფურცლის ბაზის ფერი

#### როგორ შევცვალოთ ბაზის ფერი რომელიმე კონკრეტულ ფურცელზე?

რომელიმე კონკრეტულ ფურცელზე ბაზის ფერის შეცვლა შესაძლებელია File ჩანართიდან Excel-ის პარამეტრების ფანჯრის გამოძახვით და სურ. 26-ის მიხედვით მოქმედებით, ე.ი. ბრძანებათა შემდეგი თანმიმდევრობით:

File/ Options/Advanced/Display Options for this worksheet - განკუთხილებაში ავირჩევთ ფურცლის სახელს, რომლისთვისაც გვსურს ბაზის ფერის შეცვლა და Gridline color-ში მოვძებნით ფურცელზე ბაზის სასურველ ფერს (სურ 26).



სურ. 26 ფურცლის ბადის ფერის შერჩევა კონკრეტული ფურცლისთვის

### პითხები და სავარჯიშოები

1. რას წარმოადგენს Excel-ის სამუშაო ფურცელი?
2. როგორ მოვახდინოთ ფურცელზე ბადის ჩართვა, ამორთვა, ბადის ფერის შეცვლა?
3. როგორ მოვახდინოთ ფურცლის ჩამატება, ფურცლის სახელის შეცვლა, ფურცლის ფონად რომელიმე სურათის დაყენება?
4. როგორ მოვახდინოთ აქტიური ფურცლიდან წინა ფურცელზე გადასვლა?

### 1.5.13 კოლონტიტული

კოლონტიტული ეს არის ინფორმაცია, რომელიც წამბლვარებული აქვს გვერდს თავში ან ქვემოთ ძირითადი ტექსტის არის გარეთ.

### როგორ დავაყენოთ ზედა და ქვედა კოლონტიტული სამუშაო ფურცელზე?


კოლონტიტულის ჩასმა შეიძლება შემდეგი ბრძანებათა თანმიმდევრობით: Insert/Text ბრძანებათა ჯგუფიდან Header & Footer-ზე მოქმედებით. სადაც Header განსაზღვრავს ზედა კოლონტიტულს, ხოლო Footer-ქვედა კოლონტიტულს.

Header & Footer /Options ბრძანებათა ჯგუფში განისაზღვრება კოლონტიტული რომელი გვერდებისთვისაა დანიშნული.

კოლონტიტული შეიძლება ყველა გვერდისთვის საერთო იქნას (როცა Options ბრძანებათა ჯგუფში არ არის გააქტიურებული Different First pages და Different Odd & Even pages);

Different First page ჩამრთველის გააქტიურება ნიშნავს, რომ მხოლოდ პირველი გვერდის კოლონტიტული იქნება განსხვავებული, დანარჩენები ერთნაირი იქნება, Different Odd & Even pages განსაზღვრავს კენტ და ლურ გვერდებზე სხვადასხვა კოლონტიტულებს.

### 1.5.14 ფურცლის მასშტაბი



სურ. 27 ფურცლის მასშტაბირება

სტატუსის ზოლის უკიდურეს მარჯვენა ქვედა კუთხეში მოთავსებულია ფურცლის წარმოდგენის მასშტაბი (იხ. სურ.27). ფურცლის ეკრანული გამოსახულების მასშტაბირებისას ყველაზე უმცირეს მასშტაბს წარმოადგენს - 10%, ყველაზე მაქსიმალურს - 400%, მინუს და პლიუს ნიშნით აღნიშნული დილაკებით ხდება მასშტაბის ცვლილება ათ-ათი პროცენტით, ხოლო მათ შორის მდებარე ისრით ხდება 10-დან 400-მდე ნებისმიერი სიდიდით ფურცლის წარმოდგენის მასშტაბის რეგულირება.

მასშტაბის რეგულირება შესაძლებელია თვით მასშტაბის პროცენტულ მაჩვენებელზე ან მასშტაბის მონაკვეთზე კონტექსტური მენიუდან (იხ. სურ. 27) Zoom მასშტაბის ფანჯრით, აქ შეგვიძლია ვიმოქმედოთ რომელიმე მასშტაბის აღმიშვნელ ჩამრთველზე, იმ შემთხვევაში კი, თუ საჭირო მასშტაბი არ არის წარმოდგენილი სურათზე, ვიმოქმედებთ Custom-ზე და ჩავწერთ სასურველ მასშტაბს.

Fill selection ჩამრთველის გააქტიურებით მასშტაბი გახდება მაქსიმალური - 400 %.

ფურცლის წარმოდგენის მასშტაბირება შესაძლებელია აგრეთვე View ჩანართის Zoom ღილაკის საშუალებითაც, სადაც ჩამოითვლება მასშტაბირების სხვადასხვა ვარიანტები.

### **როგორ შევცვალოთ მონიშნული არის მასშტაბი?**


მონიშნულ არეზე ვიმოქმედოთ View ჩანართის Zoom ბრძანებათა ჯგუფიდან Zoom to selection ღილაკით.

### **როგორ ვმართოთ მონიშნული არის მასშტაბი თაგვით?**

File/Option/Advanced/Editing Options განყოფილებაში გავააქტიუროთ ჩამრთველი: Zoom on roll with intelmouse

ამ შემთხვევაში თაგვის როლიკის საშუალებით იმართება მონიშნული არის მასშტაბი.

### **1.5.15 ფურცლის დარმოდგენის რეჟიმები**



სურ. 28. დოკუმენტის წარმოდგენის რეჟიმები

ფურცლის წარმოდგენის რეჟიმებს ლიტერატურაში სხვადასხვა

ტერმინოლოგით შეხვდებით: ფურცლის დათვალიერების ან ფურცლის ხედის რეჟიმები.

ფურცლის წარმოდგენის რეჟიმების სამი ღილაკი

(იხ. სურ.28) - Normal (ნორმალური), Page Layout (გვერდის მაკეტის), Page Break Preview (გვერდის წყვეტის) განთავსებულია მასშტაბირების მარცხნივ. რომელიმე მათგანზე მოქმედებით შესაბამისად შეიცვლება ფურცლის დათვალიერების რეჟიმიც.

გაჩუმებით (ავტომატურად) დაყენებულია Normal რეჟიმი, რომელიც გამოიყენება მონაცემთა შეტანისა და დამუშავებისთვის, რედაქტირებისთვის, ფორმატირებისთვის, სხვადასხვა სახის გაანგარიშებებისთვის, დიაგრამების ასაგებად და სხვ.

Page Layout რეჟიმის დროს ხდება ფურცლის წარმოდგენა A4 ფორმატით. მონაცემები რა სახითაც დაიბეჭდება ქადალდზე, ეკრანზეც იმ სახით გამოიტანება. თუ ვიმოქმედებთ თაგვით ველში „Click to add header” გამოვა ოთხკუთხა ჩარჩო სათაურის ჩასაწერად, მაგ. სურ. 29-ის მიხედვით ამ ველში ჩაწერილია სათაური: „რეალიზებული პროდუქტის მოცულობა”.

რიგ №	პროდ კოდი	ფასი	გაყიდვის თარიღი	გაყიდული პროდ რაოდ (ცალკება)
1	1112	450	2/23/2012	345
2	1123	200	2/1/2012	675
3	1156	560	1/24/2011	145
4	2221	400	1/23/2011	678
5	3333	130	15/23/2012	897
6	3336	432	3/16/2012	1200

სურ. 29 ფურცლის მაკეტური რეჟიმი (Page Layout)

იმ შემთხვევაში, თუ ამ რეჟიმში გამოტანილი არ არის სახაზავი, იგი შეგვიძლია ჩავრთოთ View ჩანართიდან Ruler ღილაკის გააქტიურებით.

როგორც უბევ ვიცით, Excel-ის სამუშაო ფურცელი წარმოადგენს უზარმაზარ არეს, ამიტომ ხშირად მოსახერხებულია ამ ფურცლის გვერდებად წარმოდგენა Page1, Page2 და ა. შ. ფურცლის გვერდებად წარმოდგენის რეჟიმს უზრუნველყოფს Page Break Preview რეჟიმი (იხ. სურ. 30).

## **როგორ დავითო ხტანდარტულ გვერდებად სამუშაო ფურცელი?**

სტანდარტულ გვერდებად დაყოფა შეგვიძლია Excel-ის პარამეტრების ფანჯრიდან: File/Option/Advanced/Display options for this worksheet – ჩავრთოთ (გავაძებიუროთ) Show page breaks პუნქტი.

გვერდის წყვეტის საზოგადოებრივი მიზანით ჩნდება ორმაგი ისარი, რომლის საშუალებითაც შეგვიძლია წყვეტის საზის გადაადგილება.

გვერდის წყვეტის დაყენება შესაძლებელია აგრეთვე Insert ჩანართიდან Page

A	B	C	D	E	F	O	P	Q	R	S
rig #	prod kodi	fasi	gayidvis TariRi	gayiduli prod raod (calebSi)						
1	1112	450	2/23.2012	345						
2	1123	200	2/1.2012	675						
3	1156	560	1/24.2011	145						
4	2221	400	1/23.2011	678						
5	3333	130	15/23.2012	897						
6	3336	432	3/16.2012	1200						

Page 1

Page 2

სურ.30. ფურცლის ხედის გვერდებად წარმოდგენის რეჟიმი

Break- ზე მოქმედებით, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ გააქტიურებული უნდა იყოს ის უჯრა, რომლის წინაც გვსურს წყვეტის საზის დაყენება.

ამ რეჟიმიდან გამოსვლა შესაძლებელია ჩვეულებრივ Normal რეჟიმში დაბრუნებით.

წყვეტის საზის მოხსნა შესაძლებელია Page Layout ჩანართში Breaks/Remove Page Break-ზე მოქმედებით, ან File/Options/Advanced/Display options for this worksheet>Show page breaks გააქტიურებით.

### კითხვები და სავარჯიშოები.


1. რას წარმოადგენს Excel-ში სამუშაო წიგნი და რისგან შედგება იგი?
2. რას წარმოადგენს Excel-ის სამუშაო ფურცელი და რისგან შედგება იგი?
3. რას ნიშნავს აქტიური უჯრა? სად ფიქსირდება აქტიური უჯრის მისამართი?
4. როგორ მოვახდინოთ ფურცლის დაცვა?

5. შევცვალოთ ფურცლის სახელები და მათი ფერები შესაბამისად: თბილისი – მწვანე, გორი-წითელი, ქუთაისი -ლურჯი, ხოლო თელავი -ყვითელი ფერით;
  6. მოვახდინოთ “თბილისის” ფურცლის კოპირება და თავდაპირველ ფურცელზე პაროლის დადება;
  7. მოვახდინოთ ფურცელი „გორი“ -ის დამალვა-გამოჩენა;
  8. Excel-ის პარამეტრების ფანჯრიდან შევცვალოთ ფურცელთა რაოდენობა (მაგ., 3-ის ნაცვლად მივუთითოთ 5) გაჩუმებით (გულისხმობის პრინციპით).
  9. რას წარმოადგენს ფურცლის კონტექსტური მენიუ?
  10. როგორ შევცვალოთ ფურცელს სახელი/ფერი?
  11. როგორ დავმალოთ ფურცელი/აღვადგინოთ?
  12. როგორ დავიცვათ ფურცელი?
- შეიძლება პაროლის დადების შემდეგ ფურცელზე რაიმე ინფორმაციის ჩაწერა?
13. როგორ დავაყენოთ ზედა და ქვედა კოლონტიტულები?
  14. რომელია ფურცლის უმცირესი/უდიდესი მასშტაბი?
  15. როგორ ვარეგულიროთ მასშტაბი სტატუსის ზოლიდან/ლენტადან/თაგვით?
  16. როგორ წარმოვადგინოთ ფურცელი ბადის გარეშე?
  17. როგორ შევცვალოთ რომელიმე ფურცლის ბადის ფერი?
  18. როგორ დავყოთ ფურცელი გვერდებად?

## 1.6. სტატუსის ზოლი და EXCEL-ის მთვლელი

სამუშაო ფურცლის ქვემოთ განთავსებულია სტატუსის ზოლი - Status Bar (იხ. სურ. 31). სტატუსის ზოლს საინფორმაციო ზოლსაც უწოდებენ, რადგან მასზე აისახება ინფორმაცია სამუშაო არის, კლავიატურის ციფრული ნაწილის (Num lock), რეგისტრების დაფიქსირების (caps lock) და ა. შ. იგი ყოველთვის ჩანს Excel-ის ფანჯარაში, ანუ შეუძლებელია მისი დამალვა. სტატუსის ზოლის მომართვა (მასზე პარამეტრების დაყენება) შეგვიძლია თუ სტატუსის ზოლში ვიმოქმედებთ თაგვის მარჯვენა დილაკით, ანუ გამოვიტანთ სტატუსის ზოლის კონტექსტურ მენიუს (Customize Status Bar) და მასზე ჩავრთავთ ან ამოვრთავთ ბრძანებებს (თაგვის მოქმედებით თითოეული ან ჩაირთვება (გაუკეთდება წინ ალამი), ან ამოირთვება.

სტანდარტულად სტატუსის ზოლზე განთავსებულია სამუშაო არის საცნობარო ღილაკი - Ready, Excel-ის მთვლელი ანუ კალკულატორი, Excel-ის ფურცლის ხედის (წარმოდგენა-დათვალიერების) რეჟიმის სამი ღილაკი (Normal, Page Layout, Page Break Preview) და ფურცლის მასშტაბირების საშუალება.



სურ. 31. სტატუსის ზოლი

Ready ასახავს მოცემულ მომენტში Excel-ის აქტიური ფურცლის მდგომარეობას, აგრეთვე კლავიატურის მდგომარეობასაც, თუ რომელი ფუნქციური ღილაკია ჩართული. მაგ., როცა ვაწარმოებთ კლავიატურიდან მონაცემთა შეტანას, მასზე ready-ის ნაცვლად (იგი დაფიქსირებულია სტატუსის ზოლის უკიდურეს მარცხენა ნაწილში) იწერება “Enter”.

### როგორ გისარგებლოთ Excel-ის მთვლელით (კალკულატორით)?


- სტატუსის ზოლის (ready –ს ზოლში) ცარიელ არეზე ვიმოქმედოთ კონტექსტური მენიუთი და გამოსული მენიუდან გავააქტიუროთ ის ფუნქციები, რომლებიც გვჭირდება (იხ. სურ. 32). გააქტიურებაში იგულისხმება, რომ მის წინ დაისვას ალამი, ამისთვის არჩეულ ფუნქციაზე ვიმოქმედებთ თაგვის მარცხენა ღილაკით.
- სამუშაო ფურცელზე უნდა მოვნიშნოთ ის არე, რომლისთვისაც გაანგარიშებებს ვაწარმოებთ;
- გამოთვლის შედეგად მიღებული შედეგები ფიქსირდება ისევ სტატუსის ზოლში!

სურ.19-ზე სტატუსის ზოლში გამოტანილია საშუალო არითმეტიკული და ჯამი მონიშნულ უჯრებში ჩაწერილი მნიშვნელობების (700,600,100,200).

ერთდროულად შეგვიძლია გამოვიტანოთ რამოდენიმე ფუნქციის მნიშვნელობა (იხ. სურ. 32), კერძოდ: საშუალო არითმეტიკული (Average), შევსებული უჯრების რაოდენობა (Count), მონიშნული უჯრებიდან რიცხვითი სიდიდეების მნიშვნელობათა

ჯამი (Sum), რიცხვების რაოდენობა სხვადასხვა ტიპის ჩანაწერებს შორის (Numerical Count), უდიდესი მნიშვნელობა (Maximum), უმცირესი მნიშვნელობა (minimum).

თუ გვსურს გათვლების შედეგად მიღებული მონაცემები დაფიქსირდეს სამუშაო ფურცელზე, ამისათვის უნდა გავააქტიუროთ ის უჯრა, სადაც გვსურს შედეგის ჩაწერა და ჩავწეროთ შესაბამისი ფორმულა. ფორმულებს და გაანგარიშებებს სამუშაო ფურცელზე ცალკე შევეხებით.



სურ. 32 ექსელის მთვლელის, “კალკულატორი”ს გამოყენება

### კითხები და საგარეულოებები

1. A1 უჯრიდან A6 უჯრის ჩათვლით შევიტანოთ რიცხვითი მონაცემები და Excel-ის მთვლელის საშუალებით მივიღოთ მათი ჯამი / საშუალო არითმეტიკული / მაქსიმალური / მინიმალური მნიშვნელობა.

## II თავი. მონაცემთა გადაადგილება EXCEL-ში და ოპერაციები მონიშვნის მარგარით

### 2.1 გადაადგილება (ნაზიგაცია) EXCEL-ში

სამუშაო ფურცლების დათვალიერება Excel-ში შესაძლებელია შესაბამისი ფურცლის გააქტიურებით, ან გადაფურცლის ღილაკების საშუალებით.

სამუშაო ფურცლის შიგნით გადაადგილება (აქტიური უჯრის გადაადგილება) კი სხვადასხვა გზითაა შესაძლებელი:

-ნავიგაციის ღილაკების (დათვალიერების ბილიკები) საშუალებით, მათი გადაადგილებით შესაბამისი მიმართულებით;

-გადაადგილება ერთი უჯრით მარცხნივ, ზემოთ, ქვემოთ, მარჯვნივ ხდება როგორც კლავიატურის ღილაკების საშუალებით ( $\leftarrow \uparrow \downarrow \rightarrow$ )ასევე თაგვის მაჩვენებლის მიტანით საჭირო უჯრაზე და მასზე მოქმედებით.

- კლავიატურიდან Tab კლავიშის დახმარებით ერთი უჯრით მარჯვნივ;
- [Shift]+[Tab] - ერთი უჯრით მარცხნივ;
- Page Up და Page Down - ერთი ეკრანული გვერდით ზემოთ და ქვემოთ;
- Home – სტრიქონის საწყისი უჯრის გააქტიურება; იგივეს აკეთებს CTRL ღილაკთან ერთად კურსორის მართვის ღილაკებიდან მარცხენა ისართან ერთად მოქმედებაც - [CTRL]+[ $\leftarrow$ ];
- [CTRL]+[ $\rightarrow$ ] ხდება გადასვლა სტრიქონის ბოლოში (XFD სვეტზე)
- [CTRL]+[ $\uparrow$ ] ხდება გადასვლა აქტიური უჯრიდან სვეტის დასაწყისში;
- [CTRL]+[ $\downarrow$ ] ხდება გადასვლა აქტიური უჯრიდან სვეტის ბოლოში (1048576-ესტრიქონზე);
- [CTRL]+[Home] – საწყისი უჯრის A1-ის გააქტიურება;
- [CTRL]+[ Page Up]- ით ხდება წინა ფურცლის გააქტიურება, ანუ თუ ვმუშაობთ Sheet3-ში და ვიმოქმედეთ ამ ღილაკებზე, გააქტიურდება Sheet2;

- [CTRL]+[Page Down]- ით ხდება მომდევნო ფურცლის გააქტიურება, ანუ თუ კმუშაობთ Sheet3-ში და ვიმოქმედეთ ამ დილაკებზე, გააქტიურდება Sheet4;

- F5 კლავიშზე მოქმედებით ან კლავიშთა კომბინაციით: [CTRL]+[G] ან Home/Editing/Find &Select/ Go To დიალოგური ფანჯრიდან To დიალოგური ფანჯრის Reference ველში მისამართის მითითებით (მიეთითება კონკრეტული უჯრის მისამართი და OK-ზე მოქმედებით გააქტიურდება მითითებული უჯრა ანუ მოხდება გადასვლა მითითებულ უჯრაზე);

ერთი ან რამოდენიმე მონიშნული უჯრის გადაადგილება – გადატანა ხდება აგრეთვე Cut/Paste-თი ან კლავიშთა კომბინაციით [Ctrl]+[X] და [CTRL]+[V]-თი, უჯრების კოპირება/ჩასმას კი ვახდენთ Copy/Paste-თი ან კლავიშთა კომბინაციით [Ctrl]+[C] და [CTRL]+[V]-თი.

Cut, Copy, Paste მარტივი რედაქტირების დილაკებს წარმოადგენენ და მათი გამოყენება შესაძლებელია როგორც ლენტადან, ასევე მონიშნული უჯრის/უჯრების კონტექსტური მენიუდანაც.

### კოთხვები და საგარჯო შოუბი

1. გააქტიურებულია C5 უჯრა. სად მოხდება გადასვლა Home დილაკზე მოქმედებით?

A	B	C	D	E
1				
2				
3				
4				
5				
6				
7				
8				
9				
10				
11				
12				

2. სად მოხდება გადასვლა C5 უჯრიდან [CTRL]+[Home]-ზე მოქმედებით?

3. როგორ გადავიდეთ სტრიქონის დასაწყისში C5 უჯრიდან კლავიატურის დახმარებით?

4. სად მოხდება გადასვლა C5 უჯრიდან [CTRL]+[↑] -ზე მოქმედებით?

5. სად მოხდება გადასვლა C5 უჯრიდან [CTRL]+[↓] -ზე მოქმედებით?

6. სად მოხდება გადასვლა Sheet3 ფურცლიდან [CTRL]+[Page Up] -ზე მოქმედებით?

7. სად მოხდება გადასვლა Sheet2 ფურცლიდან [CTRL]+[Page Down] -ზე მოქმედებით?

8. რომელი დილაკების კომბინაციით ხდება გადასვლა წინა ფურცელზე/შემდეგ ფურცელზე?

## 2.2 მონიშვნის მარპირი

ხშირია შემთხვევები, როცა მონიშვნის მაგივრად უნებლიერ უხდებათ მონაცემების გადატანა და არა მონიშვნა. ეს რომ ასე არ მოხდეს, უნდა განვასხვავოთ უჯრაზე თაგვის მაჩვენებელს თეთრი ჯვრის სახე აქვს თუ შავი პლიუსის მსგავსი.

### როგორ მოვნიშნოთ უჯრები?

მონიშვნა ხდება თეთრ ჯვარზე თაგვის მარცხნია დილაპზე მოქმედებით და განვრცობით საჭირო არემდე.

### რა არის მონიშვნის მარკერი და რისთვის გამოიყენება იგი?

მონიშვნის მარკერი მიიღება უჯრის ან მონიშნული უჯრების ქვედა მარჯვენა კუთხეში თაგვის მაჩვენებლის მიტანით, იგი წარმოადგენს შავი პლიუსის მსგავს ნიშნაკს. მონიშვნის მარკერი ხშირად გამოიყენება ფორმულის სხვა უჯრებზე განვრცობის მიზნით, ან კოპირებისთვის, ან მონაცემთა მწვრივების მისაღებად, მასზე თაგვის მარცხნა დილაპზე მოქმედებით და განვავრცობთ საჭირო არემდე. მაგრამ განვრცობის დროს აღინიშნება სხვადასხვა შემთხვევები:

თუ უჯრაში მხოლოდ ტექსტი წერია, განვრცობისას მიიღება მისი ასლები;

თუ ტექსტი მთავრდება ციფრით, განვრცობისას მოხდება ტექსტის შემდეგ ციფრების შეცვლა, მაგალითად თუ გვიწერია ფირმა1, მისი მონიშვნის მარკერით განვრცობისას მივიღებთ: ფირმა2, ფირმა3 და ა. შ.

თარიღის ტიპის მონაცემების დროს თუ ხდება განვრცობა უჯრის შემდეგ, მიიღება მომდევნო თარიღები, ხოლო თუ უჯრის წინ განვავრცეთ, მივიღებთ წინა თარიღებს.

მაგ. სურათის მიხედვით (სურ. 33) ჩავწეროთ დასაკოპირებელი სიდიდეები და

	A	B	C	D	E	A	B
1						1	თბილისი
2	ფირმა	ფირმა1		1/29/2012		2	გორი
3	ფირმა	ფირმა2		1/30/2012		3	ქუთაისი
4	ფირმა	ფირმა3		1/31/2012		4	
5	ფირმა	ფირმა4		2/1/2012		5	
6						6	

მოახდინეთ ამ სამი უჯრის  
განვრცობა

სურ. 33 მონიშვნის მარტინის გამოყენება

განვაგრცოთ ქვემოთ, ვნახოთ რას მივიღებთ დანარჩენი უჯრებისთვის:

სიტყვა „ფირმა“ მონიშვნის მარტინით განვრცობისას დარჩა იგივე;

სიტყვა „ფირმა1“- განვრცობისას მივიღეთ: ფირმა1, ფირმა2....

თარიღის „1/15/2021“ განვრცობისას მივიღეთ: 1/16/2021, 1/17/2021, 1/18/2021

როგორც ვხედავთ, თარიღის ტიპის მონაცემების დროსაც მონიშვნის მარტინით განვრცობისას ხდება მათი თანმიმდევრულად გაზრდა, თუ განვრცობა ქვემოთ უჯრებისკენ (სტრიქონების ნომრის ზრდის მიმართულებით) მივმართეთ, ხოლო თუ წინა უჯრებისკენ არის განვრცობა, მაშინ მივიღებთ პირიქით შემცირებულ მნიშვნელობებს.


## 2.2.1 არითმეტიკული პროგრესია

### როგორ მივიღოთ მონიშვნის მარტინით არითმეტიკული პროგრესია?

არითმეტიკული პროგრესიის მისაღებად საკმარისია ორ მომდევნო უჯრაში ჩავწეროთ რიცხვები და მოვახდინოთ მათი განვრცობა სვეტობრივად ან სტრიქონობრივად, იმის მიხედვით თუ როგორაა საწყისი რიცხვები ჩაწერილი სტრიქონში თუ სვეტში. არითმეტიკული პროგრესიის ბიჯი იქნება მომდევნო რიცხვისა და წინა რიცხვის სხვაობა.

**მაგალითი:** მოვახდინოთ ავტომატური დანომვრა: A1:A20 უჯრებში ჩავწეროთ რიცხვები: 1 და 2 როგორც სურ. 34-ის პირველ სურათზეა ნაჩვენები.

მოვნიშნოთ ეს ორი უჯრა: მივიტანოთ თაგვის მაჩვენებელი A1 უჯრის შეაში და თაგვზე ხელისაუღებლად ჩამოვწიოთ მეორე უჯრაზე. მოინიშნება 2 უჯრა.




სურ. 34

1. მონიშვნის მარკერის გამოყენება:  
აგტომატური დანომერა
2. მონიშვნის მარკერით  
უჯრების კოპირება

მონიშვნის მარკერზე (მონიშნული უჯრების ქვედა მარჯვენა კუთხეში თაგვის მაჩვენებლის მიტანით -შავი ჯვარი) და ხელისაუღებლად განვრცობით (ჩამოწევით) **A20** უჯრამდე. მივიღებთ რიცხვთა მწყრივს 1-დან 20-მდე, ანუ არითმეტიკულ პროგრესიას.

რას მივიღებდით, თუ სურ. 34-ის პირველ სურათში უჯრებში 1-ის და 2-ის ნაცვლად ჩავწერდით 5-ს და 10-ს? - ამ შემთხვევაში ორივე უჯრის მონიშვნით და განვრცობით მივიღებთ არითმეტიკულ პროგრესიას- 5, 10, 15, 20, 25 და ა. შ.

ხოლო სურ. 34-ის მეორე ფანჯარაში **A1, B1** უჯრების წარმოდგენილი სახით მონიშვნით და განვრცობით მივიღებთ რიცხვების: 1-ისა და 2-ის გამეორებას.



სურ. 35 პროგრესიები

არითმეტიკული პროგრესის  
მიღება შეგვიძლია აგრეთვე  
Home ჩანართში Editing  
ბრძანებათა ჯგუფში Fill  
ლილაკზე მოქმედებით და  
Series ფანჯრის გახსნით (იხ.  
სურ. 35). ამ შემთხვევაში  
წინასწარ გააქტიურებული  
უნდა იყოს ის უჯრა, სადაც  
საწყისი მონაცემია  
ჩაწერილი. Linear ჩამრთველის  
გააქტიურება ნიშნავს  
არითმეტიკული პროგრესის

მიღებას, მონაცემების სტრიქონობრივად განსათავსებლად უნდა გავააქტიუროთ Rows დილაპი Series in განყოფილებაში, ხოლო მონაცემების სვეტობრივად განსათავსებლად დილაპი - Column. სურ. 34-ის მიხედვით საწყის სიდიდეს წარმოადგენს რიცხვი 3. მონაცემები განთავსდებიან სტრიქონობრივად, მიმდევრობის წევრთა შორის ბიჯი – Step value (არითმეტიკული პროგრესის სხვაობა) მოცემულ შემთხვევაში არის 4, ხოლო საბოლოო სიდიდე – Stop value არის 17. ე.ო. C2, B2 და D2 უჯრებში განთავსდება შემდეგი რიცხვები: 7, 11, 17.

## 2.2.2 გეომეტრიული პროგრესია

### როგორ მივიღოთ მონიშვნის მარკერით გეომეტრიული პროგრესია?

გეომეტრიული პროგრესიის მისაღებად ჩავწეროთ საწყისი სიდიდე რომელიმე უჯრაში, გავააქტიუროთ და Home/Editing/ Fill / Series ბრძანებათა თანმიმდევრობით გამოსულ ფანჯარაში გავააქტიუროთ ჩამრთველი Growth (იხ. სურ. 35). დანარჩენი პარამეტრები იგივეა, რაც არითმეტიკული პროგრესიის დროს, Step –ში აქციუბრალოდ იგულისხმება გეომეტრიული პროგრესიის მნიშვნელი.


### კითხვები და სავარჯიშოები:

1. A1 უჯრაში გვიწერია სიტყვა ”თბილისი”. რას მივიღებთ მისი განვრცობით?
2. A1 უჯრაში გვიწერია სიტყვა ”მაღაზია 1”. რას მივიღებთ მისი განვრცობით?
3. სამ ერთმანეთის მომდევნო უჯრაში: A1, A2 და A3 - ში გვიწერია შესაბამისად ”საქ. ბანკი”, ”TBC”, ”ბანკი რესპუბლიკა”. რას მივიღებთ სამივეს მონიშვნით და განვრცობით?
4. B6 უჯრაში დაფიქსირებულია თარიღი: 1/1/2012, ხოლო C7 უჯრაში 1/8/2012. რას მივიღებთ ორივე უჯრის მონიშვნით და განვრცობით სტრიქონობრივად?
5. C15 უჯრაში დაფიქსირებულია თარიღი: 1/1/2012. რომელი წლის თარიღებს მივიღებთ თუ მას განვავრცობთ სტრიქონის დასაწყისისკენ?
6. Excelის სამუშაო ფურცელზე გვხურს ჩამოვწეროთ თარიღები 7 დღის დაცილებით დაწყებული A1 უჯრიდან. როგორ მოვიქცეთ?
7. Excelის სამუშაო ფურცელზე გვხურს ჩამოვწეროთ თარიღები 2012 წლის მაისის პირველი რიცხვიდან თვის ბოლომდე. როგორ მოვიქცეთ?

8. შეადგინეთ ივნისის თვის კალენდარი, A1: G1 უჯრაში ჩამოწერეთ კვირის დღეების დასახელებები დაწყებული ორშაბათიდან, ჩაწერეთ ივნისის პირველი დღე (1.06.2012) პარასკევის შესაბამის სვეტში G2 უჯრაში, შემდეგ კი ისარგებლეთ უჯრების მონიშვნებით, მონიშვნის მარკერით და განაგრძეთ შემცირება.

## 2.3 Excel-ში სამომხმარებლო სიის ავტომატური შეტანა

რაიმე სიის ხშირად გამოყენების შემთხვევაში (მაგალითად კვირის დღეების, თვეების დასახელებების, გვარების და ა. შ.), მათი ხელახლა შეტანის თავიდან ასაცილებლად შეგვიძლია დავიმახსოვროთ მოცემული სია და შემდეგ საკმარისი




სურ. 36 მონაცემთა მონიშვნა სიის იმპორტირებისთვის

იქნება სიიდან ერთ-ერთი მათგანის დაწერა, რომ ეს სია ავტომატურად ჩამოიწერება გერტიკალური ან ჰორიზონტალური მიმართულებით მონიშვნის მარკერის განვრცელებით. ხცელში სიების ავტომატური შეტანა შეგვიძლია ორგვარად: წინასწარ შევიტანოთ სია, მაგალითად, კვირის დღეები, მოვნიშნოთ, შემდეგ ვიმოქმედოთ ოფისის დილაკიდან ხცელის პარამეტრების ფანჯრის

დილაკზე Excel Option-ზე (იხ. სურ. 16), რის შემდეგაც გახსნილ ფანჯარაში ვმოქმედებთ Edit Custom List ჩანართზე (იხ. სურ. 36). რადგან სია უკვე ჩაწერილია ფურცელზე, ვიმოქმედებთ Import -ზე და OK.

მონაცემების შეტანა შესაძლებელია თვით სამომხმარებლო სის (Custom List) ფანჯარაში, List Entries განყოფილებაში უნდა ავკრიფოთ ეს მონაცემები, მხოლოდ აქ თითოეული მონაცემი უნდა გამოვყოთ მძიმით და ვიმოქმედოთ დილაკებზე: Add და OK (სურ. 37).

იმ შემთხვევაში თუ შესატანი სია დიდია, უმჯობესია მისი იმპორტირება. შემდეგში სამუშაო ფურცელზე თუ დაგწერთ რომელიმეს ამ სიიდან და მის ქვედა მარჯვენა კუთხეში მარკერით განვავრცობთ მას ვერტიკალურად თაგვით, ან სტრიქონზე, მთელი სია ავტომატურად გამოვა, თუ თაგვით გაწეული დიაპაზონი დიდია, მაშინ ეს სია გამორდება.



სურ.37 სის ავტომატური შეტანა

## 2.4 ავტოშევსება და მონაცემთა ამორჩევა

Excel-ში მონაცემების შეტანისას თუ შესატანი მონაცემის დასაწყისი ემთხვევა ერთხელ უკვე შეტანილს, მაშინ ხდება წინა მნიშვნელობის ავტომატურად გამოტანა, რომელსაც თუ გვაწყობს, ვტოვებთ, თუ არა, გადავაწერთ სხვა შესატან მნიშვნელობას, და თავიდან ავიცილებთ ერთი და იგივე მონაცემების განმეორებით შეტანას.

ამასთან ერთად, შეგვიძლია მონაცემთა შეტანისას ამოვირჩიოთ რომელიმე მონაცემები (ცალ-ცალკე) ერთხელ უკვე შეტანილი სიიდან კონტექსტური მენიუდან Pick from Drop-down list ბრძანებით.

მაგ., A1:A4 უჯრებში შევიტანეთ კვირის დღეების დასახელებები სურ. 38-ზე ნაჩვენები სახით:

A5 უჯრაში კი ვიმოქმედეთ კონტექსტური მენიუდან Pick from Drop-down list ბრძანებაზე:

გამოგვიტანს შეტანილ სიას დახარისხებული სახით, ამ სიიდან შეგვიძლია ავირჩიოთ რომელიმე მათგანი (მასზე მოქმედებით) უჯრაში დასაფიქსირებლად.

ე.ო. ავტოშევსების დროს თვითონ იწერება უკვე მნიშვნელობები, Pick from Drop-down list შემთხვევაში კი ჩვენ ვირჩევთ.

A	
1	ორშაბათი
2	სამშაბათი
3	ოთხშაბათი
4	ხუთშაბათი
5	orSabaTi
6	oTxSabaTi
7	samSabaTi
8	xuTSabaTi

სურ. 38. მონაცემთა არჩევა უკვე შეტანილი სიიდან

## 2.5 მონიშვნები

### დიაპაზონის ცნება

A	B	C	D	E	F
1					
2					
3					
4					
5					
6					
7					

სურ. 39. B2:F5 დიაპაზონი

Excel-ის ფურცელზე  
თანმიმდევრობით მონიშნული  
უჯრედები (უჯრედთა  
მართვულხა ბლოკი) ქმნის  
დიაპაზონს, რომლის მისამართი  
განისაზღვრება ორი წერტილით  
გამოყოფილი საწყისი უჯრისა

და ბოლო უჯრის მისამართებით. მაგ. სურ. 39-ზე წარმოდგენილია დიაპაზონი B2:E5.

მონაცემებზე მანიპულირებისას ხშირად გვჭირდება მონიშვნები:

**ერთი უჯრის მონიშვნა:** საკმარისია ვიმოქმედოთ ამ უჯრაზე თაგვით (მარცხენა დილაკით).

**მთლიანი სვეტის მონიშვნა:**

- თაგვის მარცხენა დილაკით ვმოქმედებოთ ამ სვეტის აღმნიშვნელ ასოზე (იხ. სურ. 40):
- მოსანიშნი სვეტის რომელიმე უჯრიდან [Ctrl]+[Spacebar] დილაკთა კომბინაციაზე მოქმედებით<sup>2</sup>.

**სტრიქონის/სტრიქონების მონიშვნა:**

- ვმოქმედებოთ სტრიქონის შესაბამის ნომერზე/ნომრებზე, (იხ სურ. 41)
- მოსანიშნი სტრიქონის რომელიმე უჯრიდან ვიმოქმედოთ [Shift]+[Spacebar] დილაკთა კომბინაციაზე

**თაგვის საშუალებით ერთმანეთის თანმიმდევრობით მდებარე უჯრების მონიშვნა:**

- ვმოქმედებოთ პირველ უჯრაზე, და თაგვის მარცხენა დილაკზე ხელის აუდებლად განვაგრცობთ საჭირო მიმართულებით სტრიქონობრივად ან სვეტობრივად.

**კლავიატურიდან ერთ სვეტში ან ერთ სტრიქონში ერთმანეთის თანმიმდევრობით მდებარე უჯრების მონიშვნა:**

ვმოქმედებოთ პირველ უჯრაზე, შემდეგ Shift დილაკზე ხელის აუდებლად ვმოქმედებოთ ყოველ მომდევნო უჯრაზე. საკმარისია ამ მონიშნული არის შემდეგ სვეტში ან სტრიქონში ვიმოქმედოთ თაგვით, რომ მასშიც მოსაზღვრე უჯრები მოინიშნება.

<sup>2</sup> Spacebar წარმოადგენს კლავიატურის ყველაზე გრძელ დილაკს, რითიც ხდება სიტყვებს შორის პრაბელის (ცარიელი ადგილი) ჩასმა.

**სხვადასხვა სეტი და სტრიქონში ერთმანეთის თანმიმდევრობით მდებარე უჯრების მოსანიშნად** (უწყვეტი თთხევულები ბლოკის მოსანიშნად), მაგალითად 2-დან 9-ის ჩათვლით, შეგვიძლია როგორც თაგვის მარცხენა ღილაკზე

	A	B	C
1			
2			
3			
4			
5			
6			

სურ. 40 სეტის მონიშვნა

	A	B	C	D
1				
2				
3				
4				
5				
6				

სურ. 41 სტრიქონის მონიშვნა

ხელისაუღებლად მოქმედებით, ასევე უფრო მარტივადაც: ვიმოქმედებთ თაგვით მოსანიშნი არის ზედა მარცხენა კუთხეში B2-ზე(საწყის უჯრაზე), შემდეგ კი [Shift]+[E9] -ები. Shift ღილაკთან ერთად ვიმოქმედებთ მოსანიშნი არის ბოლო უჯრაზე ე. ი. E9-ზე. მივიღებთ მონიშნულ არეს (დიაპაზონს): B2:E9, ე. ი. ამ შემთხვევაშიც ერთმანეთის თანმიმდევრობით მდებარე უჯრების მონიშვნით მივიღეთ დიაპაზონი;


- **არამეზობელი უჯრების/ დიაპაზონების მოსანიშნად** ვმოქმედებთ პირველ უჯრაზე/დიაპაზონზე, დანარჩენებზე კი ცალ-ცალკე Ctrl ღილაკთან ერთად.
- **მთლიანი ფურცლის მონიშვნა** შეგვიძლია როგორც [Ctrl]+[A], ასევე [Ctrl]+[Shift+[Spacebar], ღილაკების კომბინაციითაც: აგრეთვე სამუშაო ფურცლის უკიდურესად მარცხენა კუთხეში ფურცლის მონიშვნის ღილაკზე მოქმედებითაც (იხ. სურ. 14).

#### **დიაპაზონის მონიშვნა:**

დიაპაზონის მონიშვნა შეგვიძლია სხვადასხვანაირად:

1. დიაპაზონი ჩვეულებრივ მოინიშნება დიაპაზონის საწყის უჯრაში თაგვის მარცხენა ღილაკზე მოქმედებით და ხელის აუდებლად გადატანით ბოლო უჯრამდე;

2. საწყისი უჯრის გააქტიურებით, და შემდეგ კლავიატურის Shift კლავიშთან ერთად დიაპაზონის ბოლო უჯრაზე მოქმედებით (მაგ., B2:E5 დიაპაზონის



**სურ. 42 Find & Select დილაგი**

მოსანიშნად ჯერ ვიმოქმედოთ B2 უჯრაზე, ხოლო შემდეგ [Shift]+[E2] ანუ Shift კლავიშთან ერთად E2 უჯრაზე);

3. დიაპაზონის სწრაფად მონიშვნისათვის შეგვიძლია გამოვიყენოთ სხვა საშუალებაც, კერძოდ, Home/Editing /Find & Select-ში Go To დიალოგური ფანჯრის Reference ველში საჭირო დიაპაზონის მისამართის ჩაწერით (იხ. სურ. 42, 43), მაგ: A1:G45 და OK.

ძალიან მარტივად, Go To დიალოგური ფანჯრის გამოძახება შეგვიძლია კლავიატურიდან F5 დილაგზე მოქმედებითაც, ან კლავიშთა კომბინაციით: [CTRL] +[G].

4. F8 დილაგის დახმარებით: დიაპაზონის მონიშვნის განსავრცობად ვიმოქმედოთ F8 კლავიშზე. მონიშნული არის გარეთ სადაც ვიმოქმედებთ თაგვით ამ შემთხვევაში, მონიშვნაც ამ საზღვრამდე გაგრძელდება. ეს გაგრძელდება მანამ, სანამ ისევ განმეორებით არ ვიმოქმედებთ F8 კლავიშზე. ამ შემთხვევაში ეს რეჟიმი მოიხსნება.

5. რამდენიმე უჯრის ან დიაპაზონის მონიშვნა სამუშაო ფურცელზე შესაძლებელია CTRL ღილაკის დახმარებით, ე. ი. ჯერ ერთ უჯრას/დიაპაზონს მოვნიშნავთ, შემდეგ CTRL ღილაკთან ერთად მეორეს და ა. შ. ასე მიიღება მონიშნულ უჯრათა/დიაპაზონთა არე.<sup>3</sup>

**როგორ მოვნიშნოთ აქტიური უჯრიდან დაწყებული ეველა მის ზემოთ მდებარე არე?**

გიმოქმედოთ ღილაკთა კომბინაციაზე:

[CTRL]+[shift]+[Home]

**როგორ მოვნიშნოთ სვეტი აქტიური უჯრიდან სვეტის დასაწყისამდე?**

გიმოქმედოთ ღილაკთა კომბინაციაზე:

[CTRL]+[shift]+[↑]

**როგორ მოვნიშნოთ სვეტი აქტიური უჯრიდან სვეტის ბოლომდე?**

გიმოქმედოთ ღილაკთა კომბინაციაზე:

[CTRL]+[shift]+[ ↓]

**როგორ მოვნიშნოთ სტრიქონი აქტიური უჯრიდან სტრიქონის დასაწყისამდე?**

გიმოქმედოთ ღილაკთა კომბინაციაზე:

[CTRL]+[shift]+[ ← ]

**როგორ მოვნიშნოთ სტრიქონი აქტიური უჯრიდან სტრიქონის ბოლომდე?**

გიმოქმედოთ ღილაკთა კომბინაციაზე: [CTRL]+[shift]+[ → ]

## კითხვები და სავარჯიშოები

1. რას წარმოადგენს დიაპაზონი
2. როგორ მოვნიშნოთ ერთდროულად მე-3 და ,ე-4 სტრიქონი?
3. როგორ მოვნიშნოთ ერთდროულად A, C და E სვეტები?
4. როგორ მოვნიშნოთ C65- უჯრიდან დაწყებული მთელი სვეტი C 1-ის ჩათვლით?
5. როგორ მოვნიშნოთ C65- უჯრიდან დაწყებული მთელი სვეტი ფურცლის ბოლომდე?

<sup>3</sup> უნდა შევნიშნოთ, რომ თანმიმდევრულად მდებარე უჯრების მონიშვნის დროს სახელის არეში ფიქსირდება პირველი უჯრის მისამართი.

6. როგორ მოვნიშნოთ C65- უჯრიდან დაწყებული მთელი სტრიქონი ბოლომდე?
7. როგორ მოვნიშნოთ C65- უჯრიდან დაწყებული მთელი სტრიქონი E65- მდე?
8. რა ხერხებით შეიძლება მონიშნოს B3:G30 დიაპაზონი რამდენიმე ხერხით?
9. როგორ მოვნიშნოთ რამდენიმე არამეზობლად მდებარე უჯრები ერთად?
10. როგორ მოვნიშნოთ რამდენიმე არამეზობლად მდებარე დიაპაზონი ერთად?


## 2.6 უჯრისთვის ან დიაპაზონისთვის სახელის მინიჭება

### 2.6.1 სახელის მინიჭება კონტექსტური მენიუდან

უჯრის/დიაპაზონისთვის სახელის მინიჭება შეგვიძლია შემდეგნაირად:- მოვნიშნოთ უჯრა/დიაპაზონი და კონტექსტური მენიუდან ვიმოქმედოთ ბრძანებაზე: 'Name a Range' ან ჩანართიდან Formulas Defined names ბრძანებათა ჯგუფიდან ბრძანება Define Name არჩევით (იხ. სურ. 44).

ორივე შემთხვევაში იხსნება ფანჯარა „New Name”, სადაც Name ველში მიეთითება უჯრის/დიაპაზონის სახელი (იხ. სურ. 44), ხოლო Refers To ველში – მისამართი უჯრის/დიაპაზონის, რომელსაც სახელს ვარქმევთ, მაგ, აღნიშნულ სურათზე C5:C13 დიაპაზონს მინიჭებული აქვს სახელი - „gvari”;

- იმ შემთხვევაში, თუ გვაქვს ცხრილი და გვსურს ცხრილში სვეტების სათაურები იყოს დიაპაზონის სახელები, მაშინ მოვნიშნავთ მთელ ცხრილს და



**სურ.44.** დიაპაზონისთვის სახელის მინიჭება: წითელი ისრებით – კონტექსტური მენიუდან, შავი ისრებით ლენტადან

ამავე ლენტადან Formulas ჩანართიდან ვიმოქმედებთ ბრძანებაზე - Create from Selection (იხ. სურ. 45), რადგან ზედა სტრიქონშია განსაზღვრული ცხრილში სვეტების სათაურები, გახსნილ ფანჯარაში ვააქტიურებთ ბრძანებას - Top Row (იხ. სურ.46). ყოველი სვეტის მონაცემებს სახელად თავისი სვეტის სათაური მიენიჭება. როგორც სურ. 46-დან ჩანს, დიაპაზონის სათაურად ასევე შეიძლება გამოიყოს მარცხენა სვეტი (Left Column), ქვედა სტრიქონი (Bottom Row), მარჯვენა სვეტი (Right Column).


სახელების მინიჭების შემდეგ დიაპაზონის მითითების ნაცვლად გამოთვლებში მათი სახელების გამოყენება შეგვიძლია, რითიც უფრო მარტივდება მონაცემებთან მუშაობა, უკვე ვიცით რომელი დიაპაზონი რას აღნიშნავს. მაგ: =SUM(xelfasi) მიუთითებს ხელფასის სვეტის მონაცემთა დაჯამებას.

დიაპაზონის მისამართის ნაცვლად მისი სახელის დაფიქსირება შეგვიძლია Go To გადასვლის ფანჯარაშიც გელში - Reference, ამ შემთხვევაში მოხდება იმ სვეტის მონიშვნა, რომელსაც მითითებული სახელი აქვს მინიჭებული.

## 2.6.2 სახელის მინიჭება სახელის არის გელიდან

### როგორ ხდება სახელის მინიჭება სახელის არის გელიდან?

მონიშნულ უჯრას/დაზონს სახელი შეიძლება მივანიჭოთ აგრეთვე ფორმულის ზოლის მარცხნივ განთავსებული გელიდან - სახელის არე (Name Box).



სურ 46. ზედა სტრიქონის განსაზღვრა  
დიაპაზონების სახელებად.

სურ. 45 სვეტის მონაცემებისთვის სახელების  
განსაზღვრა

მაგრამ Name Box-ით სახელის მინიჭებისას აუცილებელია, რომ მონიშნული ან გააქტიურებული იყოს უჯრა/დიაპაზონი, რომლისთვისაც სახელის მინიჭებას ვაპირებთ. ამ შემთხვევაში მოინიშნება რა ეს არე, Name Box გელში ავტომატურად საჭირო სახელს და ვიმოქმედებთ Enter დილაკზე.

## 2.6.3 უჯრის/დიაპაზონთა სახელების რედაქტირება


### როგორ მოვახდინოთ დიაპაზონის სახელების რედაქტირება?

დიაპაზონისთვის სახელის რედაქტირება - შესაძლებელია Formulas ჩანართიდან Name Manager (სახელების მენუჯერი) საშუალებით (სურ. 47).

Name Manager ფანჯარის ზედა ნაწილში განთავსებული სამი ბრძანებათა ღილაკი: New, Edit და Delete მიუთითებს შესაბამისად სახელის შექმნას, რედაქტირებას და წაშლას.

New, Edit და Delete ღილაკების ქვემოთ Name სვეტში ჩამოთვლილია მინიჭებული სახელები, Value სვეტში ჩამოთვლილია დიაპაზონის იმ ელემენტთა მნიშვნელობები, რომლისთვისაც სახელი განისაზღვრა. Refers to სვეტში ჩამოთვლილია სახელის შესაბამისი მისამართები, დიაპაზონები, რომლისთვისაც სახელის განსაზღვრა მოხდა. მონიშნული სახელისთვის შეგვიძლია შევასწოროთ მისამართი, თუ საჭიროა და ვიმოქმედოთ Enter ღილაკზე.

New, Edit და Delete ღილაკების მარჯვნივ განთავსებულია ფილტრაციის ღილაკი: Filter, რომლის საშუალებითაც შეგვიძლია შევარჩიოთ სახელები, რომლებიც მოელცხოლენ ან ცალკეულ სამუშაო ფურცელზე მოქმედებენ, ცხრილების სახელები და ა. შ. ფილტრაციის გასაუქმებლად ვმოქმედებთ Filter-ის მარჯვნივ სამკუთხა ისარზე მოქმედებით გამოსული ბრძანებებიდან Clear Filter ბრძანებაზე.



სურ. 47 სახელების მენუჯერი

**ახალი სახელის**  
**შექმნა** - შესაძლებელია  
Formulas/Name Manager-  
გახსნილ ფანჯარაში  
დიაპაზონის სახელის  
მონიშვნით და New  
ღილაკზე მოქმედებით.

**სახელის შეცვლა-**  
ვიმოქმედებთ საჭირო  
დიაპაზონის სახელზე  
და შემდეგ Edit ღილაკზე.

გამოსულ ფანჯარაში Name ველში მივუთითებთ ახალ სახელს, რითიც გვსურს შეცვლა და გმოქმედებთ OK-ზე.

**სახელის წაშლა** – მოვნიშნავთ საჭირო დიაპაზონის სახელს და შემდეგ გმოქმედებთ DELETE ღილაკზე.

### რა შეზღუდვები მოქმედებს სახელების მინიჭების დროს?

1. სახელის საწყისი სიმბოლო უნდა იყოს ასო ან ხაზგასმის ნიშანი, დანარჩენი სიმბოლოები შეიძლება იყოს როგორც ასოები, ასევე რიცხვები, წერტილები, ხაზგასმის ნიშნები.

2. სახელი არ უნდა წარმოადგენდეს უჯრის ან დიაპაზონის მისამართს, დასაშვებია მაგალითად ასეთი სახელიც: B\_სვეტი.

3. თუ სახელი შედგება რამდენიმე სიტყვისაგან, დაუშვებელია პრაბელის (გამოტოვებული ადგილი) გამოყენება, მის ნაცვლად შეგვიძლია ვიხმაროთ ტირე ან წერტილი.

4. სახელის სიგრძე არ უნდა აღემატებოდეს 255 სიმბოლოს.

### კოსტეგები და სავარჯიშოებები

1. რას წარმოადგენს დიაპაზონთა არე?

A	B	C	D	E
1				
2	პროდუქციის კოდი	რაოდ	ერთეულის ფასი	ღირებულება
3	11	45	8	360
4	12	90	45	4050
5	13	80	7	560
6	14	60	25	1500
7	15	30	50	1500
8				

- შევიტანოთ რამდენიმე თვის სახელი B2: B5 დიაპაზონში და B6-დან კი მოვახდინოთ შეტანილი სიიდან მონაცემის ამორჩევა.
- განგხსაზღვროთ სურ. 48-ზე მოცემულ ცხრილში სვეტის სათაურები შესაბამისი სვეტების სახელებად.

სურ.48. საწყისი მონაცემები

## 2.7 მონაცემების გადატანა-კოპირება

### 2.7.1 მონაცემთა გადატანა/კოპირება თაგვით

მონაცემების გადატანა შესაძლებელია მონიშნული არის საზღვარზე თაგვის მიტანით და მის მარცხენა ღილაკზე ხელის აუდებლად გადატანით სასურველ ადგილზე (იმ საწყის უჯრაზე, საიდანაც მისი ხელახალი განთავსება მოხდება); მონაცემების კოპირება თაგვით შესაძლებელია გადატანის მსგავსად, მხოლოდ ამ შემთხვევაში ვმოქმედებთ CTRL ღილაკთან ერთად. ამ დროს მონიშნული არის საზღვართან ხდება პლიუსის მსგავსი ნიშნის გამოჩენა, რაც მისი კოპირების მაჩვენებლია.

### 2.7.2 მონაცემთა გადატანა/კოპირება ბუფერული მეხსიერებიდან

Home ჩანართში Clipboard წარმოადგენს ბუფერთან მუშაობის ბრძანებებს. ბუფერი – დროებითი მეხსიერებაა, სადაც ინახება მონაცემები გადატანის ან კოპირების (Cut/Copy) დროს.

#### მონაცემების გადატანა Cut/Paste-თა:

ერთი ან რამოდენიმე მონიშნული უჯრის გადაადგილება – გადატანა შესაძლებელია შემდეგი გზით:

1. მოენიშნოთ არე, რომლის გადატანც გვინდა და ვიმოქმედოთ ერთ-ერთი გზით ჩამოთვლილთაგან:

- უჯრის კონტექსტური მენიუდან Cut;

-ლენტაზე Home/Clipboard/Cut;

- ღილაკთა კომბინაციით [CTRL]+[X];

შედეგად მოხდება მონიშნული არის ბუფერში გადატანა.

2. გავაქტიუროთ ის უჯრა, საიდანაც გვინდა დაიწყოს ბუფერიდან მონაცემის ჩასმა და ვიმოქმედოთ ერთ-ერთი გზით ჩამოთვლილთაგან: უჯრის კონტექსტური მენიუდან - Paste, -ლენტაზე -



სურ. 49 მრავალდონიანი ბუფერი

Home/Clipboard/Cut; ღილაკთა კომბინაციით [CTRL]+[V]. მონიშნული უჯრების ან უჯრის გადატანა შეგვიძლია აგრეთვე თაგვის საშუალებითაც, თუ მოვნიშნავთ და მაჩვენებელს მივიტანთ მონიშნული უჯრების საზღვართან, ჩნდება ფიგურების გადატანის ნიშანი და მასზე თაგვით ხელისაუღებლად გადავიტანთ სასურველ ადგილას.

### **მონაცემების კოპირება Copy/Paste-თი:**

მონაცემთა კოპირებაც ხდება გადატანის ანალოგიურად, იმ განსხვავებით, რომ Cut-ის ნაცვლად ვმოქმედებთ Copy-ზე ან ღილაკთა კომბინაციით [CTRL]+[C];

ჩასმა Paste-თი ან [CTRL]+[V]-თი.

Cut, Copy, Paste - წარმოადგენენ რედაქტირების ღილაკებს. ზემოთ განხილული პროცესი მარტივი გადატანითა და მარტივი კოპირებითაა ცნობილი.

კოპირების ან გადატანის დროს მონიშნულ არეს უკეთდება ჩარჩო, რომლის მოხსნაც შეგვიძლია Esc ან Enter ღილაკით.


**შენიშვნა:** ხშირად გვვითვრდება ერთი და იგივე ფრაგმენტის რამდენიმეჯერ გადატანა-კოპირება. მაგრამ ამისთვის საჭირო არაა ყოველ ცალკეულ გადატანა-კოპირებაზე ამ ბრძანებების თავიდან შესრულება. ამ შემთხვევაში უნდა ვისარგებლოთ მრავალდონიანი ბუფერით, ანუ ბუფერიდან მრავალჯერადი ჩასმებით.

## **2.8. მრავალდონიანი ბუფერით სარგებლობა**

ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა რამდენიმე ობიექტი, რომელთა გადატანა-კოპირებაც ხშირად მოგვიწევს, გადავიტანოთ ბუფერში (Cut, Copy) შემდგომში მრავალჯერადად ჩასმის მიზნით. ამისთვის, საჭიროა გავხსნათ ბუფერის დიალოგური ფანჯარა, რომელიც იხსნება Clipboard-ის დიალოგური ფანჯრის გახსნით (გვერდით პატარა ისარზე მოქმედებით (იხ. სურ 49)). რის შემდეგაც თითოეულ Cut, Copy ბრძანებისას გახსნილ ფანჯარაში თავსდება მონიშნული ობიექტები. შემდეგში გავააქტიურებთ უჯრას, სადაც გვსურს რომელიმე მათგანის ჩასმა და სწორედ ამ ფანჯრიდან

ვახდენო ამორჩევას (თაგვის მარცხენა ღილაკით ბუფერში მოთავსებულ ობიექტები მოქმედებით). Paste All- ზე მოქმედებით მოხდება ბუფერიდან ერთდროულად ყველა ობიექტის ჩასმანერთმანეთის მომდევნო უჯრებში, ხოლო

Clear All- ზე მოქმედებით – წაშლა. ბუფერული მეხსიერების გასუფთავების შემდეგ შეგვიძლია დაგხუროთ ეს ფანჯარა, ზედა კუთხეში მოთავსებული X ღილაკით.



სურ. 50 მრავალნიანი ჩასმა

**მაგალითი.** სურ. 50-ზე ნაჩვენებია ბუფერული მეხსიერების მრავალჯერადი გამოყენების მაგალითი. ამ სურათის მიხედვით პირველად მოინიშნა “კრედიტორთა რაოდება ზაფხულის სეზონზე” და ვიმოქმედეთ Copy – ზე, შემდეგ მოინიშნა “ბანკი”- B12 უჯრა, ისევ Copy, შემდეგ მოინიშნა “ივნისი” ანუ C2 უჯრა. შემდეგ ჩახმის მიზნით გავაძებიურეთ (თაგვით ვიმოქმედეთ) B12 უჯრაზე, ბუფერული ფანჯრიდან (Clipboard) ვიმოქმედეთ იმ ობიექტ ზე, რომლის ჩახმაც გვხერდა, ჩვენს შემთხვევაში-“Banki”, და B12 უჯრაში მოხდება ამ ობიექტის ჩახმა.


## 2.9 ბუფერული მეხსიერებიდან ჩასმის – PASTE საშუალებები

თუ ვიმოქმედებთ Paste-ს ქვემოთ სის სამკუთხა ისარზე (იხ. სურ 51), გამოდის ბუფერული მეხსიერებიდან ობიექტის ჩასმის ხერხები:

Paste წარმოადგენს მარტივ ჩასმას – Copy/Paste ან Cut/Paste.

გამოთვლის შედეგად მიღებული სიდიდეები წარმოადგენებ ფორმულებს. ფორმულის გადატანა/კოპირების დროს თუ გვსურს რომ ჩასმის შემდეგაც მას ფორმულის სახე ჰქონდეს, უნდა მივუთითოთ **Formulas**.

**Paste Values** შემთხვევაში უკვე ფორმულა აღარ მიიღება, იგი როგორც კონსტანტა, ჩვეულებრივი საწყისი სიდიდე ისე დაფიქსირდება. განვიხილოთ განსხვავება მათ შორის მაგალითის საფუძველზე: D2 უჯრაში გამოვითვალოთ 45-ისა და 68-ის ნამრავლი (ანუ ჩავწეროთ ასე: =45\*68 და ვიმოქმედოთ Enter-ზე). შემდეგ კონტექსტური მენიუდან მიღებულ შედეგზე ვიმოქმედოთ Copy-ზე. კოპირებული სიდიდე თუ გვსურს ფორმულის სახით ჩავსვათ C4 უჯრაში, ამისთვის გავაქტიურებთ ამ უჯრას, ანუ ვიმოქმედებთ მასზე და სურ. 52-ზე ავირჩევთ **Formulas**-ს. C4 უჯრის გააქტიურებისას გნახავთ, რომ ფორმულის ზოლში ჩაიწერება ფორმულა, რის შედეგადაც მიღებულია იგი.



სურ. 51 ბუფერის (Paste) შესასრულებელი ბრძანებები

შემდეგ სურათზე (სურ.53) იგივე სიდიდე კოპირებულია D5 უჯრაში, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი ჩასმულია Paste Value-თი და თუ შევხედავთ ფორმულის ზოლში უკვე დაფიქსირებულია როგორც სიდიდე და არა ფორმულა.


**როგორ მოხდება ბუფერული მონაცემების ჩასმა “No Borders”-ის დროს?**

ამ ბრძანებას აზრი აქვს მაშინ, როცა ბუფერში მონაცემები გადატანილია ჩარჩოთი (გარედან შემოხაზული, ცხრილის სახით და ა. შ.). ჩასმის დროს მონაცემების ჩასმა მოხდება ჩარჩოს (ცხრილის) გარეშე.


**მაგალითი:**

1. მოვნიშვნოთ მოცემული ცხრილი (სურ. 54)

2. კიმოქმედოთ მასზე კონტექსტური მენუსთი და ავირჩიოთ ბრძანება *Copy* ან *Cut* ბრძანება.



სურ. 52. ფორმულის ჩასმა



სურ. 53. ფორმულის მაგივრად შედეგის ჩასმა

3. გავააქტიუროთ ცხრილის გარეთ რომელიმე უჯრა, მაგ. C10 (ხაიდანაც უნდა მოვახდინოთ კოპირებული ცხრილის ჩასმა) და კიმოქმედოთ Paste ხილაბ *No Borders* ბრძანებაზე მივიღებთ მონაცემებს ცხრილის გარეშე (იხ. სურ. 55)

**როგორ მოხდება ბუფერული მონაცემების ჩასმა “transpose”-ის დროს?**

A	C	D
1		
2	პროდუქციის დასახელება	რაოდე ნობა
3	კლავიატურა	456
4	მონიტორი	234
5	პროცესორი	500
6	თაგვი	600
7	კვების ბლოკი	55
8	ვინჩესტერი	345

სურ. 54. საწყისი მონაცემები

პროდუქციის დასახელება	რაოდე ნობა
კლავიატურა	456
მონიტორი	234
პროცესორი	500
თაგვი	600
კვების ბლოკი	55
ვინჩესტერი	345

სურ. 55 მონაცემების ასლის ჩასმა  
Paste/ No Borders ბრძანებით

ბუფერული ბრძანების “transpose”-ის დროს (სურ. 51) ხდება სვეტებისა და

პროდუქციის დასახელება	კლავიატურა	მონიტორი	პროცესორი	თაგვი	კვების ბლოკი	ვიწრეს ტერი
რაოდენობა	456	234	500	600	55	345

სურ. 56 მონაცემების ჩასმა Paste/ transpose ბრძანებით

სტრიქონების ადგილმდებარეობის გაცვლა.

**მაგალითი:** მოვახდინოთ ნაჩვენები ცხრილის კოპირება (Copy), გავაქტიუროთ უჯრა, სადაც გვხვდეთ ასლის ჩასმა და ვიმოქმედოთ Paste ხილაბზოვანი transpose ბრძანებით, მივიღებთ საწყისი მონაცემების ასლს სურ. 56-ზე წარმოდგენილი სახით.

პროდუქციის დასახელება	რაოდენ ობა
კლავიატურა	456
მონიტორი	234

### როგორ მოხდება ბუფერული მონაცემების ჩასმა “As Picture”-ის დროს?

Paste/As	Picture-ის	საშუალებით
ჟეგვიძლია	კოპირებული	დიაპაზონის
სურათის სახითაც ჩასმა.	ამისთვის უნდა	მოვნიშნოთ
დასაკოპირებელი	არე	და
კონტექსტური მენიუდან ვიმოქმედოთ Copy-		
ზე. შემდეგ კი გავაქტიუროთ უჯრა, სადაც		

სურ. 57 მონაცემთა ასლის სურათად ჩასმა

კონტექსტური მენიუდან ვიმოქმედოთ Copy-ზე. შემდეგ კი გავაქტიუროთ უჯრა, სადაც გვხვდეთ ასლის სურათად და ვიმოქმედოთ ველში As Picture/Paste as Picture. მივიღებთ კოპირებული ან გადატანილი დიაპაზონის სურათს.

**მაგალითი:** მოვნიშნოთ C2:D4 დიაპაზონი სურ. 54-ზე, ვიმოქმედოთ Copy-ზე, შემდეგ გავაქტიუროთ ცარიელი უჯრა, მაგ., B13 და ვიმოქმედოთ ბრძანებაზე: Paste/As Picture მივიღებთ შედეგს სურ. 57-ზე წარმოდგენილი სახით.

### როგორ მოხდება ბუფერული მონაცემების ჩასმა სპეციალური ჩასმის PASTE-SPECIAL საშუალებით


ბუფერული მონაცემების ჩასმის დროს Paste Special ბრძანებით (სურ. 51) წინა საშუალებების გარდა (სურ. Paste განყოფილება) საშუალება გვეძლევა აგრეთვე

მოვახდინოთ ოპერაციები ბუფერულ მონაცემებზე<sup>4</sup> (სურ. 58 Operation განყოფილება) და ჩავსვათ ამ ოპერაციის შედეგად მიღებული მონაცემები.

### რა ოპერაციები შეგვიძლია ჩავატაროთ ბუფერულ მონაცემებზე?

ბუფერულ მონაცემებს შეგვიძლია მივუმატოთ (Add) ან გამოვაკლოთ (Subtract) რაიმე სიდიდე, გავამრავლოთ (Multiply) ან გავყოთ (vide) რაიმე სიდიდეზე Paste Special ფანჯრის Operation განყოფილებიდან შესაბამისი ჩამრთველის გააქტიურებით (იხ. სურ. 58). ძალიან ხშირად მონაცემები განიცდიან ერთნაირ ცვლილებას, მაგალითად ფასების მომატებას ან შემცირებას გარკვეული სიდიდით და საწყისი მონაცემები საჭიროებს ცვლილებას მისამართის შეუცვლელად. მაგ. სურ.59-ზე B2:C8 დიაპაზონში მოცემული გვაქვს საწყისი ფასები, მაგრამ ფასები გაიზარდა 2-ჯერ და უნდა დაფიქსირდეს ახალი ფასები. ამისთვის ჩავატაროთ შემდეგი მოქმედებები:

1. რომელიმე უჯრაში, მაგ. A1-ში ჩავწეროთ რიცხვი რამდენჯერაც გესურს მონაცემთა გაზრდა და მოვახდინოთ მისი დამახსოვრება (ვიმოქმედოთ Copy-ზე);
2. მოვნიშნოთ ის არე, რომელმაც ცვლილება უნდა განიცადოს, კერძოდ C3:C8



სურ. 58 Paste Special ფანჯარა

დიაპაზონი.

3. ვიმოქმედოთ Paste Special –ფანჯრიდან ჩამრთველზე Multiply (სურ. 58);

<sup>4</sup> ბუფერულია ის მონაცემები, რომლებზედაც მიცემულია ბრძანება Copy/cut

მივიღებთ მონაცემებს გაორმაგებული ფასებით. ანალოგიურად შეგვიძლია სხვა მსგავსი ოპერაციების ჩატარებაც.

Paste Special –ფანჯრის გამოტანა შესაძლებელია აგრეთვე მონიშნული უჯრების კონტექსტური მენიუდანაც (სურ. 61).

	A	B	C
1	Copy		
2	პროდ კოდი	ფასი (ლარებ ზე)	
3	1111	25	
4	1112	3.4	
5	1113	12	
6	1114	7.5	
7	1115	8	
8	1116	11	

სურ. 59 Paste Special გამოყენება  
მონაცემთა ორჯერ გაზრდისთვის

A	B	C
1	2	
2	პროდ კოდი	ფასი (ლარებ ზე)
3	1111	50
4	1112	6.8
5	1113	24
6	1114	15
7	1115	16
8	1116	22

სურ. 60 Paste Special გამოყენებით  
მონაცემთა ორჯერ გაზრდილი  
შემთხვევა

	A	B	C	D	E
1	ორგანიზაციის დახახელება				
2					
3	პროდ კოდი	პროდ ფასი (ლარი)			
4	1111	500			
5	1112	400			
6	1113	300			
7	1114	600			

სურ. 61 Paste Special უჯრის კონტ. მენიუდან


### III თავის მუშაობა EXCEL-ის სამუშაო ფილებთან

#### 3.1 ახალი ფაილის – სამუშაო წიგნის შექმნა

Excel-ში ახალი ფაილის – წიგნის შექმნა Desktop-ის სამუშაო არედან და Start-მთავარი მენიუდან დასაწყისში უკვე განვიხილეთ. ახალი სამუშაო წიგნის შექმნა შესაძლებელია აგრეთვე შემდეგი გზით:

File/New ან კლავიშთა კომბინაციით [Ctrl]+[N].


გახსნილ ფანჯარაში ვიმოქმედებთ New Workbook-ზე და შემდეგ Create ღილაკზე (იხ. სურ. 62), ან თრჯერ ვიმოქმედებთ თაგვით New Workbook-ზე. წიგნს ავტომატურად ერქმევა სახელი Book1, რომელიც შეგვიძლია შეგვალოთ შენახვისას ან შემდგომში Rename-თაც. წიგნი ავტომატურად ინახება სტანდარტულ საქაღალდები „My Documents”.



სურ.62 ახალი წიგნის შექმნა

## 3.2 მზა ელექტრონული ფორმების (შაბლონების) გამოყენება

File ჩანართის New ბრძანებით გამოსულ ფანჯარაში Excel-ის ახალი სამუშაო შიგნის შექმნასთან ერთად (Blank workbook) შეგვიძლია ასევე ავირჩიოთ Excel-ის



სურ.63 NEW ბრძანების ფანჯარა

მზა ელექტრონული ფორმები, შაბლონები (იხ. სურ. 63), რომელთა ნაწილიც უკვე გამოტანილია და შეგვიძლია ავირჩიოთ რომელიმე მათგანი და გადმოვტვირთოთ, ან მოვძებნოთ New საძიებო ველში, ამ შემთხვევაში ვუთითებოთ საძიებო ველის ქვემოთ განთავსებულ სფეროდან რომელიმეს.


შაბლონები როგორც ვხედავთ სხვადასხვა სახისაა, ბიზნესის, ბიუჯეტის, კალენდრის გამოსატანად და ა. შ. თითოეულ არჩეულ პუნქტს შეესაბამება რამოდენიმე ალტერნატივა, ასე მაგ., თუ ვიმოქმედებოთ შაბლონების განყოფილებაში „Budgets”, გამოიტანება შემდეგი სახეები: Budget Summary report, Event budget, Business budgets, Basic personal budget, Business expense budget, Family budget, Eazy monthly budget და კიდევ მრავალი ..

რომელიმე კონკრეტული შაბლონის მოწოდების შემთხვევაში ვიმოქმედებთ მასზე და Create ბრძანებით მოვახდენთ გადმოწერას.

გადმოწერის შემდეგ შესაძლებელია შაბლონის რედაქტირება, არსებულის ნაცვლად ჩვენთვის საჭირო ინფორმაციის შეტანა. მაგალითად, შეგვიძლია გადავიყვანოთ ქართულ ენაზე, ან მოვახდინოთ გრაფიკული ობიექტის მაგ. სურათის შეცვლა, ფორმატირება და ა. შ.

### 3.3 Excel-ის ფაილის შენახვა

Excel-ის ფაილის –სამუშაო წიგნის შენახვას ვახდენთ ისევ ოფისის დილაკიდან Save ან Save As პუნქტზე მოქმედებით ან კლავიშთა კომბინაციით [Ctrl]+[S].



სურ. 65 Excel-ის ფაილის შენახვა ძველი გერსით. II გარიანტი

სურ.64 Excel-ის ფაილის შენახვა ძველი გერსით

ფაილის შენახვისას თუ არ გვსურს ბოლო გახსნის შემდეგ შეტანილი ცვლილებები შევიდეს ფაილში, მაშინ შენახვის ბრძანებაზე მოქმედებისას როცა შეგვეკითხება გვსურს თუ არა შევინახოთ შეტანილი ცვლილებები, ვუპასუხებო “No”-ს.

Excel-ის ძველი ვერსიების პროგრამები, მაგალითად 2003 წლის ოფისის Excel, ვერ ხსნის Excel 2007-ის ფაილს, ამიტომ თუ გვჭირდება მისი შემდგომი გახსნა ძველი ვერსიით, ფაილი უნდა შევინახოთ ფორმატით: Excel 97-2003 Workbook, რაც შეგვიძლია განვახორციელოთ ორგვარად: პირველი, ვიმოქმედოთ ჩანართიდან File და Save As-ზე მოქმედებით გამოსულ ფანჯარაში ავირჩიოთ Excel 97-2003 Workbook, იხ. სურ. 64 და მეორე, შეგვიძლია ავირჩიოთ პირდაპირ Excel Workbook, მაგრამ Save As-დიალოგურ ფანჯარაში Save As Type ველში ავრჩიოთ Excel 97-2003 Workbook (იხ. სურ. 65).

სურ. 64-ზე File Name - დიალოგურ ველში Book1-ის ნაცვლად შეგვიძლია დავაფიქსიროთ ჩვენთვის სასურველი სახელი. როგორც სურ. 65-დან ჩანს, Save As Type ველში შეგვიძლია ასევე ავირჩიოთ სხვა ფორმატიც. Excel-ის ფაილების სტანდარტული ფორმატს წარმოადგენს – .xlsx. მოცემული სურათის მიხედვით აღნიშნულ წიგნს ვინახავთ Desktop-ზე, თუ გვხურს მისი სხვაგან შენახვა, ვმოქმედებთ My Computer-ზე და ვირჩევთ შესაბამის მოწყობილობას ან დისკის სახელს.

## 3.4 არსებული წიგნის გახსნა


არსებული წიგნის გახსნისათვის უნდა ვიმოქმედოთ ოფისის ლილაკიდან Open ბრძანებაზე, ან კლავიშთა კომბინაციით: [CTRL]+[O].

არსებული წიგნის გახსნა შესაძლებელია აგრეთვე ოფისის ლილაკიდან Recent Document სიიდან, თუ იგი ბოლო ნამუშევარი ფაილების რიცხვში თავსდება (გაჩნია დროს, როდის გვქონდა მასთან მიმართვა).

### 3.4.1 რამოდენიმე წიგნთან ერთდროულად მუშაობა

როცა სამუშაო წიგნი დიდი რაოდენობით ინფორმაციას შეიცავს, სასურველია დამატებითი ფანჯრის შექმნა შემდეგი გზით: View/Window/New Window (სურ. 66)

რაც უფრო მეტია გახსნილი ფანჯრების რაოდენობა, მით უფრო მცირეა მათი წარმოდგენის მასშტაბი.




სურ. 66 დამატებითი ფანჯარის გახსნა

ამ დროს ერთ წიგნში შეტანილი ცვლილებები მეორესაც ეძულების.

**ერთდროულად რამოდენიმე სხვადასხვა წიგნის გახსნა შეგვიძლია აგრეთვე ოფისის დილაკიდან, Open ბრძანებით, მაგრამ გახსნილი წიგნებიდან ყოველთვის მხოლოდ ერთი იქნება აქტიური. Excel-ში გახსნილი ფაილები სამუშაო მაგიდაზე არ ჩანს, თუ არ დავალაგეთ ისინი სპეციალური სახით.**

### 3.4.2 გახსნილი წიგნების დალაგება გარკვეული წესით

#### როგორ დავალაგოთ გახსნილი წიგნები?



სურ. 67. გახსნილი წიგნების დალაგების წესები

**View/Window/Arrange All იხსნება ფანჯრების გარკვეული თანმიმდევრობით დალაგების სახეები (იხ. სურ 67);**

**Tiled - ჩანს გახსნილი ფანჯრის სათაურები და მხოლოდ წინა ფანჯარა ჩანს;**

**Horizontal - ფანჯრები დალაგებულია ჰორიზონტალურად;**

**Vertical - ვერტიკალურად.**

**Cascade - კასკადურად (ჩანს მხოლოდ აქტიური ფაილი, დანარჩენის - სათაურები),**

**ბრძანება - View Side by Side (ხედვა გვერდიგვერდ) გააქტიურების დროს მხოლოდ ერთი ფანჯარა იქნება აქტიური, ანუ მხოლოდ ერთი ფანჯარაში შეგვიძლია გადადგილება-ნავიგაცია.**

თუ გვხურს ორივე ფანჯარაში სინქრონიზებული ნავიგაცია, ანუ ერთი ფანჯრის შესაბამისად მეორეშიც მოხდეს გადაადგილება, უნდა ვიმოქმედოთ ამავე ფანჯარაში ღილაკზე Synchronous Scrolling - სინქრონიზებული დათვალიერების ღილაკზე. თუ ეს ღილაკი აქტიური არაა, მაშინ ერთი ფურცელი გადაადგილდება, მეორე კი უცვლელია.

რომელ წიგნთან მოხდეს აქტიური წიგნის შედარება?

ბევრი გახსნილი ფანჯრების შემთხვევაში გამოდის შესადარებელი ფანჯრების სახელების სია, რომელთაგან ავირჩევთ სასურველს.


### **3.4.3 ამოცანათა პანელზე ყველა გახსნილი ფანჯრის ნიშნაკების განთავსება როგორ განვათავსთ ამოცანათა პანელზე ყველა გახსნილი ფანჯრის ნიშნაკები?**

ყველა გახსნილი ფანჯრის ნიშნაკის ამოცანათა პანელზე განთავსება ხდება Excel-ის პარამეტრების ფანჯრიდან შემდეგი გზით:

Office Button/Excel Option/Display ჯგუფში Show all Windows in the Taskbar ჩამრთველის გააქტიურებით.

## 3.5 წიგნის დაცვა

წიგნის დაცვა შესაძლებელია როგორც Review-ჩანართიდან Protect Book-ზე



სურ. 68 წიგნის დაცვა

მოქმედებით, ასევე ოფისის დილაკიდან File/ Save as და გახსნილი ფანჯრის ქვემოთ მარცხენა კუთხეში Tools-ის გვერდით მოთავსებულ სამკუთხა ისრის ჩამოშლით და General option-ფანჯარაში პაროლების დადებით. ორივე ველში Password to open და Password to modify ველში შეგვიძლია როგორც განსხვავებული, ასევე ერთი და იგივე პაროლების მითითებაც (სურ. 68).

პაროლების მოხსნა შესაძლებელია ამ შემთხვევაში ისევ აღწერილი გზით და პაროლების წაშლით და უპაროლო შენახვით.

### 3.6 წიგნის დახურვა

წიგნის დახურვა შეგვიძლია ფანჯრის მართვის დილაკებიდან ჩვეულებრივ, “X”-ზე მოქმედებით, ან ოფისის დილაკიდან Close, ასევე დილაკების კომბინაციით [CTRL]+[F4];

### 3.7. პროგრამის დასრულება

ყველა გახსნილი წიგნის დახურვა შეგვიძლია ოფისის დილაკიდან Exit Excel-ზე მოქმედებით ან ოფისის დილაკზე ორჯერ მოქმედებით.


აგრეთვე დილაკების კომბინაციით [ALT]+[F4] – მოხდება Excel-ის პროგრამიდან გამოსვლა.

#### კითხები და სავარჯიშოები

1. როგორ შევქმნათ ახალი წიგნი?
2. როგორ შევინახოთ წიგნი Desktop-ზე?
3. შევქმნათ ახალი წიგნი, შევიტანოთ მონაცემები, გავხსნათ დამატებითი ფანჯარა, დავალაგოთ გახსნილი ფანჯრები ერთმანეთის გვერდით ვერტიკალურად, სინქრონიზებულ რეჟიმში მუშაობით.
4. გავხსნათ სხვა არსებული ფაილი და მოვახდინოთ ყველა გახსნილი ფაილების დალაგება პორიზონტალურად წესით
5. მოვახდინოთ წიგნის დაცვა.


### 3.8 დასაბეჭდი გვერდის პარამეტრების განსაზღვრა

გამოსაბეჭდი გვერდის წინასწარ დათვალიერებისთვის უნდა ვიმოქმედოთ Excel-ის ფანჯრის ლენტაზე მენიუს სტრიქონის მთავარ ღილაკზე File-ზე და



სტანდარტული ბრძანება Print-დან Print Preview-ზე (სურ. 69, 70).


იხსენება ფანჯარა, სადაც შეგვიძლია დავათვალიეროთ თუ რა სახით დაიბეჭდება ჩვენი მონაცემები, თუ გვაკმაყოფილებს ბეჭდვა წარმოდგენილი სურათის



სურ. 71 გვერდის პარამეტრების განსაზღვრა Page Layout ჩანართიდან Page Setup ბრძანებათა ჯგუფში

მიხედვით, მაშინ  
ვიმოქმედებთ პირდაპირ  
Print-დილაკზე (სურ. 69).  
ხოლო თუ გვსურს  
გამოსაბეჭდი გვერდისთვის  
განვსაზღვროთ სხვადასხვა  
პარამეტრები, უნდა  
ვიმოქმედოთ Page Setup

ღილაკზე (იხ. სურ. 70) ან მენიუდან Page Layout/ Page Setup-ზე (იხ. სურ. 71). ორივე შემთხვევაში გამოდის ფანჯარა (იხ. სურ. 72), სადაც შეგვიძლია განვსაზღვროთ გვერდის პარამეტრები, კერძოდ Margins (საზღვრები), სადაც განისაზღვრება დასაბეჭდი არის საზღვრები, მინდვრები - კიდეებიდან დაშორება, Orientation (ორიენტირება) - გვერდი შეიძლება დაიბეჭდოს ან პორტრეტული (Portrait),



სურ. 71. Page Setup ფანჯარა

ან სიგანის მიხედვით - ალბომური სტილით (Landscape- ამ დროს იძეჭდება სიგანეზე). Size (ზომა) - ამ შემთხვევაში გამოიტანება სხვადასხვა დასახელებების სია შესაბამისი დასაბუჭილი ქაღალდის ზომებით.



სურ. 72 Page Setup ფანჯარა


თუ გვსურს სტანდარტული თაბახის ფურცლის ზომით ბეჭდვა, მაშინ უნდა ავირჩოთ A4 ფორმატი.

თუ ფურცლის წარმოდგენის რეჟიმი არის Page Layout, მაშინ თავისთავად იგი A4 ფორმატისაა.

### 3.9 ბეჭდვა

Excelში გვერდის დასაბეჭდად საკმარისია ვიმოქმედოთ [CTRL]+P დილაკთა კომბინაციაზე, ან მთავარ ღილაკზე File –ზე და Print-ზე; ბეჭდვა შეგვიძლია ასევე ბეჭდვისწინა დათვალიერების ფანჯრიდანაც Print - ღილაკზე მოქმედებით (იხ. სურ. 69). ორივე შემთხვევაში გამოდის ბეჭდვის ფანჯარა ((იხ. სურ. 73)).

იმ შემთხვევაში, თუ ბეჭდვის ფანჯარაში არც ერთი პარამეტრი არაა



სურ. 73 ექსელის გვერდის ბეჭდვა

მონიშნული, მაშინ Ok-ზე მოქმედების შემდეგ პირდაპირ იბეჭდება მიმდინარე ფურცლის აქტიური რეჟიმი, ანუ ის არე, სადაც დაფიქსირებულია შეტანილი მონაცემები.


მიმდინარე გვერდზე მონიშნული არის დასაბეჭდად უნდა მოვნიშნოთ ის არე, რომლის დაბეჭდვაც გვინდა და ბეჭდვის ფანჯარაში გავააქტიუროთ ჩამრთველი Selection. მონიშნული არ ე შეგვიძლია წინასწარაც დავაფიქსიროთ თუ ვიმოქმედებო მენიუდან Page Layout/ Print Area/ Set Print area-ზე, მონიშნის გაუქმების შემთხვევაში კი უნდა ვიმოქმედოთ Clear Print area-ზე.

ბეჭდვის ფანჯარაში Number of copies -დიალოგურ ველში შეგვიძლია მივუთითოთ გამოსაბეჭდი ასლების რაოდენობა.

### კითხვები და საგარჯო შოუბი

1. როგორ მოვახდინოთ მონიშნული არის ბეჭდვა Excelის ფაილში?
2. როგორ მოვახდინოთ ფურცლის გვვერდებად დაყოფა ყველა გვერდის ბეჭდვა?
3. როგორ მოვახდინოთ გვერდების ამორჩევით ბეჭდვა?
4. როგორ დავბეჭდოთ გვერდები A4 ფორმატში?
5. ბეჭდვის პარამეტრების ფანჯარაში (სურ. 73) რომელი ჩამრთველი უნდა გავააქტიუროთ რომ მოხდეს აქტიური ფურცლის ბეჭდვა?
6. ბეჭდვის პარამეტრების ფანჯარაში სად მიეთითება იმ პრინტერის სახელი, რომელზედაც უნდა მოვახდინოთ ბეჭდვა?

### 3.10 წიგნის და ფურცლის თემები




სურ.74. თემა-წიგნის და ფურცლის გაფორმების სტილები

თემა ეს არის ფაილის ან მისი ცალკეული ფურცლის გაფორმების (შრიფტების, ეფექტების) სხვადასხვა სახელდებული გადაწყვეტების ერთიანი კომპლექსი. მათი სარგებლობისთვის უნდა ვიმოქმედოთ ლენტაზე Page Layout ჩანართის Themes ბრძანებათა ჯგუფში, საიდანაც გვაქს შესაძლებლობა ავირჩიოთ ჩვენთვის სასურველი გაფორმების სტილი (სურ. 74).

### 3.11 სამუშაო ფურცლის დაყოფა ორ დამოუკიდებელ ნაწილად

#### ფურცლის დაყოფა და დათვალიერება

View ჩანართში Windows ბრძანებათა ჯგუფში Split ბრძანებით ხდება გამყოფი



ზოლის გამოჩენა, რომლის სასურველ პოზიციაში დაყენებითაც ხდება ფურცლის დაყოფა ერთმანეთისგან დამოუკიდებელ ორ ნაწილად (სურ. 75). თითოეულ ნაწილს თავისი ნავიგაციის ღილაკი გააჩნია და შეგვიძლია მისი საშუალებით ფურცლის სხვადასხვა ნაწილის ერთდროულად დათვალიერება.

გამყოფ ხაზს ვაყენებოთ ჩვენთვის სასურველ ადგილზე თაგვის საშუალებით. ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთ ნაწილშია შესაძლებელი ნავიგაცია, მეორე ნაწილი უძრავადაა, ის ნაწილი ხდება აქტიური სადაც თაგვის მიმთითებლით ვიმოქმედებთ. Split გამყოფ ხაზის მოსაცილებლად ისევ მასზე უნდა ვიმოქმედოთ.

#### კითხები და სავარჯიშოები

1. რისთვის გჭირდება დამატებითი ფანჯრის გახსნა?
2. როგორ დავალაგოთ გახსნილი ფანჯრები ვერტიკალურად ერთმანეთის გვერდით?
3. რომელი ღილაკი უნდა ჩაერთოთ, რომ ერთ ფანჯარაში მოხდეს გადაადგილება და მეორეში არა (ანუ ერთმანეთისგან დამოუკიდებლები რომ იყვნენ)?
4. რომელი ფანჯარა განიცდის ცვლილებებს, დამატებითი თუ ძირითადი? თუ თრივე ერთად?

## IV თავი მუშაობა უჯრების


### 4.1 უჯრის სტილი

სამუშაო ფურცლის ყველაზე უმცირეს სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს უჯრა.

უჯრისთვის შეგვიძლია განვსაზღვროთ ფონი, შრიფტი, ჩარჩო. არსებობს აგრეთვე წინასწარ განსაზღვრული სტილები უჯრისთვის.

#### რას წარმოადგენს უჯრების სტილი?

უჯრების სტილი წარმოადგენს უჯრაში მონაცემთა წარმოდგენის ტიპის, შრიფტის ფერის, ზომის, განლაგების სახის, უჯრის ჩარჩოს ხაზის სისქის და ფერის



სურ.76 უჯრის სტილები

განსაზღვრას .Excel-ში უჯრების დასაფორმატებლად შეგვიძლია როგორც საკუთარი სტილის შექმნა, ასევე გამზადებული სტილების გამოყენებაც. სტილის შესარჩევად უნდა მოვნიშნოთ უჯრა/უჯრები, რომლებიც არჩეული სტილის შესაბამისად გვინდა გაფორმდეს და ვიმოქმედოთ Home ჩანართში Styles

ბრძანებათა ჯგუფში ღილაკზე Cell Style (იხ. სურ.76). გამოსულ ფანჯარაში ავირჩევთ ჩვენთვის საჭირო სტილს.

#### 4.1.1. უჯრისთვის ახალი სტილის განსაზღვრა

##### როგორ შევქმნათ უჯრისთვის ახალი სტილი?


უჯრების საკუთარი სტილის შესაქმნელად ვმოქმედებთ ამავე ფანჯარაში New Cell Style ღილაკზე. იხსენება ფანჯარა Style (იხ. სურ. 77), სადაც Style1 სახელის ნაცვლად



სურ. 77 უჯრის ახალი სტილის განსაზღვრა

ჩავწერთ რაიმე სახელს, მაგ., „ჩვენი სტილი“. ჩვენს მიერ სასურველი სტილის დაფიქსირების, მონაცემთა ტიპის, შრიფტის, ფონის და ა. შ. განსაზღვრისათვის ვმოქმედებთ ახალი სტილების განსაზღვრის ფანჯარაში Format ღილაკზე და ფორმატირების ფანჯრის ჩანართებიდან თანმიმდევრობით ვირჩევთ

ცალ-ცალკე პარამეტრებს, მაგალითად Number ჩანართში ვირჩევთ General (იხ. სურ. 77), ვმოქმედებთ OK-ზე, შემდეგ ისევ იმავე ფანჯრიდან ხელახლა




სურ.78 პარამეტრების განსაზღვრა ახალი სტილისთვის

ვმოქმედებთ Format-ზე და შემდეგ ვააქტურებთ Alignment-ჩანართს, რომელიც

განსაზღვრავს უჯრაში მონაცემთა განლაგების წესს, ამ შემთხვევაში ჩვენი მონაცემები (იხ. სურ.78) განთავსდებიან უჯრაში მარცხენა მხრიდან (Left) და სიმაღლის (Vertical) მიხედვით კი უჯრის შეაში (Center). ამავე გზით ვირჩევთ შრიფტს - Font ჩანართში უჯრაში მონაცემთა ჩაწერისთვის, უჯრის საზღვრის სტილს - სისქესა და ფერს, - Border ჩანართში, უჯრის ფონს - Fill ჩანართში, შესაძლებელია ორი ფერის შეთავსებაც ერთ უჯრაში ფონის მისაღებად, რაც Fill Effects ღილაკზე მოქმედებით. უჯრაში ორი ფერის გამოსაყენებლად Fill Effects ფანჯარაში ვააქტიურებთ ღილაკს Two colors, ხოლო ქვემოთ Shading styles განყოფილებაში ვირჩევთ ამ ფერთა განლაგების სტილს.

ყოველი ცალკეული ჩანართიდან პარამეტრის შერჩევის დროს ვმოქმედებთ OK-ზე, და შემდეგ Format-ზე. შეგვიძლია აგრეთვე ჩვენს მიერ შექმნილი სტილის წაშლა თუ არ მოგვეწონა იგი, რაც მიიღწევა თაგვის მიმთითებლის მიზანით ამ სტილის სახელზე და კონტექსტური მენიუდან Delete ბრძანებით.

## 4.2 უჯრის კონტექსტური მენიუ



სურ. 79. უჯრის კონტექსტური მენიუ

უჯრას გააჩნია თავისი კონტექსტური მენიუ, ანუ ბრძანებათა სია, რომელიც თაგვის მარჯვენა ღილაკზე მოქმედებით გამოდის (სურ. 79).

უჯრის კონტექსტური მენიუ გვეხმარება სწრაფად ავირჩიოთ შესასრულებელი ბრძანება.

ფანჯრის პირველ ნაწილში მოცემულია ბუფერთან მუშაობის ბრძანებები - გადატანა-კოპირება, მეორე ნაწილში მოთავსებულია ბრძანებები: ჩამატება (უჯრის, სტრიქონის, სვეტის) წაშლა (უჯრის, სტრიქონის, სვეტის),

Clear Content ბრძანებით ხდება უჯრის შემცველობის წაშლა, მაგრამ არა ფორმატის, ანუ თუ ამ უჯრაში ჩაწერილი იყო მაგალითად თარიღის ტიპის

მონაცემი, Clear Content ბრძანებით მონაცემი წაიშლება, მაგრამ იმ უჯრაში ხელახლა ჩაწერილი სხვა ნებისმიერი რიცხვიც თარიღის ტიპის იქნება.

Filter ბრძანებით შეგვიძლია ფილტრაცია, Sort ბრძანებით – დახარისხება,

Insert Comment-ით ხდება კომენტარის (ახსნა-განმარტების) ჩასმა, კომენტარების ჩასმა შესაძლებელია აგრეთვე ჩანართიდან Review/New Comment. ამ შემთხვევაში შესაძლებლობა გვაქვს დავმალოთ ან გამოვაჩინოთ კომენტარები (Show/Hide Comments), სულ ჩანდნენ (Show Comments) და ა. შ.

Format Cells ბრძანებით იხსნება ფორმატირების ფანჯარა, რომელიც უკვე აღწერილი გვაქვს;

Pick From Drop-Down List ბრძანებით ხდება ერთხელ უკვე შეტანილი სის გამოტანა რომელიმეს შესარჩევად;

Name a Range ბრძანებით ხდება მოცემული უჯრისთვის ან მონიშნული უჯრებისთვის სახელის მინიჭება, ასე რომ მისამართის ან დიაპაზონის ნაცვლად შეგვიძლია ვიმოქმედოთ მის სახელზე. ეს შესაძლებელია აგრეთვე Formulas ჩანართიდანაც;

Hyperlink ბრძანებით ხდება მოცემულ ფაილში სხვა ობიექტის ლინკის ჩასმა.

#### 4.3 უჯრაში კომენტარის ჩასმა

კომენტარი ანუ შენიშვნა ხშირად საჭიროა ამა თუ იმ ახსნა-განმარტების გასაკეთებლად (მაგალითად, იმისათვის რომ მივხვდეთ, როგორაა ეს სიდიდე მიღებული, ან რას ნიშნავს და ა. შ.). ასე, რომ კომენტარი გათვლებში არ მონაწილეობს.

უჯრაზე კომენტარის ყველაზე მარტივი ხერხია მოცემული უჯრის კონტექსტური მენიუდან Insert Comment ბრძანება.

შემდეგი გზა კი ეს არის ლენტადან: რომელიმე უჯრაზე თაგვის მიმთითებელს დავაყენებთ იმ უჯრაზე, სადაც გვინდა კომენტარის გაკეთება და ლენტადან Review ჩანართიდან ვიმოქმედებთ Comments ბრძანებათა ჯგუფში New Comment -ზე (იხ. სურ.80).

კომენტარები მუდმივად რომ ჩანდეს, უნდა გავაპიროვოთ დილაკი - Show all Comments, თუ დამალული გვინდა იყოს, მაშინ ამ დილაკზე მეორეჯერ ვიმოქმედებთ, ისე რომ გააქტიურებული არ იყოს. კომენტარის დამალვის შემთხვევაშიც საქმარისია კომენტარიან უჯრაზე ვიმოქმედოთ, რომ კომენტარიც მყისიერად გამოჩნდება.

**როგორ მივხვდეთ რომელ უჯრებზეა კომენტარი დაყენებული, იმ შემთხვევაში თუ კომენტარები დამალულია?**

იმ უჯრების კუთხეში, სადაც კომენტარია გაკეთებული, პატარა მარკერი ზის.

C	D	E	F	G	H
მუშავი ღები	ანაზღაუ რება (დღიურ ი)	გამომუ შავება	პრემია	ხელზე გასაცემი თანხა	
25	20	500	150		
23	20	460	138		
15	25	375	112.5	487.5	
22	20	440	132	572	
12	20	240	72	312	

სურ. 80 კომენტარების შექმნა

ადნიშნული სურათიდან  
როგორც ჩანს იგი  
გააქტიურებულია,  
ამიტომაც ყველა  
კომენტარი ჩანს.  
კომენტარების  
ქვეყუნქციები, როგორც  
სურათიდანაც ჩანს, არის  
შემდგები: ახალი  
კომენტარი New Comment,  
წაშლა Delete, წინა  
კომენტარი Previous,  
მომდევნო კომენტარი -  
Next, დამალვა/გამოჩენა

კომენტარების - Show/Hide Comments, ყველა კომენტარის გამოჩენა - Show all Comments.

კომენტარის ფორმატირება შეგვიძლია მოვახდინოთ კომენტარის კონტექსტური მენიუდან (შრიფტის სტილის, ზომის, ფერის არჩევა), შესაძლებელია აგრეთვე ტექსტის გერტიკალურად ჩაწერაც ლენტადან შესაბამისი დილაკის საშუალებით და სხვ.

### კომენტარები და საგარეულოები


1. რას წარმოადგენს კომენტარი?
2. როგორ ჩავხვათ უჯრაში კომენტარი?

3. როგორ დავმალოთ კომუნიკაცია?

4. როგორ გამოვაჩინოთ ყველა კომუნიკაცია?

#### 4.4 მონაცემთა განთავსება უჯრებში

უჯრაში განთავსებული ინფორმაცია შეიძლება სხვადასხვა ფორმატის იყოს, რიცხვითი, ტექსტური, თარიღის და ა. შ. მონაცემთა შეტანის დროს თუ დავუკვირდებით, რიცხვითი მნიშვნელობა თავსდება უჯრის მარჯვენა მხარეს, ხოლო ტექსტური - მარცხენა მხარეს. უჯრები შეიძლება წაიშალოს, დაემატოს, ან გადაადგილებული იქნას. რიცხვი, რომელიც ტექსტური ფორმატით წარმოიდგინება, გათვლებში



სურ. 81 Alignment ბრძანებათა ჯგუფი

ადარ მონაწილეობს. შეტანილი მონაცემები შეგვიძლია ჩვენი სურვილის მიხედვით განვათავსოთ. ეს კი შესაძლებელია შემდეგი გზებით:

1. Home-ის ჩანართიდან Alignment ეხება მონაცემთა განლაგების შერჩევას უჯრებში (იხ. სურ. 81). ბრძანებათა ამ განყოფილებაში პირველი ზედა სამი დილაკი გვიჩვენებს მონაცემთა განლაგების სახეებს უჯრის სიმაღლის მიხედვით-ვერტიკალურად, ხოლო ქვედა სამი დილაკი ჰორიზონტალურად. ე. ი. რომ გვინდოდეს უჯრის ცენტრში მონაცემთა განთავსება როგორც ვერტიკალურად ისე ჰორიზონტალურად, უნდა მოვნიშნოთ მონაცემები და ვიმოქმედოთ ზედა და ქვედა მეორე დილაკებზე.

ზედა პირველი სამი დილაკი ეხება მონაცემთა განლაგების სახეებს უჯრის სიმაღლის მიხედვით -Vertical (უჯრის ზემოთ, უჯრის შუაში და უჯრის ქვემოთ).

ქვედა სამი დილაკით ხდება მონაცემთა განლაგება უჯრის სიგანის მიხედვით -Horizontal (მარცხნიდან, ცენტრში, მარჯვნივ).

2. უჯრის ან მონიშნული უჯრების კონტექსტური მენიუდან უჯრის ფორმატირების ფანჯრის Format Cells გამოტანით და Alignment ჩანართის გააქტიურებით.

**როგორ მოვიქცეთ თუ შესატანი მონაცემი ვერ ეტევა უჯრაში და სხვის ზოლში გადადის?**

ნშირად არის შემთხვევა, რომ შესატანი მონაცემი ვერ ეტევა ერთი უჯრის

	A	B	C	D
1	კლიენტის გვარი, სახელი			
2				

სურ. 82 მონაცემების შეტანა

ფარგლებში და გადადის სხვა უჯრაში, სინამდვილეში იგი მხოლოდ იმ უჯრას ეკუთვნის, საიდანაც დავიწყეთ მონაცემის შეტანა, მაგრამ გარკვეულ დისკომფორტს

მაინც ქმნის მონაცემთა შეტანისას. მაგალითად, მაგ, სურ. 82-ზე შეტანილი მონაცემი იწყება B1-დან და გადადის C1-ში და D1-შიც. სინამდვილეში იგი მხოლოდ B1-ს ეკუთვნის და C1 და D1 უჯრები ცარიელია. C1-ში და D1-ში რომ ყოფილიყო რაიმე მონაცემი შეტანილი, B1-ში შეტანილი მონაცემი სრულად აღარ გამოჩნდებოდა. ვიზუალურად რომ ჩანდეს უჯრაში შეტანილი “გრძელი” მონაცემი, სასურველია, ერთი უჯრის საზღვრებში რამოდენიმე სტრიქონად ჩავტოროთ იგი, ამისათვის კი მიმთოვებელს დავაყენებოთ B1-ზე და ვიმოქმედებთ **Home** ჩანართში Alignment-ში მოთავსებულ **Wrap Text** დილაპზე (იხ. სურ. 81). შედეგად მივიღებთ უკვე მხოლოდ ერთ - B1 უჯრაში ჩაწერილ ტექსტს.

**როგორ ხდება უჯრების გაერთიანება ტესტის ცენტრში ჩაწერით?**

რამოდენიმე უჯრის გასაერთიანებლად და ტექსტის ცენტრში ჩასაწერად ვმოქმედებთ Merge & Center დილაპზე (იხ. სურ. 81).

**როგორ გავაერთიანოთ უჯრები სტრიქონობრივად?**

	A	B	C	D
1				
2				
3				
4				

სურ.83 Merge Across დილაპის საშუალებით  
მიღებული სტრიქონები

ნშირად საჭიროა ტექსტის ჩასაწერად ასე ვთქვათ, ცალხაზიანი რვეულის მსგავსად მხოლოდ სტრიქონების მიღება, ამისათვის მოვნიშნავთ საჭირო სტრიქონების რაოდენობას და ვიმოქმედებთ Merge Across დილაპზე (იხ. სურ. 81). მაგ., A1:D4 დიაპაზონის

მონიშვნით და Merge Across დილაპზე მოქმედებით მივიღებთ 4 სტრიქონს (იხ. სურ. 83).

**როგორ გავაერთიანოთ უჯრები ტექსტის განლაგების მხედველობაში მიღების გარეშე?** რამოდენიმე მონიშნული უჯრის გასაერთიანებლად Merge & Center დილაკიდან ვმოქმედებოთ ბრძანებაზე – Merge Cells (იხ. სურ. 81).

### **გაერთიანებული უჯრები როგორ დაგყოთ ისევ თავდაპირველი ფორმით?**

გაერთიანებული უჯრების კვლავ პირვანდელი სახით წარმოსადგენად ანუ ისევ უჯრედებად დასაყოფად ვმოქმედებოთ Merge & Center დილაკიდან ბრძანებით – Unmerge Cells (იხ. სურ. 81).

ბრძანებათა ამავე ჯგუფში დილაკზე  მოქმედებით შეგვიძლია უჯრაში მონაცემთა განთავსება სხვადასხვა დახრილობით. მის მარჯვნივ მდებარე ისარზე მოქმედებით ჩამოიშლება სია (იხ. სურ. 84) ტექსტის ვერტიკალურად განლაგებისათვის.


მონაცემების შეცდომით შეტანის შემთხვევაში ან საერთოდ მონაცემთა



სურ 84. ტექსტის განლაგების სახეები დახრილად

რედაქტირებისათვის აქტიური უნდა გავხადოთ საჭირო უჯრა და ვიმოქმედოთ მასში ორჯერ თაგუნას მარცხენა დილაკზე ან F2 კლავიშზე, რათა გამოჩნდეს კურსორი საჭირო მონაცემების შესაცვლელად ან ჩასაწერად. მონაცემის წაშლისათვის კი გავააქტიურებოთ წასაშლელ უჯრას ან დიაპაზონს და ვმოქმედებოთ Delete კლავიშზე. ტექსტის ქართულად ჩასაწერად რა თქმა უნდა ვირჩევთ შესაბამის შრიფტს.

მონაცემთა განლაგების სახეები შესაძლოა აგრეთვე **Format Cells** ფორმატირების



სურ.85 უჯრების ფორმატირების ფანჯარა Alignment ჩანართით

ფანჯარაში Alignment ბრძანებათა ჯგუფში (იხ. სურ. 85). მისი გამოძახება შესაძლებელია **[CTRL]+[Shift]+[F]** ღილაკზე მოქმედებითაც და უჯრის კონტექსტური მენიუდანაც.

Alignment ჩანართში Horizontal ველში მიეთითება მონაცემთა განლაგება უჯრის სიგანის მიხედვით, ხოლო Vertical -ში უჯრის სიმაღლის მიხედვით.

მაგალითად, თუ გვინდა რომ უჯრის შუაში იყოს მოთავსებული ტექსტი, მაშინ Horizontal-შიც და Vertical-შიც ავირჩევთ “Center”-ს (იხ სურ. 85). ფანჯრის მეორე ნაწილში Text control-ში, **Wrap text** როგორც უპვე ვიცით, ნიშნავს მონაცემთა განლაგებას ერთ უჯრაში რამოდენიმე სტრიქონად (თუ მონაცემის სიგრძე ადემატება უჯრის დადგენილ სიგანეს), **Shrink To Fit** შემთხვევაში ისე შემცირდება შრიფტი, რომ მოცემულ უჯრაში ჩაეტევა მონაცემები სხვა სტრიქონზე გადაუსვლელად, ხოლო მესამე **Merge Cells** - გააერთიანებს მონიშნულ უჯრებს, მაგრამ მონაცემების ჩაწერა არ ხდება ცენტრში თუ სპეციალურად არ გავაქტიურეთ შესაბამისი ღილაკები.

სურ. 85-ზე მარჯვნივ Orientation-ში ისრის გადაწევით შეგვიძლია შევუცვალოთ მონაცემს განლაგების მიმართულება, ან Degrees-ში ჩავწეროთ გრადუსის სიდიდე, რომლითაც უნდა მოხდეს მონაცემის მიბრუნება. როგორც ვხედავთ, Format Cells დიალოგურ ფანჯარას აქვს სხვა ჩანართებიც, კერძოდ, Number, Font, Border, Fill, Protection.


**რეკომენდაცია:** კლავიატურაზე აკრეფილი მონაცემები იწერება აქტიურ უჯრაში. Excel-ში მონაცემთა შეტანის დროს ხშირად აწყდებიან პრობლემებს, როცა ერთ რომელიმე შრიფტზე უნდათ მუშაობა, მაგრამ მიუხედავად ამ შრიფტის არჩევისას, უჯრიდან უჯრაში გადასვლისას შრიფტი მაინც იცვლება, ეს რომ ასე არ მოხდეს, ამისათვის მოვნიშნოთ თავიდანვე სამუშაო არქ, რომელიც გვჭირდება სამუშაოდ და ამ მონიშნული არისთვის ავირჩიოთ ის შრიფტი (Home/Font ჩანართში), რომლითაც ვაპირებთ მუშაობას, მაგ, AcadNusx. ამავე დროს მონიშნული არის შემთხვევაში ვიმოქმედოთ ასევე Alignment ბრძანებათა ჯგუფიდან Wrap Text-ზე, რომ ყველა მონაცემი თავის უჯრაში განთავსდეს ვიზუალურადაც.

#### **კითხვები და საგარჯო შრები:**

1. მოახდინეთ A1 უჯრაში ტექსტის შეტანა “მცირე ბიზნესის განვითარება”, იმოქმედეთ Wrap text-ზე, ისე რომ ტექსტი მოცემული ზოლის ფარგლებში განთავსდეს.
2. რას მივიღებთ A2:D6 მონიშნულ დიაპაზონზე Alignment ბრძანებათა ჯგუფში Merge &Center/ Merge Across ბრძანებზე მოქმედებით?
3. გააერთიანეთ A8:D12 დიაპაზონი, შემდეგ კი ისევ დაყავით.

## 4.5 უჯრაში ტექსტის ფორმატირება

უჯრაში ტექსტური მონაცემის შეტანისას ტექსტის ფორმატირება (შრიფტის, მისი სტილის, ზომის, ფერის არჩევა...) შესაძლებელია სხვადასხვა გზით:



სურ. 86 მინი პანელი


ყველაზე სწრაფი ხერხი:

- მინი პანელიდან (სურ. 86), რომელიც უჯრაზე თაგვის მარჯვენა დილაკით მოქმედებისას კონტექსტურ მენიუსთან ერთად გამოდის,

საიდანაც შეგვიძლია მოვახდინოთ სწრაფად ტექსტის ფორმატირება (იხ. სურ. 86), რადგანაც იგი მსგავსია Word-ის, ამიტომ აქ აღარ აღვწერთ..

- Home ჩანართიდან Font ბრძანებათა ჯგუფით (იხ. სურ. 87),

-მა დილაკებით შესაძლებელია შრიფტის ზომის გაზრდა და შემცირება



სურ. 87. Format Cells ფანჯარა Font აქტიური ჩანართით

ერთი ბიჯით. დილაკით - ხდება შრიფტის ფერის შერჩევა.

- ტექსტის ფორმატირება შესაძლებელია აგრეთვე დიალოგური ფანჯრიდან Format Cells (სურ. 87), რომელიც Font -ის გვერდით პატარა ისარზე მოქმედებით იხსნება, სადაც Font -განყოფილებაში აირჩევა შრიფტი, Font style- სტილი, Size -შრიფტის ზომა, Underline- ველში აირჩევა ქვემოთ ხაზგასმის შესაძლო ვარიანტები, მაგ. Single- ერთი ხაზი, Double-ორი ხაზით,

Color-აირჩევა შრიფტის ფერი, ხოლო effects განყოფილებაში: Strikethrough-ხაზის გადასმა, Superscript-ზედა ინდექსი, Subscript-ქვედა ინდექსი.

უჯრების ფორმატირების ფანჯარა იხსნება აგრეთვე დილაკთა კომბინაციით: [CTRL]+[Shift]+[F]


კლავიატურიდან ტექსტის მუქად დაწერისთვის შეგვიძლია ვისარგებლოთ დილაკთა კომბინაციით: [CTRL]+[B], ტექსტის დახრილად დაწერისთვის - [CTRL]+[I], ტექსტის ქვემოთ ხაზგასმისთვის - [CTRL]+[U]

### **როგორ გავაფორმოთ ტექსტი მხატვრულად?**

Insert /Text/Symbol/WordArt გზით.

### **როგორ ჩავსვათ უჯრაში კლავიატურაზე არარსებული სიმბოლო?**

გავააქტიუროთ უჯრა, სადაც უნდა ჩაისვას სიმბოლო და ვმოქმედებოთ შემდეგი




გზით:	Insert /Text/Symbol
(ლენტაზე)	Insert
ჩანართიდან	Text
ბრძანებათა	
ჯგუფში	Symbol
დილაკზე	
მოქმედებით).	
იხსნება	ფანჯარა

(სურ. 88), სადაც Font დიალოგურ ველში სამკუთხა ისრით გამოგვაქს ცალკეული შიფრი და მოვძებნით იმ სიმბოლოს, რომელიც ჩვენ გვჭირდება, და მოძებნის შემთხვევაში ვიმოქმედებოთ Insert დილაკზე.

## 4.6 უჯრის გრაფიკული ფორმატირება

### 4.6.1 უჯრის ჩარჩოს ფორმირება

1. უჯრის ან მინიშნული უჯრებისთვის ჩარჩოს ფორმირება შესაძლებელია კონტექსტური მენიუდან Format Cells ფანჯრიდან Border ჩანართის გააქტიურებით (იხ. სურ. 90);
  2. Font ჩანართში შრიფტის სტილის გვერდით (B,I,U) მოთავსებულია ჩარჩოს ფორმირების დილაპი - , სადაც ჩამოსაშლელ სამკუთხა ისარზე მოქმედებით გამოდის ფანჯარა (იხ. სურ. 89). ამ სურათზე ჩამოთვლილია ჩარჩოს ფორმირების სხვადასხვა ვარიანტები, მაგ., მონიშნულ დიაპაზონს გარედან რომ მთლიანად შემოვავლოთ ჩარჩო, საკმარისია ვიმოქმედოთ Outside Border -ზე (სურ 89). ასევე შესაძლებელია შემოსაზღვრა გაუკეთოთ რომელიმე მხრიდან. Left Border – მონიშნულ დიაპაზონს მაცხნიდან გაუკეთებს შემოსაზღვრას (ჩამოავლებს ხაზს მარცხნიდან მონიშნული ფრაგმენტის გასწვრივ და სხვ.)
- ჩარჩოს ფორმირების დილაპის საშუალებით შეგვიძლია მონაცემების ცხრილის სახით ფორმირებაც, ამისათვის კი საკმარისია მოვნიშნოთ იმ მონაცემთა დიაპაზონი, რომლის ცხრილში ჩასმაც გვხერს და ვიმოქმედოთ



სურ. 89 მონიშნული არისთვის ჩარჩოს ფორმირება


 - All Border -ზე (სურ. 89), ცხრილის მოსაცილებლად კი მოვნიშნავთ ისევ ცხრილს, ვმოქმედებთ ისევ -ზე და ჩამოშლილი სიიდან ვირჩევთ No Border-ს.

ჩარჩოს შემოხატვა გარკვეული ფერით, სისქით, ტიპით, შეგვიძლია ჩვენ თვითონ, თუ სურ. 89- დან ავირჩევთ შესაბამის პუნქტს Draw Border -დან (ჩარჩოს ხატვა).

More Borders ბრძანებაზე მოქმედებით (სურ.89) გამოიტანება უჯრების ფორმატირების ფანჯარა Format Cells (იხ. სურ.90). საზის ტიპისა (Style) და ფერის (Color) არჩევის შემდეგ უნდა დავიმახსოვროთ, რომ ჩარჩოს გარედან შემოსავლებად უნდა მივუთითოთ (Outline), მხოლოდ შიგნით საზების ფორმირებისთვის ვირჩევთ - (Inside), თუ მთელი ცხრილისთვის ვაკეთებთ ამ ჩარჩოს, მაშინ ჯერ უნდა ვიმოქმედოთ Outline-ზე, შემდეგ კი Inside-ზე.

ჩარჩოს მოსაცილებლად, მოვნიშნავთ ჩარჩოიან არეს და ვუთითებთ None-ს.

სურ. 89-ზედაც ნათლად ჩანს მონიშნულ არეზე ჩარჩოს შემოვლების სხვადასხვა ვარიანტები, მაგალითად, შესაძლოა იგი მხოლოდ ერთი მხრიდან (ზემოდან, ქვემოდან, მარცხნიდან და ა.შ) შემოისაზღვრებოდეს, ამ შემთხვევაში მოვნიშნავთ უჯრას ან დიაპაზონს და ვმოქმედებთ Format Cells ფანჯარაში Border ჩანართზე



სურ. 90 უჯრების ფორმატირების ფანჯარა Border ჩანართით

(სურ. 90) შესაბამისი დილაკების საშუალებით.

სურ. 90-ზე ისრებით ნაჩვენებია მონიშნული მონაცემებისთვის ჩარჩოს ფორმირების გზა ცხრილის სახით.

**მაგალითი:** შემოვავლოთ მუქი წითელი ორმაგი ხაზი მონიშნულ არეს, ხოლო შიგნით იყოს მწვანე ფერის წყვეტილი ხაზები:

1. ავირჩოთ Style-ზი ორმაგი ხაზი.
2. ავირჩოთ ფერი მუქი წითელი Color დიალოგურ გელში,

3. ვიძოქმედოთ ფანჯრის მარჯვენა მხარეს *Outline*- ზე,


4. ავირჩიოთ წევეტილი ხაზის სტილი

5. ავირჩიოთ მწვანე ფერი

6. ვიძოქმედოთ *Inside*- ზე.

7. მოვაცილოთ ჩარჩო – ვიძოქმედოთ *None*- ზე.


## 4.6.2 უჯრის ფონი



სურ. 91 უჯრების ფორმატირების განჯარა **Fill** ჩანართით

მონიშნული დიაპაზონისთვის ან აქტიური უჯრისთვის სასურველი ფონის მიცემა შეიძლება **Home**-ჩანართიდან, თუ ვიძოქმედებთ **Font** ჩანართში ღილაკით .

უჯრის ან დიაპაზონის ფონი შესაბლებელია აგრეთვე უჯრების ფორმატირების **[ctrl]+[Shift]+[F]** ღილაკთა კომბინაციით, ან უჯრის კონტექსტური მენიუდან - **Format Cell** ფანჯრის **Fill** ჩანართით<sup>5</sup>.



სურ. 92 უჯრის ეფექტის განსაზღვრა

Format Cell- ფანჯრის შემდეგი ჩანართით - **Fill** (იხ. სურ. 91) მონიშნულ არეს შეგვიძლია შევურჩიოთ ფონი, აქ გვაქვს ძალიან მდიდარი შესაძლებლობანი სხვადასხვა ეფექტური ფონის შესაქმნელად. მასზე მოქმედებით გამოსულ ფანჯარაში შეგვიძლია ფერების პალიტრიდან ავირჩიოთ რომელიმე მათგანი, ხოლო თუ

<sup>5</sup> როგორც ვიციოთ ფორმატირების ფანჯრის გამოტანა **Font**, **Alignment** და **Number** დიალოგური ფანჯრებიდანაც ხდება.


პირიქით გვინდა მონიშნულ არეზე ფონის მოცილება, მაშინ მოვნიშნავთ მას და მივუთითებთ **No Color** (იხ. სურ. 91).

იმ შემთხვევაში, თუ ვიმოქმედებთ დილაპზე **Fill Effect-ზე**(იხ. სურ.91), მაშინ შესაძლებლობა გვაქვს, მონიშნულ არეს დავუნიშნოთ ჩვენს მიერ შერჩეული ორი ფერი **Color 1-ით** და **Color-2-ით**, ხოლო ქვემოთ **Shading Type-ით** შეგვიძლია ეს ორი ფერი განვალაგოთ სხვადასხვანაირად: პორიზონტალურად, ვერტიკალურად, დიაგონალურად, კუთხეებიდან და ა. შ. (სურ. 92)

## V თავი მუშაობა სტრიქონებთან და სგეტებთან

### 5.1 უჯრის, სტრიქონის, სგეტის ზომის ცვლილება

#### 5.1.1. უჯრის ზომის რეგულირება




სურ. 93 უჯრის საზღვრების ცვლილება

უჯრის ხომის ცვლილება სწორად შესაძლებელია სულ მარტივად, თაგვის მარცხენა დილაკით სვეტის სათაურის მარჯვენა კიდის გადაწევ-გადმოწევით ან სტრიქონის ქვედა საზღვრის ცვლილებით (სურ. 93).

უჯრის ხომების განსაზღვრა შეგვიძლია აგრეთვე Home ჩანართის Cells ბრძანებათა

ჯგუფიდან Format-ის პირველ ნაწილში (Cell Size) მისი სვეტის სიგანისა (Column Width) და სტრიქონის სიმაღლის (Row Height) დაფიქსირებით (იხ. სურ. 19, 94).



სურ.94 სტრიქონებისა და სვეტების ფორმატირების ფანჯარა

Excelში მუშაობის დაწყებისას სვეტის სიგანედ ავტომატურად დაფიქსირებულია 8.43, უჯრის თავდაპირველი სტანდარტული სიმაღლე კი შეადგენს 12,75-ს, ხოლო მაქსიმალური - 409.5<sup>6</sup>. შემდგომში შეიძლება მათი შეცვლა, მაქსიმალური სიგანე შესაძლებელია აღწევდეს 255-ს.

<sup>6</sup> უჯრის სიმაღლე და სიგანე მოცემულია სპეციალური ერთეულით – პუნქტით, რომელიც ტოლია 0.5 მმ-ის.

## **5.1.2 უჯრის სტანდარტული სიგანის დადგენა**

### **როგორ გავიგოთ უჯრების სტანდარტული სიგანე?**

უჯრის ზომები ავტომატურად (გულისხმობის პრინციპით) განისაზღვრება საერთოდ ბრძანებით: Default Width.

ე.ო. თუ გვსურს დავადგინოთ გულისხმობის პრინციპით სვეტის რა ზომაა დაფიქსირებული, უნდა ვიმოქმედოთ ბრძანებაზე: Default Width. თუ მონიშნული სვეტებისთვის დაფიქსირებული სტანდარტული ზომები არ გვაკმაყოფილებს, შეგვიძლია იქვე მივუთითოთ საჭირო პარამეტრები არსებულის მაგივრად. მონიშნულ სვეტებს ყველას ერთნაირი სიგანე დაუფიქსირდებათ.

## **5.1.3 სვეტების სიგანის და სტრიქონების სიმაღლის რეგულირება**

### **როგორ დავაფიქსიროთ მონიშნული სვეტებისთვის სასურველი სიგანე?**

Home/Cells/Format/Column Width - სვეტის სიგანის დაფიქსირება;

Home/Cells/Format/Row Height - სვეტის სიმაღლის დაფიქსირება;

სიმაღლეთა ავტომატური განსაზღვრა მათში ჩაწერილი სიდიდეების მიხედვით ფიქსირდება ბრძანებით: - Autofit Row Height, ასევე სვეტების სიგანეთა ავტომატურად განსაზღვრა მასში ჩანაწერების მიხედვით ხდება ბრძანებით: Autofit Column Width.


### **როგორ დავაფიქსიროთ მონიშნული სტრიქონებისთვის სასურველი სიმაღლე?**

რამოდენიმე სტრიქონს ერთნაირ სიმაღლეს დავუფიქსირებთ იმ შემთხვევაში, თუ მოვნიშნავთ და ვიმოქმედებთ ბრძანებაზე: Row Height, გამოსულ ველში დავაფიქსირებთ სასურველ სიდიდეს. ასევე შეგვიძლია განვსაზღვროთ მონიშნული სვეტების სიგანის განსაზღვრაც Column Width ბრძანებაზე მოქმედებით.

## **5.1.4 სტრიქონების/სვეტების დამაღლვა/გამოჩენა**

### **როგორ დავმაღლოთ სტრიქონები, სვეტები?**

Visibility ნაწილში Hide & Unhide (სურ.19) -ზე მოქმედებით გამოდის სია იბიექტების, რომელთა დამალვაც შესაძლებელია მოხდეს, კერძოდ:



დამალვა სტრიქონების - Hide Rows, სვეტების - Hide Columns და ფურცლის დამალვა - Hide Sheet (ფურცლის დამალვა ადრე განვიხილეთ), -გამოჩენა (Unhide Rows, Unhide Columns, Unhide Sheet).

**როგორ დაგმალოთ არამეზობლად მდებარე სვეტები/სტრიქონები?**

მოვნიშნავთ ჯერ ერთ სვეტს, ხოლო დანარჩენ სვეტებს მოვნიშნავთ კლავიატურის CTRL დილაგთან ერთად და ვიმოქმედებთ ფორმატირების ფანჯარაში (სურ. 95) დამალვის (Hide) შესაბამის ბრძანებაზე.


**როგორ გამოვაჩინოთ დამალული სვეტები/სტრიქონები?**

მოვნიშნოთ იმ მონაცემთა არე, რომელთაოვისაც მოხდა სვეტები/სტრიქონების დამალვა და ვიმოქმედოთ ფორმატირების ფანჯარაში (სურ. 95) გამოჩენის (Unhide) შესაბამის ბრძანებაზე.

### 5.1.5 უჯრის/ სტრიქონის/სვეტის/ფურცლის ჩამატება

**როგორ ჩავამატოთ უჯრა?**

Home ჩანართში Cells ბრძანებათა ჯგუფიდან ვიმოქმედოთ Insert დილაპზე (იხ. სურ.96) - ფანჯრის პირველი დილაპი).



სურ. 96. უჯრის, სტრიქონის, სვეტის ჩამატება

როგორც სურ. 96-დან ჩანს, უჯრის ჩამატება ხდება ბრძანებით - Insert Cells. უჯრის ჩამატება მოხდება აქტიური უჯრის წინ.

**როგორ ჩავამატოთ სტრიქონი?**


- ბრძანებათა თანმიმდევრობით:

Insert Sheet Rows (სურ. 96). სტრიქონის ჩამატება მოხდება მონიშნული სტრიქონის წინ.


- სტრიქონის ჩამატება შეგვიძლია აგრეთვე შემდეგნაირადაც: მოვნიშნოთ ეს სტრიქონი, მაგალითად, თუ გვსურს ჩანაწერებს შორის მე-7 სტრიქონის წინ ჩამატება (იხ. სურ. 97), ვიმოქმედოთ მეშვიდე სტრიქონის დასაწყისში, აღნიშნული სტრიქონი მოინიშნება, მონიშნის შემდეგ კი სტრიქონის ჩასამატებლად ვიმოქმედებოთ კონტექსტური მენიუდან ბრძანებაზე – Insert, როგორც სურ.97-დან ჩანს, მეშვიდე სტრიქონის წინ მოხდება ცარიელი სტრიქონის ჩამატება.

### **როგორ ჩავამატოთ სვეტი?**

- ბრძანებათა თანმიმდევრობით:: Home/Cells / Insert Sheet Columns (სურ. 96).
- სვეტის ჩამატება შეგვიძლია აგრეთვე მონიშნული სვეტის წინ სტრიქონის ჩამატების ანალოგიურად, მისი სახელის მონიშნით მაგალითად თუ B-სვეტის მარცხნივ გვინდა, მოვნიშნავთ ამ სვეტს - B-ზე მოქმედებით და კონტექსტური მენიუდან Insert ბრძანებაზე მოქმედებით.
- უფრო მარტივად უჯრის, სტრიქონის და სვეტის ჩამატება ხდება აქტიური უჯრის კონტექსტური მენიუდანაც ბრძანებით Insert (იხ. სურ. 97, 98)



სურ97. სტრიქონის ჩამატება



სურ98. უჯრის კონტენტისტური მენიუ

### 5.1.6 უჯრის/სტრიქონის/სვეტის/ფურცლის წაშლა

**როგორ მოვახდინოთ უჯრის, სტრიქონის, სვეტის, ფურცლის წაშლა?**

Home ჩანართში Cells ბრძანებათა ჯგუფიდან ვიმოქმედოთ Delete ღილაპიჲე (იხ. სურ. 99)

როგორც სურ. 99 დან ჩანს, მონიშნული უჯრების წაშლა ხდება ბრძანებით- Delete Cells.

სტრიქონის წაშლა -- Delete Sheet Rows.

სვეტის წაშლა - Delete Sheet Columns.

ფურცლის წაშლა როგორც უკვე აღვნიშნეთ, - Delete Sheet.

უფრო მარტივად კი, მონიშნული უჯრის წაშლა ხდება კონტექსტური მენიუდანაც (იხ. სურ.98), რის შემდეგაც იხსნება Delete ფანჯარა და გამოსული ფანჯრიდან Shift



სურ.99 უჯრის, სტრიქონის, სვეტის,  
ფაშლის წაშლა

სურ. 100 უჯრის, სტრიქონის, სვეტის,  
წაშლა კონტ. მენიუდან

Cells Left და Shift Cells Up ბრძანებებით (იხ. სურ.100) ვახდენთ უჯრების წაშლას.

მონიშნული სტრიქონის წაშლა კონტექსტური მენიუდან ხდება ბრძანებით: Entire Row (იხ. სურ.100).

მონიშნული სვეტის წაშლა კონტექსტური მენიუდან ხდება ბრძანებით: Entire Column(იხ. სურ.100).

### 5.1.7. უჯრის გასუფთავება

**როგორ მოვახდინოთ არასასურველი ფორმატის წაშლა აქტიური უჯრიდან ან მონიშნული არიდან?**

Home ჩანართში Editing ბრძანებათა ჯგუფიდან Clear Formats ბრძანებით.

**როგორ მოვახდინოთ მხოლოდ უჯრების შიგთავსის წაშლა?**

Home ჩანართში Editing ბრძანებათა ჯგუფიდან Clear Contents ბრძანებით. ე. ი. ამ შემთხვევაში ფორმატი არ იშლება.

**როგორ მოვახდინოთ მონიშნული არიდან ყველაფრის (უჯრის შიგთავსი, ფორმატი წაშლა)?**

Clear /Clear All ბრძანებით იშლება როგორც ფორმატი, ასევე შიგთავსიც.


**შენიშვნა:** Clear ბრძანებას და მის ფანჯარას დაწვრილებით განვიხილავთ მონაცემთა შეტანის დროს.

## კითხვები და საგარჯო შოგბი

1. A1:B6 უჯრებში ჩამოვწეროთ რიცხვები, დავუნიშნოთ მათ ფულადი ფორმატი (ლენტაზე დოლარის ნიშნით), ჩავსვათ ლურჯი ფერის წყვეტილ ხაზიან ჩარჩოში ცხრილის სახით
2. ცხრილს გარედან გავუკეთოთ წითელი ფერის ჩარჩო
3. ცხრილის უჯრებს მივცეთ ორფერიანი (შავ-თეთრი) ფონი
4. წავშალოთ ფულადი ფორმატი ზემოთნახესენები ცხრილიდან
5. წავშალოთ A1:B6 უჯრების შიგთავსი
6. წავშალოთ ყველაფერი A1:B6 უჯრებში (ჩარჩოს ჩათვლით).

## 5.2 სტრიქონებისა და სვეტების დამაგრება

დიდ ცხრილებთან მუშაობის დროს ხშირად ცხრილის სვეტებისა და სტრიქონების სათაურებს ვედარ ვხედავთ, ამის თავიდან ასაცილებლად შესაძლებელია მოვახდინოთ სტრიქონების ან სვეტების დამაგრება. ამისთვის უნდა ვიმოქმედოთ ლენტაზე View ჩანართის Windows პრძანებათა ჯგუფში ღილაკზე Freeze Panes (იხ.



სურ. 101 სვეტის ან სტრიქონის დამაგრება

სურ. 101)

პირველი სტრიქონის დასამაგრებლად უნდა ვიმოქმედოთ პრძანებაზე: Freeze Top Row;

პირველი სვეტის დასამაგრებლად უნდა ვიმოქმედოთ პრძანებაზე: Freeze First Column, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ცხრილის თავაკი (სათაური) არც პირველ სტრიქონში

და არც პირველ სვეტშია განთავსებული, მაშინ უნდა მოვნიშნოთ ამ თავაკის შემდეგი სტრიქონი (თუ სტრიქონობრივადაა განთავსებული), ან შემდეგი სვეტი (თუ ვერტიკალურადაა ცხრილის თავაკი განთავსებული) და ვიმოქმედოთ ბრძანებაზე: **Freeze Panes**. ამის შემდეგ მოხდება თავაკის დამაგრება და იგი ყოველთვის იქნება გამოსახული სამუშაო ფურცელზე.

### 5.2.1 სტრიქონის და სვეტის ერთდროული დამაგრება

#### როგორ დავამაგროთ ერთდროულად სტრიქონი და სვეტი?

ამისათვის უნდა გავააქტიუროთ დასამაგრებელი სვეტისა და სტრიქონის გადაკვეთის შემდეგი უჯრა, მაგ., თუ გვინდა დავამაგროთ C სვეტი და მესამე სტრიქონი, უნდა გაგააქტიუროთ D4 უჯრა და ვიმოქმედოთ View/Freeze Panes ფანჯარაში პირველივე ბრძანებაზე Freeze Panes.

#### სტრიქონის და სვეტის დამაგრების ბრძანების გაუქმება

#### როგორ გავაუქმოთ სვეტის ან სტრიქონის დამაგრების ბრძანება?

აღნიშნული ბრძანების ანუ დამაგრების მოხსნისთვის, უნდა ვიმოქმედოთ ისევ View/Freeze Panes ფანჯარაში Unfreeze Panes ბრძანებაზე.

**დაგალება:** შევიტანოთ მონაცემები აღნიშნული სურათის მიხედვით, მოვახდინოთ მესამე სტრიქონში ჩაწერილი სათაურის დამაგრება.

	A	B	C	D	E	F	G	H
1								
2		შემოტანილი პროდუქციის აღრიცხვა						
3	კომპიუტერული ცირკულაცია	განყოფილების ნომერი	პროდუქციის სახეობა	თარიღი	რაოდენობა	ღირებულება (ლარებში)	თანხა (დოლარებში)	
4	ალგორითმი	01	მონიტორი	5/23/2005	154	220.00	33880	
5	ალგორითმი	01	კლავიატურა	6/22/2006	200	21.00	4200	
6	ალგორითმი	02	პროცესორი	10/12/2009	250	300.00	75000	

**კითხები და სავარჯიშო შეგები:**

1. როგორ მოვახდინოთ პირველი სვეტის დამაგრება?
2. როგორ მოვახდინოთ C სვეტის დამაგრება?
3. როგორ მოვახდინოთ პირველი სტრიქონის დამაგრება?
4. როგორ მოვახდინოთ მე-3 სტრიქონის დამაგრება?
5. როგორ მოვახდინოთ ერთდღოულად C1:C4 სვეტის და A4:C4 სტრიქონის დამაგრება?
6. როგორ მოვახდინოთ დამაგრების ბრძანების მოხსნა?

## VI თავი მონაცემთა ვორმატიზაცია

### 6.1 მონაცემთა შეტანა და მონაცემთა ტიპები


მონაცემთა შეტანის დროს ალბათ შევნიშნავთ, რომ რიცხვები განთავსდებიან უჯრის მარჯვენა კიდესთან, ხოლო ტექსტური მონაცემები უჯრის მარცხენა მხარეს, თუმცა შემდგომში შესაძლებელია მათი სასურველი ფორმით დალაგება.

Excel-ში შესაძლებელია მონაცემების ერთდროული შეტანა აქტიური წიგნის სხვადასხვა ფურცელზე ერთი და იგივე მისამართით. ამისათვის ამ ფურცლის სახელები უნდა მოვნიშნოთ ჯერ (ერთმანეთის თანმიმდევრულად მდებარე ფურცლების მოსანიშნად უნდა ვიმოქმედოთ Shift კლავიშთან ერთად, ხოლო არამეზობელი ფურცლების მოსანიშნად ვიმოქმედოთ CTRL კლავიშზე მოსანიშნი ფურცლის სახელთან ერთად.

**მაგალითად,** თუ გვხერხ, Sheet1, Sheet2 და Sheet3 ფურცლებზე შევიტანოთ მონაცემები ერთდროულად, როცა აქტიურია Sheet 1. CTRL ღილაკთან ერთად თაგვზე ხელის აუღებლად ვიმოქმედოთ ჯერ Sheet2-ზე, შემდეგ Sheet3 ფურცლებზე, ამის შემდეგ გავუშვათ CTRL ღილაკს ხელი და Sheet1-ში ჩაწეროთ შესატანი მონაცემები, შემდეგ კი შევამოწმოთ Sheet2 და Sheet3 ფურცლიც.

მონაცემთა შეტანის დროს უნდა გავითვალისწინოთ რა ტიპის მონაცემებთან გვაქვს საქმე. ეს პუნქტი ფრიად საყურადღებოა, რამდენადაც ხშირად ვაწყდებით ისეთ შემთხვევებს, როცა ვწერთ ჩვეულებრივ რიცხვებს, Excel-ის ფურცელზე კი

ფიქსირდება სხვა ფორმატით, მაგალითად პროცენტით ჩაწერილი, ან დოლარის ნიშნით. ეს კი იმიტომ ხდება, რომ ამ უჯრაში ადრე მოხდა ფორმატის დამახსოვრება, ამ შემთხვევაში უნდა მოვახდინოთ მონიშვნა უჯრების და ფორმატის წაშლა Home/ Edit/Format Painter ბრძანებათა ჯგუფის Clear Formats ღილაკზე მოქმედებით.



სურ. 102 მონიშნული არის გასუფთავება


როგორ მოვიცილოთ თავიდან არასასურველი ფორმატები მონაცემთა შეტანისას?

მოვნიშნოთ ის არე, სადაც გაპირებთ მუშაობას და ვიმოქმედოთ: Home/ Editing ბრძანებათა ჯგუფის Clear Formats ღილაკზე (იხ. სურ. 102) -საშლელის სახის ღილაკი, ან დაფორმატების კატეგორიიდან ავირჩიოთ General (იხ. სურ. 103).

Clear ღილაკის გვერდით ისარზე მოქმედებით გამოდის შემდეგი ბრძანებები:


Clear All- ყველაფრის წაშლა, Clear Formats- ფორმატის წაშლა, Clear Contents- უჯრის შიგთავსის წაშლა და Clear Comments- კომენტარების წაშლა.

მსგავს შემთხვევებს თავი რომ ავარიდოთ, უნდა ვიცოდეთ მონაცემთა დაფორმატების შესაძლო ვარიანტები. მონაცემთა დაფორმატების კატეგორიები მოთავსებულია Home-ზი Alignment ჩანართის შემდეგ Number ბრძანებათა ჯგუფში



სურ.103 მონაცემთა კატეგორიების (ტიპები)

(იხ. სურ. 102). სტანდარტულად დაფიქსირებულია General-ფორმატი, რომლითაც შესაძლებელია როგორც ტექსტური ასევე რიცხვითი მნიშვნელობების შეტანა.



სურ. 104 მონაცემთა კატეგორიები

სურ. 103-ზე General-ის ქვემოთ მოცემულია ზოგიერთი დაფორმატების ტიპი, მაგ., ფულადი და პროცენტული მონაცემებისთვის. პროცენტის გვერდით მძიმის გააქტიურებით მოხდება დიდ რიცხვებში ციფრების კლასების ერთმანეთისგან მძიმით გამოყოფა უფრო ადვილად აღქმის მიზნით, მაგ., 3456745 ჩაიწერება ასე: 3,456,745. მძიმის შემდეგ მოთავსებული ღილაკები აქტიურ უჯრაში მოთავსებული რიცხვების ათწილადი ნიშნების თითო-თითო თანრიგით გაზრდა - შემცირების საშუალებას იძლევა. მაგ., ოუ გვიწერია

რიცხვი 34, გახდება 34,0, კიდევ ერთხელ მოქმედებით კი 34,00 და ა. შ. ან პირიქით, ბოლო დიდაკით შესაძლებელია ათწილადი ციფრების შემცირება, მაგ თუ გვიწერია უჯრაში 34,64, ჯერ გახდება 34,6, ხოლო მეორეჯერ მოქმედებით 35 ანუ დამრგვალდება.

მონაცემთა კატეგორიების არჩევა შეგვიძლია სურ.103-ზე General-ის გვერდით მოთავსებულ ისარზე (მონაცემთა კატეგორიის სის ჩამონათვალი) ან Number-განყოფილების მარჯვენა კუთხეში მოთავსებულ ისარზე მოქმედებით.

პირველ შემთხვევაში ჩამოიშლება სია მონაცემთა ტიპების (იგივე კატეგორიების), იხ სურ. 104, საიდანაც აირჩევა საჭირო კატეგორია, მეორე შემთხვევაში კი გამოდის უჯრების ფორმატირების ფანჯარა Format Cells, რომლის პირველივე ჩანართში ჩამოთვლილია მონაცემთა კატეგორიები (იხ.სურ. 106). ამ შემთხვევაში კატეგორიების უფრო მეტი არჩევანია.

ორივე შემთხვევაში რა თქმა უნდა, ერთი და იგივეა ჩამონათვალი, მაგრამ როგორც სურ. 104-დანაც ჩანს, მოცემულ შემთხვევაში მონაცემთა ტიპების წინ შესაბამისი გრაფიკული აღნიშვნების დახმარებით გაცილებით ადგილია მონაცემთა კატეგორიებში გარკვევა და შერჩევა.

## 6.2 მონაცემთა ფორმატების აღწერა

- **ზოგადად როგორც ტექსტური, ასევე რიცხვითი მონაცემების შესატანად გამოიყენება General (ზოგადი) ფორმატი.** ამიტომაც წერია როგორც ასოები ABC, ასევე რიცხვებიც 1, 2, 3, რაც იმის მანიშნებელია რომ General-ს არ აქვს სპეციფიური ფორმატი და რომ იგი ზოგადია;
- **რიცხვითი მონაცემები განისაზღვრება Number ფორმატით.** მის წინ ჩაწერილი ციფრები – 1 2 მოწმობს იმას, რომ ამ ფორმატით განისაზღვრება რიცხვითი მონაცემები. მასში ციფრთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 15-ს. ხცელში რიცხვების ჩასაწერად გამოიყენება შემდეგი ტიპის ფორმატები: მთელი რიცხვები, ათწილადები, წილადები და ექსპონენტური ფორმა იგივე მცურავმიმიანი რიცხვები, რომელიც ისეთი დიდი და მცირე რიცხვების შეტანისას გამოიყენება, უჯრაში რომ ვერ ეტევა, მაგ ჩაწერა  $5E+4$  ნიშნავს რიცხვს - 5 გამრავლებული 10-ის მეოთხე ხარისხზე, დადებითი ხარისხის შემთხვევაში შესაძლოა + ნიშანი არც

მიეთითოს, 10000000 ჩაიწერება ასე: 1E+7 ან ასე: 1E7, მაგრამ თუ ექსპონენტური ფორმით წარმოდგენილი რიცხვიც ვერ დაეტია მის საზღვრებში, მაშინ მის ადგილზე ჩაიწერება #- სიმბოლოები.

რიცხვითი მონაცემები მხოლოდ შემდეგ სიმბოლოებს შეიძლება შეიცავდეს: 0 1 2 3 4 5 6 7 8 9 + - / E () % \$

რიცხვების ექსპონენტური ფორმით ჩაწერაში მონაწილეობენ: “+”, “-” და “E”.

ტექსტების შეტანის დროს არაა რეკომენდებული გადატანის ნიშნის ხმარება, ასევე, თუ რიცხვითი მონაცემი გვსურს როგორც ტექსტი ისე შევიტანოთ, მის წინ უნდა დავსვათ აპოსტროფი.

**წილადი რიცხვებისთვის გამოიყენება Fraction ფორმატი,** თუმცა შეგვიძლია გამოვიყენოთ Number ან General ფორმატიც, წილადი რიცხვების ჩასაწერად შეგვიძლია გამოვიყენოთ ”/”, მაგ. 4/5.


General ფორმატში წილადი რიცხვების შეტანის დროს აუცილებელია მთელის მითითება, რომელიც თავისუფალი ინტერვალით გამოიყოფა წილადი ნაწილისაგან, ასე მაგ,  $\frac{3}{4}$  რომ ჩავწეროთ, შეფარდების ადგილას დახრილი ხაზი აიღება, ხოლო მთელად მიეთითება 0, რადგან აღნიშნულ წილადს მთელი ნაწილი არ გააჩნია, და იგი ასე ჩაიწერება Excel-ში: 0 3/4. თუ წილადს მთელი ნაწილი არ მივუთითეთ, Excel ამას აღიქვამს როგორც ტექსტს ან თარიღის მითითებას და გაგებული იქნება როგორც 4 რიცხვი მე-3 თვის, ანუ როგორც 4 მარტი.

არაწესიერი წილადების შეტანისას ხდება მათი ავტომატურად გარდაქმნა წესიერ წილადად, ასევე ხდება შეკვეცაც თუ წილადი ამას საჭიროებს.

- ფულადი მონაცემების აღსანიშნავად გამოიყენებიან **Currency** და **Accounting**. რომელიმე მათგანზე მოქმედებით ან სურ. 60-დან ფულადი ერთეულის არჩევით



სურ. 105 ფულადი ერთეულის არჩევა



სურ. 106 ფულადი ნიშნის მოცილება

მონიშნულ მონაცემებს წინ ფულადი ერთეულის ნიშანი დაეწერება. მათ მოსაცილებლად კი უნდა მოვნიშნოთ ისევ მონაცემები და ვიმოქმედოთ Home/Editing/ Clear Formats (სურ. 102), ან ფორმატირების ფანჯრიდან ფულადი სიმბოლოს ველიდან დავაფიქსიროთ “none:” (სურ. 106).

- თარიღის ტიპის მონაცემების შეტანისას გამოიყენება **Short date** (მოკლე თარიღი) და **Long date** (გრძელი თარიღი). Short date-ის დროს თარიღი ჩაიწერება მხოლოდ ციფრებით, ასეთი ფორმით: 4/9/2010, ხოლო Long Date-ით ჩაწერის დროს სიტყვებიც მონაწილეობენ, მაგ., ასე: Wednesday, September 23, 2010 (ოთხშაბათი, სექტემბერი 23, 2010). თუ გვსურს თარიღი ჩაიწეროს ქართულად, მაშინ Format Cells ფანჯარაში Locate ველში უნდა ავირჩიოთ “Georgian”.

თარიღის დაფიქსირება Excel 2007-ში ხდება 1900 წლის პირველი იანვრიდან 9999 წლის 31 დეკემბრამდე. ამ პერიოდის გარეთ აღებული მონაცემი აღიქმება როგორც ტექსტური მონაცემი. თარიღის შეტანის დროს რიცხვი, თვე და წელი ერთმანეთისგან შეიძლება გამოვყოთ მძიმით, ორწერტილით, დეფისით და დახრილი ხაზით. ბოლოში არ შეიძლება წერტილის დასმა.

**როგორ ჩაგსვათ აქტიურ უჯრაში მიმდინარე თარიღი კლავიატურიდან?**

[CTRL] დილაგთან ერთად აქტიურ უჯრაში იმოქმედეთ წერტილმიმეზე, [CTRL]+[:] და მოხდება მიმდინარე თარიღის ჩასმა.

- **რიცხვების პროცენტული სახით ჩაწერისთვის განკუთვნილია Percentage ფორმატი.** თუ უჯრაში გვიწერია მაგ. 20%, იგი აღიქმება როგორც 0.2, და ამიტომ გაანგარიშებაში შეგვიძლია პირდაპირ % მივუთითოთ: მაგ., =45\*20% (ყველა გამოთვლა ხცელში = ნიშნით ან + ნიშნით იწყება, სხვა შემთხვევაში იგი ტექსტიად აღიქმება).

- **დროითი მონაცემებისთვის - Time.** უჯრაში დროის მონაცემის ჩასაწერად ხშირად გამოიყენება ორწერტილი, მაგ 12:30; დროის მონაცემების შეტანისას უნდა გვახსოვდეს, რომ დილით 12 სთ-მდე მონაცემებს უნდა მიეწეროს პრაბელით გამოყოფილი AM, ხოლო 12 საათის შემდეგ –PM. ასე რომ დილის 10 სთ დაფიქსირდება როგორც 10:20 AM, ხოლო სადამოს 9 საათი ასე: 9:30 PM, ან უბრალოდ 9:30;

**როგორ ჩავსვათ აქტიურ უჯრაში მიმდინარე დრო (საათის მიხედვით) ძლავიატურიდან?**

აქტიურ უჯრაში მიმდინარე დროის დაფიქსირება შეგვიძლია CTRL, Shift და ორწერტილის კლავიშთა კომბინაციით ([CTRL]+[Shift]+[:]). მიმდინარე დროის დაფიქსირება ფუნქციითაც შეიძლება, რასაც ცოტა ქვემოთ შევხებით.


**რიცხვების ექსპონენტული ფორმით ჩაწერას ემსახურება Scientific ფორმატი.** იგი განკუთვნილია ძალიან დიდი რიცხვების ან ძალიან მცირე რიცხვების ჩაწერისთვის.

**ტექსტური მონაცემების შეტანისთვის განკუთვნილია -Text ფორმატი;**

უნდა ადგიშნოთ, რომ ნებისმიერი მონაცემი დაწყებული ასოთი ან აპოსტროფის ნიშნით აღიქმება როგორც ტექსტი, მაგალითად, თუ გვსურს რომ რიცხვები როგორც ტექსტი ისე აღიქმებოდეს, მათ წინ კწეროთ აპოსტროფს.

## როგორ განვსაზღვროთ მონაცემთა ფორმატები უჯრების ფორმატირების ფანჯრიდან?

მონაცემთა ტიპები შეგვიძლია განვსაზღვროთ აგრეთვე ფანჯრიდან „Format Cells“ (



სურ. 107 Format Cells ფანჯარა Number ფორმატით.

სურ.107) რომელიც  
იხსნება:

- Home ჩანართის

Font, Alignment და

Number ბრძანებათა

ჯგუფების

დიალოგური

ფანჯრებიდან (იხ.

სურ. 107),

შესაბამისი

გააქტიურებული

ჩანართით.

განსაზღვრისათვის უნდა გავაძიროთ Number ჩანართი;

- სამუშაო ფურცლის რომელიმე უჯრის ან მონიშნულ უჯრებზე კონტექსტური მენიუდან/Format Cells ბრძანებით,
- მონაცემთა კატეგორიების სის ჩამონათვლის დილაკიდან - More Number Format-ზე მოქმედებით (იხ სურ. 104);

ბოლო შემთხვევაში იხსნება Format Cells უჯრების ფორმატირების ფანჯარა (იხ. სურ. 107); სადაც გააქტიურებულია Number ჩანართი.

Number ჩანართში მოცემულია მონაცემთა კატეგორიები, მაგრამ განსხვავებით ზემოაღწერილისაგან (სურ.104) აქ უფრო მეტი ფორმატებია და მეტი საშუალებები, მაგ, მარჯვენა პანელში ჩამოთვლილია კონკრეტული ფორმატის შესაძლო ტიპები, და მათგან შეგვიძლია ავირჩიოთ რომელიმე, თუნდაც თარიღის განსაზღვრისას.

Number ჩანართშიც იგივე თანმიმდევრობითაა მონაცემთა ტიპები მოცემული, როგორც წინა შემთხვევაში, მაგრამ აქ როგორც გხედავთ, დამატებულია Special და Custom ფორმატი.

**Special** ფორმატი გამოიყენება სპეციალური ფორმატის მონაცემების, მაგალითად ტელეფონის, სატაბელო ნომრების და საფოსტო ინდექსების ჩასაწერად;

**Custom** ფორმატი კი მომხმარებელს საშუალებას აძლევს თავისი სურვილის მიხედვით აირჩიოს ფორმატი მარჯვენა პანელში მოცემული ტიპების მიხედვით. აქ უკვე ძალიან ბევრი ვარიანტია, და ამასთან მომხმარებელსაც ეძლევა საშუალება თვითონ განსაზღვროს ფორმატი.

Number ჩანართში Number-ზე მოქმედებით შეგვიძლია რიცხვები წარმოვადგინოთ ჩვენთვის მოხერხებული ფორმით, მაგალითად, თუ გაანგარიშების შედეგად ვდებულობთ ათწილად რიცხვებს და გვსურს რომ მთელი რიცხვები გამოგვიტანოს, მაშინ უნდა მოვნიშნოთ ის დიაპაზონი, სადაც შედეგებია დაფიქსირებული და სურ. 60-ზე მითითებულ ადგილზე სადაც ათწილადი ნიშნებია (decimal place) მითითებული, 0-ზე დავიყვანოთ, ამ შემთხვევაში რიცხვებს მივიღებთ დამრგვალებული სახით. ასევე, თუ გვინდა მხოლოდ ორი ათწილადი ნიშნით მივიღოთ რიცხვები, მაშინ მითითებულ ადგილზე დავაფიქსირებთ 2-ს. ათწილადი რიცხვების შეტანისას ვიყენებთ წერტილს მძიმის მაგიგრად, ასე რომ 5,67 ხცელში ჩაიწერება ასე: 5.67, ხოლო მრავალნიშნა რიცხვების ჩასაწერად შესაძლებელია მისი სამ-სამ ციფრად გამოყოფა მძიმებით. გამოყოფა ხდება ერთეულიდან დაწყებით ასე მაგ., 12567890341 შეგვიძლია ჩავწეროთ კიდევ ასეთნაირადაც: 12,567,890,341.

რიცხვების წინ მინუს ნიშნიანი და მრგვალ ფრჩხილებში ჩაწერილი რიცხვები როგორც უარყოფითი რიცხვები ისე აღიქმება. ასე რომ (56) იგივეა რაც -56.

### კითხვები და საგარჯო შოუბი.

1. როგორ გამოვიძახოთ უჯრების ფორმატირების ფანჯარა “Format Cells?”
2. როგორ ჩავწეროთ უჯრაში რიცხვი  $3\frac{2}{5}$ ? რიცხვი  $\frac{3}{4}$ ?
3. უჯრაში დაფიქსირებულია (45), რიცხვია თუ ტექსტი?
4. რომელი ფორმატი უნდა გამოვიყენოთ რომ უჯრაში დაფიქსირდეს ასეთი სახით ჩაწერა: “ოთხშაბათი, სექტემბერი 23, 2012”?

5. უჯრაში ჩავწერეთ რიცხვი 3/7, ვიმოქმედეთ Enter-ზე და მივიღეთ შედეგი “7 march”. რატომ? რა უნდა გაგვეკეთებინა რომ ისევ 3/7-ად ანუ წილადის სახით დარჩენილიყო?

6. Date ფორმატში ავირჩიოთ ტიპი, რომელიც თარიღს ჩაგვიწერს მოცემული სახით: “3/14/01 13:30”


## VII თავი მუშაობა მონაცემებთან

### 7.1 ცხრილის ავტომატური ფორმირება

Excel-ში ცხრილის ფორმირება შეგვიძლია მრავალნაირად:

1 Excel-ის ფურცელზე მოვნიშნოთ ის არე, რომელიც ცხრილის სახით გვინდა რომ დაპროექტდეს;

ვიმოქმედოთ Home-ის Styles ჩანართში Format as Table ღილაკზე. გამოდის ფანჯარა ცხრილის სახით სხვადასხვა სტილით (იხ. სურ. 108) წარმოდგენილი სამი კატეგორიის ფერებით: Light (ღია ფერები) Medium(საშუალო) და Dark (მუქი).



სურ. 108 ცხრილის ფორმირებისთვის

სტილის შერჩევა

ავირჩევთ რომელიმეს ჩვენი სურვილის მიხედვით;

სტილის არჩევის შემდეგ იხსნება დიალოგური ფანჯარა, სადაც უნდა


მივუთითოთ ჩვენი მონაცემების განთავსების არე, ანუ დიაპაზონი (იხ. სურ. 109). აქ

Column1	Column2	Column3

სურ. 110 ცხრილისთვის  
სათაურების ავტომატურად  
განსაზღვრა

შეგვიძლია მოვნიშნოთ ის არე, სადაც გვსურს ცხრილის განთავსება და ფანჯარაში ავტომატურად დაფიქსირდება ამ დიაპაზონის მისამართი. ამავე ფანჯარაში არის მოთავსებული პატარა ოთკუთხედი - My table has header (ჩემს ცხრილს აქვს სათაურები), რომელსაც ვააქტიურებთ (გააქტიურება ნიშნავს მასზე თაგვის მარცხენა დილაგით მოქმედებას), თუ ჩვენს ცხრილს აქვს უკვე წვენ მიერ ჩასმული სვეტის სათაურები. იმ შემთხვევაში, თუ მას არ გავააქტიურებთ, მაშინ ცხრილს ავტომატურად დაუფიქსირდება სვეტების სათაურები Column1, Column2 და ა. შ. (იხ. სურ. 110). მივიღებთ ცხრილს, სადაც უკვე შეგვიძლება მონაცემების შეტანა.

ავტომატურად ფორმატირების დროს ცხრილს შეგვიძლია დაგუმატოთ ბოლო საშედეგო სტრიქონი, და ჩავატაროთ სვეტების ბოლოს სხვადასხვა გაანგარიშებები, ამისთვის ფორმირებულ ცხრილის არეში გავააქტიურებთ



სურ. 111. საშედეგო სტრიქონის გამოტანა

რომელიმე უჯრას, ლენტის ზემოთ გამოჩნდება Design ჩანართი, საიდანაც გავააქტიურებთ ლენტაზე Total Row ჩამრთველს (იხ. სურ. 111).

შედეგად ავტოფორმირებულ ცხრილში გაჩნდება სტრიქონი: Total (იხ. სურ 112).

**რა გათვლები შეიძლება ჩატარდეს Total Row საშედეგო სტრიქონის საშუალებით?**

გავააქტიუროთ ის უჯრა, სადაც გვსურს შედეგის გამოტანა, მაგ C10. უჯრის გვერდით გაჩნდება სამკუთხა სიის ისარი (სურ. 112), რომელზე მოქმედებითაც

The screenshot shows a Microsoft Excel spreadsheet titled "Sheet1". The table has columns labeled A, B, C, D, and E. Row 10 is highlighted in orange and contains the word "Total". The data rows are: 3. კლავიატურა, 456, 21, 9576; 4. მონიტორი, 234, 22, 5148; 5. პროცესორი, 500, 140, 70000; 6. თაბვი, 600, 12, 7200; 7. კების ბლოკი, 55, 80, 4400; 8. ვიწრესტერი, 345, 170, 58650. The total value for row 10 is 154974. In cell C10, a context menu is open with the following options: None, Average, Count, Count Numbers, Max (which is selected), Min, Sum, StdDev, Var, and More Functions.

A	B	C	D	E
1				
2	პროდ. დასახელება	რაოდე ნობა	ფასი (ლარებში)	თანხა
3	კლავიატურა	456	21	9576
4	მონიტორი	234	22	5148
5	პროცესორი	500	140	70000
6	თაბვი	600	12	7200
7	კების ბლოკი	55	80	4400
8	ვიწრესტერი	345	170	58650
9				
10	Total			154974
11		None		
12		Average		
13		Count		
14		Count Numbers		
15		Max		
16		Min		
		Sum		
		StdDev		
		Var		
		More Functions.		

სურ. 112 საშედეგო სტრიქონი და შესაძლო მოქმედებათა სია

თაგვის მარცხენა ღილაკით გამოდის ფუნქციების სია (Average –საშუალო არითმეტიკული, Count შევსებული უჯრების დათვლა, Count Numbers (რიცხვითი მონაცემების დათვლა), Max - მაქსიმუმი, Min - მინიმუმი, StdDev-სტანდარტული გადახრა, Var -ვარიაციის შეფასება), ბოლო ღილაკზე მოქმედებით გამოდის ფუნქციების ოსტატის ფანჯარა, სადაც შეგვიძლია ავირჩიოთ ნებისმიერი ფუნქცია.

### როგორ შეგვიძლია ფორმატირებულ ცხრილში სტრიქონებსა და სვეტებზე (სათაურის გარდა) ფონის მოცილება?

ამისათვის ცხრილის ნებისმიერ არეში ვიმოქმედოთ თაგვის მარცხენა ღილაკით, რომ გამოჩნდეს ლენტის ზემოთ ჩანართი “Design” და ამოვრთოთ ჩამრთველი (ვიმოქმედოთ თაგვით) „Banded Row”. ე.ი. ღილაკის ჩართვა-ამორთვით ხდება ფორმატირების მოცემული სტილის ჩართვა-გამორთვა სტრიქონებზე. იგივე ხდება სვეტებისთვის „Banded Column”- ზე მოქმედებით.

Design/First Column- ზე მოქმედებით ხდება პირველი სვეტის დაფორმატება ცხრილის სათაურის ფორმატით.

Design/Last Column-ზე მოქმედებით კი ბოლო სვეტის დაფორმატება ცხრილის სათაურის ფორმატით.

Design/Header Row- ზე მოქმედებით ხდება ცხრილის სათაურის დამალვა-გამოჩენა.

### კითხვები და სავარჯიშოები

1. რა საშუალებებით შეიძლება მონაცემების ცხრილის სახით გამოსახვა?
2. რა მიიღება Home/ Styles/Format as Table ბრძანებათა თანმიმდევრობით?
3. როგორ შეგვიძლია ფილტრაციის ნიშნების მოშორება ცხრილზე?
4. რომელი ჩამრთველი უნდა გავააქტიუროთ, რომ ცხრილის ავტომატური ფორმირებისას სათაურებად ჩვენს მიერ განსაზღვრული სვეტების სათაურები განისაზღვროს და არა Column1, Column2,...?
5. როგორ დავამატოთ ცხრილში საშედეგო სტრიქონი?
6. რა საშუალებები გააჩნია საშედეგო სტრიქონს მონაცემთა მანიპულირებისათვის?
7. რა მიიღება Design/ First Column-ზე მოქმედებით ავტოფორმირებულ ცხრილში?
8. რა მიიღება Design/ Last Column-ზე მოქმედებით ავტოფორმირებულ ცხრილში?
9. რა მიიღება Design/ Banded Row-ზე მოქმედებით ავტოფორმირებულ ცხრილში?
10. რა მიიღება Design/ Banded Column-ზე მოქმედებით ავტოფორმირებულ ცხრილში?
11. როგორ შეგვიძლია ფონის მოცილება ავტოფორმირებულ ცხრილში?

## 7.2 პირობითი ფორმატირების დანიშნულება

### 7.2.1 პირობითი ფორმატირების დანიშნულება

პირობითი ფორმატირება ნიშნავს მონიშნულ სვეტზე მოცემული პირობის




სურ. 113 Styles ბრძანებათა ჯგუფში პირ. ფორმატირების სის დილაკი

მიხედვით გარკვეული წესების შესრულებას, მის შესასრულებლად საჭიროა Home ჩანართის Style ბრძანებათა ჯგუფში ვიმოქმედოთ Conditional Formating (პირობითი ფორმატირება) ბრძანების სის დილაკზე (სურ. 113), პირობითი ფორმატირების დილაკზე

მოქმედებით იხსნება ფანჯარა, სადაც ჩამოთვლილია პირობითი ფორმატირების შესრულების მეთოდები, კერძოდ: **Highlight Cells rules** (უჯრების ფერით გამოყოფა გარკვეული პირობების შესრულებისას)

**Top/Bottom Rules** (უჯრების ფერით გამოყოფა ზედა და ქვედა მნიშვნელობების პოვნისას), **Data Bars** (პირობითი ფორმატირება პისტოგრამით) და **Color scales**



სურ. 114 პირობითი ფორმატირების ბრძანებები

(პირობითი ფორმატირება ფერთა სკალით) **Icon Sets** (პირობითი ფორმატირება პიქტოგრამებით), თითოეულ მათგანს თავისი ქვეფუნქციები გააჩნია,

მაგალითად, თუ მონიშნული სვეტის უჯრებში მოთავსებული სიდიდეები რადაც გარკვეულ სიდიდეზე მეტია, შეიძლება ეს უჯრები გარკვეული ფონით მოინიშნოს (იხ. სურ. 114).


მოცემული სურათის მიხედვით (სურ. 115), მონიშნულია სვეტის ის უჯრები, რომლებშიც მოთავსებული რიცხვითი სიდიდეები მეტია 400-ზე, მოინიშნება დიაწითელი ფონით (Light Red Fill), ხოლო შრიფტი იქნება მუქი წითელი (Dark Red



სურ. 115 Greater Than ბრძანება

Text- მუქი წითელი ტექსტით).

პირობითი ფორმატირების ბრძანებების შესასრულებლად საჭიროა წინასწარ მონიშნული იყოს ის სეტი, რომლისთვისაც პირობით



სურ. 116 ახალი ფორმატირების წესის ანსაზოვრა

ფორმატირებას ვახდენთ.

**Highlight Cells Rules**  
ქვებრძანებაში

- **Greater Than** ბრძანებით მოინიშნება ის უჯრები, რომელთა შიგთავსიც მეტია მითითებულ სიდიდეზე;

**Less Than** - რომელთა შიგთავსიც ნაკლებია მითითებულ სიდიდეზე;

**Between** – ეს პირობა

მიეთითება მაშინ როცა ორ სიდიდეს შორის ხდება შედარება, მოინიშნება ის უჯრები, რომელთა შიგთავსიც მოთავსებულია მოცემულ შეაღედში;

**Equal To** – მოინიშნება ის უჯრები, რომელთა შიგთავსიც ტოლია გარკვეული მითითებული სიდიდის,

**Text that Contains**, ტექსტი რომელიც შეიცავს მითითებულ მნიშვნელობას,

**A Date Occuring**- რომელიც მოიცავს მითითებულ თარიღს.

**Duplicate Values**- მოინიშნება ის უჯრები, რომელ უჯრებშიც ხდება მონაცემთა დუბლირება.

**Conditional Formating**-ის მეორე Top/Bottom Rules ბრძანებით ხდება რომელიმე ზღვარს იქით ზედა (top) ან ქვედა (Bottom) მითითებული რაოდენობის უჯრების გამოტანა.

Data Bar მონიშნულ სვეტში უჯრების სიდიდეებს წარმოადგენს მონაცემთა დიაგრამის სახით.

Color Scales –ით ხდება უჯრების სიდიდეების დაყოფა მაქსიმალურ, საშუალო და ქვედა რიცხვებად და ხდება მათთვის სხვადასხვა ფერის გამოყოფა.

Icon Sets-ით ხდება გარკვეული პირობების მიხედვით სხვადასხვა გრაფიკული ნიშნების დანიშვნა.

## 7.2.2 პირობითი ფორმატირების გაუშმება

პირობითი ფორმატირების გაუქმება ხდება ბრძანებით: Clear rules და სვეტი ისევ დაბრუნდება საწყის მდგომარეობაში.

პირობითი ფორმატირების ბრძანებებში New Rule და Manage Rules ბრძანებით (იხ. სურ. 114) შეგვიძლია ფორმატირების ახალი წესების შემოღება, New Rule-ზე მოქმედებით იხსნება ფანჯარა (იხ. სურ. 116), რომლის ზედა ნაწილში (Select a Rule Type) ჩამოთვლილია ფორმატირების ბრძანებები, საიდანაც უნდა მოინიშნოს ის ბრძანება, რომლისთვისაც ახალი წესის შექმნა გვინდა, ქვედა ნაწილში (Edit the Rule Description) კი შეგვიძლია მოვახდინოთ აღნიშნული ბრძანების ფორმატირების რედაქტირება ჩვენთვის სასურველი ფორმით.


Manage Rules (იხ. სურ. 114) ბრძანებით იხსნება ფანჯარა (იხ. სურ. 117), რომელშიც Show formatting Rules for დიალოგურ ველში ჩანს ფორმატირების ბრძანება სად გამოიყენება, მიმდინარე მონიშვნისთვის (Current Selection), ამ ფურცლისთვის (this Worksheet), Sheet2 თუ Sheet3-სთვის.

ამავე ფანჯრიდან შეგვიძლია აგრეთვე ფორმატირების ახალი წესის განსაზღვრაც, თუ ვიმოქმედებთ ბრძანებაზე: New Rules, გაიხსნება სურ. 117-ზე მოცემული ფანჯარა, რომელიც უკვე განვიხილეთ.



სურ. 117. Manage Rules ფანჯარა

**დაგალება:** შევიტანოთ მონაცემები აღნიშნული სურათის მიხედვით, პირობითი ფორმატირების სასუალებით მოვახდინოთ იმ უჯრების მონისვნა მწვანედ, რომელთა ხელფასი 600-დან 900 ლარამდეა, 900-დან ზემოთ კი ფარდისფრად. მიჰყევით ისრების თანმიმდევრობას.




### კითხები და სავარჯიშოები:


- პირობითი ფორმატირების რომელი მეთოდით შეგვიძლია სურ. 112-ზე მოცემული ცხრილის მონაცემებში რაოდენობის სვეტში 400-ზე მეტი სიდიდის მქონე უჯრების წითელი ფონით გამოყოფა?
- პირობითი ფორმატირების რომელი მეთოდით შეგვიძლია სურ. 112-ზე მოცემული ცხრილის მონაცემებში 400-დან 600-მდე სიდიდის მქონე უჯრების ვიზუალიზაცია?
- როგორ აღმოვაჩინოთ რომელიმე სვეტში ერთნაირი მონაცემები?
- როგორ შეგვიძლია განვსაზღვროთ ფორმატირების ახალი წესი?
- როგორ გავანთავისუფლოთ უჯრები პირობითი ფორმატირებისაგან?

## 7.3 მონაცემთა ძირი


მონაცემთა ძებნა შესაძლებელია Home ჩანართის Editing ბრძანებათა ჯგუფიდან Find



სურ. 118 Find & Select ფანჯარა



სურ. 119 მონაცემთა ძებნა



სურ. 120 ძებნის პარამეტრების შერჩევა

and Select ღილაკზე მოქმედებით გახსნილი ფანჯრიდან (იხ. სურ. 118) ბრძანებით Find, რის შემდეგაც გამოდის ფანჯარა, სადაც ტექსტის/ფრაგმების მოსაძებნად Find What ველში(სურ. 119) ჩავწერთ მოსაძებნ ტექსტს და ვიმოქმედებთ Find All-ზე.

Find and Replace მონაცემთა ძებნის სურათზე (სურ. 120) Options ღილაკზე მოქმედებით იხსნება ფანჯარა, სადაც შეგვიძლია მივუთითოთ რის მიხედვით მოვძებნოთ მონაცემები.


	C	D	E
3			
4	გვარი	თანამდებო	ხელფას
5	თოთაძე	მენეჯერი	400
6	სტურუა	გამყიდველი	600
7	ქინქლაძე	მენეჯერი	600
8	ლომსაძე	გამყიდველი	600
9	ქაჯაია	გამყიდველი	600
10	გვარაშვილი	მუშა	500
11	თოდუა	გამყიდველი	500
12	იაკობიძე	გამყიდველი	450
13	გოგუა	მუშა	400

სურ. 121 მაგ. მონაცემები

**მაგალითი:** მოვძებნოთ სიტყვა “მენეჯერი” შემდეგი მონაცემებიდან (სურ. 121) სურ.119-ზე *Find What* ველში ჩავწერთ “მენეჯერი”, ვიმოქმედებთ *Find All* ღილაკზე, გამოვა ვანჯარა შეტყობინებით, სადაც დაფიქსირებულია პარამეტრები, სადაც მოიძებნა, კერძოდ, სამუშაო წიგნის სახელი, ვურცლების სახელები, და უჯრების მისამართები. ამასთან გააქტიურებული იქნება ის პირველი უჯრა, სადაც ეს საძებნი სიტყვა დაფიქსირდა. *Find Next* ღილაკზე მოქმედებით მონიშვნა შემდეგ მოძებნილ უჯრაზე გადაინაცვლება. ფანჯრის დახურვა ბოლოს ხდება ღილაკით *Close*.

## 7.4 მონაცემთა ძებნა და შეცვლა

თუ გვსურს არა მარტო მონაცემის ძებნა, არამედ მოძებნილი მონაცემის სხვა ფრაგმენტით შეცვლა, მაშინ უნდა ვიმოქმედოთ Home ჩანართის **Editing** პრძანებათა ჯგუფიდან **Find and Select** ღილაკზე მოქმდებით გახსნილი ფანჯრიდან (იხ. სურ 118) **Replace** პრძანებაზე. გაიხსნება იგივე ფანჯარა რაც ძებნის დროს და გახსნილ ფანჯარაში *Find What* ველში ჩავწერთ მოსაძებნ ტექსტს, ხოლო *Replace With* ველში ჩავწერთ ტექსტს, რითიც უნდა შეცვალოთ, შემდეგ ვმოქმედებთ ღილაკზე *Replace All* უკელგან შეცვლისათვის, სადაც კი საძებნი სიტყვა შეხვდება და ვმოქმედებთ **OK**-ზე.




სურ. 122 Find and Replace ფანჯარა Replace ჩანართით

ფანჯრიდანაც, სადაც Find ჩანართში Find What ველში ჩავწერთ რაც უნდა მოიძებნოს, შემდეგ გავააქტიურებთ Replace ჩანართს და Replace With ველში ჩავწერთ რითიც უნდა შეიცვალოს და ვმოქმედებთ დილაკზე Replace All. შედეგად გამოდის შეტყობინება რამდენჯერ პქონდა ადგილი ამ შეცვლას. მაგ., თუ გვსურს ჩვენს მონაცემებში სიტყვა მენეჯერი შეიცვალოს უფროსი მენეჯერით სადაც კი შეხვდება ეს სიტყვა, Home/Find and Select/Replace ფანჯარას ექნება ასეთი სახე (სურ. 122).

## 7.5 ობიექტების მონიშვნა

სიდიდეები, რომლებიც მიღებულია გათვლების შედეგად, წარმოადგენს ფორმულებს. მათი უჯრების გააქტიურებისას ფორმულის ზოლში ჩნდება ფორმულა, რის საფუძველზედაც მიიღება. ხოლო მუდმივი სიდიდეები, და საწყისი მონაცემები იწოდება კონსტანტად.



როგორ მოვნიშნოთ ეს ობიექტები?

ეს ადგილად მოხერხდება თუ ვიმოქმედებთ Home ჩანართის Editing ბრძანებათა ჯგუფიდან Find and Select დილაკზე და შესაბამის ობიექტზე.

სურ. 123 ობიექტების  
მონიშვნა

### 7.5.1 ფორმულების მონიშვნა

როგორ მოვნიშნოთ გათვლების შედეგად მიღებული სიდიდეები (ფორმულები)?

გათვლების შედეგად მიღებული სიდიდეების მოსანიშნად უნდა ვიმოქმედოთ ბრძანებაზე:

Home/Find & Select/Formulas

### 7.5.2 კონსტანტების მონიშვნა

როგორ მოვნიშნოთ საწყისი და მუდმივი სიდიდეები?

Home/Find & Select/Comstants

### 7.5.3 კომენტარების მონიშვნა

როგორ მოვნიშნოთ კომენტარები?

Home/Find & Select/Comments

### 7.5.4 საკონტროლო უჯრების მონიშვნა

როგორ მოვნიშნოთ ის მონაცემები, რომელთათვისაც მონაცემთა კონტროლია დაწესებული?

Home/Find & Select/ Data

The screenshot shows a Microsoft Excel spreadsheet with a table. The table has columns labeled C, E, F, and G. Row 4 contains the headers: გვარი, ხელფას, პრემია. Rows 5 through 13 contain data for various individuals. Row 14 is a formula row. The formula in cell F5 is =E5\*30%. The data is as follows:

C	E	F	G
3			
4	გვარი	ხელფას	პრემია
5	თოთაძე	400	120
6	სტურუა	600	180
7	ქინქლაძე	300	90
8	ლომსაძე	600	180
9	ქაჯაია	600	180
10	გვარაშვილი	900	270
11	თოდუა	500	150
12	იაკობიძე	800	240
13	აოაუა	400	120
14			

სურ. 124 ფორმულების მონიშვნა

### 7.5.5 პირობითი ფორმატირების უჯრების მონიშვნა

**როგორ მოვნიშნოთ ის მონაცემები, რომელთათვისაც პირობითი ფორმატირებით  
ხდება მონაცემთა ვიზუალიზაცია?**

#### Home/Find & Select/Conditional Formating

**მაგალითი:** მოვნიშნოთ მოცემულ მონაცემებში (სურ. 124) ფულები და პირობითი ფორმატირების სვეტი:

ამისათვის Home ჩანართში ვიმოქმედოთ Editing ბრძანებათა ჯგუფში Find & Select სიიდან ბრძანებაზე: Formulas

როგორც ვხედავთ, მოინიშნა F5:F13 დიაპაზონი, და თუ ფორმულის ზოლში დავაკვირდებით, ვნახავთ რომელი ფორმულის საფუძველზედაც არის მიღებული, კერძოდ, პრემია ყოფილა ხელფასის 30%.

საკმარისია ვიმოქმედოთ ბრძანებათა თანმიმდევრობაზე:

Home/Editing/Find & select/Conditional Formating-ზე, რომ მოინიშნება ხელფასის სვეტი, რადგან პირობით ფორმატირება ამ სვეტზე შესრულდა.


## 7.6 ბადასვლა ობიექტებზე

წინა პარაგრაფებში ნავიგაციის დროს ჩვენ უკვე განვიხილეთ რომელიმე უჯრაზე, ან უჯრათა დიაპაზონზე სწრაფად გადასვლა Home /Editing/Find &select/Go To ბრძანებათა თანმიმდევრობით.

Find & Select ფანჯარაში ბრძანებები Go To და Go To Special გამოიყენებიან უჯრებზე სწრაფად გადასვლისთვის.

როგორც უკვე ადრე განვიხილეთ, Go To ბრძანებათა ფანჯარაში Reference გელში (სურ. 125) მიეთითება მისამართი, სადაც უნდა მოხდეს გადასვლა.

Go To Special ფანჯარაში მითითებულია ობიექტების უფრო მეტი ჩამონათვალი,



სურ. 125 გადასვლის ბრძანება

სურ. 126 სპეციალური გადასვლა

სადაც შეიძლება მოხდეს გადასვლა აქტიური უჯრიდან. მაგ. იგივე ფანჯარა გაიხსნება თუ გადასვლის ფანჯრიდან (სურ.125) ვიმოქმედებთ დილაკზე: Special .

## 7.7 მარტივი დახარისხება

დახარისხება წარმოადგენს მონაცემთა დალაგებას გარკვეული წესის მიხედვით. მარტივი დახარისხება გულისხმობს დახარისხებას ერთი ნიშის მიხედვით.


**დახარისხების გზები:**

-Home/Editing/ Sort & Filter/ Sort A to Z ან Sort Z to A ღილაკზე მოქმედებით (სურ. 127)

-Data/ Sort & Filter ფანჯარაში - ზრდადობით ან - კლებადობით (სურ. 128).


მარტივი დახარისხების დროს გააქტიურებული უნდა იყოს იმ სვეტის სათაური, რომლის მიხედვითაც უნდა დახარისხდეს მონაცემები.

Home ჩანართში Editing ბრძანებათა ჯგუფში Sort & Filter საბრძანებო ღილაკზე მიქმედებით გამოდის ფანჯარა, სადაც ჩამოითვლება მენიუ შესასრულებელი ბრძანებების (იხ.სურ.127).



სურ. 128 მონაცემთა დახარისხების და ფილტრაციის ღილაკი

სურ. 127 მონაცემთა დახარისხების და ფილტრაციის ღილაკი



მათგან პირველი ორით ხდება დახარისხება ერთი ნიშნის (სვეტის/სტრიქონის) მიხედვით, Custom Sort-ით - მრავალდონიანი დახარისხება, ხოლო Filter ღილაკით ხდება მონაცემთა ამორჩევა რაიმე პირობის მიხედვითაც – ფილტრაცია.

შეგვიძლია დაგახარისხოთ როგორც რიცხვითი, ასევე ტექსტური მონაცემები. ერთი რომელიმე სვეტის/სტრიქონის დახარისხებისთვის საკმარისია თაგვის მიმთითებელი დაგაყენოთ ამ სვეტის/სტრიქონის სათაურში და ვიმოქმედოთ ღილაკზე Sort A to Z - (თუ ტექსტურია ანბანის მიხედვით) და Sort Z to A (ანბანის შებრუნვებული რიგით), რიცხვების დახარისხებისას ავტომატურად ჩნდება ბრძანება: Sort Smallest To largest - ზრდადობის მიხედვით, Sort largest to Smallest - კლებადობის მიხედვით. დახარისხებითვის ასევე შეგვიძლია მთლიანი სტრიქონი/სვეტი მოვნიშნოთ და ისე ვიმოქმედოთ დახარისხების ღილაკზე.

მონიშნული მონაცემები შეიძლება დაგახარისხოთ კონტექსტური მენიუდანაც როგორც ჩვეულებრივ ზემოთ აღწერილი წესით, ასევე შრიფტის ფერის (Font color) და უჯრის ფერის (Cell color) მიხედვითაც.

**შენიშვნა:** Sylfaen-ში აკრეფილი ქართული ტექსტი დახარისხდება ჩვეულებრივად, ხოლო სხვა რომელიმე შრიფტით აკრეფილი, მაგ., Acadnusx დახარისხდება მისი შესაბამისი ინგლისური ასოების მიხედვით. ასე რომ მაგალითად ორი გვარის: ჩიქობავას და ინჯიას Acadnusx შემთხვევაში ანბანის მიხედვით დალაგების დროს ჯერ განთავსდება “ჩიქობავა”, ხოლო შემდეგ “ინჯია”, რამდენადაც ჩიქობავა

შევიტანოთ მონაცემები აღნიშნული სურათის მიხედვით, და დავხარისხოთ განყოფილების დასახელების მიხედვით.

A	B	C	D
1	განყოფილების დასახელება	მომუშავის გვარი	ხელფასი (ლარეპში)
2	სტატისტიკური	ფიფია	850
3	საფინანსო	შუბითიძე	850
4	საფინანსო	გოგუა	700
5	მატერიალური	თოდაძე	900
6	მატერიალური	ჯოვალი	900
7	საფინანსო	თოთაძე	1200
8	მატერიალური	პეტრიაშვილი	1200
9	მატერიალური	ბალათური	1200
10	მარკეტინგის	ტივიშვილი	1500
11	მატერიალური	ბაიაძე	1200
12	მარკეტინგის	ცხოვრებაძე	1100
13	სტატისტიკის	ჯაბადრიძეშვილი	900
14			

დაგალება. მონაცემების დახარისხებაზე ინგლისურში იწყება C-თი (Chiqobava). I კი ანბანური წესით მის შემდეგაა.

## 7.8 დახარისხება რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით

### როგორ დაგახარისხოთ მონაცემები რამდენიმე დონის მიხედვით?

დახარისხების დონეების რაოდენობა შეიძლება იყოს 64-მდე დიდი ცხრილებისთვის. მრავალდონიანი დახარისხების გზები:




სურ. 129 მონაცემთა მრავალდონიანი  
დახარისხება

-Home/Editing/ Sort & Filter/Custom sort (სურ. 127)

-Data/ Sort & Filter/Sort ( სურ. 129)

სურ.127-ზე Custom sort დილაპი და Sort დილაპი სურ. 129-ზე შესაძლებლობას გვაძლევს მონაცემები დალაგდეს რამდენიმე დონის მიხედვით მაგალითად, ჯერ განყოფილების, შემდეგ გვარების მიხედვით. ამისათვის უნდა მოვნიშნოთ მონაცემების დიაპაზონი (თუ ცხრილია, მთელი ცხრილი) და ვიმოქმედოთ დილაპზე - Custom sort. იხსნება დახარისხების ფანჯარა (იხ. სურ.130), სადაც, Sort by ველში ისარზე მოქმედებით ავირჩევთ იმ სვეტის დასახელებას, რომლითაც



სურ. 130. დახარისხება დონეების მიხედვით

გვინდა პირველ რიგში დახარისხდეს, ე. ი. ვირჩევთ განყოფილების დასახელებას, შემდეგ ვიმოქმედებთ ზემოთ ბრძანებაზე ADD Level და ახევვ დაგენერირდეთ კოდი ვირჩევთ დახარისხების შემდეგ დონეს - ხელფასს, შემდეგ კი გვარს. მარჯვნივ ეწერება ან ჩვენ მივუწერთ როგორ დაახარისხოს და OK.

განყოფილებაში Sort on მიეთითება თუ რის მიხედვით ხარისხდება მოცემული სვეტი: სიდიდეების (Values), უჯრის ფერის (Cell Color), შრიფტის ფერის (Font Color), თუ უჯრის სიმბოლიკის (Cell Icon) მიხედვით.

განყოფილებაში Order მიეთითება თუ რა წესით ხარისხდება მოცემული სვეტის მონაცემები, ანბანის მიხედვით დასაწყისიდან (A to Z) თუ ბოლოდან (Z to A) თუ რიცხვები - ზრდადობის მიხედვით (Smallest To Largest) ან კლებადობის მიხედვით (Largest To Smallest).

მონაცემთა დახარისხება შეგვიძლია აგრეთვე ვაწარმოოთ Data ჩანართიდანაც Sort & Filter ბრძანებათა ჯგუფიდან, სადაც დახარისხების იგივე ბრძანებებია, რაც ზემოთ

განვიხილეთ. დახარისხება შესაძლებელია აგრეთვე უჯრის კონტექსტური მენიუდანაც.

დახარისხების დროს უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ დამალული სვეტები/სტრიქონები არ დახარისხდება. ამიტომ დახარისხების დროს უნდა მოხდეს მათი გამოჩენა, რომ შემდეგ მონაცემები არ აირიოს.

### კითხვები და სავარჯიშოები:

1. ცხრილი მოიცავს სვეტებს შემდეგი დასათაურებით: გვარი, საცხოვრებელი ქალაქი, მოქალაქეობა, თანამდებობა, ასაკი, ოჯახური მდგომარეობა. რა ბრძანებათა თანმიმდევრობით უნდა ვიმოქმედოთ, რომ დავახარისხოთ ცხრილი მოქალაქეობის, საცხოვრებელი ქალაქის, და ასაკის მიხედვით?
2. შეიძლება მონაცემები დავახარისხოთ 3 დონის მიხედვით?
3. რამდენი დონის მიხედვით შეგვიძლია დავახარისხოთ მონაცემები?

## 7.9 ფილტრაცია

ფილტრაცია – მონაცემთა ამორჩევა გარკვეული პირობით.

ფილტრაციის გამოძახების გზები:

- Home/Sort & Filter/Filter (სურ. 127)
- Data/ Sort & Filter/Filter (სურ. 132)




სურ. 131 მონაცემთა ფილტრაცია

ფილტრაცია შესაძლებელია ცხრილის ფორმირების დროსაც Home ჩანართში Styles ბრძანებათა ჯგუფში Format as Table საბრძანებო დილაკიდან რომელიმე ცხრილის სტილის შერჩევით, ან Insert/Table ბრძანებით. ამ დროს ცხრილში სვეტების სათაურებს უკეთდებათ ფილტრაციის ნიშნაკები, სამკუთხა ისრები,

რომელთა საშუალებითაც შეგვიძლია შემდგომში ვაწარმოოთ მონაცემთა ამორჩევა რაიმე პირობების მიხედვით, რასაც ფილტრაცია ეწოდება. შევნიშნავთ რომ მონაცემთა შერჩევა გარკვეული პირობის მიხედვით ხდებოდა პირობითი ფორმატირების დროსაც, მაგრამ მაშინ ყველა მონაცემის გამოტანა ისევ ხდებოდა, ადგილი პქონდა მხოლოდ უჯრების ფერით გამოყოფას ვიზუალიზაციის მიზნით.

ფილტრაციის დროს ხდება მხოლოდ იმ მონაცემების გამოტანა, რომლებიც ჩვენს მიერ მითითებულ პირობას აკმაყოფილებს.



სურ.132 ტექსტური მონაცემების ფილტრაცია

მოვნიშნოთ ცხრილში სვეტების სათაურები და ვიმოქმედოთ Home ჩანართში Editing ბრძანებათა ჯგუფში Sort & Filter საბრძანებო დილაკიდან Filter ბრძანებაზე (სურ. 127). სვეტის სათაურებში მარჯვნივ გაჩნდება პატარა დილაკები, რომელზე მოქმედებითაც გამოდის ფილტრაციის ფანჯარა, მაგალითად, განყოფილების დასახელების მარჯვნივ დილაკზე მოქმედებით იხსნება ფანჯარა (იხ. სურ. 132). როგორც სურათიდან ჩანს, შეგვიძლია ამ სვეტის დახარისხება როგორც ანბანის, ასევე უჯრის ფერის მიხედვითაც.

**ტექსტური მონაცემების ფილტრაციის დროს** გასაფილტრ მონაცემებს ფანჯრის მეორე ნაწილში ეწერებათ Text Filters, ხოლო რიცხვითი მონაცემების დროს – Number Filter.

თუ კონკრეტული განყოფილების მონაცემები გვსურს მხოლოდ გამოვიტანოთ, ეს შეგვიძლია განყოფილების დასახელებებიდან ალმის (პტიჩის) მხოლოდ იმ განყოფილებაზე დატოვებით, რომის მონაცემებიც გვსურს გამოიტანოს (დანარჩენებს მოვუშლით).

**ტექსტური მონაცემების ფილტრაციის დროს** შესაძლებელია მონაცემთა შერჩევა სხვადასხვა პირობის მიხედვით. ამისათვის უნდა ვიმოქმედოთ Text Filter-ის გასწვრივ ისარზე, რომლის შემდეგაც გამოიტანება სხვა პირობებიც (იხ. სურ. 133), **პირობა Equals** გამოიყენება მაშინ, როცა მოსაძებნი მონაცემი უნდა ემთხვეოდეს მითითებულს.

**პირობა *Does Not Equals*** გამოიყენება მაშინ, როცა პირიქით, მოსაძებნი მონაცემი არ უნდა ემთხვეოდეს მითითებულს. მაგალითად ოუ *Does Not Equals*-ის გასწვრივ ველში მივუთითებთ “საფინანსო” (იხ. სურ. 134), მაშინ საფინანსო განყოფილების გარდა გამოიტანება ყველა სხვა განყოფილების მონაცემები.

**პირობა *Begins With*** გამოიყენება, როცა გვინდა მოვძებნოთ რაიმე ასოზე, ან ასოებზე დაწყებული მონაცემები.

**პირობა *Ends With*** გამოიყენება, როცა გვინდა მოვძებნოთ რაიმე ასოთი/ ასოებით დამთავრებული მონაცემები.


**პირობა *Contains/Does Not Contain*** გამოიყენება, როცა ტექსტი შეიცავს/არ შეიცავს მითითებულ მნიშვნელობას, Custom Autofilter-ით იხსნება ისევ სამომხმარებლო ფილტრაციის ფანჯარა (იხ. სურ. 134). პირველ დიალოგურ ველში ჩამოიშლება ბრძანებების, პირობების სია.

**რიცხვითი მონაცემების ფილტრაციის დროს** Number Filter-ის გასწვრივ მდებარე ისარზე მოქმედებით გამოიტანება ფილტრაციის შემდეგი პირობები (იხ. სურ. 135):

**პირობა *Equals*** გამოიყენება მაშინ, როცა ამოსარჩევი მონაცემი ტოლია მითითებული სიდიდის.


**პირობა *Does Not Equal*** გამოიყენება მაშინ, როცა პირიქით, მოსაძებნი მონაცემი არ არის ტოლი მითითებული სიდიდის.

**პირობა *Greater Than*** გამოიყენება მაშინ, როცა ამოსარჩევი მონაცემი მეტია მითითებულ სიდიდეზე.



**პირობა Greater Than Or Equal To** გამოიყენება მაშინ, როცა ამოსარჩევი მონაცემი ტოლია ან მეტია მითითებულ სიდიდეზე.


**პირობა Less Than** გამოიყენება მაშინ, როცა ამოსარჩევი მონაცემი ნაკლებია მითითებულ სიდიდეზე.



სურ. 134 ფილტრაციის Does Not Equal პირობა

**პირობა Less Than Or Equal To** გამოიყენება მაშინ, როცა ამოსარჩევი მონაცემი ტოლი ან ნაკლებია მითითებულ სიდიდეზე.


**პირობა Between** გამოიყენება მაშინ, როცა ამოსარჩევი მონაცემი მოთავსებულია



სურ. 135 რიცხვითი მონაცემების ფილტრაცია

მითითებულ შუალედში, ამასთან ქვედა და ზედა ზღვარიც შედის ამ შუალედში, განსხვავებით Greater Than და Less Than პირობებისგან.

**პირობა Top 10** გამოიყენება მაშინ, როცა გვსურს მონაცემებიდან ამოვარჩიოთ ყველაზე მაღალი მნიშვნელობის მქონე სიდიდე. სტანდარტულად მითითებულია 10, თუმცა მის მაგივრად რა თქმა უნდა, შესაძლებელია სხვა რაოდენობის მითითებაც.



სურ. 136 ყველაზე მცირე მნიშვნელობების ამორჩიოა

სურ. 136).

მაგრამ როგორ ამოვარჩიოთ ყველაზე მცირე მნიშვნელობები გარკვეული რაოდენობით?

ამ შემთხვევაში ვიმოქმედებთ Top-ის გვერდით მოთავსებულ სის ღილაპზე (სამკუთხა ისარი) და დავაფიქსირებთ Bottom-ს (იხ. სურ. 136).

**პირობა Above Average** გამოიყენება მაშინ, როცა გვსურს მონაცემებიდან ამოვარჩიოთ საშუალო არითმეტიკულზე მეტი მნიშვნელობის მქონე სიდიდეები.

**პირობა Below Average** გამოიყენება მაშინ, როცა გვსურს მონაცემებიდან ამოვარჩიოთ საშუალო არითმეტიკულზე ნაკლები მნიშვნელობის მქონე სიდიდეები.

Custom Filter ბრძანებაზე მოქმედებით გამოდის სამომხმარებლო ავტოფილტრის ფანჯარა (იხ. სურ. 134).

სურ. 134-ზე როგორც ვხედავთ, შესაძლებელია მიეთითოს ორმაგი პირობაც, ლოგიკური გამრავლება – AND და ლოგიკური შეკრება – Or. ლოგიკური

გამრავლების დროს  
ამოირჩევა მონაცემები,  
რომლებიც ორივე  
მითითებულ პირობას  
აკმაყოფილებს  
(მაგალითად, როცა  
ხელფასი ნაკლებია 2000-  
ზე და მეტია 800-ზე)  
ხოლო ლოგიკური  
შეკრების დროს – ერთ-

A	B	C	D	E
				Conditional Formatting
1				Format as Table
2	გვარი	ბანკის დასახელება	დეპოზიტის თანხა	
3	კაკაბე	TBC	500	
4	გოგუა	საქ ბანკი	8000	
5	ლომისაბე	საქ ბანკი	10000	
6	გულუა	TBC	900	
7	ლომისე	TBC	650	
8	ცხოვრებაბე	ბანკი რისპონდენტი	15000	
9	მშეღლიშვილი	საქ ბანკი	2000	
10	ჯაბაღლიშვილი	ბანკი რესპონდენტი	14000	

სურ. 137 ცხრილის ავტომატური ფორმირება

ერთ პირობას მაინც (მაგალითად ამოარჩიოს მონაცემები მარკეტინგის ან სტატისტიკის განყოფილების).

ფილტრაციის გასაუქმებლად ვმოქმედებთ ბრძანებაზე: **Clear Filter From “სვეტის სახელი, რომლიდანაც გახდენთ ამორჩევას”**, ან ვმოქმედებთ ისევ **Data/Filter დილაპზე**.


**მაგალითი 1:** შევიტანოთ მონაცემები აღნიშნული ცხრილის მიხედვით (სურ. 137) და ფილტრაციის საშუალებით დეპოზიტის თანხის სვეტიდან ამოვარჩიოთ ის მონაცემები, რომლებიც მეტია 1000-ზე და ნაკლებია 15000-ზე.

#### მითითება:

1. მოვნიშნოთ ცხრილი (სურ. 137) და ავირჩიოთ **სტილი Home / Styles / Format as Table** სტილების სიიდან.2. დეპოზიტის თანხის სვეტიდან ვიმოქმედოთ ფილტრაციის ისარზე და **Number Filter**-დან **Custom Filter**-ზე მოქმედებით გამოსულ ფანჯარაში შევიტანოთ მონაცემთა ამორჩევის პირობები სურ.138-ის მიხედვით.

სვეტს, რომლის მიხედვითაც ჩატარდა ფილტრაცია, უკეთდება განსხვავებული ნიშნაკი სამუთხა ისრის ნაცვლად (იხ. სურ. 139),

ყველა მონაცემის ისევ გამოსატანად როგორც ფილტრაციამდე იყო, ვიმოქმედებოთ



სურ. 138. ფილტრაცია ორმაგი პირობით

ამ ნიშნაკზე  
(ფილტრაციის ისრის  
მაგივრად გამოსახულ  
ნიშნაკზე) და **Select All**-ის  
წინ ოთხეუთხედს  
გავააქტიურებთ, ან  
ვიმოქმედებთ **Home**  
ჩანართის **Editing**  
ბრძანებათა ჯგუფში **Sort &**

Filter სიაში **Filter ბრძანებაზე** (იხ. სურ. 127).

ფილტრაციის გასაუქმებლად ასევე შეგვიძლია ვიმოქმედოთ **Data ჩანართის Sort &**

	A	B	C	D
1				
2	გრანა	ბანკის დასახელება	დეპოზიტის თანხა	
4	გოგია	საქ ბანკი		8000
5	ლომისაძე	საქ ბანკი		10000
9	მჭედლიშვილი	საქ ბანკი		2000
10	ჯგუფი მეცნიერებელი	ბანკი რესპუბლიკა		14000

სურ. 139 ფილტრაციის შედეგად მიღებული მონაცემები

Filter ბრძანებათა ჯგუფში Filter დილაკზე.

**მაგალითი 2:** 137-ე სურათზე მოცემული ცხრილის მიხედვით ამოვარჩიოთ ძე-ზე



სურ. 140. “ძე” -ზე დამთავრებული გვარების ამორჩევა

დამთავრებული გვარები.

**მითითება:** ჩავრთოთ ფილტრი ცხრილის სათაურზე.


გვარის სვეტიდან ვიმოქმედოთ ფილტრაციის ისარზე და Text

ავირჩიოთ პირობა: Ends With და

გახსნილ ფანჯარაში ჩავწეროთ პირობა სურ. 140-ის მიხედვით.

რადგანაც სურ. 137-ზე მოცემული ცხრილის მონაცემები აკრეფილია შრიფტით: Acadnusx, ამიტომ ends with დიალოგური ველის გასწვრივ ქართული “ძე:-ს ნაცვლად ავტომატურად ფიქსირდება ინგლისური ასოები.

**მაგალითი 3:** 137-ე სურათზე მოცემული ცხრილის მიხედვით ამოვარჩიოთ ლ-ზე ან გ-ზე დაწყებული გვარები.



სურ. 141 ფილტრაცია ლოგიკური შექრების გამოყენებით

**მითითება:** ამ შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ ლოგიკური შეკრება – Or (ან), გვარის სვეტიდან ვიმოქმედოთ ფილტრაციის ისარზე და Text Filter-დან ან Custom Filter-დან ავირჩიოთ პირობა: Begins with და გახსნილ ფანჯარაში ასოების შექრების გამოყენებით ან-ის შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ Or (ი. სურ. 141). ჩავწეროთ პირობა:

**მაგალითი 4.** 137-ე სურათზე მოცემული ცხრილის მიხედვით ამოვარჩიოთ ორი გვარი, რომელთაც უკვლაბე მეტი თანხა აქვთ დეპოზიტზე.



სურ. 142 ფილტრაცია Top პირობით

**მითითება:** ამ შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ პირობა – Top. დეპოზიტის თანხის სვეტიდან ვიმოქმედოთ ფილტრაციის ისარზე და Number Filter-დან ავირჩიოთ პირობა:

*Top* და გახსნილ ფანჯარაში 10-ის ნაცვლად ჩავწეროთ *2* და ვიმოქმედოთ *OK* – ზე  
(სურ. 142)

### **როგორ ამოვარჩიოთ ყველაზე მცირე მნიშვნელობის მქონე მონაცემები?**



სურ. 143 ფილტრაცია *Bottom* პირობით

ამ უძრავიაში *Top* კუნძულის  
ნაცვლად უნდა ავირჩიოთ *Top* სიიდან  
*Bottom* ღილაკი. სამი ყველაზე მცირე  
მნიშვნელობის სიდიდის მქონე  
მონაცემების გამოტანისთვის  
ფილტრაციის სის ღილაკიდან  
ჩავწერთ პირობას სურ. 143-ზე მოცემული სურათის მიხედვით.


### **კითხები და საგარჯო შრები:**

1. სურ. 139-ის მიხედვით როგორ ამოვარჩიოთ ის 3 პიროვნება, რომელსაც ყველაზე მაღალი შენატანი აქვს დეპოზიტზე?
2. სურ. 139-ის მიხედვით როგორ ამოვარჩიოთ ის 2 პიროვნება, რომელსაც ყველაზე მცირე შენატანი აქვს დეპოზიტზე?
3. როგორ ამოვარჩიოთ მხოლოდ საქ. ბანკის მონაცემები სურ. 139-ის მიხედვით?
4. როგორ ამოვარჩიოთ „ლ“-ზე დაწყებული გვარები სურ. 139-ის მიხედვით?
5. როგორ ამოვარჩიოთ „გ“-ზე ან „ბ“-ზე დაწყებული გვარები სურ. 139-ის მიხედვით?
6. სურ. 139-ის მიხედვით როგორ ამოვარჩიოთ გვარები, ვისი ანაბარიც 9000-ზე მეტია და 14000-ზე ნაკლებია.

## 7.10 გაფართოებული ფილტრაცია

ერთდროულად რამოდენიმე კრიტერიუმის მიხედვით (რამდენიმე სვეტიდან) მონაცემთა ამოსარჩევად შეგვიძლია ვისარგებლოთ როგორც ჩვეულებრივი ფილტრაციით (ჯერ ერთი სვეტიდან, შემდეგ ამორჩეული მონაცემებიდან კიდევ სხვა პირობით ამორჩევით და ა. შ.), ასევე გაფართოებული ფილტრაციით.

გაფართოებული ფილტრაციისთვის მონაცემთა დიაპაზონის გარეთ უნდა გამოვყოთ იმ სვეტის სათაურები შესაბამისი პირობებით, რომელი სვეტების მიხედვითაც გვინდა მონაცემთა ამორჩევა. მაგალითად, იმ მომუშავეთა ამორჩევა, რომლებიც



ბანკის დასახელება	დეპოზიტის თანხა
TBC	>500

სურ. 145 პირობის ჩაწერა გაფართოებული ფილტრაციით მონაცემთა ამოსარჩევად

სურ 144 გაფართოებული  
ფილტრაციის დილარი  
მუშაობენ TBC ბანკში და აქვთ დეპოზიტები თანხა 500 ლარზე მეტი,



სურ. 146 გაფართოებული ფილტრაცია

გაფართოებული ფილტრაციით წარმოებს შემდეგნაირად. 137-ე სურათზე მოცემული ცხრილის გარეთ, მაგალითად C12:D13 დიაპაზონში ჩავწეროთ სვეტის სათაურები შესაბამისი პირობით(იხ. სურ. 145).

პირობის ჩაწერის შემდეგ მოვნიშნოთ მთელი ცხრილი (ან კურსორი დავაყენოთ ცხრილის რომელიმე უჯრაზე მაგ “გვარი:”) და ლენტადან

Data ჩანართიდან Sort & Filter ბრძანებათა ჯგუფში ვიმოქმედოთ ბრძანებაზე - Advanced (იხ. სურ. 144). შედეგად იხსნება გაფართოებული ფილტრაციის დიალოგური ფანჯარა (იხ. სურ. 146). იმ შემთხვევაში თუ გააქტიურებულია ჩამრთველი Filter the list, in-place, მაშინ ფილტრაციის შედეგად მიღებული მონაცემები ჩაიწერება იმავე ცხრილის ადგილას, ხოლო თუ გააქტიურებულია ჩამრთველი Copy to another location, მაშინ ეს მონაცემები უნდა განთავსდეს სხვა ადგილას, და მისი ჩაწერა მოხდება Copy to დიალოგურ ველში მითითებული მისამართიდან.

Criteria Range დიალოგურ ველში კი ჩაიწერება იმ დიაპაზონის მისამართი, სადაც პირობაა ჩაწერილი. მისამართი დაფიქსირდება მაშინაც თუ კურსორს დავაყენებო ამ ველში და მოვნიშნავთ პირობის დიაპაზონს.

OK-ზე მოქმედების შემდეგ გამოიტანება უკვე გაფართოებული ფილტრაციის შედეგად მიღებული მონაცემები.

<a href="#">Filter by Selected Cell's Value</a>
<a href="#">Filter by Selected Cell's Color</a>
<a href="#">Filter by Selected Cell's Font Color</a>
<a href="#">Filter by Selected Cell's Icon</a>

სურ. 147 მონაცემთა ამორჩევა  
უჯრის კონტენტის გრძელება

მონაცემთა ფილტრაცია შესაძლებელია აგრეთვე უჯრის კონტენტის მენიუდან ბრძანება Filter-ზე მოქმედებით, გამოდის სია ფილტრაციის ხერხების(იხ. სურ.147), რითიც შესაძლებლობა გვეძლევა ამოვარჩიოთ მონაცემები უჯრის

სიდიდის (Filter by Selected Cells's Value), უჯრის ფერის(Filter by Selected Cells's Color), უჯრის შიგთავსის, შრიფტის ფერის (Filter by Selected Cells's Font Color) ან პიქტოგრამის (Filter by Selected Cells's Icon) მიხედვით.

A	B	C	D	E	F	G	H
1							
2							
3	<b>მოთხოვნები ბაკურიანის სახტორო ნომრებზე</b> <th data-kind="ghost"></th> <th data-kind="ghost"></th> <th data-kind="ghost"></th> <th data-kind="ghost"></th> <th data-kind="ghost"></th> <th data-kind="ghost"></th>						
4							
5	აღგილების რაოდ	კლიენტის გერარი	სახელი	ასაკი	მისამართი	გადა (დღეები)	გადასახდელი თანხა
6	2	წიკლაური	გიორგი	18	ფასანაური	7	250
7	3	თოთაძე	ალექსანდრე	18	თბილისი	14	300
8	2	ჯანხოთელი	ლაშა	28	თბილისი	7	250
9	3	ბიბილაშვილი	ვოვა	20	გუდაური	10	330
10	4	ჩოხელი	ნიკა	25	ფასანაური	7	200
11	1	ბალაშვილი	გიორგი	35	თბილისი	10	330
12	2	ბერიშვილი	ძაგული	42	გურჯაანი	7	250
13	3	ხაჭაპურიძე	თემური	28	საშური	5	300
14	1	შადური	ბექა	27	ყაზბეგი	10	330

სურ. 148 საწყისი მონაცემები გაფართოებული ფილტრაციისთვის

**მაგალითი:** მოცემული ცხრილის მიხედვით (სურ. 148) ამოვარჩიოთ მონაცემები სხვადასხვა პირობების მიხედვით.

ამოვარჩიოთ მონაცემები იმ კლიენტების, ვინც არიან თბილისიდან და ვისაც 7-ზე მეტი დღით სჭირდებათ ნომრის დაკავება.

მითითება: ვისარგებლოთ სურ. 149-ით.

- ჩაგწეროთ პირობა მაგ. C17:D18 დიაპაზონში;
- მოვნიშნოთ მონაცემები B5:H14;

The screenshot shows the 'Advanced Filter' dialog box and a filtered data table in Excel.

**Advanced Filter Dialog Box:**

- Action: Copy to another location (selected)
- List range: \$B\$5:\$H\$14
- Criteria range: Sheet1!Criteria
- Copy to: Sheet1!\$B\$44
- Unique records only: Unchecked

**Filtered Data Table (Sheet1!\$B\$44:\$H\$46):**

A	B	C	D	E	F	G	H
44	აღილების რაოდ	კლიენტის გვარი	სახელი	ასაკი	მისამართი	გადა (დღეები)	გადასახდე ლი თანხა
45	3	თოთაძე	ალექსანდრე	18	თბილისი	14	300
46	1	ბალაშვილი	გიორგი	35	თბილისი	10	330

სურ. 149 გაფართოებული ფილტრაციის  
შედეგად მიღებული მონაცემები

- ვიმოქმედოთ ლენტაზე Data/ sort & Filter ბრძანებათა ჯგუფში Advanced;
- გავააქტიუროთ Copy to another location – მიღებული შედეგების სხვა ადგილზე ჩაწერისთვის;
- List range ველში შევამოწმოთ სწორად არის თუ არა საწყისი მონაცემების დიაპაზონი, შეცდომის შემთხვევაში წავშალოთ და ხელახლა მოვნიშნოთ;
- Criteria range ველში ვიმოქმედოთ თაგვით და მოვნიშნოთ პირობის დიაპაზონი;
- Copy to ველში მივუთითოთ მისაღები შედეგების ჩაწერის ადგილის საწყისი უჯრა;
- ვიმოქმედოთ OK-ზე

### კონკრეტული და საგარჯო შოგბი.

- რომელი საშუალება უზრუნველყოფს მონაცემთა ამორჩევას რაიმე პირობის მიხედვით?

2. შეგვიძლია მონაცემების ამორჩევა შრიფტის ფერის ან უჯრის ფერის მიხედვითაც?
3. ფილტრაციის რა საშუალებები არსებობს?
4. როგორ ამოვარჩიოთ სურ. 148-ზე მოცემული მონაცემებიდან:  
ყველაზე პატარა ასაკის ორი პიროვნება? /ყველაზე უფროსი ასაკის მქონე ორი პიროვნება?/20 წელზე მეტი ასაკის მქონე პიროვნებებიდან 2 ადგილიან ნომერზე მოთხოვნები?/ მხოლოდ 1 ადგილიანი ნომრები? / რომელთა გვარებიც გასორი იწყება?/რომელთაც მისამართში თბილის უწერიათ და რომელთა ასაკი 30 წელს გადაცილებულია?
5. რას გვიჩვენებს ბრძანებათა შემდეგი თანმიმდევრობა: Data/Sort & Filter/Advanced?
6. გაფართოებული ფილტრაციის (Advanced Filter) ფანჯარაში რომელ ველში მიეთითება შეზღუდვები (პირობები, რომლის მიხედვითაც მონაცემები უნდა ამოირჩეს)?
7. რა მოხდება გაფართოებული ფილტრაციის (Advanced Filter) ფანჯარაში Copy to another Location გააქტიურებით?
8. რა მოხდება გაფართოებული ფილტრაციის (Advanced Filter) ფანჯარაში Filter the list, in-place გააქტიურებით?
9. რა მიეთითება გაფართოებული ფილტრაციის (Advanced Filter) ფანჯარაში Copy to ველში?

## 7.11 მონაცემთა დაჯგუფება და შუალედური ჯამების მიღება

ერთნაირი ნიშის მქონე მონაცემები შეიძლება დავაჯგუფოთ, მოვახდინოთ მათი სტრუქტურული სახით წარმოდგენა, ასევე შეგვიძლია დაჯგუფებულ მონაცემებზე მოვახდინოთ სხვადასხვა მოქმედებების შესრულება როგორც ცალკეული ჯგუფისთვის, ასევე მთლიანად. მაგ, თანხების დაჯამება მარკეტში თითოეული განყოფილების და მთლიანად მარკეტის მიხედვით, ბანკში დეპოზიტების/კრედიტის

შუალედური ჯამების გამოთვლა ცალკეული ფილიალისა და მთლიანად საფინანსო ორგანიზაციისთვის და ა. შ.

მონაცემთა დაჯგუფებისთვის და მოქმედებების შესასრულებლად თითოეული ჯგუფის მიხედვით აუცილებელია:

1. მონაცემთა არე წინასწარ დახარისხებული იყოს იმ პარამეტრის მიმართ, რომლის მიხედვითაც გვსურს შუალედური შედეგების გამოტანა, მაგალითად, მარკეტში განყოფილების ნომრის მიხედვით, საფინანსო დაწესებულებაში ფილიალების მიხედვით და ა. შ.

2. მონაცემები უნდა მოინიშნოს და ვიმოქმედოთ ბრძანებათა თანმიმდევრობით:

Data/Outline/Subtotal

3. გამოსულ ფანჯარაში At each change in ველში მარჯვნივ სამკუთხა ისრის საშუალებით გამოსულ სიიდან ამოვარჩიოთ პარამეტრი, რის მიხედვითაც გვინდა დაჯგუფებულ მონაცემებზე მოქმედება (იხ. სურ. 151).

4. Use Function ველში ავტომატურად ფიქსირდება დაჯამების ფუნქცია, რადგან ყველაზე ხშირად გამოსაყენებელია, თუმცა თუ ვიმოქმედებოთ მის გვერდით სიის დილაპზე, გამოდის სხვა ფუნქციების ჩამონათვალიც. კერძოდ: Count, Average, Max, Min, Product, Count Numbers, Stdev, Stdevp, Var, Varp - შესაბამისად: შევსებული უჯრების დათვლა, საშუალო არითმეტიკული, მაქსიმუმი, მინიმუმი, ნამრავლი, რიცხვითი მონაცემების დათვლა, სტანდარტული გადახრა შერჩევითი ერთობლიობიდან, სტანდარტული გადახრა მთლიანი ერთობლიობიდან და ვარიაცია შერჩევითი და მთლიანი ერთობლიობის.

5. Add subtotal in დიალოგურ ველში გავააქტიურებოთ იმ მონაცემთა ჩამრთველებს, რომლებმაც უნდა მიიღონ გათვლებში მონაწილეობა და ვიმოქმედებოთ OK-ზე.

შედეგად მივიღებოთ დაჯგუფებულ მონაცემებს, ყოველი ქვეჯგუფის შემდეგ დასაჯგუფებელი პარამეტრის მიხედვით მითითებული ფუნქციის შესაბამის გათვლებს, საბოლოოდ კი Grand Total-ში მოცემულია დაჯამებული შუალედური შედეგები.

დეტალური ჩანაწერების დამალვა შესაძლებელია, თუ ვიმოქმედებოთ დაჯგუფების დონის ხაზებზე მინუს ნიშანზე, დეტალური მონაცემების გამოჩენა კი ხდება უკვე პლიუს ნიშანზე მოქმედებით.

**მაგალითი:** მოვახდინოთ სურ.150-ის მიხედვით მონაცემთა დაჯგუფება ოპერაციის დასახელების მიხედვით:

გავააქტიუროთ უჯრა: ოპერაციის დასახელება და ვიმოქმედებთ Sort-ზე სურ.150-ზე ნაჩვენები თანმიმდევრობით.


ბანკის დასახელება	
თარიღი:	4/17/2012
<b>ოპერაციის დასახელება</b>	<b>თანხის რაოდ (ლარი)</b>
დეპოზიტი	1,000.00
დეპოზიტი	3,500.00
კრედიტი	15,000.00
კრედიტი	10,000.00
დეპოზიტი	500.00
კრედიტი	7,000.00
დეპოზიტი	3,000.00

operaciis dasaxeleba		
A	B	C
1	ბანკის დასახელება	
2	თარიღი:	4/17/2012
3	<b>ოპერაციის დასახელება</b>	<b>თანხის რაოდ (ლარი)</b>
4	დეპოზიტი	1,000.00
5	დეპოზიტი	3,500.00
6	კრედიტი	15,000.00
7	კრედიტი	10,000.00
8	დეპოზიტი	500.00
9	კრედიტი	7,000.00
10	ოპარატორი	3,000.00
11		

სურ. 150 საწყისი მონაცემების მომზადება დაჯგუფებისთვის

როგორც სურ. 150-დან ჩანს, მონაცემების შეტანის შემდეგ გავააქტიურეთ უჯრა B4



სურ. 151 მონაცემთა დაჯგუფება

და ვიმოქმედეთ დახარისხებაზე. შედეგად მივიღებთ დახარისხებულ მონაცემებს.

ამის შემდეგ მოვნიშნავთ B4: C11 არეს და კიმოქმედებოთ ლენტაზე ბრძანებაზე data/Subtotal. გამოდის ფანჯარა Subtotal, სადაც ველში - At each change in მიეთითება ის პარამეტრი, რის მიხედვითაც ვაპირებოთ დაჯგუფებას, ჩვენს შემთხვევაში – “ოპერაციის დასახელება“. ველში - Use Function დავაფიქსირებოთ ფუნქციას SUM. დიალოგურ ველში - Add subtotal in გავააქტიურებოთ იმ მონაცემთა ჩამრთველებს, რომლებმაც უნდა მიიღონ გათვლებში მონაწილეობა.

OK-ზე მოქმედებით გამოდის უკვე ოპერაციის დასახელების მიხედვით დაჯგუფებული მონაცემები (სურ. 152), სადაც ყოველი ოპერაციის სახის მიხედვით გათვლილია საბოლოო ჯამები (Total). Grand Total-კი მიუთითებს თანხის მთლიან ჯამს ყველა ოპერაციის მიხედვით.

მინუს ნიშანზე მოქმედებით მოხდება დასაჯგუფებელი დონის აკეცვა, უფრო გამსხვილებული სახით წარმოდგენა. ამ შემთხვევაში მინუსს ცვლის პლიუს ნიშანი, მასზე მოქმედებით ისევ ჩამოიშლება დეტალური მონაცემები.

ასე რომ სურ. 153-ზე პლიუს ნიშნები ნიშნავს, რომ მონაცემები გამოტანილია გამსხვილებული სახით, ე.ო. გამოტანილია მხოლოდ საშედეგო მონაცემები, დეტალური ჩანაწერებისთვის ვმოქმედებოთ პლიუს ნიშანზე.



The screenshot shows two tables side-by-side. The left table is a detailed list of transactions with rows numbered 1 through 14. Row 14 is a subtotal row with the formula =SUM(B4:B13) in cell C14. The right table is a summary table with four rows, also numbered 4 through 14. Row 14 is a Grand Total row with the formula =SUM(B5:B13) in cell C14. Red arrows point from the minus sign in row 14 of the left table to the minus sign in row 14 of the right table, indicating they are referring to the same subtotal.

	A	B	C
1		<b>ბანკის დასახელება</b>	
2	თარიღი:	4/17/2012	
3			
4	<b>ოპერაციის დასახელება</b>	<b>თანხის რაოდ (ლარი)</b>	
5	დეპოზიტი	1,000.00	
6	დეპოზიტი	3,500.00	
7	დეპოზიტი	500.00	
8	დეპოზიტი	3,000.00	
9	<b>დეპოზიტი</b>	<b>8,000.00</b>	
10	კრედიტი	15,000.00	
11	კრედიტი	10,000.00	
12	კრედიტი	7,000.00	
13	<b>კრედიტი</b>	<b>32,000.00</b>	
14	<b>რაოდ</b>	<b>40,000.00</b>	

	A	B	C
4		<b>ოპერაციის დასახელება</b>	<b>თანხის რაოდ (ლარი)</b>
9		<b>დეპოზიტი</b>	8,000.00
13		<b>კრედიტი</b>	32,000.00
14		<b>Grand Total</b>	<b>40,000.00</b>

სურ. 153 დაჯგუფებული მონაცემები გამსხვილებული სახით წარმოდგენა

სურ. 152 დაჯგუფებული მონაცემები ოპერაციის დასახელების მიხედვით

**დაგალება:** შევიტანოთ მონაცემები აღნიშნული სურათის მიხედვით, მოვახდინოთ:

1. მოცემული ცხრილის დახარისხება ფირმის და განყოფილების მიხედვით
2. რეალიზების შედეგად მიღებული შემოსავლების დაჯამება როგორც გუდილისა და პოპულის, ასევე მოლიანად ფირმების მიხედვით. (გამოიყენეთ Subtotal).

A	B	C	D	E
1				
2	ფირმა	განყოფილება	პროდ. კოდი	რეალიზების შედეგად მიღებული შემოსავალი
3	გუდილი	საკონდიტრო	11	1200
4	პოპული	ტკბილეული	22	230
5	პოპული	ტკბილეული	21	345
6	პოპული	ტკბილეული	23	780
7	გუდილი	საკონდიტრო	14	700
8	გუდილი	საკონდიტრო	15	600
9	პოპული	სასმელები	26	800

## VIII თავი მუშაობა ფორმულების

### 8.1 ფორმულები

#### 8.1.1. რას წარმოადგენს ფორმულა?

ფორმულა ეს არის გამოსახულება, რომლის მიხედვითაც სხვადასხვა სახის გაანგარიშებები იწარმოება. ფორმულის შეტანა შესაძლებელია როგორც კლავიატურიდან ასევე თაგვის საშუალებითაც. ფორმულა აუცილებლად უნდა დავიწყოთ „=“ ან „+“ ნიშნით.

ფორმულა შეიძლება შეიცავდეს ოპერატორებს, კონსტანტებს, ფუნქციებს, მიმართვებს უჯრებზე, ან დიაპაზონის სახელებზე.

ფორმულის ჩაწერა შეგვიძლია ფორმულის ზოლში ან უშუალოდ აქტიურ უჯრაში.

ფორმულაში რიცხვების მაგივრად შეგვიძლია მივუთითოთ იმ უჯრების მისამართები, სადაც ეს რიცხვები არის ჩაწერილი, ან მათი დიაპაზონის სახელები.

ფორმულის მაგალითები:

=56\*78

=C2^3+SUM(A1:A8) - (A1:A8 - გამოყენებულია დიაპაზონის მისამართი)

=Sum(ხელფასი) - (გამოყენებულია დიაპაზონის სახელი)

=Average(თანხა)

=Max(ფასი)-Min(ფასი)

=A3\*\$B\$2

	A	B
1	56	78
2		
3	=A1*B1	
4		

სურ.154 ფორმულის ჩაწერა

თითოეული ფორმულის ჩაწერის შემდეგ მის შესასრულებლად ვმოქმედებთ Enter ღილაკზე.

მაგალითად თუ A1 უჯრაში ჩაწერილია 56, ხოლო B1-ში 78 (იხ. სურ. 154), მაშინ მათი ნამრავლის მისაღებად შეგვიძლია ჩავწეროთ ფორმულა ასეთი სახით: = A1 \* B1 (ან პირდაპირ: =56\*78) და ვიმოქმედოთ Enter ღილაკზე.

## 8.1.2 მიმართვა

### რას წარმოადგენს მიმართვა, ანუ დამისამართება?

მიმართვა ეს არის ფორმულაში უჯრაში მოთავსებული სიდიდეების მაგივრად მათი მისამართების გამოყენება. მიმართვა შეიძლება განხორციელდეს არამარტო აქტიური წიგნის ამა თუ იმ ფურცლის უჯრებზე, არამედ სხვა წიგნის ფურცლის უჯრებზეც. ასეთ მიმართვას (სხვა წიგნის უჯრებთან) კავშირს უწოდებენ. =A1\* B1 სახით ჩაწერისას გამოყენებულია მიმართვა.

განასხვავებენ მიმართვის (დამისამართების) სამ სახეს: ფარდობითი, აბსოლუტური და შერეული. უჯრებს ავტომატურად ენიჭებათ ფარდობითი მისამართი, რაც ნიშნავს, რომ ფორმულის ახალ ადგილზე კოპირებისას მასში შემავალი მისამართებიც იცვლება. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გვსურს, რომ მისი მნიშვნელობა არ შეიცვალოს მასთან ნებისმიერი მიმართვისას, მაშინ იგი უნდა დავაფიქსიროთ აბსოლუტური მისამართით. A1 უჯრა აბსოლუტური მისამართით ჩაიწერება ასე: \$A\$1. შერეული მისამართის შემთხვევაში ან სტრიქონის ნომერია უცვლელი, და იცვლება სვეტის დასახელებები, ან პირიქით. მაგ., აღნიშვნა A\$1 – ნიშნავს, რომ ამ უჯრაში ფორმულის (გამოთვლების) განვრცობისას სხვა უჯრებზე შეიცვლება სვეტის დასახელება, ხოლო სტრიქონი (პირველი) უცვლელი დარჩება.

\$A1 – პირიქით, სვეტის დასახელება დარჩება უცვლელი, შეიცვლება სტრიქონის დასახელებები.

ფარდობითი მიმართვის მაგალითის გამოყენება ხშირად გვიხდებოდა წინა მაგალითებში, როცა მივიღებდით შედეგს (ფორმულის ჩაწერა ხდებოდა პირველ საშედეგო უჯაში) და მონიშვნის მარკერით გახდენდით მის განვრცობას დანარჩენი უჯრების მიმართ.

შემდეგ უჯრებში ფორმულის მარკერით განვრცობისას მათი მისამართებიც ავტომატურად იცვლება უჯრების შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ არ გვინდა შევცვალოთ უჯრის მნიშვნელობა, მაშინ უნდა გამოვიყენოთ აბსოლუტური მიმართვა.

აბსოლუტური მიმართვისთვის გამოიყენება \$ ნიშანი. მაგალითად, A1-ში სურ. 155-ზე შეგვიძლია ჩავწეროთ 30% ან რაც იგივეა 0.3, და პრემიის გამოსათვლელად E3 უჯრაში ჩავწეროთ ფორმულა: =D3\*\$A\$1, ვიმოქმედოთ Enter ღილაკზე,

გავააქტიუროთ ხელახლა E3 უჯრა და მონიშვნის მარკერით განვავრცოთ E12 უჯრის ჩათვლით. როგორც ვხედავთ იცვლება პირველი არგუმენტები, მეორე კი უცვლელი რჩება. თუ \$A\$2-ის ნაცვლად ჩავწერთ ფარდობით მიმართვას: „=D3\*A1”, ვიმოქმედებთ Enter ღილაკზე და მონიშვნის მარკერით განვავრცობთ, მხოლოდ პირველ უჯრაში დაფიქსირდება სწორი მნიშვნელობა, დანარჩენ უჯრებში დაფიქსირდება „0”, რადგან ამ შემთხვევაში ადგილი ექნება ფარდობითი მისამართის გამოყენებას, A1-ის ქვემოთ შემდეგი უჯრები კი ცარიელია.

შედეგს მივიღებდით აგრეთვე თუ A1-ის ნაცვლად პირდაპირ 30 %-ს ჩავწერდით.

**შერეულია მიმართვა, როცა იცვლება სტრიქონის მისამართი და სვეტი - არა, ან**

A	B	C	D	E
1 0.3				
2	გვარი	სახელი	ხელფასი	პრემია
3	თოთაძე	ალექსანდრე	2500	=D3*\$A\$1
4	ჩოხელი	ნიკა	1800	
5	წიკლაური	გიორგი	1800	
6	ჯანხოთელი	ლაშა	2000	
7	შადური	ზექა	2500	
8	ბიბილაშვილი	ვოვა	1800	
9	ბაღაშვილი	გიორგი	1500	
10	ჯოჯუა	ზვიადი	1500	
11	ბექანიშვილი	ძაგული	1800	
12	ღონლაძე	გიორგი	1400	
13	ქართველიშვილი	რატი	1400	

სურ. 155. აბსოლუტური მისამართის გამოყენება

პირიქით, იცვლება სვეტი და არ იცვლება სტრიქონი, მაგალითად, ჩაწერა A\$2 ნიშნავს, რომ ფარდობითია სვეტის მიმართ და აბსოლუტური სტრიქონის მიმართ.

მიმართვა შეგვიძლია განვახორციელოთ ერთდროულად წიგნის რამოდენიმე ფურცლის ერთი და იგივე უჯრაზე ან უჯრათა დიაპაზონზე (სამგანზომილებიანი მიმართვა), მაგალითად:

=SUM(Sheet1:Sheet4, A1:C9) გამოითვლის Sheet1-დან დაწყებული Sheet4 ფურცლის ჩათვლით A1:C9 დიაპაზონის მთლიან ჯამს;

=Average(Sheet1:Sheet4, G4) გამოითვლის მთლიანად Sheet1-დან დაწყებული Sheet4 ფურცლის ჩათვლით G4 უჯრაში მოთავსებული მნიშვნელობების საშუალო არითმეტიკულს;

სამგანზომილებიანი მიმართვის დროს ფურცლების დიაპაზონის ჩასაწერად შეგვიძლია თაგვით ჯერ ვიმოქმედოთ პირველი ფურცლის სახელზე, ხოლო შემდეგ Shift კლავიშთან ერთად ბოლო ფურცლის სახელზე.

### 8.1.3 გუნდის განმარტება

ფუნქცია - ეს არის განსაზღვრული ფორმულა, რომლის მიხედვითაც წარმოებს გაანგარიშება მოცემული არგუმენტების მიხედვით განსაზღვრული თანმიმდევრობით. ფუნქციას გააჩნია სახელი და ფრჩხილებში არგუმენტების ჩამონათვალი). ზოგიერთ ფუნქციას არ გააჩნია არგუმენტი.

ზემოთ აღწერილი გაანგარიშება ფუნქციის სახით შეგვეძლო ასე ჩაგვეწერა:

=Product(A1;B1), სადაც Product არის გამრავლების ფუნქცია, ხოლო A1 და B1 ფუნქციის არგუმენტები.

A1 და B1 უჯრების მნიშვნელობათა შესაკრებად შეგვეძლო გამოგვეყენებინა ფუნქცია SUM:

=SUM(A1;B1).

ფუნქციის არგუმენტიც ასევე შეიძლება წარმოადგენდეს რიცხვს, ტექსტს, კონსტანტას, ფორმულას, ფუნქციას, მასივს, ლოგიკურ მნიშვნელობას, მიმართვას უჯრაზე და ა.შ.

ფორმულაში ოპერატორები შეიძლება იყოს არითმეტიკული, ლოგიკური (AND, OR,...), ტექსტური („&”)

### 8.1.4 პონსტანტა

კონსტანტა ეს არის მუდმივი სიდიდე, რომელიც გამოთვლის შედეგად არ არის მიღებული და შეიძლება სხვა სიდიდის გამოთვლაში მონაწილეობდეს.

მაგალითად ფორმულაში:

=\\$B\$2\*SUM(C3:G8)

§B\$2 წარმოადგენს მიმართვას უჯრის აბსოლუტურ, C3 და G8 - ფარდობით მისამართზე, SUM- ჯამის ფუნქციას ამ შემთხვევაში ხდება შეკრება C3:G8 დიაპაზონში განთავსებული რიცხვების, „\*” წარმოადგენს არითმეტიკულ ოპერატორს.

### 8.1.5 არითმეტიკული ოპერატორები

არითმეტიკული ოპერატორი	დანიშნულება	მაგალითები მათ გამოყენებაზე
+	შეკრება	=B3+G4; =4567+678
-	გამოკლება	=C4-F5; =4322-456
*	გამრავლება	=B2*G6; =56754/24
/	გაყოფა	=B2/G6; =670/560
%	პროცენტი	=40%; =C2*30% იგივე რაც =C2*0.3
^	ახარისხება	=B2^2; =567^3

### 8.1.6 ლოგიკური ანუ შედარების ოპერატორები

შედარების ოპერატორი	დანიშნულება
=	ტოლობის ნიშანი
>	მეტობა
<	ნაკლებობა
>=	მეტია ან ტოლი
<=	ნაკლებია ან ტოლი
◊	არ არის ტოლი

### 8.1.7. ტექსტური ოპერატორი – ამპერსანდი (&)

ტექსტური ოპერატორი ახდენს რამდენიმე ტექსტური მონაცემების გაერთიანებას:

#### მაგალითები გაერთიანებაზე:

გვარი	სახელი	გვარი და სახელი	
			=B3&" &C3
ბარამიძე	თამაზი	=B3&" "&C3	
მაღრაძე	მურთაზი	=B4&" "&C4	
ტიკი შვილი	მზია	=B5&" "&C5	
ლაგვილავა	ენერი	=B6&" "&C6	
პარკაძე	გივი	=B7&" "&C7	
გოგიჩაშვილი	ვაჟა	=B8&" "&C8	
შელქოშვილი	თინა	=B9&" "&C9	
სეთურიძე	რუსულანი	=B10&" "&C10	
ჩალიგავა	თემური	=B11&" "&C11	
ჯაფიაშვილი	ცირა	=B12&" "&C12	
გიორგობიანი	მაია	=B13&" "&C13	

B	C	D
<b>ორგანიზაციის კოდი</b>	<b>პროდ კოდი</b>	<b>შიფრი</b>
11	4456	114456
11	4457	114457
12	4456	124456
22	4458	224458
23	3333	233333
23	3334	233334

სურ. 156 მაგალითები გაერთიანების ოპერატორის &-ის გამოყენებით

“=B3&” “&C3” ჩაწერა ნიშნავს B3 უჯრის, პრაბელის და C3 უჯრის გაერთიანებას. თუ ჩაწერდით პრაბელთან გაერთიანების გარეშე: მაგ ასეთი სახით: =B3&C3, გვარს და სახელს შორის ცარიელი ადგილის გამოყოფა არ მოხდებოდა, ისე როგორც ეს ორგანიზაციის კოდისა და პროდუქციის კოდის გაერთიანების შემთხვევაში მოხდა (სურ.156).

#### პრიორიტეტები მოქმედებებზე:

- მიმართვის ოპერატორი (ორწერტილი, წერტილმძიმე, პრაბელი)
- პროცენტი
- სარისხში აყვანა
- გამრავლება და გაყოფა
- მიმატება და გამოკლება
- სიმბოლოთა (ტექსტური მონაცემების) გაერთიანება &
- შედარების ოპერატორები

#### მიმართვის მაგალითები:

C10 – მიმართვა უჯრაზე C სვეტისა და მე-10 სტრიქონის გადაკვეთაზე;

C10: C20 – უჯრების დიაპაზონზე C სვეტში მე-10-დან მე-20 –ს ჩათვლით;

C : C - მიმართვა C სვეტის ყველა უჯრაზე

5.5 – მიმართვა მე-5 სტრიქონის ყველა უჯრაზე;

5.9 – მიმართვა მე-5 და მე-9 სტრიქონის ყველა უჯრაზე;

Sheet1!B5 – მიმართვა Sheet1 ფურცლის B5 უჯრაზე;

Sheet3!A2:C20- მიმართვა Sheet3 ფურცლის A და C სვეტის მე-2 და მე-20 სტრიქონის უჯრების დიაპაზონზე;

[Book3]sheet2! A2:C20 – მიმართვა Book3 სამუშაო წიგნის Sheet3 ფურცლის A2: C20 დიაპაზონზე.

### R1C1 მიმართვების სტილი

R აღნიშნავს სტრიქონს, C - სვეტს

R[-2] C - მიმართვა იგივე სვეტში 2 სტრიქონით ზემოთ

R2C3 - მიმართვა 2 სტრიქონით ქვემოთ და 3 სვეტით მარჯვნივ

R[-2] - მიმართვა აქტიური უჯრიდან 2 სტრიქონით ზემოთ


R - აბსოლუტური მიმართვა მიმდინარე სტრიქონზე

სამგანზომილებიანი მიმართვის მაგალითი:

Sheet1:Sheet5!A1 – Sheet1 ფურცლიდან – Sheet5 ფურცლების A1 უჯრა

დაგიმახსოვროთ! ფორმულის ჩაწერას გიშევებთ ყოველთვის “=” ან “+” ნიშნით, ფორმულის ჩაწერის შემდეგ კი ვმოქმედებთ Enter ღილაპიჲე.

## 8.2 მარტივი გაანგარიშებები



სურ. 157 ხშირად

გამოსაყენებელი ფუნქციები


ხშირად გამოსაყენებელი ფუნქციები გამოიძახება Home/Editing ბრძანებათა ჯგუფში AutoSum ღილაპით. კერძოდ: Sum – დაჯამება, Average – საშუალო არითმეტიკული, Count Numbers – რაოდენობრივი სიდიდეების დათვლა, Max – მაქსიმალური მნიშვნელობის პოვნა, Min – მინიმალური მნიშვნელობის პოვნა,

ხოლო More Functions-ზე (სურ. 157)

მოქმედებით იხსნება ფანჯარა (სურ. 158, სადაც შეგვიძლია ნებისმიერი ფუნქციის გამოძახება.

ფუნქციის ადვილად პოვნის მიზნით შეგვიძლია Select a category დიალოგურ გელში (სურ. 166) მივუთითოთ კატეგორია, მაგ., Financial -ფინანსური, Select a function კელში მოხდება მხოლოდ ფინანსური ფუნქციების გამოტანა, სადაც უფრო ჩეარა შეგვეძლება ჩვენი ფუნქციის პოვნა.

კატეგორიაში თუ მივუთითებთ All-ს, მაშინ ყველა სახის ფუნქცია ჩამოითვლება..



სურ 158 ფუნქციების ოსტატის გამოძახება

ფუნქციის არჩევის  
შემთხვევაში გმოქმედებო  
OK-ზე.

**მაგალითი:** გეგიტანო  
მონაცემები სურ. 159-ის  
მიხდვით და ვიპოვო  
თანხა რაოდენობის ფასზე  
გამრავლებით, ასევე  
შევავსოთ გრაფები "სულ",  
"ხაზ არითგ", "გაებ" და  
"ძინ".

**მითითება:** I ვარიანტი:

1. გავაძებიუროთ უჯრა F3, დავწეროთ „=”, ვიმუქმედოთ D3-ზე, დავწეროთ გამრავლება (\*) დავაწეროთ ახლა E3-ზე და ვიმუქმედოთ Enter-ზე ;
2. გავაძებიუროთ ისევ F3 უჯრა და მონიშვნის მარკერით განვავრცოთ F8-ის ჩათვლით. ამ შემთხვევაში გამოიყენება ფარდობითი მისამართი, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ F3 უჯრაში ჩაწერილა ფორმულა “=D3\*E3”, F4 უჯრას თუ გავაძებიურებთ და ფორმულის ზოლს შევხედავთ, მასში დაფიქსირებული იქნება ფორმულა: “=D4\*E4”, ყოველი ერთი უჯრით ქვემოთ ჩამოსვლისას ფორმულაში მონაწილე უჯრების მისამართიც იცვლება. ეს ნათლად ჩანს სურ. 161-დანაც, სადაც შედეგების ნაცვლად მათი მიღების ფორმულებია დაფიქსირებული.
3. გავაძებიუროთ D9, და ორჯერ ვიმუქმედოთ Autosum-ზე. შედეგი განვავრცოთ.

ასევე ვიანგარიშოთ დანარჩენი ფუნქციები, მხოლოდ ხელახლა მოვნიშნოთ მონაცემების არე და ისე ვიმუქმედოთ Enter-ზე.

**II ვარიანტი ჯამისთვის:**

1. გავააქტიუროთ D9, ხადაც გვხერხს შედეგის ჩაწერა;
2. ჩაგწეროთ ფორმულა: =Sum((D3:D8) და ვიძოქმედოთ ok-ზე.

ანალოგიურად ვიქცევით Sum-ის მაგივრად Average, Max და Min ფუნქციების დროსაც.

A	B	C	D	E	F
1					
2	რიგი	პროდუქციის დასახელება	რაოდენობა	ფასი (ლარებში)	თანხა
3	1	კლავიატურა	456	21	9576
4	2	მონიტორი	234	22	5148
5	4	პროცესორი	500	140	70000
6	5	თაგვი	600	12	7200
7	6	კვების ბლოკი	55	80	4400
8	6	ვინჩესტერი	345	170	58650
9	<b>სულ</b>		<b>2190</b>	<b>445</b>	<b>154974</b>
10	<b>საშ. არითმება</b>		365	74	25829
11	<b>მაქს.</b>		600	170	70000
12	<b>მინ</b>		55	12	4400

სურ. 159 ფორმულების გამოყენება

### 8.3 ფორმულის კოპირება


ფორმულის კოპირება როგორც უკვე ადრე აღვნიშნეთ, შეგვიძლია როგორც Copy/paste-თი, ასევე ბუფერის ფანჯრიდან Copy/ paste Formulas-საშუალებით Paste-ს სამკუთხა ისარზე ჩამოშლილი სიიდან;

ფორმულის კოპირება როგორც მნიშვნელობა – Copy/ paste value

#### 8.3.1 შედეგების ნაცვლად ფორმულის გამოსახვა

როგორ გამოვსახოთ შედეგების ნაცვლად ფორმულები?

ვიმოქმედოთ ბრძანებათა თანმიმდევრობით: Formulas/Formula Auditing>Show Formulas (სურ. 160)



სურ. 160 შეღეგის ნაცვლად ფორმულების ჩვენება

ჩვენი ცხრილის ბოლო სამი სვეტი (სადაც ფორმულები იყო გამოყენებული) მიიღებს ასეთ სახეს (იხ. სურ.161). ფორმულის ნაცვლად კვლავ შედეგების გამოსაჩენად იმავე ღილაპაჟე Show Formulas-ზე უნდა ვიმოქმედოთ.

#### 8.4 ცვლადის შემცველი გამოსახულებების გაანგარიშება

ცვლადის ან ცვლადების სხვადასხვა მნიშვნელობებისათვის გამოსახულების ან ფორმულის მიხედვით გამოთვლების საწარმოებლად Excel-ის სამუშაო ფურცელზე

D	E	F
რაოდენობა	ფასი (ლარებში)	თანხა
456	21	=D3*E3
234	22	=D4*E4
500	140	=D5*E5
600	12	=D6*E6
55	80	=D7*E7
345	170	=D8*E8
=SUM(D3:D8)	=SUM(E3:E8)	=SUM(F3:F8)
=AVERAGE(D3:D8)	=AVERAGE(E3:E8)	=AVERAGE(F3:F8)
=MAX(D3:D8)	=MAX(E3:E8)	=MAX(F3:F8)
=MIN(D3:D8)	=MIN(E3:E8)	=MIN(F3:F8)

სურ. 161 შეღეგის ნაცვლად ფორმულების ჩვენება

წინასწარ უნდა ჩაგრეროთ ეს ცვლადები მათი რომელიმე მნიშვნელობებით და


მივუთითოთ ამ ცვლადების მდებარეობა საწყისი მნიშვნელობების მიმართ. მაგ., X -

ის და Y-ის სხვადასხვა მნიშვნელობებისთვის გავიანგარიშოთ გამოსახულება:  $X^2+Y$

სურ. 162 ცვლადებისთვის სახელების განსაზღვრა

X და Y ჩავწეროთ ვერტიკალურად და მოვნიშნოთ მათ გვერდით ორ უჯრასთან ერთად (სადაც ამ ცვლადების მნიშვნელობები ჩაიწერება) თავდაპირველ მნიშვნელობებთან 4 და 2-თან ერთად, როგორც ეს სურ. 162-ზეა:

ვიმოქმედოთ ლენტადან Formulas ჩანართიდან Defined names ბრძანებათა ჯგუფში Create From Selection, გნახავთ რომ გამოსულ ფანჯარაში ავტომატურად გააქტიურებული იქნება უკვე Left Column, რადგან მონიშნულ ველში ცვლადები მნიშვნელობების მარცხნივ არიან განსაზღვრული. რომელიმე თავისუფალ უჯრაში ჩავწეროთ გამოსახულება:  $=X^2+Y$  და ვიმოქმედოთ Enter კლავიშზე. ჩაიწერება გამოთვლის შედეგად მიღებული მნიშვნელობა 18. ცვლადების სხვა მნიშვნელობებისთვის 4 და 2 შევცვალოთ მაგ., 5 და 1-ით და ისევ ვიმოქმედოთ



სურ. 163 სხვადასხვა მდებარეობის მიხედვით ცვლადების დაფიქსირება

ცორმულის უჯრაზე. მივიღებთ მნიშვნელობას 26-ს და ა. შ.

ჩვენ განვიხილეთ შემთხვევა, როცა ცვლადები საწყისი მნიშვნელობების მიმართ მარცხნივაა განლაგებული, ცვლადებს შეიძლება ჰქონდეთ აგრეთვე ზედა, ქვედა და მარჯვენა მდგომარეობაც საწყისი მნიშვნელობების მიმართ, ამ შემთხვევაში მონიშვნაც შესაბამისი იქნება (იხ. სურ. 163).

**მაგალითი:** ამოვიდოთ კვადრატული ფენის სხვადასხვა რიცხვებიდან:

მითითება: B2 და C2 უჯრებში ჩავწეროთ X და 25 როგორც ეს სურ. 164-ზე, მოვნიშნოთ ეს ორივე უჯრა და ვიმოქმედოთ Formulas/Defined Names პრანანებათ

A	B	C
1		
2	X	25
3	პასუხი	=SQRT(X)

სურ. 164 კვადრატული ფესვის  
ამოღება სხვადასხვა რიცხვებიდან

ჩვეულების Create from Selection ღილაკზე და Left Column დაფიქსირების შემდეგ ვიმოქმედოთ პრანანებაზე Ok. C3 უჯრაში ჩავწეროთ ფორმულა, რომელიც მოიცავს კვადრატული ფესვის ამოღების ფუნქციას =SQRT(X), როგორც ეს ხურაობა და ვიმოქმედოთ Enter-ზე. 25-ის ნაცვლად შევიტანოთ ხევა რიცხვი, მივიღებთ ამ რიცხვიდან ფესვს და ა. შ.

**მაგალითი:** შევიტანოთ მონაცემები აღნიშნული ცხრილის მიხედვით (იხ. სურ. 165) და გამოვითვალოთ გამომუშავება, პრემია, რომელიც გამომუშავების 30 %-ს შეადგენს და ხელზე გასაცემი თანხა.

გამომუშავება ვიანგარიშოთ შემდეგნაირად:

1. გავააქტიუროთ (ვიმოქმედოთ თაგვით) გამომუშავების სვეტის მონაცემების პირველი უჯრა E4 (სურ. 173).

A	B	C	D	E	F	G
1						
2						
3	გვარი	ნამუშევარი	ანაზღაურება (ფლოურ)	გამომუშავება	პრემია	ხელშეგასაცემი თანხა
4	ჯიქია	25	20	=C4*D4		
5	ჭირია	23	20			
6	ბლუაძე	15	25			
7	დარასელია	22	20			
8	ნოდია	12	20			
9	ლომისაძე	20	25			

სურ. 165. ხელზე გასაცემი თანხის გაანგარიშება

2. ჩავწეროთ ამ უჯრაში ფორმულა: =C4\*D4 ან ჩავწეროთ ტოლობის ნიშანი და თაგვით ვიმოქმედოთ C4 უჯრაზე, ჩავწეროთ გამრავლების ნიშანი და შემდეგ ისევ მოვნიშნოთ ანუ თაგვით ვიმოქმდოთ D4-ზე (ასე უფრო სწრაფად ხდება ფორმულის ჩაწერა).

3. ვიმოქმედოთ Enter კლავიშზე და მონიშვნის მარკერით განვავრცოთ E9 უჯრის ჩათვლით.
4. გავააქტიუროთ პრემიის სვეტის უჯრა F4
5. ჩავწეროთ ამ უჯრაში (F4) ფორმულა: =E4\*30%, ან =E4\*0.3 აქაც შეგვიძლია დაგწეროთ ტოლობის ნიშანი და შემდეგ ვიმოქმედოთ E4-ზე, რომ თვითონ ჩაიწეროს და შემდეგ მივწეროთ გამრავლება 30%-ზე. ვიმოქმედოთ Enter კლავიშზე და მონიშვნის მარკერით განვავრცოთ F9 უჯრის ჩათვლით.
6. ხელზე გასაცემი თანხა ვიანგარიშოთ შემდეგნაირად: ჩავწეროთ G4 უჯრაში ფორმულა: =E4+F4. ვიმოქმედოთ Enter კლავიშზე და მონიშვნის მარკერით განვავრცოთ G9 უჯრის ჩათვლით.

### კონკრეტული და საგარჯო შემთხვევები:


გამოვითვალოთ  $a^3+2b$  მნიშვნელობები  $a=5$   $b=10$   $a=3$   $b=5$  სხვადასხვა მნიშვნელობებისთვის, კერძოდ, 1.  $a=5$ ,  $b=10$  2.  $a=3$ ,  $b=5$

შემთხვევა: გამოსახულება ჩაიწერება ასე:  $=a^2+2*b$

## 8.5 ფორმულების შემოწმება, აუდიტინგი

### 8.5.1. უჯრების შორის დამოკიდებულება

ფორმულების შემოწმება, აუდიტინგი ლიტერატურაში ხშირად მოიხსენიება



როგორც  
ტრასირება  
ფორმულასა და  
უჯრის კავშირს  
შორის.

სურ. 166 უჯრების დამოკიდებულება

Excel-ის ფურცელზე ზოგიერთი მონაცემი წარმოადგენს კონსტანტას, მუდმივ სიდიდეს, ზოგი - გამოთვლის შედეგად მიღებულ სიდიდეს, ანუ ფორმულას. თუ

გვსურს გავიგოთ ფორმულა რომელი უჯრების ზემოქმედებით მიიღება, უნდა მოვნიშნოთ იგი, გავააქტიუროთ და ვიმოქმედოთ მენიუს სტრიქონიდან Formulas /Trace Precedents დილაპზე (იხ. სურ. 166), მაგალითად 56-ის და 78-ის ნამრავლის გამოთვლის შემდეგ ამ უჯრაში ფიქსირდება მნიშვნელობა 3510. თუ დავაყენებოთ მიმთითებელს ამ უჯრაზე და ვიმოქმედებოთ Formulas-ში დილაპზე Trace Precedents, დავინახავთ ისრებს, რომლებიც მიუთითებენ იმ უჯრებზე, რომელთა მნიშვნელობებიც ამ ფორმულის გამოთვლაში მონაწილეობენ.

Formulas/Trace Dependents კი გვიჩვენებს რომელი საწყისი სიდიდე სად დებულობს მონაწილეობას, ანუ რომელი უჯრის სიდიდეების, ან ფორმულის გამოთვლაში იდებს მონაწილეობას.

თუ გვსურს ისრების წაშლა, უნდა ვიმოქმედოთ ამავე ჩანართიდან დილაპზე - **Remove Arrows.**

აქტიური ფურცლის უჯრებთან კავშირისას ისრები არის ლურჯი ფერის, ხოლო სხვა ფურცლის (აქტიური ან სხვა წიგნის) უჯრებთან კავშირისას – შავი ფერის წყვეტილი ხაზი.

**დაგალება 5:** Sheet2-ის B1 უჯრაში ჩავწეროთ 2 და A3-ში გამოვითვალოთ A1, B1 უჯრის და Sheet2-ზე B1-ის ნამრავლი, ისე როგორც ეს ფორმულის ზოლში წერია. ვნახოთ რომელი სიდიდეები მონაწილეობენ A3 უჯრის მნიშვნელობის მიღებაში.

A3					f <sub>x</sub>	=A1*B1*Sheet2!B1
A	B	C	D	E		
1	45	78		123		
2						
3	7020					
4						
5						

## 8.5.2 ფორმულის შემოწმება


ფორმულის შემოწმება შესაძლებელია ლენტაზე Formula Auditing ბრძანებათა ჯგუფიდან (სურ. 167). ამ ჯგუფში შესაძლებელია დავადგინოთ ფორმულით მიღებული შედეგისთვის რა მოქმედებები შესრულდა ნაბიჯ-ნაბიჯ.

The screenshot shows the Microsoft Excel ribbon with the 'Formula Auditing' tab selected. Below the ribbon, a table is displayed with data in columns A, B, C, and D. Row 3 contains the formula  $=C3/\$C\$10$  in cell B3. Red arrows point from the ribbon icon to the formula in cell B3 and from the formula in cell B3 to the value 0.21 in cell D3. The table data is as follows:

	A	B	C	D
1				
2		თრგანიზაცია	საქაელმ. ფონდში გადარიცხული თანხა (ლარებში)	ნა. წილი
3	ერთობა	20000		0.21
4	ახალგაზრდობა - სტაბილურობისა და მშვიდობის გარანტი	40000		0.43
5	ნატახტარი	2000		0.02
6	ლიტ სალონი საგულისონი	500		0.01
7	არტ სალონი	750		0.01
8	სანთეჭი	800		0.01
9	თოლია	30000		0.32
10			94050	

სურ. 167. მაგალითი ფორმულის შემოწმებისთვის

დასაწყისიდან დასასრულამდე (ბრძანება - Evaluate Formula); შესაძლებელია აგრეთვე შეცდომის სახის (ბრძანებით Error checking) და შეცდომის წყაროს (ბრძანებით Trace Errors) დადგენა.




სურ. 168. მოქმედებების თანმიმდევრობების ნახვა

გადარიცხული თანხის შეფარდებით მთლიან თანხასთან. ამისთვის გავააქტიუროთ უჯრა D3 და ჩავწეროთ ფორმულის ზოლში მითითებული ფორმულა, ვიმოქმედოთ

Enter-ზე და განვავრცოთ დანარჩენი უჯრებისთვისაც. ვნახოთ D3 უჯრისთვის რა მოქმედებათა თანმიმდევრობა დაგჭირდა. ამისთვის გავააქტიუროთ D3 და ვიმოქმედოთ ბრძანებაზე: Evaluate Formula. იხსნება მისი ფანჯარა, სადაც Evaluate-ზე მოქმედებით ჩნდება შესრულების ბიჯი (სურ. 168), ხოლო Step In დილაპზე მოქმედებით ფანჯრის მარცხენა მხარეს მოხდება მისამართების წარმოდგენა იერარქიული სტრუქტურით. Step in დილაპით შესაძლებელია მოცემული ბიჯის გათვლებში მონაწილე უჯრების მისამართების იერარქიული სტრუქტურით წარმოდგენა.

### როგორ დავადგინოთ შეცდომის სახე?

შეცდომების არსებობის შესამოწმებლად უნდა ვიმოქმედოთ Formulas/Formula Auditing/Error Checking პიქტოგრამაზე (სურ. 167).



სურ. 170 შეცდომიანი უჯრის მითითება

**მაგალითი:** D3 უჯრაში C10-ის ნაცვლად მივუთითოთ C11, (=C3/\$C\$11) და ვიმოქმედოთ Enter-ზე. უჯრაში დაფიქსირდება შეცდომა - “**№ IV/0!**”. შეცდომის სახის დასაღინად ვიმოქმედოთ Error Checking პიქტოგრამაზე: გაიხსნება შეცდომების შემოწმების დიალოგური ფანჯარა (სურ. 170), სადაც მარცხნივ მითითებულია შეცდომა რომელ უჯრაშია (Error in cell D3 - შეცდომა არის D3 უჯრაში), შეცდომის სახე (რომ გაყოფილია ნულზე - Devide by Zero).

**როგორ მოვძებნოთ საიდან მოდის შეცდომა, ანუ შეცდომის წყარო?** ამისათვის გავააქტიუროთ შეცდომიანი უჯრა და ვიმოქმედოთ Error Checking/Trace errors (სურ. 167).

იხსნება ფანჯარა, სადაც ისრებით კარგად ჩანს, თუ რომელი სიდიდეები დებულობენ მონაწილეობას ამ შედეგის გამოთვლაში, და ცხადად ჩანს, რომ ცარიელი უჯრაც მონაწილეობს (სურ. 171).

The screenshot shows the Microsoft Excel ribbon with the 'Formulas' tab selected. In the 'Formula Audit' group, the 'Error Checking' button is highlighted. A red arrow points to the 'Trace Error' option in the dropdown menu. Below the ribbon, a table is displayed with the following data:

A	B	C	D
	თრგანიზაცია	საქველმ. ფონდში გადარიცხული თანხა (ლარებში)	ხვ. წილი
3	ერთობა	20000	IV/0!
4	ახალგაზრდობა - სტაბილურობისა და მშენიდვის გარანტი	40000	0.43
5	ნატასტარი	2000	0.02
6	ლიტ. სალონი	500	0.01
7	საგულისონი	750	0.01
8	სანთელი	800	0.01
9	თოლია	30000	0.32
10		<b>94050</b>	
11			

სურ. 171 შეცდომის წყაროს პოვნა

უჯრას, რომელზედაც ვაწარმოებოთ ფორმულის შემოწმებას, საკონტროლო უჯრას ვუწოდებთ. საკონტროლო უჯრის შემოწმება შეგვიძლია მისი გააქტიურებით და Watch Window პიქტოგრამაზე (სურ. 167) მოქმედებით. ეპრანზე გამოვა საკონტროლო ფანჯარა, სადაც ვიმოქმედებთ “Add Watch” ღილაკზე. იხსნება შესაბამისი ფანჯარა, სადაც მიეთითება მოცემული უჯრის პარამეტრები: Book, Sheet, Name, Cell, Value, Formula - შესაბამისად:

წიგნი, ფურცელი, რომელსაც ეს უჯრა ეპუთვნის, სახელი, თუ აქვს მინიჭებული, მნიშვნელობა, ფორმულა. გვსურს (სურ.168).

“Add Watch” ღილაკზე ყოველი მოქმედებისას გამოდის ფორმულის შესრულების ბიჯი.

საკონტროლო უჯრის წასაშლელად შეგვიძლია მივუთითოთ Delete Watch.

## 8.6 გამოთვლების დროს ხშირად დაშვებული შეცდომების სახეები

არასწორი გამოთვლების დროს ხშირად გვხვდება შეცდომები, მდგომარეობის გამოსწორების მიზნით სასურველია თუ გვეცოდინება რაში მდგომარეობს ესა თუ ის შეცდომა. ყველა შეცდომას აქვს სხვადასხვა მიზეზი და სწორდება სხვადასხვა გზით. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში განხილულია შეცდომის სახეები და მათი დანიშნულებები:


შეტყობინება შეცდომაზე	შეცდომის ახსნა
#####	გამოთვლის შედეგად მიღებული სიდიდე ვერ გტევა აქტიურ უჯრაში, ან თარიღი/დრო მითითებულია უარყოფითი რიცხვით
#DIV/0!	ადგილი აქვს რიცხვის გაყოფას ნულზე
#VALUE!	არგუმენტის ან ოპერანდის არასწორი ტიპის გამოყენება
#REF!!	არასწორი უჯრის მისამართი
#NAME?	MS Excel ვერ ცნობს ტექსტს ფორმულაში.
#NUM!	არასწორი რიცხვითი სიდიდე
#N/A	მიუღებელი სიდიდე ფორმულაში ან ფუნქციაში

## 8.7 მაკროსი

მაკროსი უზრუნველყოფს რამოდენიმე ბრძანების ერთდროულად შესრულებას. მაგალითად, ხცელის ნებისმიერ წიგნში სამუშაოდ ხშირად გვიხდება ერთი და იგივე ბრძანებების შესრულება, კერძოდ:

შრიფტის ფერის (მაგ. მუქი წითელი), ზომის (მაგ. 10) არჩევა, Wrap Text-ის დაფიქსირება, რათა ერთ უჯრაში მოხდეს მონაცემთა შეტანის დროს მისი განთავსება (თუ მონაცემი დიდია, მაშინ რამოდენიმე სტრიქონად), ხოლო მონაცემის განთავსება ხდებოდეს უჯრის შუაში. როგორც ვხედავთ ოთხი ბრძანების შესრულება გვიწევს, მაკროსის შემთხვევაში ამ ოთხი ბრძანების შესრულება შესაძლებელია ერთ ბრძანებად კლავიატურიდან რომელიმე დილაქთა კომბინაციით.

მაკროსის შესაქმნელად გმოქმედებთ ლენტაზე View ჩანართის Macros პრძანებათა



სურ. 172 მაკროსის ჩაწერა

ჯგუფში Record Macro. იხსნება მაკროსის ფანჯარა, სადაც Macro name (მაკროსის სახელი) დიალოგურ ველში ავტომატურად დაფიქსირებულია მაკროსის სახელი, მის ნაცვლად შეგვიძლია სხვა სახელის ჩაწერა.

Shortcut key (იხ. სურ.172) დიალოგურ ველში ანბანის რომელიმე ასოს ჩასამელად კურსორს დავაყენებთ ამ ველში და ვიმოქმედებთ კლავიტურიდან შესაბამის სიმბოლოზე. CTRL-დილაკთან ერთად ამ სიმბოლოზე მოქმედებით მოხდება სწორედ ჩვენს მიერ შექმნილი მაკროსის შესრულება ანუ თვლაზე გაშვება (Run). უნდა ვეცადოთ არ დავუნიშნოთ ისეთი სიმბოლო, რომ მასთან ერთად CTRL კომბინაციას უკვე ჰქონდეს დანიშნული ფუნქცია, მაგ. C რომ დავუნიშნოთ, მივიღებთ კოპირებას.

Store macro in დიალოგურ ველში ისრის საშუალებით იშლება ჩვენს მიერ შექმნილი მაკროსის მოქმედების არის სია. Personal macro Workbook-ის შერჩევისას, მაკროსის მოქმედება გავრცელდება ნებისმიერ წიგნში მუშაობისას.

This Workbook- ის შერჩევისას მაკროსი იმოქმედებს მხოლოდ იმ წიგნში, სადაც მოხდა მისი შექმნა.

New Workbook- ის შერჩევისას მაკროსი იმოქმედებს ყოველ ახალ წიგნში.

Description (აღწერა) ველში შეგვიძლია ჩაგვიტროთ რაიმე კომენტარი შექმნილი მაკროსის შესახებ.

მაკროსის ჩაწერა (მაკროსის მიერ შესასრულებელი ბრძანებების შესრულების შემდეგ) მთავრდება ისევ View ჩანართის გააქტიურებით და Macros ბრძანებათა ჯგუფში Stop Record-ზე მოქმედებით.

**მაგალითი:** შევქმნათ მაკროსი სახელით: “Info”. ამ მაკროსის გაშვებით უნდა ხდებოდეს Wrap text-ის ჩართვა (უჯრაში მონაცემები განლაგდებიან რამდენიმე სტრიქონად, თუ ზომით დიდია) შრიფტი - acadnusx, შრიფტის ფერი - მუქი წითელი, ზომა - 10, ჩარჩო - მუქი ლურჯი. მაკროსის შესრულების ბრძანებას დაკუნიშნოთ ღილაკთა კომბინაცია: [Ctrl]+K.

**მითითება:**

ვიმოქმედოთ ლურჯიადან View /Macros/Record Macro

გახსნილ ფანჯარაში [Ctrl]-ის შემდეგ პატარა ოთხცუთხედში ჩავწეროთ K და ავირჩიოთ Personal macro Workbook.

გადავიდეთ Home ჩანართზე, მოვნიშნოთ გარკვეული არე და ვიმოქმედოთ Wrap text -ზე, ავირჩიოთ შრიფტი acadnusx, შრიფტის ფერი - მუქი წითელი,, ზომა - 10 და ჩარჩო მუქი – ლურჯი.

გადავიდეთ View ჩანართზე და Macros-ში ვავააქტიუროთ ბრძანება Stop Record.

დავაყენოთ თაგვის მიმთითებელი რომელიმე უჯრაზე და ვიმოქმედოთ კლავიშთა კომბინაციით: [Ctrl]+K. (+ ნიშანზე არ ვმოქმედებთ, იგი უბრალოდ მიუთითებს, რომ CTRL და K-ზე ერთად უნდა ვიმოქმედოთ).

### როგორ მოვახდინოთ მაკროსის რედაქტირება?

მაკროსის რედაქტირება - მაგ. შეცვლა შესაძლებელია ლენტის იმავე View ჩანართიდან: View/Macros/ View Macros.

გახსნილ ფანჯარაში მოვნიშნავთ შესაცვლელ მაკროსს და ვიმოქმედებთ ბრძანებაზე - Edit. ცვლილებების შეტანის შემდეგ ვმოქმედებთ ბრძანებაზე – Close.

## 8.8 პიპერკავშირი

პიპერკავშირი, იგივე პიპერლინკი წარმოადგენს აქტიური წიგნიდან კავშირის დამყარების საშუალებას რომელიმე ერთ ობიექტთან, რომელიც სხვადასხვა ტიპის შეიძლება იყოს.


ერთდროულად მხოლოდ ერთ ობიექტთან შეგვიძლია მიმართვა. პიპერკავშირის დროს უჯრაში ჩანს ლინკის სახელი ან მისამართი ამ ობიექტის, რომელზედაც თაგვის მოქმედებისას იხსნება შესაბამისი ობიექტი.

პიპერკავშირის შექმნის გზა:

- ვაპტიურებთ უჯრას, სადაც გვსურს ჩაისვას ობიექტის ლინკი (ფაილის გამოძახება) და ვმოქმედებთ Insert/Hiperlink ბრძანებათა თანმიმდევრობით.
- უჯრის კონტექსტური მენიუ/ Hiperlink
- CTRL+K დილაკთა კომბინაციით

სამივე შემთხვევაში იხსნება ფანჯარა Edit /Hiperlink (სურ.173), სადაც Text to Display ველში შეგვაძეს რაიმე სიმბოლოთა თანმიმდევრობა, ან სახელი, რომელზე მოქმედების შედეგადაც იხსნება არჩეული ფაილი. სახელის არმითითების შემთხვევაში აქტიურ უჯრაში ობიექტის მისამართი განთავსდება.

პიპერკავშირის შექმნის შემდეგ აქტიურ უჯრაში ჩნდება ლინკი, რომელზე მოქმედებითა იხსნება აღნიშნული ობიექტი.



როგორც სურ. 173-დანაც ჩანს, კავშირის ობიექტი შეიძლება იყოს არა მხოლოდ სხვა ნებისმიერი ტიპის faili (Existing File), არამედ ვებ-გვერდიც (Web Page), ადგილი მოცემულ ფაილში (Place in this document), ელ. ფოსტაც (E-mail Address) და ფაილიც, რომელიც ახლა იქმნება (Create New Document).

ვეღწი Look in ხდება არჩეული ფაილის მისამართის ძებნა მიმდინარე ფოლდერებში (Current Folder), განხილულ გვერდებში (Browsed Pages), და ბოლოს ნანახ ფაილებში (Recent Files). ფილის შერჩევა სრულდება მოქმედებით OK- ზე.

### **როგორ მოვახდინოთ პიპერკავშირის შეცვლა?**

ლინკის სახელის უჯრის კონტექსტური მენიუდან ბრძანებით EdiT Hiperlink შესაძლებელია კავშირის ობიექტის შეცვლა

### **როგორ მოვახდინოთ პიპერკავშირის გაუქმება?**

- იმ უჯრის გააქტიურებით, სადაც ლინკის სახელია და Delete ღილაპიებით მოქმედებით
- ლინკის სახელის უჯრის კონტექსტური მენიუდან ბრძანებით - Remove Hiperlink

კითხვები და სავარჯიშოები:

1. რას წარმოადგენს პიპერკავშირი?
2. რა საშუალებები არსებობს პიპერკავშირის შესაქმნელად?
3. შესაძლებელია თუ არა ერთი ლინკით ერთდროულად რამოდენიმე ობიექტთან მიმართვა?
4. რომელი ჩანართიდანაა შესაძლებელი პიპერკავშირის ჩასმა?
5. რომელი ველის დახმარებით ვახდენთ კავშირის ობიექტის ძებნას?
6. რას ვუთითებთ პიპერკავშირის ჩასმის ფანჯარაში „Text to display“ ველში და საჭიროა თუ არა ამ პარამეტრის შევსება?
7. პიპერკავშირის მისამართმა Excel-ში დაიკავა რამოდენიმე უჯრა. რომელ უჯრაზე უნდა ვიმოქმედოთ ლინკის გასააქტიურებლად?
8. G1 უჯრაში შევქმნათ \*.jpg ტიპის (გრაფიკული ტიპის: სურათი და ა. შ.) ფაილის ლინკი სახელით „სურ. 1“.
9. რა დანიშნულება გააჩნია პიპერკავშირის ჩასმის ფანჯარაში „Look in“ ველს?

## IX თავი. ფუნქციები

### 9.1 ფუნქციები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფუნქცია ეს არის წინასწარ შედგენილი ფორმულის მიხედვით გამოთვლების წარმოება.

ფუნქციას ზოგადად აქვს შემდეგი სახე:

=f(X<sub>1</sub>, X<sub>2</sub>, . . . ), სადაც f წარმოადგენს რომელიმე ფუნქციას, ხოლო X<sub>1</sub>, X<sub>2</sub>, . . . მონაცემებს, რომელთაც არგუმენტებს უწოდებენ. არგუმენტები მრგვალ ფრჩხილებში უნდა განთავსდეს. არგუმენტების რაოდენობა შესაძლებელია 255 – მდე აღწევდეს, ზოგიერთი არგუმენტი შესაძლებელია თვითონაც ფუნქციას წარმოადგენდეს. ასეთ ფუნქციას “ჩადგმულ”<sup>7</sup> ფუნქციას უწოდებენ. მათმა რაოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს 64-ს. რამოდენიმე ფუნქციას არ გააჩნია არგუმენტი, მაგ., თარიღის ზოგიერთ ფუნქციას.

Excel-ის ფუნქციები დაჯგუფებულნი არიან სხვადასხვა კატეგორიებად, მაგ., მათემატიკურ, ტექსტურ, ფინანსურ, სტატისტიკურ და ა.შ. ფუნქციათა ბიბლიოთეკაში (სურ.174) განთავსებულია შემდეგი კატეგორიის დილაქტი: Financial – ფინანსური, იგი მოიცავს 50-მდე სახის ფინანსურ ფუნქციას, ფუნქციებს მარტივ ფულად ნაკადებთან სამუშაოდ, ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ ფუნქციებს, ამორტიზაციის ანარიცხების გაანგარიშების ფუნქციებს და ა.შ. (PV, FV, Pmt, Rate, Nper, NPV, IRR, SLN, Effect, Nominal...).

Logical – ლოგიკური, 7-მდე სახის ფუნქციას მოიცავს: ლოგიკური გამრავლების, შეკრების, შედარების და ა.შ. ფუნქციებს (And, Or, IF, ...).

Text – ტექსტური, ამ კატეგორიაში 20-ზე მეტი ფუნქციაა, გაერთიანების, სტრიქონიდან სიმბოლოების ამოღების და ა.შ (Concatenate, Left, Right, Mid,...).

Date & Time – თარიღის და დროის, მასში ჩართულია 20-მდე ამ კატეგორიის ფუნქცია (Today, Now,...).

<sup>7</sup> ზოგიერთ ლოგიკატურაში ასეთი ფუნქციები ”ჩაბანდებული ფუნქციების” სახელწოდებითაცაა მოხსენიებული.

Lookup\$Reference – ბმულები და მასივები, მოიცავენ 18 – მდე ფუნქციას (Hlookup, Vlookup, Choose , Match, ...).

Math&Trig – მათემატიკური, მოიცავს 60 ფუნქციას სხვადასხვა სახის გაანგარიშებებისთვის (Abs, Sum, Sqrt, Round, ...) დანარჩენი 4 კატეგორია ღიად არ ჩანს ფუნქციათა ბიბლიოთეკაში და ამ კატეგორიებით სარგებლობა შეგვიძლია More Functions საბრძანებო ღილაკზე მოქმედებით. ამ 4 კატეგორიას განეკუთვნება: Statistical – სტატისტიკური, მოიცავს 80-ზე მეტ ფუნქციას: საშუალო სიდიდეების, უდიდესი და უმცირესი რიცხვების, კორელაციის, კოვარიაციის და ა. შ. (Age, Max, Min, Correl, Covar, ...).

Engineering – საინჟინრო, მოიცავს 39 ფუნქციას: კომპლექსურ ცვლადებთან მუშაობის, რიცხვების ერთი განზომილებიდან მეორეში გადაყვანის და ა. შ (Complex, Inproduct, Delta, ...)

Cube – ანალიტიკური, მოიცავს 7 ფუნქციას მონაცემთა ანალიზისათვის (Cubevalue, Cubeset,...), ამ კატეგორიის ფუნქციები გამოიყენებიან სიებში ან მონაცემთა ბაზებში განთავსებული მონაცემთა ანალიზისათვის.

Information-ინფორმაციული, მოიცავს 20 ფუნქციას და იძლევა ინფორმაციას უჯრის შემცველობის შესახებ (Isodd, Iseven, Type, ...). ეს ფუნქციები ამოწმებენ უჯრის სიდიდეებს, აანალიზებენ შეცდომებზე შეტყობინებებს და ა. შ.

ფუნქციები თითოეული კატეგორიის მიხედვით განიხილება შემდეგში.

Excel-ის თითოეული ფუნქციის დანიშნულება და გამოყენების მაგალითები შეგვიძლია ვნახოთ აგრეთვე ხცელის საცნობარო სისტემაში.


ფუნქციათა ბიბლიოთეკაში Recently Used სიაში ჩამოთვლილია ბოლო დროს გამოყენებული ფუნქციები. ხცელის თითოეული ფუნქციის დანიშნულება და გამოყენების მაგალითები შეგვიძლია ვნახოთ აგრეთვე ხცელის საცნობარო სისტემაში.

სურ. 174-ზე AutoSum ღილაკზე მოქმედებით იხსნება იგივე ფანჯარა, რაც Home /Editing /AutoSum ღილაკზე მოქმედებით.


**რა გზებით შეგვიძლია ფუნქციების გამოძახება?**

Excel-ის ფუნქციებით სარგებლობა შეგვიძლია სხვადასხვა გზით:

- ლენტაზე Formulas/Function Library ბრძანებათა ჯგუფიდან შესაბამისი კატეგორიიდან შესაბამისი ფუნქციის არჩევით(იხ. სურ. 174);
- ლენტაზე Formulas/ Insert Function / fx ფუნქციების ოსტატის გამოყენებით (იხ. სურ. 174);
- ლენტაზე Home /Editing /Autosum/More Functions ბრძანებათა ჯგუფი ფორმულის ზოლიდან fx ფუნქციების ოსტატის გამოყენებით.



სურ. 174 ფუნქციათა ბიბლიოთება



სურ. 175. ფუნქციების ოსტატის გამოძახვა

ფუნქციების ოსტატის გამოყენებით გამოსულ დიალოგურ ფანჯარაში კონკრეტული ფუნქციის არჩევის შემდეგ საჭიროა მიეთითოს ფუნქციის არგუმენტები (პარამეტრები).

**ფუნქციის გამოყენება:** 1. გავააქტიუროთ უჯრა, სადაც უნდა ჩაიწეროს ფუნქციის შედეგად მისაღები (დასაბრუნებელი) სიდიდე, ჩავწეროთ ფუნქცია თავისი არგუმენტებით და ვიმოქმედოთ Enter დილაკზე.

2. გავააქტიუროთ უჯრა, სადაც უნდა ჩაიწეროს ფუნქციის შედეგად მისაღები (დასაბრუნებელი) სიდიდე, ფორმულის ზოლში ჩავწეროთ ფუნქცია თავისი არგუმენტებით და ვიმოქმედოთ Enter დილაკზე.

3. გავააქტიუროთ უჯრა, სადაც უნდა ჩაიწეროს ფუნქციის შედეგად მისაღები (დასაბრუნებელი) სიდიდე, ვიმოქმედოთ ფუნქციების ოსტატზე, ავირჩიოთ შესაბამისი ფუნქცია, მივუთითოთ პარამეტრები და დალოგურ ველებში (შესაბამის ველში თაგვის კურსორის დაყენებით და შემდეგ პარამეტრის შეტანით) და ვიმოქმედოთ OK დილაკზე.

### **რომელია ფუნქციების გამოძახების უფრო ეფექტური გზა?**

ეფექტურ გზად ითვლება ფუნქციების ოსტატის გამოყენებით ფუნქციის პარამეტრების მითითება, რადგან უფრო დაზღვეული ვართ შეცდომებისაგან.

თუმცა უნდა ითქვას, რომ საკმარისია დავწეროთ უდრის ნიშანი, ფუნქციის დასახელება და გავხსნათ ფრჩხილი, რომ საცნობარო სისტემა მაშინვე გამოგვიტანს ამ ფუნქციის ჩაწერის სინტაქსს.

## **9.2 ლოგიკური ვანძლივები - IF, And, False, Or, Not**

### **ლოგიკური ფუნქცია - IF**

ერთ-ერთ ლოგიკურ ფუნქციას მიეკუთვნება IF ფუნქცია, რომლის პირველ არგუმენტს აუცილებლად წარმოადგენს პირობა ანუ ლოგიკური გამოსახულება Logical test, ამ ფუნქციის ჩაწერის სინტაქსი ასეთია:

= IF(ლოგიკური გამოსახულება, გამოსახულება1, გამოსახულება2).

IF(logical\_test; [value\_if\_true]; [value\_if\_false])

ლოგიკურ გამოსახულებაში იგულისხმება რაიმე პირობის შემოწმება, მაგალითად მეტია, ნაკლებია, ტოლია და ა. შ. თუ ეს პირობა სრულდება (ჭეშმარიტია მისი მნიშვნელობა -value is true), მაშინ შესრულდება მის შემდეგ მდგარი გამოსახულება

- ამ შემთხვევაში გამოსახულება 1, ხოლო თუ ეს პირობა არ სრულდება (მცდარია ლოგიკური გამოსახულების მნიშვნელობა - value if false), მაშინ გამოიტოვება გამოსახულება 1 და შესრულდება გამოსახულება 2.

**მაგალითი 1.** კოქათ, A1 უჯრაში დაფიქსირებულია 600, ხოლო B1 -ში 400.

C1-ში ჩაწერილია ასეთი სახით ფორმულა:

= (A1 > B1, “გეგმა შესრულებულია”, “გეგმა არ შესრულდა”),

C1-საშედებო უჯრაში ჩაიწერება: “გეგმა შესრულებულია”, რადგან მოცემული პირობა ჭეშმარიტია (True),  $600 > 400$ -ზე.

იმ შემთხვევაში თუ A1-ში გვეწერებოდა მაგ., 300, საშედებო უჯრაში მივიღებდით მნიშვნელობას: “გეგმა არ შესრულდა”.

მაგ., ფორმულა =IF(E4>200,100,50) შეგვიძლია ავტომატ შემდეგნაირად: თუ E4 უჯრაში ჩაწერილი სიდიდე მეტია 200-ზე, მაშინ აქტიურ უჯრაში ჩაიწერება 100, ხოლო თუ არ სრულდება ეს პირობა, ე. ი. E4 უჯრაში ჩაწერილი სიდიდე ნაკლებია ან ტოლი 200-ზე, მაშინ ფორმულაში ჩაწერილ 100-ს უკრადდება არ მიექცევა და აქტიურ უჯრაში დაფიქსირდება 50.

IF ფუნქციაში გამოიყენება შემდეგი ლოგიკური ოპერატორები: მეტია, ნაკლებია, ტოლია, არ უდრის და ა. შ.

**მაგალითი 2:** მოცემულ ცხრილში გამოვითვალოთ პრემია, შემდეგი პირობით: თუ


	IF	▼	✖	✓	f <sub>x</sub>	=IF(E4>400,E4*30%,0)
A	B	C	D	E	F	G
1						
2						
3	გვარი	ნამუშევარი დღეები	ანაზღაურება (დღიური)	გამომუშავება	პრემია	სელზე გასაცემი თანხა
4	ჯიქია	25	20	500	=IF(E4>400,E4*30%,0)	
5	უალია	23	20	460		
6	ბლუატე	15	25	375		
7	დარასელია	22	20	440		
8	ნოდია	12	20	240		
9	ლომსაბე	20	25	500		

სურ. 176 მაგალითი IF ფუნქციის გამოყენებაზე

გამომუშავება  
აჭარბებს 400 ლარს,  
პრემია შეადგენდებ  
გამომუშავების 30%-  
ს, წინააღმდეგ  
შემთხვევაში (ე. ი.  
თუ გამომუშავება  
ნაკლებია ან ტოლი  
400 ლარის) არ  
დაუნიშნოთ პრემია.  
**მითითება:** 2.1.  
დავაყენოთ  
მიმთითებელი F4

უჯრაში, და ჩავწეროთ გამოსახულება როგორც ეს ხურათ 176-ზე ნაჩვენები. სიმარტივისათვის, F4 შეგვიძლია ჩვენ კი არ ჩავწეროთ, თავვით ვიმოქმდოთ ამ უჯრაზე და ჩვეულებრივ გავაგრძელოთ შემდეგ ფორმულის წერა. ფორმულის დამთავრების შემდეგ ვიმოქმდოთ Enter-ზე და და განვავრცოთ ქვემოთ დანარჩენი უჯრებისთვისაც.

**2.2.** დავაყენოთ მიმთითებელი F4 უჯრაში და ვიმოქმდოთ ფუნქციების ოსტატზე, გამოსული ფანჯრიდან კატეგორიების ველში ავირჩიოთ Logical ან All, ავირჩიოთ ფუნქცია IF და ვიმოქმდოთ OK-ზე. გამოსულ დიალოგურ ფანჯარაში დავაყენოთ კურსორი თითოეულ ველში და მივუთითოთ პარამეტრები, როგორც ეს ხურ. 177-ზე ნაჩვენები, შემდეგ კი OK.



სურ. 177 მაგალითი ფუნქცია If გამოყენებით

**2.3** გავააქტიუროთ ისევ F4 უჯრა და მონიშვნის მარკერით განვავრცოთ ქვემოთ სხვა უჯრებზედაც F9 უჯრის ჩათვლით.

**მაგალითი 3.** მოცემულ ცხრილში გამოვითვალოთ პრემია, შემდეგი პირობით: თუ გამომუშავება ტოლია 400 ლარის, პრემია შეადგენდებ 100 ლარს, თუ ნაკლებია 400 ლარზე, პრემია შეადგენდებ 50 ლარს, 400 ლარზე მეტობის შემთხვევაში კი -150 ლარს.

პრემიის პირველ უჯრაში (F4) ჩაიწერება If ფუნქცია შემდეგი სახით:

=IF(E4=400,100,IF(E4<400,50,-150))

შეგვიძლია ეს ფუნქცია სხვადასხვა სახით ჩაიწეროს, გამომდინარე იქიდან პირობით გამოსახულებაში რა მიეთითება, მაგ. შეიძლებოდა აღნიშნული ამოცანა ასეც გადაგვეწყვიტა:

=IF(E4<400,50,IF(E4=400,100,-150))

**ფუნქცია AND (და)** -ლოგიკური გამრავლება. ჩაწერის სინტაქსი:

=And(Logical1, Logical2, ...)

აბრუნებს მნიშვნელობას true (ჭეშმარიტი), თუ ყველა ლოგიკური ცვლადი ჭეშმარიტია.

ლოგიკურ ფუნქციებს მიეკუთვნება აგრეთვე შემდეგი ფუნქციები: FALSE, NOT, OR, TRUE).

**ფუნქცია False (მცდარი)**, ჩაწერის სინტაქსი:

=False()

აბრუნებს მნიშვნელობას False.

**ფუნქცია Or (ან)** - ლოგიკური შეკრება. ჩაწერის სინტაქსი:

=Or(Logical1,[Logical2], ...)

აბრუნებს მნიშვნელობას true (ჭეშმარიტი), თუ ერთი მაინც ლოგიკური ცვლადებიდან ჭეშმარიტია.

**ფუნქცია NOT (უარყოფა)** - ჩაწერის სინტაქსი: =NOT(Logical ) აბრუნებს მნიშვნელობას False თუ Logical გამოსახულება ჭეშმარიტია (True) და პირიქით, აბრუნებს მნიშვნელობას True, თუ Logical გამოსახულება მცდარია.


## 9.3 ტექსტური ფუნქციები

ტექსტური ფუნქციების გამოსაძახებლად ფუნქციების ოსტატის გამოძახებით მიღებულ ფანჯარაში Category ველში გირჩევთ Text, ან ფუნქციათა ბიბლიოთეკიდან შევდივართ ტექსტურ ფუნქციებში.

**ფუნქცია Concatenate-** ერთ-ერთ ტექსტურ ფუნქციას წარმოადგენს. ეს ფუნქცია იდენტურია & ოპერატორის. მისი საშუალებითაც ხდება გაერთიანება სხვადასხვა ტექსტური მონაცემების. ჩაწერის სინტაქსი: =Concatenate(text1, [text2],...)

**მაგალითი:** Concatenate ფუნქციის საშუალებით იგივე განხილულ მაგალითში ორგანიზაციის კოდის და პროდუქციის კოდის გაერთიანებას ვაწარმოებთ ასე: სვეტში “შიფრი” მივიღოთ გაერთიანებული მონაცემები ორგანიზაციის კოდისა და პროდუქციის კოდის:


გამოვიძახოთ ტექსტური ფუნქცია “Concatenate”, რომლის გამოძახებაც შეგვიძლია როგორც Formulas ჩანართიდან Function Libraries საშუალებით, ასევე ფუნქციების



სურ. 178 ტექსტური მონაცემების გაერთიანება ფუნქციების  
ოსტატიდან Concatenate ფუნქციით

გამოძახების ოსტატიდანაც, შემდეგი გზით(სურ. 178):

1. გავააქტიურებოთ პირველ საშედეგო უჯრას – D3-ს;
2. ვიმოქმედებოთ ფუნქციების ოსტატზე (fx);
3. კატეგორიების ველიდან ავირჩევთ ტექსტურს (Text);
4. Select a function ფანჯრიდან ვირჩევთ ფუნქციას Concatenate;
5. გამოსულ ფანჯრაში (სურ. 187) Text1 – ში ვიმოქმედებოთ კურსორის ჩასასმელად და შემდეგ უჯრაზე B3-ზე პირველი ტექსტური მონაცემის



სურ. 179. არგუმენტების მითითება Concatenate ფუნქციაში

ჩასასმელად;

6. Text2 – ში ვიმოქმედებთ Spacebar-ზე (ყველაზე გრძელი დილაკი კლავიტურაზე- პრაბელის ჩასასმელად, თუ მონაცემებს შორის გვსურს ცარიელი ადგილის დატოვება);

7. Text2 – ში ვიმოქმედებთ C3- ზე, შემდეგი ტექსტური მონაცემის ჩასამელად და ვიმოქმედებთ OK- ზე.

ცორმულის ზოლში გამოჩნდება ფუნქციის ჩაწერის სინტაქსი.

შეგვეძლო D3- უჯრაში პირდაპირ ამ ფუნქციის ჩაწერა და Enter- ზე მოქმედება (ამ შემთხვევაში ფუნქციების ოსტატს აღარ გამოვიდახებდით)

**ფუნქცია Len-** აბრუნებს არგუმენტის ნიშან-სიმბოლოთა რაოდენობას, სიგრძეს.

ჩაწერის სინტაქსი: =len (text)

მაგ. =len("მსხვილი ბიზნესი") Enter-ზე მოქმედებით დააბრუნებს მნიშვნელობას 15-ს.

**ფუნქცია Left და Right:**

=Left(text,num\_chars,...)

num\_chars – მიუთითებს სიმბოლოთა რაოდენობას,

მაგ : თუ A1-ში გვიწერია თბილისი,

=left (A1, 5) მოგვცემს მნიშვნელობას – თბილი

**Right** აბრუნებს ტექსტური არგუმენტიდან მითითებული რაოდენობით მარჯვენა სიმბოლოებს

მაგ : თუ A1-ში გვიწერია თბილისი,

=Right (A1, 4) მოგვცემს მნიშვნელობას –ლისი

**ფუნქცია Mid** სტრიქონში ამოიღებს მითითებული პოზიციიდან დაწყებული მოცემული რაოდენობის სიმბოლოებს ჩაწერის სინტაქსი:

=Mid(text,start num, num\_chars,...)

იგივე მაგალითისთვის (A1-ში გვიწერია თბილისი), =Mid(A1, 2,4) A1-ში მეორე პოზიციიდან 4 სიმბოლოს დააბრუნებს, შედეგი იქნება: ბილი.

## 9.4 მათემატიკური ფუნქციები

**ფუნქცია ABS** – აბრუნებს აბსოლუტურ სიდიდეს. ჩაწერის სინტაქსი: =ABS(Number);

**ტრიგონომეტრიული ფუნქციები:** SIN-სინუსი, COS-კოსინუსი, TAN- ტანგენტი, ASIN-არკსინუსი, ACOS- არკკოსინუსი, ...., ჩაწერის სინტაქსი: =SIN(Number), ....

**ფუნქცია INT** – აბრუნებს მთელ ნაწილს რიცხვიდან. ჩაწერის სინტაქსი: =INT(Number), მაგ.: =INT(3.56), საშედეგო უჯრაში მივიღებთ 3-ს. უნდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ მთელი ნაწილი აიღება დამრგვალების გარეშე. ამასთან წილადი ნაწილის გამოსაყოფად მთელი ნაწილისგან იხმარება როგორც ვხედავთ (3.56) წერტილი და არა მძიმე.

**ფუნქცია TRUNC** – აბრუნებს რიცხვიდან მთელ ნაწილთან ერთად ათწილად ციფრებს მითითებული რაოდენობით, ჩაწერის სინტაქსი: =TRUNC(Number, Num\_digits)

მაგ.: =TRUNC(5.987,2), საშედეგო უჯრაში მივიღებთ 5.98-ს. მეორე პარამეტრის მითითების გარეშე მხოლოდ მთელ ნაწილს დააბრუნებს. მაგ., =TRUNC(5.987) დააბრუნებს მნიშვნელობას 5.

**ფუნქცია COMBIN** – ახდენს მოცემული რაოდენობიდან შესაძლო კომბინაციათა რიცხვის დაბრუნებას. ჩაწერის სინტაქსი: =Combin(Number, Number\_chosen),

მაგ.: 20 სტუდენტიდან 4 კაციანი ჯგუფების შესაძლო რაოდენობა შეგვიძლია გამოვითვალოთ ამ ფუნქციით: =Combin(20,4) და საშედეგო უჯრაში მივიღებთ 4845-ს.

**ფუნქცია ROUND**-ამრგვალებს რიცხვს მითითებული სიზუსტით. ჩაწერის სინტაქსი: =INT(Number, Num\_digits),

მაგ.: =Round(3.56, 1), საშედეგო უჯრაში დააბრუნებს მნიშვნელობას 3.6-ს, ხოლო =Round(3.56, 0), საშედეგო უჯრაში დააბრუნებს მნიშვნელობას 4-ს;

**ფუნქცია RAND** – აბრუნებს 0-დან 1 –მდე შუალედში შემთხვევით რიცხვს. ამ ფუნქციას არგუმენტი არ გააჩნია. ჩაწერის სინტაქსი: =RAND(), ნებისმიერ უჯრაში ამ ფუნქციის ასეთი სახით ჩაწერით და Enter-ზე მოქმედებით მივიღებთ სხვადასხვა შემთხვევით რიცხვებს 0-1 დიაპაზონით.

**ფუნქცია RANDBETWEEN** -აბრუნებს შემთხვევით რიცხვს მოცემული შეაღედის ფარგლებში, ჩაწერის სინტაქსი: =RANDBETWEEN(Bottom, Top), სადაც Bottom მიუთითებს ქვედაზღვარს, ხოლო Top ზედაზღვარს;

**ფუნქცია RADIANS**- ახდენს გრადუსის გადაყვანას რადიანებში, ჩაწერის სინტაქსი: =RADIANS(Number);

**ფუნქცია MOD**- საშედეგო უჯრაში გვაძლევს გაყოფის შედეგად მიღებულ ნაშთს. ჩაწერის სინტაქსი: =MOD(Number, Divisor) (რიცხვი, გამყოფი), მაგ.: =MOD(25,3) მივიღებთ 1-ს.

**ფუნქცია FACT**- გამოთვლის მოცემული რიცხვის ფაქტორიალს, ჩაწერის სინტაქსი: =FACT(Number), მაგ.: =FACT(5) გამოთვლის 5-ის ფაქტორიალს, ანუ 5-მდე (1,2,3,4,5) რიცხვების ნამრავლს. შედეგად მივიღებთ 120-ს.

**ფუნქცია SQRT**- საშედეგო უჯრაში გვაძლევს მითითებული რიცხვიდან კვადრატულ ფესვს. ჩაწერის სინტაქსი: =SQRT(Number) მაგ., =SQRT(25) გვაძლევს მნიშვნელობას 5-ს.

**ფუნქცია PRODUCT**- საშედეგო უჯრაში გვაძლევს მითითებული რიცხვების ნამრავლს. ჩაწერის სინტაქსი: =PRODUCT(Number1, Number2,...) მაგ., =Product(25,2,10) გვაძლევს მნიშვნელობას 500-ს.

Number1, Number2,... ის ნაცვლად შეგვიძლია მივუთითოთ დიაპაზონი.

**ფუნქცია SUM** -გამოიყენება რიცხვითი მონაცემების დასაჯამებლად, მისი ჩაწერის სინტაქსი ასეთია:

= SUM(Number1, Number2, ...).

თუ რიცხვები Number1, Number2,... თანმიმდევრობით არიან განთავსებული, მაშინ, შეგვიძლია მოვნიშნოთ მათი დიაპაზონი Number1, Number2,... რიცხვების მაგივრად.

როგორ ვისარგებლოთ ჯამის ფუნქციით?

- გავაძლიეროთ უჯრა, სადაც შედეგი უნდა მივიღოთ, ვიმოქმედოთ ლენტადან Home/Editing/Autosum-ში  $\Sigma$  ნიშანზე ორჯერ მოქმედებით და მოვნიშნავთ დასაჯამებელ დიაპაზონს.

- გავაძლიეროთ საშედეგო უჯრა, ვიმოქმედოთ ფუნქციების თსტატზე ფორმულის ზოლიდან და Number 1 ველში მოვნიშნოთ დასაჯამებელი რიცხვების დიაპაზონი

(თუ ეს რიცხვები ერთმანეთის გვერდითაა განლაგებული სვეტობრივად ან სტრიქონობრივად) და ვიმოქმედოთ Ok - ზე.

- გავააქტიუროთ საშედეგო უჯრა, ჩავწეროთ “= SUM(“ შემდეგ მოვნიშნოთ დიაპაზონი დასაჯამებელი რიცხვების (თუ ეს რიცხვები ერთმანეთის გვერდითაა განლაგებული სვეტობრივად ან სტრიქონობრივად), დაგხუროთ ფრჩხილი, მაასთან შევამოწმოთ ფორმულის ზოლში სწორად წერია თუ არა ფორმულა, შეცდომის შემთხვევაში შესაძლებელია მისი რედაქტირება თვით ფორმულის ზოლიდანაც და ვიმოქმედოთ Enter - ზე.

თუ რიცხვები არ არის ერთმანეთის გვერდით განლაგებული, მაშინ შეგვიძლია ვიმოქმედოთ თაგვით პირველ დასაჯამებელ რიცხვზე, ან ჩავწეროთ მისი მისამართი ჩვენ თვითონ, გამოვყოთ ეს რიცხვები მძიმით, ან წერტილმძიმით, როგორც ამას საცნობარო სისტემით გამოსული ფორმულის სინტაქსი გვიჩვენებს, შემდეგ ვიმოქმედოთ თაგვით მეორე დასაჯამებელ რიცხვზე და ა. შ. ბოლოს დაგხუროთ ფრჩხილი და ვიმოქმედოთ Ok- ზე.

ჯამის განვრცობა შეგვიძლია სხვა რიცხვითი უჯრებისთვისაც, მაგ ცხრილში დასაჯამებელი სვეტების ქვემოთ.

**ფუნქცია SUMIF** -გამოიყენება რიცხვითი მონაცემების დასაჯამებლად მოცემული კრიტერიუმის მიხედვით. ფუნქციის ჩაწერის სინტაქსი: =SUMIF(Range, Criteria, [Sum\_Range] ...). სადაც Range აღნიშნავს იმ დიაპაზონს, საიდანაც უნდა მოხდეს დასაჯამებელი რიცხვების შერჩევა პირობის მიხედვით, ხოლო Criteria წარმოადგენს პირობას.

მაგ1., გვინდა დავაჯამოთ ის რიცხვები A1:A20 დიაპაზონიდან, რომელთა მნიშვნელობაც აღემატება 500-ს.

ფუნქციას ექნება ასეთი სახე:


=SUMIF(A1:A20, ">500")

მაგ1., გვინდა დავაჯამოთ რეალიზებული პროდუქციის- ბორჯომის რაოდენობა

**ფუნქცია SUMIFS** - გამოიყენება რიცხვითი მონაცემების დასაჯამებლად რამოდენიმე კრიტერიუმის მიხედვით.

ფუნქციის ჩაწერის სინტაქსი: =SUMIFS(Sum\_range, Criteria\_range1, Criteria1,...).

ფუნქცია **SUMPRODUCT** - გამოიყენება მასივებთან. ფუნქციის ჩაწერის სინტაქსი:  
 $=SUMPRODUCT(Array1, Array2, [Array3], ...)$ , მოხდება შესაბამისი დიაპაზონის მასივის  
 ელემენტების ჯერ გამრავლება, ხოლო შემდეგ მათი დაჯამება (იხ. სურ. 180).



The screenshot shows a Microsoft Excel spreadsheet. The formula bar at the top contains the formula `=SUMPRODUCT(A1:A4,B1:B4)`. Below the formula bar is a table with 6 rows and 2 columns. The first five rows have numerical values: Row 1 (A1:B1) has 1 and 5; Row 2 (A2:B2) has 2 and 2; Row 3 (A3:B3) has 3 and 3; Row 4 (A4:B4) has 4 and 4. The last row, Row 6 (A6:B6), contains the value 34. A red arrow points from the formula bar to the cell B6, which contains the result of the SUMPRODUCT function.

	A	B	C	D	E	F
1	1	5				
2	2	2				
3	3	3				
4	4	4				
5						
6		34				

სურ. 180 ფუნქცია SUMPRODUCT გამოყენება

## 9.5 თარიღის ფუნქციები

ფუნქცია **Date**, რომლის ჩაწერის სინტაქსია:  $=Date(\text{წელი}, \text{თვე}, \text{რიცხვი})$ , დააბრუნებს თარიღს, მაგ.,  $=Date(2012,6,20)$  მივიღებთ თარიღს: 6/20/2012.

ფუნქცია **Today**, რომელსაც არ გააჩნია არგუმენტები, მისი ჩაწერის სინტაქსია:


= **Today ()** აბრუნებს მიმდინარე თარიღს

= **Now()** აბრუნებს მიმდინარე თარიღს დროის მითითებით

= **Weekday(Serial Number, Return Type)** აბრუნებს რიცხვს 1-დან 7-ის ჩათვლით, რომელიც კვირის დღეს შეესაბამება, Return Type მიუთითებს ტიპს: როცა იგი 1-ის ტოლია, მაშინ ათვლა კვირიდან იწყება, როცა 2-ის ტოლია, ათვლა ორშაბათიდან იწყება, Type 3-ის ტოლია, ნიშნავს რომ ათვლა იწყება ორშაბათიდან, მაგრამ გაითვალისწინება მხოლოდ სამუშაო დღეები, ანუ 6 დღე.

**როგორ გავიგოთ კვირის რომელ დღეს დაგიბადეთ?**

**Serial Number** არგუმენტად მივუთითოთ დაბადების თარიღი: რიცხვი/თვე/წელი, მაგ. 24/01/1994. გამოვიძახოთ ფუნქციების ოსტატი ან formulas/Function Library/dates and Times/Weekday



სურ. 181. ფუნქცია Weekday

OK-ზე მოქმედების შედეგად მივიღებთ მნიშვნელობას 6-ს, და თუ ორშაბათიდან გადავითვლით მე-6 დღეს მივიღებთ შაბათს.

#### კითხვები და სავრჯიშოები:

1. Excel-ის A3 უჯრაში ჩავწერეთ ფუნქცია “=today(). რას მივიღებთ?
2. Excel-ის B1 უჯრაში ჩავწერეთ ფუნქცია “=Now(). რას მივიღებთ?
3. როგორ ვნახოთ რა დღე იყო 1998 წლის 13 ივნისი?
4. A3 უჯრაში გვიწერია 6, B3 უჯრაში – 1964, C3 უჯრაში – 22. რას მოგვცემს ფუნქცია =Date(B3, C3, A3)?
5. როგორ დავადგინოთ რა დღე იყო 2010 წლის 22 ნოემბერი?

## 9.6 სტატისტიკური ფუნქციები

**ფუნქცია AVERAGE** გამოიყენება საშუალო არითმეტიკულის გამოსათვლელად. მისი ჩაწერის სინტაქსი ასეთია:

=AVERAGE(Range), სადაც Range დიაპაზონია.

უფრო მარტივად კი, თუ ცხრილში რომელიმე რიცხვითი მნიშვნელობის მქონე სვეტის ბოლოში გვინდა მივიღოთ საშუალო არითმეტიკული, მაშინ დავაყენებთ მიმთითებელს შევსებული სვეტის ქვემოთ, დავწერთ ტოლობის ნიშანს და ლენტაზე Home/Editing/AutoSum-ის გვერდით სამკუთხა ისრიდან ჩამოშლილი ფუნქციებიდან ან ფორმულის ზოლში fx ფუნქციებიდან ავირჩევთ AVERAGE.

გამოდის მონიშნული დიაპაზონი, რომელსაც თუ ვეთანხმებით ვმოქმედებთ OK-ზე და თუ არა, მაშინ მის ადგილზე ჩვენ მოვნიშნავთ იმ დიაპაზონს, რომლისთვისაც ვახდენთ საშუალო არითმეტიკულის გამოვლას.

**ფუნქცია COUNT<sup>8</sup>** და **COUNT NUMBERS** (ლენტადან /Autosum-დან) გამოიყენება რიცხვითი მონაცემების დათვლისათვის. ჩაწერის სინტაქსი:

=Count(Value1, value2, ...), ან =Count (Range) სადაც Value1, value2, ...ის ნაცვლად მიეთითება დიაპაზონი.

მაგ: =Count(A1:A15) დააბრუნებს მოცემულ დიაპაზონში რიცხვითი მონაცემების რაოდენობას.

**ფუნქცია COUNTA** გამოიყენება შევსებულ მნიშვნელობათა დათვლისათვის მოცემულ დიაპაზონში; ჩაწერის სინტაქსი: =COUNTA(Value1, Value2, ...) ან =COUNTA(Range);

**ფუნქცია COUNTBLANK** გამოიყენება ცარიელი უჯრების დათვლისათვის მოცემულ დიაპაზონში; ჩაწერის სინტაქსი: =COUNTBLANK(Range);

**ფუნქცია COUNTIF** გამოიყენება მნიშვნელობათა დათვლისათვის მოცემული პირობის მიხედვით:

ჩაწერის სინტაქსი: =Countif (Range, Criteria)

მაგ. დავითვალოთ, რამდენს აქვს 800 ლარზე მეტი ხელფასი, თუ ხელფასის მნიშვნელობები მოცემულია B1:B12 დიაპაზონში: =Countif (B1:B12, ">800")

**ფუნქცია COUNTIFS** გამოიყენება მნიშვნელობათა დათვლისათვის რამოდენიმე პირობის მიხედვით:

ფუნქციის ჩაწერის სინტაქსი: =Countif (Criteria\_ Range1, Criteria1,...)

მაგ: თუ C5: C40 დიაპაზონში მოცემულია სტუდენტთა შეფასებები, იმის გასაგებად თუ რამდენს აქვს 51-დან 100-ის ჩათვლით შეფასება, შეგვიძლია ჩავწეროთ: COUNTIFS(C5:C40,">=51", C5:C40, "<=100")

## რომელი ფუნქციები გამოიყენება სტატისტიკური ანალიზისთვის?

სტატისტიკური ანალიზისთვის გამოიყენება შემდეგი ფუნქციები: MAX, MIN, MEDIAN, DEVSQ, MODE და სხვ.

<sup>8</sup> ექსელის მთვლელიდან Count აღნიშნავს შევსებული უჯრების რაოდენობას, ხოლო Numerical Numbers- რიცხვითი მონაცემების რაოდენობას.

**ფუნქცია MAX** როგორც ვიცით გამოიყენება მაქსიმალური სიდიდის გამოსატანად. მისი ჩაწერის სინტაქსი ასეთია: =MAX(Number1, Number2,...), ან =MAX(Range), Range – დიაპაზონი.

**ფუნქცია MIN** როგორც ვიცით გამოიყენება მინიმალური სიდიდის გამოსატანად. ჩაწერის სინტაქსი: =MIN(Number1, Number2,...), ან =MIN(Range), Range - დიაპაზონი.

მაქსიმუმსა და მინიმუმს შორის სხვაობით პოულობენ გაბნევის დიპაზონს.

მაგალითად, თუ მოცემული გვაქვს ფასები A1:A15 დიაპაზონში, მაშინ გაბნევის დიაპაზონი ფასებისთვის გამოითვლება გამოსახულებით:

=MAX(A1:A15)-MIN(A1:A15)

**ფუნქცია MEDIAN** გამოიტანს მედიანას (რიცხვთა მწერივის შუა წევრი) მოცემული რიცხვთა მწერივისთვის. ჩაწერის სინტაქსი: =MEDIAN(Number1, Number2,...), ან =MEDIAN(Range), Range – დიაპაზონი.

**ფუნქცია MODE** გამოიტანს მოდას (ყველაზე ხშირად გამეორებადი რიცხვი) მოცემული რიცხვთა მწერივისთვის. ჩაწერის სინტაქსი: =MODE(Number1, Number2,...), ან =MODE(Range), Range – დიაპაზონი.

მაგალითად ამ ფუნქციის საშუალებით შეგვიძლია დაგადგინოთ ყველაზე ხშირად რომელი სახეობი საქონელი იყიდება.

**ფუნქცია Rank** დააბრუნებს რანგის მნიშვნელობას. ჩაწერის სინტაქსი:

= Rank(number, ref,[order]), სადაც number მიუთითებს რიცხვს, რომლის პოზიციაც უნდა განვსაზღვროთ, ref – მასივს, დიაპაზონს, რომლის მიხედვითაც პოზიციის განსაზღვრა გვსურს, order არ წარმოადგენს აუცილებელ პარამეტრს, იგი მიუთითებს დაპაზონის დახარისხების წესს, თუ იგი ტოლია 0-ის, ნიშნავს რომ დიაპაზონი, სადაც მოცემული რიცხვის ადგილს ვპოულობთ, დახარისხებულია კლებადობით, ხოლო თუ იგი განსხვავდება ნოლისგან ნიშნავს დიაპაზონის ზრდადობით დახარისხებას. ამ პარამეტრის არმითითების შემთხვევაში გაითვალისწინება დაუხარისხებელი მასივი, ანუ დიაპაზონი.

**ფუნქცია Rank** ხშირად გამოიყენება. მაგალითად: როცა გვსურს განვსაზღვროთ მერამდენე ადგილი უკავია რომელიმე სავაჭრო ობიექტს საქონლის ბრუნვის მიხედვით, საექსპორტო პროდუქციის რაოდენობის მიხედვით, ასევე რეიტინგის განსაზღვრისას და ა. შ.

ფუნქცია **DEVSQ** აბრუნებს კვადრატულ მნიშვნელობათა გადახრების ჯამს.

## 9.7 ინფორმაციული ფუნქციები

**ფუნქცია CELL** - აბრუნებს უჯრის ფორმატირების, შემცველობის, განთავსების შესახებ ინფორმაციას. =CELL(Info\_type, [reference]); უჯრაში ამ ფორმულის ჩაწერის დროს გამოდის სია, რომლიდანაც შეგვიძლია ავირჩიოთ ის პუნქტი, რაც გვაინტერესებს უჯრის შესახებ, დავხუროთ ფრჩხილი და ვიმოქმედოთ Enter-ზე.

**ფუნქცია INFO** - აბრუნებს მიმდინარე ოპერატიული ვითარების შესახებ ინფორმაციას, ჩაწერის სინტაქსი: =Info( type\_text )

**ფუნქცია ISODD-** აბრუნებს მნიშვნელობას True, თუ არგუმენტი კენტია, ჩაწერის სინტაქსი:

=ISODD(Num), მაგ., =cell(5) მოგვცემს მნიშვნელობას True, რადგან 5 კენტი რიცხვია.

**ფუნქცია ISBLANK-** აბრუნებს მნიშვნელობას True, თუ არგუმენტი ცარიელ უჯრას წარმოადგენს, ჩაწერის სინტაქსი: =ISBLANK(value)

**ფუნქცია ISEVEN-** აბრუნებს მნიშვნელობას True, თუ არგუმენტი ლუწია, ჩაწერის სინტაქსი:

=ISEVEN(Num)

**ფუნქცია N** - არგუმენტის მნიშვნელობას გარდაქმნის რიცხვად; ჩაწერის სინტაქსი:

=N (Value)

## 9.8 ფუნქციების გამოყენების მაგალითები

**მაგალითები** SUMIF, SUMIFS, AVERAGEIF, AVERAGEIFS, COUNTIF ფუნქციების გამოყენებით

სურათის მიხედვით შევლა სვეტს განვუსაზღვროთ თავისივე სათაურები.

A	B	C	D	E	F	G
1						
შემოტანილი პროდუქციის აღრიცხვა						
3	კომპიუტერული უკარატა	განყოფილების ნომერი	პროდუქციის სახეობა	თარიღი	რაოდენობა	დარღებულება
4	ალგორითმი	01	მონიტორი	5/23/2005	154	§220.00
5	ალგორითმი	01	კლავიატურა	6/22/2006	200	§21.00
6	ალგორითმი	02	პროცესორი	10/12/2009	250	§300.00
7	ალგორითმი	02	ვინჩესტერი	10/11/2008	300	§80.00
8	ალტა	01	მონიტორი	10/14/2009	500	§300.00
9	ალტა	01	კლავიატურა	6/12/2004	450	§25.00
10	ალტა	01	ვინჩესტერი	7/25/2006	600	§50.00
11	ალტა	02	მაუსი	9/29/2007	800	§8.00

სურ. 182. მაგალითი

ამისათვის მოვნიშნოთ ცხრილი B3:G11 ჩათვლით და Formulas/Defined Names/Create from Selection ფანჯარაში გავააქტიუროთ მხოლოდ Top row.

გავააქტიუროთ ის უჯრა, სადაც გვსურს შედეგის ჩაწერა.

1. განვსაზღვროთ ალტას მიერ შემოტანილი პროდუქციის საერთო რაოდენობა (ე. ი. რაოდენობების ჯამი).

საშედეგო უჯრაში ჩაწერილ ფორმულას ექნება შემდეგი სახე:

=SUMIF(კომპიტერული ფირმა, "ალტა", რაოდენობა) ან

=SUMIF(B4:B11, "ალტა", F4:F11) ან "ალტა"-ს ნაცვლად მივუთითოთ მისამართი:

=SUMIF(B4:B11, B8, F4:F11)

როგორც ვხედავთ, პირველი ფორმულით უკეთ ვხვდებით რას ვაკეთებთ, ვიდრე მეორე ფორმულით, აშკარად ვლინდება დიაპაზონებისთვის სახელების მინიჭების ეფექტურობა.

2. განვსაზღვროთ ”ალგორითმის“ მიერ შემოტანილი პროდუქციის საერთო რაოდენობა (ე. ი. რაოდენობების ჯამი):

=SUMIF(კომპიუტერული ფირმა ,”ალგორითმი“, რაოდენობა) ან

=SUMIF(კომპიუტერული ფირმა, B4, რაოდენობა)

3. განვსაზღვროთ ალტას მიერ შემოტანილი პროდუქციის საერთო დირებულება (ე. ი. ღირებულებების ჯამი):

=SUMIF(კომპიუტერული ფირმა,“ალტა“, ღირებულება)

4. განვსაზღვროთ ალტას მიერ შემოტანილი პროდუქციის საშუალო რაოდენობა (ე. ი. რაოდენობების საშუალო არითმეტიკული):

=AVERAGEIF(კომპიუტერული ფირმა,“ალტა“, რაოდენობა)

5. განვსაზღვროთ ალგორითმის მიერ შემოტანილი პროდუქციის საშუალო დირებულება (ე. ი. რაოდენობების საშუალო არითმეტიკული):

=AVERAGEIF(კომპიუტერული ფირმა,“ალგორითმი“, ღირებულება)

6. განვსაზღვროთ ალტას მიერ 2009 წლამდე შემოტანილი პროდუქციის საერთო რაოდენობა:

=SUMIFS(რაოდენობა, კომპიუტერული ფირმა,“ალტა“, თარიღი“, “<=01/01/2009”) ან

=SUMIFS(რაოდენობა, კომპიუტერული ფირმა,“ალტა“, თარიღი“, “>=12/31/2008“)

7. გამოვითვალოთ 100-ზე მეტი ღირებულების მქონე შემოტანილი პროდუქციის დირებულებათა ჯამი:

=SUMIF(ღირებულება, ">100")

8. განვსაზღვროთ ალტას მიერ 2009 წლამდე შემოტანილი პროდუქციის საშუალო რაოდენობა:

=AVERAGEIFS(რაოდენობა,კომპიუტერული ფირმა,“ალტა“, თარიღი“, "<=12/31/2008")


9. განვსაზღვროთ ორივე ფირმის მიერ 2009 წლამდე რამდენჯერ მოხდა პროდუქციის შემოტანა 2010 წლამდე:

=COUNTIF (თარიღი ," $<=12/31/2010$ ")

10. დავითვალოთ 200-ზე მეტი რაოდენობის მქონე შემოტანილი პროდუქცია:
- =COUNTIF(რაოდენობა, „>200“)

## 9.9 ფინანსური ფუნქციები

ფინანსური ამოცანების გადასაწყვეტად ხშირად ვსარგებლობთ ამა თუ იმ ფინანსური ფუნქციით, რომელთა გამოძახება შეგვიძლია როგორც ინსტრუმენტების პანელის ქვემოთ მოთავსებული ფორმულის ზოლიდან  $f_x$  – ით, ასევე Excel-ში მენიუს სტრიქონში Formulas – ზე მოქმედებით და ჩამოთვლილი ფუნქციებიდან



სურ. 183 ფინანსური ფუნქციების გამოძახება

Financial-ის სის ჩამოშლით და მათგან საჭირო ფუნქციის არჩევით. მოცემული

სურათიდან (სურ. 183) არჩეულია მაგალითად FV ფუნქცია. ფინანსური ფუნქციის გამოძახებისას ფუნქციების ოსტატით ფანჯრის ქვედა კუთხეში OK – ღილაკის მარცხნივ ფიქსირდება წაწერა: Help on this function (დახმარება ამ ფუნქციაზე). მასზე მოქმედებით On-line რეჟიმში გამოდის საცნობარო ინფორმაცია იმ კონკრეტული ფუნქციის შესახებ, რომელიც გამოძახებული გვქონდა.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ ფინანსურ ფუნქციებში თანხის ამსახველი არგუმენტის მნიშვნელობა იწერება მინუსით, როცა იგი აღნიშნავს გასავალს, მაგალითად დეპოზიტი, ინვესტიცია.

ფინანსური ფუნქციებით რომ ვისარგებლოთ უნდა ვიცოდეთ ფუნქციის დანიშნულება და მათი პარამეტრები (არგუმენტები). მოკლედ განვმარტოთ ზოგიერთი მათგანი, ყველაზე უფრო ხშირად გამოსაყენებელი ფინანსური ფუნქციები და მათი აღნიშვნები:

RATE – წლიური საპროცენტო განაკვეთი;

NPER – პერიოდების (ვადის) რიცხვი (თვე, კვარტალი, წელი და ა. შ.)

PMT – პერიოდულად შესატანი/გასაცემი თანხა, ხშირად გამოიყენება გრძელვადიან სესხებსა და ინვესტიციებში პერიოდულად შესატანი თანხის გასაანგარიშებლად;

PV<sup>9</sup> – საწყისი თანხა (საწყისი კაპიტალი), ინვესტიცია (დაბანდებული თანხა), კრედიტი;

FV – მომავალში მისაღები თანხა (მოსალოდნელი თანხა),

Type – გვიჩვენებს თანხის დარიცხვა როდის ხდება, თუ დარიცხვა პერიოდის ბოლოს ხორციელდება, მაშინ იგი დებულობს მნიშვნელობას – 0-ს, ხოლო თუ პერიოდის დასაწყისში – მაშინ 1-ს; თუ Type-ის მნიშვნელობა არაა მითითებული, იგულისხმება რომ იგი 0-ია)

NPV – მიმდინარე წმინდა ღირებულება (ეს ფუნქცია FV- ფუნქციისაგან განსხვავდება იმით, რომ FV- ს ვიყენებთ მაშინ, როცა შემოსავალი პერიოდულად მუდმივი სიდიდეა, ამასთან თანხის გადახდა შეგვიძლია გავითვალისწინოთ როგორც პერიოდის დასაწყისში ან პერიოდის ბოლოს, ხოლო NPV – ს შემთხვევაში შემოსავალთა მნიშვნელობები ცვლადია და ამასთან გადახდის თანხა

<sup>9</sup> PV დადებითია, თუ იგი აღნიშნავს ფულის მიღებას, მაგ სესხი, მაგრამ უარყოფითია, თუ იგი აღნიშნავს ფულის გაცემას, მაგ., დეპოზიტზე შეტანილი თანხა, ან დაბანდებული თანხა.

პროპორციულად ნაწილდება პერიოდებში და გადახდა მხოლოდ პერიოდის ბოლოს ხორციელდება);

IPMT – კონკრეტულ პერიოდში გადასახდელი სარგებლის თანხის გაანგარიშების ფუნქცია.

PPMT – კონკრეტულ პერიოდში გადასახდელი სარგებლის თანხის გაანგარიშების ფუნქცია.

ფუნქციების ჩაწერის სინტაქსის დროს კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებული არგუმენტები შეიძლება ფუნქციაში არ მიეთითოს, მაგრამ თუ ისეთი არგუმენტი არ არის მოცემული, რომლის მითითებაც საჭიროა, ანუ არ არის კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებული, მაშინ მის ნაცვლად უნდა დაიწეროს მძიმე, ან წერტილმძიმე, როგორც ამას ფუნქციის ჩაწერის სინტაქსი მოითხოვს.

### 9.9.1 ფუნქცია PV

ფუნქცია PV –თი ხდება საწყისი კაპიტალის, ინვესტიციის გაანგარიშება.

ფუნქციის ჩაწერის სინტაქსი:

= PV(RATE, NPER, PMT, [FV], [TYPE])

**მაგალითი 1:** რა თანხა უნდა დაგაბანდოთ 5 წლის ვადით, რომ გაღის გასვლის შემდეგ მივიღოთ 20000 ლარი, 13% წლიური საპროცენტო განაკვეთის დროს?

ამოცანის ჩაწერის სინტაქსი:

= PV(rate, nper, pmt,[fv], [type])

ჩვენი ამოცანისთვის:

=PV(13%, 5, , 20000)

**მაგალითი 2.** რა თანხა უნდა დაგაბანდოთ 3 წლის ვადით, რომ მივიღოთ 30000 ლარი, 16% წლიური საპროცენტო განაკვეთის დროს, თუ ამავდროულად ყოველი წლის დასაწყისში შეგვაჯებს თანხა 1500 ლარის ოდენობით?

=PV(16%, 3, -1500, 30000,1)      =PV(0.16, 3, -1500, 30000,1)

## 9.9.2 ფუნქცია FV

FV- წარმოადგენს მომავალში მისაღები თანხის გაანგარიშების ფუნქციას

ფუნქციის ჩაწერის სინტაქსი:

=FV(RATE, NPER, PMT, [ PV], [Type])

მაგალითი: თანხის დაგროვების მიზნით დეპოზიტზე გევიტანეთ თანხა 5000 ლარის რიცხვით, 9% წლიური საპროცენტო განაკვეთით 4 წლის ვადით. რა თანხა დაგვიგროვდება ვადის ამოწერვის შემდეგ?

ამოცანის ჩაწერის სინტაქსი:


=fv (rate, nper, pmt, [pv], [type])

ჩვენი ამოცანისთვის:

=fv (9%, 4, , -5000), ან სხვ: =fv (0.09, 4, , -5000)

pmt – ეს ცვლად ფორმულაში დაწერილია მიზე

ფუნქციის რეზულტატის გამოყენებით fv გაანგარიშება:



დიალოგურ ველებში უმჯობესია რიცხვების ჩაწერის ნაცვლად მიეთითოს მათი მისამართები, როგორც ეს სურ. 185-ზეა. თუმცა ამჟამად მეტი სიცხადისთვის განხილულ მაგალითებში პირდაპირ რიცხვებს მივუთითებთ.

**მაგალითი 2.** კომერციული საქმიანობის მიზნით 4 წლის ვადით დაგაბანდეთ თანხა 35000 ლარის ოდენობით, 16% წლიური საპროცენტო განაკვეთით. ამასთან ყოველი წლის ბოლოს შეგვაძეს თანხა 2000 ლარის ოდენობით, როგორ ვიანგარიშოთ მისაღები თანხის მოცულობა ვადის ამოწურვის შემდეგ?

$$=FV(16\%, 4, -2000, -35000) \text{ ან ასე: } =FV(16\%, 4, -2000, -35000, 0)$$

**მაგალითი 3.** ვადიან დეპოზიტზე 4 წლის ვადით შევიტანეთ თანხა 7000 ლარი. 11% წლიური საპროცენტო განაკვეთით. პროცენტის დარიცხვა გქვს თვეში (ყოველ ნახევარწელიწადში) ერთხელ წარმოებს. როგორ ვიანგარიშოთ მისაღები თანხის მოცულობა ვადის ამოწურვის შემდეგ?

**მითითება:** რადგან გქვს თვეში ერთხელ ხდება დარიცხვა, წელიწადში მოხდება 2-

A	B	C	D	E	F	G	H
1							
2		RATE	NPER	PMT	PV	FV	TYPE
3		9%	4		-5000	,C3,,E3)	
4	Function Arguments						
5	FV						
6							
7	Rate     B3                          = 0.09						
8	Nper     C3                          = 4						
9	Pmt						
10	Pv        E3                          = -5000						
11	Type						
12	= 7057.90805						
13	Returns the future value of an investment based on periodic, constant payments and a constant interest rate.						
14							
15	Pv   is the present value, or the lump-sum amount that a series of future payments is worth now. If omitted, Pv = 0.						
16							
17	Formula result = 7057.90805						
18	სურ. 185 ფუნქცია FV მიმართვების გამოყენებით						

ჯერ (12/2), ე.ო. პერიოდების რიცხვი - nper ტოლი იქნება 4 გამრავლებული 6-ზე, ხოლო rate ტოლი იქნება 11%/2, ე.ო. საბოლოოდ გაანგარიშების ფორმულა ასე ჩაიწერება:

$$=FV(Rate/2, nper*(12/2), , -PV) \quad anu =FV(11\%/2, 4*6, -7000)$$

### 9.9.3 ფუნქცია NPER

ფუნქციის ჩაწერის სინტაქსი:

ფუნქცია NPER წარმოადგენს პერიოდების რიცხვის გაანგარიშების ფუნქციას.

$$=NPER(\text{RATE}, \text{PMT}, \text{PV}, [\text{FV}], [\text{Type}])$$

**მაგალითი 1.** კომპიუტერი საქმიანობის წამოსაწყებად ავიღეთ კრედიტი 55000 ლარის ოდენობით. რამდენ თვეში შეგვიძლია სესხის დაფარვა, თუ წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 13%-ს, ხოლო ყოველთვიურად შესატანი თანხა შეადგენს 2500 ლარს?

ფორმულის ჩაწერის სინტაქსი ჩვენი ამოცანისთვის:

$$=nper(13\%/12, -2500, 55000)$$

### 9.9.4 ფუნქცია PMT

PMT ფუნქციით ხდება პერიოდულად მისაღები/გადასახდელი თანხის გაანგარიშება:

ფუნქციის ჩაწერის სინტაქსი:

$$=\text{PMT}(\text{RATE}, \text{NPER}, \text{PV}, [\text{FV}], [\text{TYPE}])$$

**მაგალითი 1:** კომპიუტერი საქმიანობის მიზნით ავიღეთ კრედიტი 45000 ლარის ოდენობით 4 წლის გადით, 16% წლიური საპროცენტო განაკვეთით. განვსაზღვროთ ყოველთვიურად გადასახდელი თანხა.

კინაიდან, ჩვენი ამოცანისთვის უნდა ვიანგარიშოთ ყოველთვიური გადასახდელი თანხა, წლიური საპროცენტო განაკვეთი და წლების რაოდენობა უნდა გადავიყვანოთ თვიურ მაჩვენებელზე. ფორმულა მიიღებს ასეთ სახეს:

$$=pmt(16\%/12, 4*12, 45000)$$

**მაგალითი 2.** კომუნიკაციების საქმიანობის მიზნით ავიდეთ კრედიტი 45000 ლარის რდენობით 7 თვის ვადით, 16% წლიური საპროცენტო განაკვეთით. განვხაზღვროთ ყოველთვიურად გადახახდელი თანხა.

ფორმულის ჩაწერის სინტაქსი ჩვენი ამოცანისთვის:

$$=PMT(16\%/12, 7, 45000)$$

ამ ამოცანაში რადგან პერიოდი თვეებშია გამოხატული, ამ მაჩვენებელს სხვა განზომილებაში გადაყვანა აღარ დახჭირდა.

### 9.9.5 საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშების ფუნქცია RATE

ფუნქციის ჩაწერის სინტაქსი:

$$=RATE(NPER, PMT, PV, [FV], [TYPE], [GUESS])$$

**მაგალითი 1.** განვხაზღვროთ წლიური საპროცენტო განაკვეთი, თუ ვაძანდებთ თანხას 4000 ლარის რდენობით 4 წლის ვადით, 1200 ლარი პერიოდულად შენატანით, ისე რომ ვადის ამოწურვის შემდეგ თანხა შეადგენდეს 38000 ლარს?

ფორმულას ჩვენი ამოცანისთვის გენება ასეთი სახე:

$$=RATE(4, -1200, -4000, 38000)$$

### 9.9.6 სესხის დაფარვის ფუნქციები IPMT და PPMT

ფუნქცია IPMT-თი იანგარიშება გადასახდელი სარგებლის თანხა კონკრეტული პერიოდისთვის მუდმივი საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში.

ფუნქციის ჩაწერის სინტაქსი:

=IPMT(rate, per, nper, pv, [fv], [Type]), სადაც per წარმოადგენს იმ კონკრეტულ პერიოდს, რომლისთვისაც გვსურს სარგებლის თანხის გაანგარიშება.

**მაგალითი:** კომპანიამ ბანკიდან აიღო სესხი 20000 ლარის რდენობით 10 თვით, 24% წლიური საპროცენტო განაკვეთით, დავადგინოთ მეორე და მესამე თვეში გადახახდელი თანხის რდენობა

=IPMT(24%/12, 2, 10, 20000) - სარგებლის თანხის გაანგარიშება მეორე თვისთვის, პასუხი: (363.47)

=IPMT(24%/12,3,10, 20000) - სარგებლის თანხის გაანგარიშება მეორე თვისთვის, პასუხი: (326.21)

**ფუნქცია PPMT-თი** იანგარიშება გადასახდელი სარგებლის თანხა კონკრეტული პერიოდისთვის. მისი ჩაწერის სინტაქსი იდენტურია IPMT-სი:

=PPMT(rate, per, nper, pv, [fv], [Type]), სადაც per წარმოადგენს იმ კონკრეტულ პერიოდს, რომლისთვისაც გვსურს ძირითადი თანხის გაანგარიშება.

### 9.9.7 ფუნქცია FVSCHEDULE– მომავალში მისაღები თანხა ცვლადი საპროცენტო განაკვეთების შემთხვევაში

ფუნქცია FVSCHEDULE -მომავალში მისაღები თანხა ცვლადი საპროცენტო განაკვეთების შემთხვევაში, იანგარიშება როგორც საწყისი თანხისა და სარგებლის ჯამი. მისი ჩაწერის სინტაქსი:

=FVSCHEDULE(PRINCIPAL, SCHEDULE ),

სადაც principal წარმოადგენს საწყის თანხას, ინგესტიციას, ხოლო Schedule – წარმოადგენს სხვადასხვა პერიოდში მოსალოდნელი შემოსავლების ზრდის პროცენტების დიაპაზონს, ხცელის ფურცელზე მათ ჩავწერთ მიყოლებით და Schedule იქნება მათი დიაპაზონი,

მაგალითი: უჯრაში დაფიქსირებულია ინგესტიცია 3000 ლარის ოდენობით. ხოლო D3:D5 დიაპაზონში შემოსავლის ზრდა პირველ, მეორე და მესამე პერიოდში შესაბამისად 15%, 25%, 40%. ფუნქციას ექნება ასეთი სახე:

=FVSCHEDULE(3000, D3:D5)

### 9.9.8 ფუნქცია EFFECT- რეალური (ეფექტური) საპროცენტო განაკვეთი

ფუნქცია EFFECT- რეალური (ეფექტური) საპროცენტო განაკვეთი ანგარიშობს მოქმედ, რეალურ წლიურ საპროცენტო განაკვეთს, როცა მოცემულია დარიცხვების პერიოდების რაოდენობა, მისი ჩაწერის სინტაქსი ასეთია:

=EFFECT(Nominal-Rate, Nper),

მაგალითად, თუ თანხა გამოტანილია 5 წლის ვადით, წლიური საპროცენტო განაკვეთით - 20% და დარიცხვები ხდება ნახევარწელიში ერთხელ, მაშინ დარიცხვების პერიოდი იქნება  $5*2=10$ .

ფუნქციას ექნება ასეთი სახე:

=EFFECT(20%, 5\*2)

### 9.9.9 ფუნქცია NOMINAL

ეს ფუნქცია ანგარიშობს ნომინალურ წლიურ საპროცენტო განაკვეთს, როცა მოცემულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთი და დარიცხვების პერიოდების რაოდენობა, მისი ჩაწერის სიჩრაქსი ასეთია:

=Nominal (EFFECT -Rate, NPER),

მაგალითად, თუ სესხი გამოტანილი გვაქვს 3 წლის ვადით და წელიში ორჯერ ხდება დარიცხვა, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 22%-ია, მაშინ ფუნქცია გამოითვლება ასე:

= Nominal(22%,3\*2)

მივიღებთ შედეგს 0.2021, ანუ 20 %-ს.

### 9.9.10 ფინანსური ფუნქციების გაანგარიშების მათემატიკური საფუძველი

Excel-ში განხილული ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქციის გაანგარიშების საფუძველს წარმოადგენს შემდეგი ფორმულა:

$PMT * ((1+RATE)^nper - 1) / RATE * (1+RATE*TYPE) + PV(1+RATE)^nper + FV = 0$

**როგორ გამოანგარიშებიან FV, PV, PMT, Rate და Nper?**

**FV**- მომავალში მისაღები თანხა:

I შემთხვევა: როცა საწყისი თანხა ცნობილია, ე.ი. PV მოცემულია, მაშინ FV გამოითვლება შემდეგი გაანგარიშების საფუძველზე:

$FV = PV(1+R)^nper$

II შემთხვევა: როცა PMT მოცემულია, ხოლო PV=0, მაშინ TYPE=0:

$FV = PMT (1+R)^n / R$

**PV – საწყისი თანხა, ინვესტიცია:**

I შემთხვევა: როცა მომავალში მისაღები თანხა (მოსალოდნელი შედეგი) ცნობილია, ე.ი. FV მოცემულია, ხოლო PMT=0, მაშინ PV გამოითვლება შემდეგი გაანგარიშების საფუძველზე:

$$PV=FV / (1+RATE)^{nper}$$

II შემთხვევა: როცა PMT მოცემულია, ხოლო FV=0, მაშინ:

$$PV= (FV+PMT((1+RATE)^{nper}-1)/RATE ) (1+RATE)^{nper}$$

**PMT – პერიოდულად შესატანი თანხის გაანგარიშება:**

I შემთხვევა: როცა PV=0 და TYPE=0, ხოლო FV მოცემულია:

$$PMT= (RATE * FV) / ((1+RATE)^{nper}-1)$$

II შემთხვევა: როცა PV=0, ხოლო TYPE=1

$$PMT= FV / ((1+RATE)^{nper}-1)$$

**Rate – წლიური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშება:**

$$RATE=\sqrt{FV/PV} -1$$

**NPER – პერიოდების რიცხვის გაანგარიშება:**

$$NPER=Log(FV/(1+RATE)^{nper})$$

### კოსტეჯი და სავარჯიშო შოება:

1. რა იანგარიშება ფუნქციით

PV/FV/PMT/NPER/RATE/IPMT/PPMT/FVSCHEDULE/EFFECT/NOMINAL?

2. რას გამოსახავს არგუმენტი Type?

3. რომელი ფუნქციით იანგარიშება ყოველთვიური გადასახადი?

4. რომელი ფორმულით იანგარიშება კონკრეტულ პერიოდში გადასახდელი სარგებლის თანხა?


## X თავი. დიაგრამები

### 10.1 დიაგრამები

Excel-ს დიაგრამების სახით გააჩნია მძლავრი საშუალებები მონაცემთა ვიზუალური წარმოდგენისა და ანალიზისათვის. დიაგრამების საშუალებით აისახება სხვადასხვა სიდიდეების თანაფარდობა, დინამიური ცვლილება.

#### როგორ აგავოთ დიაგრამა?

1. მონიშნული მონაცემებისთვის დიაგრამის აგება შეგვიძლია კლავიატურის დილაკთა კომბინაციით: [Alt]+[F11].
2. დიაგრამის ასაგებად საჭიროა მოინიშნოს მონაცემები, რომელთათვისაც უნდა აიგოს დიაგრამა და Insert ჩანართიდან Chart ბრძანებათა ჯგუფიდან მოხდეს დიაგრამის ტიპის არჩევა (იხ. სურ. 186). როგორც სურ. 186-დანაც ჩანს, თითოეული სახის დიაგრამას გააჩნია ჩამოსაშლელი სიის დილაკი, რომლითაც გამოდის შესაბამისი დიაგრამის „გალერეა”.



სურ. 186. დიაგრამების ჩასმა

მონაცემთა გრაფიკულ წარმოდგენას ზოგჯერ მთელი მონაცემებისთვის ან ცხრილისთვის გაკეთებთ, ზოგჯერ კი- ამორჩეული სვეტებისთვის/სტრიქონებისთვის. არასაჭირო მონაცემების დამალვით (Home/Format/Hide ) ან პირველი სტრიქონის/სვეტის მონიშვნის შემდეგ CTRL დილაკის გამოყენებით დანარჩენების მოსანიშნად;


დიაგრამის ჩასმა ხდება მონიშნული მონაცემების გვერდით, თუმცა შესაძლოა მისი ჩასმა ახალ სამუშაო ფურცელზედაც.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მონაცემთა ცვლილებისას მისი შესაბამისი დიაგრამაც იცვლება, ანუ დიაგრამა მუდმივ პაკშირშია მონაცემებთან. მათი წაშლის შემთხვევაში დიაგრამაც წაიშლება.

## 10.2 დიაგრამების სახეობები

### რა ტიპის დიაგრამები არსებობს?

Insert ჩანართიდან Chart ბრძანებათა ჯგუფის ბოლოში ისარზე მოქმედებით გამოსული დიალოგური ფანჯრის All Charts განყოფილებაზე მოქმედებით იხსნება დიაგრამათა გალერეა „All Chart Types...“. მასზე მოქმედებითაც გამოდის ფანჯარა (იხ. სურ. 187), სადაც ყველა შესაძლო სახეობის გრაფიკი ერთადაა მოთავსებული.



სურ. 187 ყველა სახეობის დიაგრამა

დიაგრამები - Stock, Surface, Doughnut, Bubble და Radar გაერთინებული არიან ლენტაზე Other Charts ჯგუფში.

თითოეულ დიაგრამას თავისი დანიშნულება და ქვესახეობები გააჩნია:

- Column - სვეტოვანი დიაგრამები (პისტოგრამები) უმეტეს შემთხვევაში გამოიყენება.

მონაცემთა შესაძარებლად ან მონაცემთა ცვლილების სადემონსტრაციოდ. პორიზონტალურ დერძზე ხდება განლაგება კატეგორიების, რის მიხედვითაც ხდება მონაცემთა შედარება ერთმანეთთან, სურ. 188-ზე კატეგორიების მაგალითია: ფილიალი 1, ფილიალი 2 და ა. შ. ვერტიკალურ დერძზე კი წარმოდგენილია მწკრივები, ანუ სიდიდეთა მნიშვნელობები. სვეტოვანი დიაგრამა შეიძლება იყოს ორგანზომილებიანი ანუ სიბრტყითი (2-D Column), სამგანზომილებიანი ანუ მოცულობითი (3-D Column), ცილინდრული (Cylinder), კონუსური (Cone) და პირამიდული (Pyramid). სამგანზომილებიანი ჰისტოგრამის შემთხვევაში მონაცემთა გრაფიკული წარმოდგენისთვის გამოიყენება სამი დერძი: პორიზონტალური, ვერტიკალური და “სიღრმის” დერძი; ამ ტიპის ჰისტოგრამაში კატეგორიის შიგნით კარგად ჩანს მნიშვნელების შედარება. ორ და სამგანზომილებიან ჰისტოგრამებს უწოდებენ - ჰისტოგრამებს შეგროვებით.

იმ შემთხვევაში, როცა ცალკეული მნიშვნელები გამოსახულია პროცენტებში, კარგად ჩანს თითოეული მათგანის პროცენტული წვლილი კატეგორიის შიგნით მთლიან შედეგთან მიმართებით, ჰისტოგრამის ეს სახეობა ცნობილია როგორც ნორმირებული ჰისტოგრამა შეგროვებით.

- Line- წარმოადგენს გრაფიკს, სადაც მონაცემთა მწკრივების ცალკეული წერტილებია ერთმანეთთან შეერთებული.
- Pie - წარმოადგენს წრიულ დიაგრამას, იგი გამოიყენება ერთ მწკრივში (სვეტის ან სტრიქონის მიხედვით) განთავსებული მონაცემების შედარებისთვის. ამ დიაგრამაში კარგად ჩანს თითოეული კატეგორიის ხვედრითი წილი მთლიან მნიშვნელობაში. წრიული დიაგრამების გამოყენებას აზრი აქვს მაშინ, როცა მწკრივში არც ერთი უარყოფითი რიცხვი არაა და ნულოვანი სიდიდეებიც იშვიათად გვხვდება.
- Bar- ხაზოვანი დიაგრამა წარმოადგენს პორიზონტალურ-სტრიქონ დიაგრამას.
- Area ტიპის დიაგრამის დროს ხდება გრაფიკსა და X დერძს შორის ველის შეფერადება.
- Scatter- წერტილოვანი დიაგრამა გამოიყენება ორი მწკრივის მონაცემთა გრაფიკული ასახვისათვის.
- Stock- საბირუო დიაგრამა, გამოიყენება აქციათა ფასების სადემონსტრაციოდ.
- Doughnut – რგოლური დიაგრამა გამოიყენება რამდენიმე მწკრივის მონაცემთა ერთდროულად ასახვისათვის, სადაც ყოველ მწკრივს შეესაბამება თავისი რგოლური ნაწილი.

- Bubble – ბუბლულოვანი დიაგრამა, წარმოადგენს წერტილოვანი დიაგრამის სახესხვაობას.
- Radar – რადარი, რომლის ყოველი რიცხვითი მნიშვნელობა განისაზღვრება მისი დაშორებით ცენტრიდან.

**რა ძირითადი პარამეტრები გვჭირდება დიაგრამების აგებისა და რედაქტირების დროს?**

დიაგრამების აგებისა და რედაქტირებისათვის საჭიროა ვიცოდეთ ისეთი პარამეტრები, როგორიცა:

- Chart Title – დიაგრამის სათაური
- Chart Area – დიაგრამის არე
- Plot Area - ნახაზის არე
- Category – კატეგორიები (აისახება აბსცისათა ღერძზე)
- Value – რიცხვითი მნიშვნელობები (ორდინატთა ღერძზე)
- Series - მწკრივები
- Axis – ღერძი
- Legend – ლეგენდა, გრაფიკზე განმარტებითი წარწერები
- Data Source - მონაცემთა წყარო
- Select Data - მონაცემთა ჟერჩევა

### 10.3 დიაგრამების რედაქტირება და ფორმატირება

დიაგრამის შექმნის შემდეგ შესაძლებელია მისი შესწორება, ელემენტების დამატება, წაშლა ან სხვა ადგილზე განთავსება, ტექსტის მხატვრულად გაფორმება, გრაფიკისთვის ფონის დადება, გრაფიკის ტიპის, დიზაინის შეცვლა და ა.შ.


დიაგრამის გვერდით ხშირად არის განთავსებული წარწერები, მაგალითად რიგების დაშიფვრა, რომელი ფერი რომელ რიგს აღნიშნავს. ამ წარწერებზე თაგვით მოქმედებით ჩნდება მართკუთხა ბლოკი, სადაც ეს წარწერებია განთავსებული, მართკუთხა ბლოკის საშუალებით ადგილია მისი გადატანა და

სხვა ადგილზე განთავსება, ასევე შრიფტის სტილის, ფერის არჩევა და ა. შ. შეგვიძლია წაშლაც მისი მონიშვნით და DELETE ღილაკზე მოქმედებით.

რაც უფრო მეტ მონაცემთა მწკრივს<sup>10</sup> (რიგს) შეიცავს ცხრილი, მით უფრო მოსახერხებელია პისტოგრამა მონაცემთა ვიზუალიზაციისათვის, მაგრამ ერთი სვეტი შესაძლოა ასახავდეს რამოდენიმე მწკრივს, ამიტომ ხდება საჭირო რიგების დაშიფვრა. რიგების დაშიფვრის ეს ოთხეუთხა ბლოკი წარმოადგენს ლეგენდას.

მონაცემთა მნიშვნელობების განლაგების დროს დიაგრამაზე ჩნდება პატარა ოთხეუთხედები, რომლებსაც ლეგენდის გასაღებს (Legend key) უწოდებენ.

სურ. 188-ზე ნაჩვენებია პისტოგრამა მის მარცხნივ მოთავსებული მონაცემების მიხედვით.



სურ. 188. სვეტობრივი დიაგრამა

გრაფიკის არგმი თუ ვიმოქმედებთ, ლენტის ზემოთ გამოჩნდება სამი დამატებითი ჩანართი: Design-ჯონსტრუქტორის რეჟიმი, Layout - მაკეტი, და Format – ფორმატირება. ამ ჩანართების პრძანებთა ჯგუფები წარმოდგენილა სურ. 189-ზე.


<sup>10</sup> მწკრივი და რიგი იგივეა რაც სვეტი

სწორედ ეს სამი ჩანართი უზრუნველყოფს დიაგრამების რედაქტირებას და ფორმატირებას. თითოეული მათგანი მოიცავს უამრავ პრძანებებს დიაგრამებთან სამუშაოდ.

### რა საშუალებები გააჩნია Design კონსტრუქტორის რეჟიმში?

კერძოდ, Design-ის პირველი პიქტოგრამით – Change Chart Type შესაძლებელია დიაგრამის ტიპის შეცვლა, პიქტოგრამით – Save As Template შესაძლებელია შაბლონად შენახვა, პიქტოგრამით – Switch Row/Column ხდება მონაცემთა რიგების ასახვა სვეტებისა და სტრიქონების მიხედვით, Select Data საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ მონაცემთა წყარო - დიაპაზონი გრაფიკის X და Y დერძებისთვის (იხ. სურ. 189), თუ ვიმოქმედებთ ფანჯრის მარჯვენა მხარეს, Edit ლილაკზე, გამოდის დიალოგური ფანჯარა, სადაც უნდა მიუჰითოთ ის დიაპაზონი, რომლის მონაცემებმაც გვსურს რომ ჩანაცვლონ არსებული წარწერები, განხილული მაგალითის შემთხვევაში – “ფილიალი, ფილიალ2.....”


Design/Chart Layout ჩანართით შესაძლებელია დიაგრამის მაკეტის - დიაგრამის



სურ. 189. დიაგრამის რედაქტირების და ფორმატირების პრძანებათა ჯგუფები

ელემენტების განლაგების შერჩევა; მაგალითად წრიულ დიაგრამაზე პროცენტების

და მწკრივის მნიშვნელობათა დატანა შეგვიძლია მოვახდინოთ ამ ბრძანებათა ჯგუფიდან (იხ. სურ. 190).



სურ. 190. წრიულ დიაგრამაზე პროცენტების და მწკრივის მნიშვნელობათა წარწერები

Chart Styles ჩანართით შეგვიძლია ავირჩიოთ დიაგრამის სტილი.

### რა საშუალებები გააჩნია Layout (მაკეტი) ჩანართს?

Layout ჩანართი საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ დიაგრამაზე წარწერების ფორმატირება, დიაგრამაზე სურათის (Picture), გეომეტრიული ფიგურის (Shape), ჩასმა;

Layout/Chart Title საშუალებას გვაძლევს დიაგრამა დავასათაუროთ ან ავირჩიოთ სათაურის განლაგების ადგილი;

Layout/Axis Title საშუალებას გვაძლევს დიაგრამის აბსცისის დერმი დავასათაუროთ, ავირჩიოთ სათაურის განლაგების ადგილი;

Layout/Legends საშუალებას გვაძლევს მონაცემთა წარწერები გავაკეთოთ დიაგრამის სხვადასხვა მხარეს.

Layout/Data Labels ახდენს მონაცემთა მნიშვნელობების განთავსებას არჩეულ არეში;

Layout/Data Tables ახდენს ცხრილის სახით იმ მონაცემთა მნიშვნელობების გამოტანას, რომლის საფუძველზედაც აგებულია დიაგრამა;

Layout/Axis საშუალებას გვაძლევს წარმოვაჩინოთ ჰორიზონტალური და ვერტიკალური ლერძები სხვადასხვა სახით, მაგ, წარწერების გარეშე (Without Labels და ა. შ.),

Layout/Gridlines – ვერტიკალური და ჰორიზონტალური ბადეების ჩართვა-ამორთვა;

Layout/Background – ფონი დიაგრამის არეში;

Layout/Analysis საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ ანალიზი გრაფიკების საშუალებით, ავაგოთ ტრენდი, ვიპოვოთ რეგრესიული განტოლება და ა. შ.


### რა საშუალებები გააჩნია *Format* (ფორმატირება) ჩანართს?

ჩანართი Format – ით შეგვიძლია ჩვენს დიაგრამას გაფუქტოთ სასურველი ჩარჩო Format/Shape styles, ფონი- Shape Fill, ფონის არჩევის დროს შეგვიძლია დიაგრამის ობიექტის არა მარტო ფერით შეფერვა, არამედ სურათის ჩასმაც ფონად Format/Shape Fill/Picture, შეგვიძლია აგრეთვე ეფექტების მიცემაც- Shape Effects, და ასევე წარწერების მსატვრულად გაფორმებაც WordArt Styles.

#### 10.3.1 დიაგრამის ახალ ფურცელზე გადატანა

### როგორ გადავიტანოთ დიაგრამა ახალ ფურცელზე?

ახალ სამუშაო ფურცელზე დიაგრამის გადატანა შესაძლებელია Location ბრძანებათა ჯგუფში Move Chart პიქტოგრამაზე მოქმედებით და ჩამრთველის – New Sheet (იხ. სურ. 191) გააქტიურებით, და OK. დიაგრამის ფურცელს ავტომატურად ერქმევა სახელი: Chart1, იგი შეგვიძლია შევცვალოთ, სხვა სახელის გადაწერებით ან შემდგომში Rename ბრძანებით.




სურ. 191 დიაგრამის გადატანა ახალ ფურცელზე

## 10.3.2 დიაგრამის გადატანა რომელიმე სამუშაო ფურცელზე

### როგორ გადავიტანოთ დიაგრამა რომელიმე სამუშაო ფურცელზე?

დიაგრამა შეგვიძლია რომელიმე სამუშაო ფურცელზეც გადავიტანოთ, ამისათვის უნდა გავააქტიუროთ Object in Cell ველი და ჩავწეროთ იმ ფურცლის სახელი, რომელზედაც გვსურს დიაგრამის გადატანა.


**მაგალითი:** მოვნიშნოთ მონაცემები და ავაგოთ წრიული დიაგრამა ნაჩვენები სახით: აგებულ დიაგრამაზე მოვნიშნოთ სათაური და დავაწეროთ: “საქონლის




სურ. 192. წრიული დიაგრამის აგება

ხეედრითი წილი”. ვიმოქმედოთ დიაგრამის არეში და Design /Chart layouts ბრძანებათა ჯგუფში ავირჩიოთ ისეთი მაკეტი, რომელსაც კატეგორიაც აწერია და პროცენტიც (იხ. სურ. 190, პირველივე პიქტოგრამა).

წრიულ დიაგრამაზე წარწერების გაკეთება შესაძლებელია აგრეთვე შემდეგნაირადაც: Layout/ Data Labels an design/ დიაგრამას ზედ დაეწერება რიცხვითი მნიშვნელობები, მასზე კატეგორიებისა (ამ შემთხვევაში საქონლის დასახელებები) და პროცენტების დასაწერად ვმოქმედებთ კონტექსტური მენიუ /Format Data Labels და გამოსულ ფანჯარაში გავააქტიურებთ ჩამრთველებს: category, Percentige. შემდეგ კი



სურ. 193 წრიულ დიაგრამაზე  
მონაცემების დამატება




სურ. 194 დიაგრამაზე კატეგორიებისა და პროცენტების  
წარწერები

ვიმოქმედებთ ამ ფანჯრის ბოლოს მოთავსებულ ბრძანებაზე: Close (იხ. სურ. 194)

როგორც სურ. 194-დანაც ჩანს, ამ ფანჯრიდან შეგვიძლია აგრეთვე დიაგრამის ფორმატირებაც (სურ. 194-ის მარცხენა პანელი)


**მაგალითი:** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამმართველოს საიტიდან ([www.geostat.ge](http://www.geostat.ge)) გადმოვწეროთ ბიზნეს-სექტორში 2005 წლიდან 2011 წლის ჩათვლით კველა (მსხვილი, საშუალო, მცირე) საწარმოთა მიერ მოღიანად გამოშვებული



სურ. 195. მაგალითი ჰისტოგრამისთვის

პროდუქციის რაოდენობების რეალური მონაცემები (სურ. 195) და აგაგოთ ჰისტოგრამა.

მოვნიშნოთ დიაპაზონი A2:B9, ვიმოქმედოთ პრდანებაზე Insert/Chart და ავირჩიოთ




სურ. 196 გრაფიგზე წლების აღმნიშვნელი სვეტების მოცილება და აბსრისათა ოპრძნელ წლების ჩასმა

რომელიმე (ჩვენი მაგალითისთვის პირველივე) *2D Column* სახეობებიდან. მივიღებთ დიაგრამას სურ. 195-ზე მოცემული სახით:

სურ. 195-ზე დიაგრამიდან მოვაცილოთ წლების აღმნიშვნელი ხვევები, ხოლო აბსცისათა ღერძზე რიცხვების 1,2,3 ... ნაცვლად ჩავწეროთ წლები. ამისათვის ვიმოქმედოთ დიაგრამის არეში. გამოჩენდება დამატებითი ჩანართი *Chart Tools*, ვიმოქმედოთ მის ქვეჩანართიდან *Design/ Select Data*-ზე. იხსენდა ფანჯარა *Select data Source*, სადაც *Legend Entries (Series)* განვიღილებაში მოვნიშნოთ წლები და ვიმოქმედოთ *Remove*-ზე (სურ.196).


აბსცისათა ღერძზე წლების ჩასახმელად ფანჯრის მარჯვენა მხარეს ვიმოქმედოთ ბრძანებაზე *Edit*, გამოდის დიალოგურუ ფანჯარა *Axis Label*, სადაც ვეღული *Label*



სურ. 197. წარწერების შეცვლა აბსცისათა ღერძზე

*Range* დავაყენებთ კურსორს და მოვნიშნავთ დიაპაზონს წლების არეში, ანუ A3:A9.

გამოდის ფანჯარა (სურ. 197. მარჯვენა პანელი), სადაც ჩანს, რომ 1, 2, 3...



სურ. 198. წარწერების შეცვლა აბსცისათა ღერძზე

რიცხვების ნაცვლად ჩაწერილია უკვე წლები 2005, 2006 და ა. შ.

ვმოქმედებთ *Ok*-ზე და ვიღებთ გრაფიკს, წავშლით ლეგენდას (დიაგრამის მარჯვივ წარწერას თოვეთხა ბლოკში), ვიმოქმედებთ დიაგრამის სათაურზე, ავირჩევთ საჭირო შეფრთხებას, ხელის მიზნით ხასურებელ სათაურს.

საბოლოოდ მივიღებთ გრაფიკს ხურ. 198-ზე ნაჩვენები სახით.


#### კითხვები და საგარჯიშოები:

1. როგორ ვნახოთ დიაგრამის ყველა შესაძლებელი სახეობა?
2. რაზე მიუთითებს სამუშაო ფურცლის სახელებს შორის განთავსებული ფურცელი Chart1?
3. დილაკთა რომელი კომბინაციით აიგება დიაგრამა მონიშნული მონაცემებისთვის და სად განთავსდება იგი?
4. რას წარმოადგენს ლეგენდა?
5. როგორ შევცვალოთ დიაგრამის სათაური?
6. როგორ გადავიტანოთ დიაგრამის სთაური ნახაზის მარცხენა მხარეს/ქვედა მხარეს?
7. რომელი დიაგრამა შეგვიძლია ავაგოთ ერთი სვეტის მონაცემთა შესადარებლად?
8. როგორ მოვახდინოთ დიაგრამის სათაურის მხატვრულად გაფორმება?
9. როგორ შევცვალოთ აგებული დიაგრამის ტიპი?
10. როგორ მოვახდინოთ დიაგრამისთვის ჩვენთვის სასურველი სურათის ფონად დადება?
11. როგორ შევცვალოთ კატეგორიები (წარწერები X დერძზე)?
12. დიაგრამის რომელი ტიპი შეგვიძლია გამოვიყენოთ ერთდროულად 12 სტუდენტის შეფასების ვიზუალიზაციისათვის?
13. რას წარმოადგენს პისტოგრამა და რა დანიშნულება გააჩნია?

#### 10.4 ტრენდის აგება

ტრენდის საშუალებით შესაძლებელია არსებული მონაცემების საფუძველზე მდგომარეობის შეფასება და პროგნოზის გაკეთება. თვალსაჩინოებისათვის მოცემული ცხრილის საფუძველზე (სურ. 199) ავაგოთ ტრენდი. ამისათვის მოვნიშნოთ A2:B8 დიაპაზონი და მენიუს სტრიქონიდან Insert-ში გრაფიკებიდან ავირჩიოთ Scatter – დან რომელიმე, ჩვენს შემთხვევაში არჩეულია მეორე (სურ.

199). შედეგად მივიღებთ უმუშევრობის არსებული მდგომარეობის ამსახველ სურათს (სურ. 199), ამ გრაფიკზე აბსცისების დერძზე მოცემულია წლები.




სურ. 199. მაგალითი ტრენდისთვის. წყარო: [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

საპროგნოზო მდგომარეობის მიღება შეგვიძლია ორი გზით:

1. ვიმოქმედებთ თაგვით დიაგრამის არეში, რომ მოინიშნოს დიაგრამის არე, მარჯვნივ პლიუს დილაკზე (Chart Element) მოქმედებით გამოსული მენიუდან კი ვიმოქმედებთ Trendline-ზე (სურ. 199).
2. Design ჩანართიდან ვიმოქმედებთ სამუშაო ზოლზე უკიდურესად მარცხნივ მდებარე Add Chart Element ბრძანებაზე - Chart Layout ბრძანებათა ჯგუფში (სურ. 200).


ორივე შემთხვევაში ვმოქმედებთ Trendline/More Trendline Options-ზე. იხსნება ფანჯარა Format Trendline, წრფივი ტრენდის მისაღებად ვააქტიურებთ Linear –ს. შემდგომი პერიოდებისთვის პროგნოზის მისაღებად ამავე ფანჯრის ქვემოთ Forecast განყოფილებაში Forward ველში 0-ის ნაცვლად ჩავწერთ პერიოდების რიცხვს, ხოლო თუ გვსურს რეგრესიული განტოლების გამოტანაც, ვააქტიურებთ

ჩამრთველს: Display Equation on Chart ბრძანებას. წინა პერიოდების შედეგები თუ გვაინტერესებს, მაშინ პერიოდების რიცხვს მივუთითებთ Backward ველში. (იხ. სურ. 200).




სურ. 200 ტრენდის აგება

საბოლოოდ, საქართველოში უმუშევრობის საპროგნოზო სურათს 2021 და 2022 წლებისთვის ექნება შემდეგი სახე (იხ. სურ. 201).



სურ. 201 უმუშევართა პროგნოზი 2021-2022 წლებისთვის

სურ. 202-ზე მაგალითისთვის ასახულია 2006-2011 წლების მონაცემების საფუძველზე შემდგომი სამი პერიოდის პროგნოზი.



სურ. 202. დეპოზიტების საპროგნოზო მდგრმარეობა 2012, 2013, 2014 წლისთვის.


თუ Linear-ის ნაცვლად მოვნიშნავთ პირველ პუნქტს - Exponential-ს, მაშინ წრფივის მაგივრად მივიღებთ მრუდწირულ გრაფიკს.

## 10.5 მზა გრაფიკული სქემების გამოყენება

Excel-ში არის შესაძლებლობა მზა დიაგრამების გამოყენების. მათი გამოძახება შესაძლებელია შემდეგი ბრძანებათა თანმიმდევრობით:


### Insert/Illustration/SmartArt

იხსნება ფანჯარა, რომლის მარცხენა პანელშიც Choose a SmartArt Graphic ჩამონათვალია სხვადასხვა ტიპის გამზადებული გრაფიკული სქემების, რომლებიც გრაფიკულ ობიექტებს აერთიანებენ და შესაძლებელია ამ ობიექტთა ფორმის




სურ. 203 გრაფიკული სქემები მზა სახით

შეცვლა, ზედ წარწერების გადატანა, ფორმატირება, რედაქტირება, წაშლა, დამატება. სურ. 203-ზე ნაჩვენებია გამზადებული დიაგრამების ტიპები, თუმცა თითოეულ მათგანს თავისი შესაბამისი ქვესახეობები გააჩნია. მაგ. სურ 204-ზე გახსნილია წრიული დიაგრამის სახეობები, სურ. 205-ზე კი ნაჩვენებია თითოეული იერარქიული სქემა.




სურ. 204 წრიული გრაფიკული სქემის სახეები



სურ. 205 იერარქიული სქემები


## როგორ მოვახდინოთ SmartArt სქემების ფორმატირება და რედაქტირება?




სურ. 206

ორგანიზაციული სქემა

ჩავსვათ ორგანიზაციული სქემა. თითოეულ ობიექტზე თაგვით მოქმედების დროს ხდება ამ ობიექტის მონიშვნა, და ჩნდება დამატებითი ჩანართი SmartArt Tools თავისი ქვეჩანართებით Design და Format.




სურ. 207 ორგანიზაციული სქემის დიზაინი



სურ. 208 სქემის ფორმატირება

ფიგურის რედაქტირება და ფორმატირება შესაძლებელია ფიგურის კონტენტზე მენიუდანაც (სურ. 209). შეცვლა, დამატება,



სურ.209 ორგანიზაციული სტრუქტურა და SmartArt-ის  
კონტექსტური მენიუ

როგორც ვხედავთ, მზა სქემის საფუძველზე გვეძლება მალიან ბევრი შესაძლებლობები სწრაფად და ეფექტურად ავაგოთ ჩვენთვის სასურველი სქემა.

## 10.6 EXCEL-ში ბრძანებების შესრულება კლავიატურის დილაკების კომბინაციით

კლავიატურის დილაკების კომბინაცია	შესასრულებელი ბრძანების შინაარსი
[Ctrl]+[N]	ახალი წიგნის გახსნა
[Ctrl]+[O]	არსებული წიგნის გახსნა
[Ctrl]+[S]	წიგნის შენახვა
[Ctrl]+[P]	მიმღინარე ფურცლის აქტიური არის ბეჭდვა
[Ctrl]+[F4]	გახსნილი წიგნის დახურვა
[Ctrl]+[Page Up]	წინა ფურცლის დასაწყისში გადასვლა
[Ctrl]+[Page Down]	მომდევნო ფურცლის დასაწყისში გადასვლა
[Ctrl]+[↑]	გადასვლა აქტიური უჯრიდან სვეტის დასაწყისში


[Ctrl]+[	გადასვლა აქტიური უჯრიდან სვეტის ბოლოში
[Ctrl]+[ → ]	გადასვლა აქტიური უჯრიდან სტრიქონის ბოლოში
[Ctrl]+[ ← ]	გადასვლა აქტიური უჯრიდან სტრიქონის დასაწყისში
Home	
Shift]+[F11]	ფურცლის ჩამატება
[CTRL]+[F1]	ლენტის ჩაკეცვა-აღდგენა
[CTRL]+[A]	აქტიური ფურცლის მონიშვნა
[CTRL]+[X]	მონიშნული ფრაგმენტის ბუფერში გადატანა
[CTRL]+[C]	მონიშნული ფრაგმენტის ასლის ბუფერში გადატანა
[CTRL]+[V]	მონიშნული ფრაგმენტის ჩასმა ბუფერიდან აქტიურ ფურცელზე
[CTRL]+[shift]+[Home]	აქტიური უჯრის ზემოთ მდებარე არის მონიშვნა
[CTRL]+[shift]+[↑]	მონიშვნა სვეტის აქტიური უჯრიდან სვეტის დასაწყისამდე
[CTRL]+[shift]+[ ↓ ]	მონიშვნა სვეტის აქტიური უჯრიდან სვეტის ბოლომდე
[CTRL]+[shift]+[ ← ]	მონიშვნა სტრიქონის აქტიური უჯრიდან სტრიქონის დასაწყისამდე
[CTRL]+[shift]+[ → ]	მონიშვნა სტრიქონის აქტიური უჯრიდან სტრიქონის ბოლომდე
[CTRL]+[;]	მიმდინარე თარიღის ჩასმა აქტიურ უჯრაში
[CTRL]+ [Shift] +[;]]	მიმდინარე დროის ჩასმა აქტიურ უჯრაში

## II ნაწილი. EXCEL -ის გამლიერებული პურსი

### I თავი. მონაცემთა ანალიზი WHAT-IF ANALYSIS საშუალებით

#### 1.1 ანალიზის საშუალება GOAL SEEK

Excel -ში ჩართულია მონაცემთა ანალიზის საშუალებები What\_if analysis (რა მოხდება თუ) სახით Data ჩანართში Data Tools ბრძანებათა ჯგუფში. What\_if analysis-ის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს Goal Seek (იხ. სურ. 1).




სურ. 1. მონაცემთა ანალიზი What-If Analysis საშუალებით

*Goal Seek* წარმოადგენს მძლავრ საშუალებას შედეგის საფუძველზე საწყისი პარამეტრის ცვლილებისათვის (უკუგათვლებისთვის). ე. ი. ხდება საწყისი პარამეტრის შეცვლა იმისათვის, რომ შედეგი გახდეს სახურველი სიდიდე.

**მაგალითი:** ფართის შესაძენად კრედიტით გამოგვაქვს 45000 ლარი 5 წლის ვადით, 24%-ით. გამოვითვალოთ ყოველთვიური შესატანი თანხა. გამოვიძახოთ ფუნქციების ოსტატი და გამოვითვალოთ ფუნქცია PMT(სურ. 3). როგორც ვხედავთ, მივიღეთ უარყოფითი რიცხვი (მრავალ ფრჩხილებში ჩაწერილი რიცხვი უარყოფითია), რადგან იგი გასავალს აღნიშნავს. ამოცანის მიხედვით ყოველთვიურმა შესატანმა

თანხამ შეადგინა 1294.56. მაგრამ ჩვენ მხოლოდ 1000 ლარის გადახდის შესაძლებლობა გვაქვს ყოველთვიურად. ამიტომ უნდა გადავიანგარიშთ რა



სურ. 2. Goal Seek-ის ფანჯარა

ოდენობის სესხის აღება შეგვიძლია რომ შედეგში 1000 ლარი დაფიქსირდეს?

გამოვიყენოთ ფუნქცია Goal Seek.

	A	B	C	Function Arguments
1	კრედიტი	PV	45000	PMT
2	წლ.საპრ. განაკვეთი	Rate	24%	Rate C2/12
3	პერიოდების	Nper	5	Nper C3*12
4	ყოველთვიური გადასახდელი	PMT	(\\$1,294.56)	Pv C1
5	თანხა - ?			Fv
				Type
				Calculates the payment for a loan based

სურ. 3 PMT გაანგარიშება

- გავააქტიუროთ საშედეგო უჯრა - C4.
- ვიმოქმედოთ ბრძანებათა თანმიმდევრობაზე: Data /Data Tools/What- If analysis/

	A	B	C
1	კრედიტი	PV	34761
2	წლ.საპრ.	Rate	
3	განაკვეთი		24%
4	პერიოდების		
5	რიცხვი	Nper	5
6	გადასახდელი		
7	თანხა - ?	PMT	-1000

სურ. 4. პარამეტრების დაფიქსირება Goal Seek-ში

Goal Seek.

3. შევავსოთ Goal Seek ფანჯარა, როგორც ეს სურ. 4-ზეა და ვიმოქმედოთ OK-ზე. Goal Seek გადაიანგარიშებს და ყოველთვიური გადასახადის 1000 ლარის პირობებში საწყის პარამეტრს - სესხის ოდენობას მივიღებთ 34761-ს.

**მაგალითი 2 Goal Seek-ის გამოყენებაზე:** ავაგოთ ცხრილი სურ.5-ზე ნაჩვენები სახით, სადაც თანხის სვეტი გამოთვლილია რაოდენობის გამრავლებით

The screenshot shows a Microsoft Excel spreadsheet with a data table and a Goal Seek dialog box. The data table has columns: საქმის დახასხელება (Earnings from sales), რაოდენობა (Quantity), ერთეულის ფასი (ლარებში) (Unit price (Lari)), and თანხა (Sales amount). The last column is highlighted in blue. A Goal Seek dialog box is open, with Set cell: E8, To value: 120000, and By changing cell: \$C\$3. Arrows point from the dialog box to the corresponding cells in the table.

	საქმის დახასხელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარებში)	თანხა
3	მონიტორი თხევად-კრისტ.	200	400	80000
4	მონიტორი პლაზმური	100	300	30000
5	კლავიატურა	200	21	4200
6	თაბვა	200	8	1600
7	პრინტერი	50	220	11000
8	მთლიანი თანხა			126800

სურ. 5 მაგალითი Goal Seek-ის გამოყენებაზე


ერთეულის ფასზე (ლარებში). E8 უჯრაში კი მიღებულია მათი მთლიანი თანხა, ფორმულით: =SUM( E3:E7). Goal Seek-ის საშუალებით მიღებული შედეგი 126800 უნდა შეცვალოთ 120000 ლარით თხევად-კრისტალური მონიტორების რაოდენობის შეცვლის ხარჯზე. ამისათვის გავააქტიუროთ საშედეგო უჯრა E8 და Data/What If analysis/GoalSeek ფანჯარაში To value-ზი მივუთითოთ 120000, ხოლო By changing cell - ში დავაყენოთ კურსორი და ვიმოქმედოთ C3 უჯრაზე და Ok. როგორც ვხედავთ, მივიღებთ ცხრილს, სადაც შედეგის შეცვლით 12000-ით მივიღებთ თხევად-კრისტალური მონიტორების შეცვლილ რაოდენობას 200-ის ნაცვლად 183-ს.

## Ճոտեցյած քա և աշարժչությած:

1. Ի՞նչ դանութիւնը է գահինօ GoalSeek-Ե?
2. GoalSeek գանջրու ռոմել զելի մոյուտյած թվաշառացը և սա՞կա՞սո պարամետրու?
3. GoalSeek գանջրու ռոմել զելի մոյուտյած սամացը ո՞չրա?
4. Ի՞նչ մոյուտյած է GoalSeek գանջրու զելի To value?

## 12 աճականացնելու սամացալյած SCENARIO MANAGER

Խցենարյած մենյայրո -Scenario Manager սամացալյած գցակլյած գացաաճականացնելու ռա ցակլյած մուեցնել յրտու ան ռամուցնու պարամետրու ցակլուցյած մյացն էլ.



Նյու. 6 Scenario Manager-ու գանջարա


Մյմայամյած խցենարյու զնակառու ռուսական տարբերակու ան պարամետրու ցակլուցյած.

Խցենարյած մենյայրու գամուսակյած եցյած Data հանարտուու (ու. Նյու. 1). Մյմայած զնուու:


Data/ Data Tools /What\_if analysis /Scenario Manager

თითოეული სცენარის დასაფიქსირებლად დიალოგურ ფანჯარაში Scenario Manager (სურ. 7) ვმოქმედებთ ბრძანებაზე Add, რის შემდეგაც გახსნილ ფანჯარაში Add Scenario (სურ. 8) ველში - Scenario name ვაფიქსირებთ მოცემული

სცენარის სახელს, ველში – Changing Cells ვუთითებთ შესაცვლელი პარამეტრის მისამართს (ან უშუალოდ თაგვით მოვნიშნავთ მას და ავტომატურად დაფიქსირდება მისი მისამართი) და ვმოქმედებთ ბრძანებაზე - Ok.



სურ. 7 ფანჯარა Scenario Manager



სურ. 8 სცენარების დამატების ფანჯარა

პარამეტრის/პარამეტრების შესაცვლელად იხსნება ფანჯარა Scenario Value (სურ.11), სადაც საწყის პარამეტრს/პარამეტრებს ვცვლით საჭიროებისამებრ და ვმოქმედებთ ბრძანებაზე - Ok. თუ შესაცვლელი პარამეტრი რამოდენიმეა და ერთმანეთის მეზობლად არიან განლაგებულნი, მათ დიაპაზონს მოვნიშნავთ, ხოლო თუ არამეზობლად არიან განლაგებულნი, შეგვიძლია მძიმით (ზოგჯერ წერტილმძიმით) გამოვყოთ ისინი ერთმანეთისგან და „Ok”.

სცენარების შექმნის დამთავრების შემდეგ ფანჯარაში Scenario Manager განთავსდება თითოეული სცენარის სახელი (იხ. სურ. 13). ამ ფანჯრიდან საშუალება გვეძლევა მათი რედაქტირების (ბრძანებით Edit), წაშლის (ბრძანებით Delete) და ასევე ახალი სცენარის დამატების (ბრძანებით Add), სცენარების გაერთიანების (ბრძანებით Merge) სხვადასხვა წიგნებიდან ან სამუშაო ფურცლებიდან.

თითოეული სცენარის ნახვა შესაძლებელია მისი მონიშვნით და Show ბრძანებაზე მოქმედებით. მაგრამ ბრძანებით show იკარგება უკვე თავდაპირველი შედეგი.

შემაჯამებელი სცენარის გამოსატანად (ყველა ცვლილებების ერთიანობაში მოსაყვანად) საჭიროა ბრძანებაზე Summary მოქმედება (სურ.14) და ველში Result Cells (სურ.15) დაფიქსირება საშედეგო უჯრის მისამართის, რომელზედაც ხდება დაკვირვება და მოქმედება Ok-ზე. შედეგად უკვე ვღებულობთ შემაჯამებელ სცენარს, რომლის გაანალიზებითაც შეგვიძლია ავირჩიოთ ჩვენთვის მისაღები მოდელი (იხ. სურ. 16).

**მაგალითი:** სათამაშო ბიზნესისთვის გვსურს შევიძინოთ საქონელი C3:C6


A	B	C	D	E
1	<b>სათამაშო ბიზნესი</b>			
2	<b>საქონლის დასახელება</b>	<b>რაოდ</b>	<b>ფასი</b>	<b>თანხა</b>
3	<b>სათამაშო მაგიდა</b>	15	200	<b>3000</b>
4	<b>სათამაშო აპარატი</b>	30	1000	<b>30000</b>
5	<b>ბინგოს სალარო</b>	7	150	<b>1050</b>
6	<b>ლოტოს სალარო</b>	10	150	<b>1500</b>
7				<b>35550</b>

სურ 9. მაგალითი Scenario Manager-სთვის

დიაპაზონში მითითებული რაოდენობით. მიღებული მთლიანი თანხა ჩვენთვის მისაღები არაა. გვსურს სხვადასხვა სცენარების შექმნა, სადაც საქონლის რაოდენობის ცვლილებით მოვახდენ მთლიანი თანხის გავლენაზე დაკვირვებას. შევიტანოთ

მონაცემები სურ. 9-ის მიხედვით. თანხის სვეტი ვიანგარიშოთ რაოდენობის ფასზე გამრავლებით (მიმოქმედებლი დავაყენოთ უჯრაში E3 და ჩავწეროთ: = C3\*D3, ვიმოქმედოთ Enter ღილაკზე და განვავრცოთ E6 -ის ჩათვლით), თანხის სვეტის ბოლოში კი დავაფიქსიროთ მთლიანი თანხა (დიაპაზონის E3:E6 დაჯამებით). ვნახოთ როგორ იმოქმედებს თითოეული პარამეტრის ცვლილება მთლიან თანხაზე. I ვარიანტში მოვახდინოთ ერთი პარამეტრის შეცვლა, კერძოდ, სათამაშო მაგიდის რაოდენობა 15-ის ნაცვლად 20-ით შეიცვალოს, მეორე ვარიანტში ორი პარამეტრის - სათამაშო აპარატის და ლოტოს სალაროს რაოდენობის ცვლილება, მესამე ვარიანტში - რაოდენობის მთლიანი სვეტის შეცვლა.


1. გავაძებიუროთ საშედეგო უჯრა, სადაც დაფიქსირებულია მთლიანი თანხა - 35550;
2. გამოვიძახოთ სცენარების მენუჯერი: Data/ Data Tools /What\_if analysis /Scenario Manager ბრძანებათა თანმიმდევრობით და ვიმოქმედოთ ბრძანებაზე Add (სურ. 6). ველში Scenario name (სურ. 8) დავაფიქსიროთ პირველი სცენარის სახელი, მაგ. Varianti 1, დავაყენოთ კურსორი ველში Changing cells, ვიმოქმედოთ შესაცვლელი პარამეტრის უჯრაზე C3 (სურ. 8) და ვიმოქმედოთ ბრძანებაზე OK.




სურ. 10 სცენარისთვის სახელის  
დარქმება

სურ. 11. C3 პარამეტრის შეცვლა

3. სურ.10-ის მიხედვით ხდება პარამეტრის C3 შეცვლა, 15 იცვლება 20-ით (სურ.11). ყოველი ახალი სცენარის შესაქმნელად ვიმოქმედებთ Add ღილაკზე (სურ.7) და ანალოგიურად გქმნით უკვე მეორე და მესამე სცენარს (სურ. 12, 13).




სურ. 12. სცენარი C4 და C6 უჯრების ცვლილებით



სურ. 13. მოელი დიაპაზონის შეცვლა

დიალოგურ ფანჯარაში Scenario Manager ბრძანებაზე Summary მოქმედებით იხსნება ფანჯარა Scenario Summary, სადაც ველში Result Cells საშედეგო უჯრად გაფიქსირებთ E7 – ს (სურ. 15). შედეგად მიიღება შემაჯამებელი სცენარების სერატი (სურ. 16).



სურ. 14 Scenario Manager ფანჯარა

სურ. 15. საშედეგო უჯრის  
დაფიქსირება

სვეტში Current Values დაფიქსირებულია პირვანდელი მონაცემები, შემდეგ კი ცალკეული სცენარები. თითოეული სცენარისთვის ველში Result Cell (სურ. 16) დაფიქსირებულია საწყისი პარამეტრების ცვლილების შედეგად მიღებული შესაბამისი საშედეგო ჯამები. გამუქებულია ის უჯრები, რომელი პარამეტრების

The screenshot shows a Microsoft Excel spreadsheet with a 'Scenario Summary' report overlaid. The report includes a table comparing 'Current Values' across three scenarios ('varianti1', 'varianti2', 'varianti3') for specific 'Changing Cells' (\$C\$3, \$C\$4, \$C\$6, \$C\$5) and their resulting impact on 'Result Cells' (\$E\$7). The 'Current Values' column shows the values at the time the report was generated. The 'Changing Cells' section highlights the cells in gray. The 'Result Cells' section shows the final calculated values. A note at the bottom explains that the current values represent the state of changing cells at the time the report was created.

	Current Values:	varianti1	varianti2	varianti3
Changing Cells:	\$C\$3	15	20	15
	\$C\$4	30	30	25
	\$C\$6	10	10	7
	\$C\$5	7	7	7
Result Cells:	\$E\$7	35550	36550	30100
Notes: Current Values column represents values of changing cells at time Scenario Summary Report was created. Changing cells for each scenario are highlighted in gray.				

სურ. 16 შემაჯამებელი სცენარი

ცვლილებაც მოხდა.

შემაჯამებელი სცენარით უკეთ ჩანს თითოეულ ვარიანტზე რა შედეგი გვაქვს და რომელია ჩვენთვის უფრო მისაღები.

აქევ უნდა აღვნიშნოთ, რომ შემაჯამებელი სცენარი იქმნება ახალ სამუშაო ფურცელზე სახელით “Scenario Summary” და თუ გვსურს საწყის მდგომარეობაში დაბრუნება, ვიმოქმედებთ ისევ ფურცელზე Sheet1-ზე (რომელზედაც საწყისი ცხრილი გვქონდა მოთავსებული).

#### კითხვები და საგარჯო შოუბი:

1. რა დანიშნულება გააჩნია სცენარს?
2. როგორ ხდება სცენარების მენეჯერის გამოძახება?
3. როგორ ავაგოთ სცენარი?
4. რომელი სიდიდეების ხარჯზე იცვლება შედეგი **Scenario Manager**-ის დროს?

**დავალება:** შევიტანოთ მონაცემები აღნიშნული სურათის მიხედვით, **Scenario Manager** -ის საშუალებით მოგახდინოთ დაგეირვება რაოდენობის ცვლილებით მიღებულ შედეგებზე. პირველ სცენარში მოვახდინოთ ცვლილება დიაპაზონის **C3:C5** შემდეგი მნიშვნელობებით 900 -700-ით, 500 დარჩეს უცვლელად, და 1200 – 1000-ით. მეორე სცენარში მოვახდინოთ მხოლოდ ერთი პარამეტრის ცვლილება: ხილის წვენის რაოდენობა 500 შეიცვალოს 800-ით. მესამე სცენარში მოვახდინოთ მინ. წყლის და ხილის წვენის რაოდენობის შეცვლა 900 შეიცვალოს 700-ით, ხოლო 1200 შეიცვალოს 1500-ით. მივიღოთ შემაჯამებელი სცენარი.

A	B	C	D	E
1				
2	საქონლის დასახელება	რაოდ.(ლი ტრებში)	ერთ. ფასი (ლარებში)	თანხა
3	მინ. წყალი	900	1.2	1080
4	ხილის წვენი	500	2	1000
5	ლიმონათი	1200	1.3	1560
6	სულ			3640
7				

## 1.3 DATA TABLE


გავიხსენოთ, რომ Scenario Manager - ის საშუალებით შესაძლებელი იყო საწყისი პარამეტრების ცვლილებით დაკვირვება მოგვეხდინა შედეგზე.

რა დანიშნულება გააჩნია მონაცემთა ანალიზის საშუალებას Data Table?

*What-If Analysis/ Data Table saSualebiT* შესაძლებელია ფორმულაში მონაწილე ცვლადის ან ცვლადების მნიშვნელობების ცვლილების პირობებში ვაჩვენოთ მიღებული ალტერნატიული შედეგები და ავირჩიოთ ოპტიმალური.

Data Table gamoZaxebis gza: Data/Data Tools/What \_if Analysis/Data Table (sur. 17)

Data Table ანალიზის საშუალების გამოყენებისთვის აუცილებელია გამოთვლის შედეგების ჩასაწერი დიაპაზონის მონიშვნა და თუ შედეგების ჩაწერა წარმოებს სტრიქონობრივად, მაშინ გამოთვლაში მონაწილე შესაცვლელი პარამეტრის უჯრის მისამართი მიეთითება ველში - Row input cell, ხოლო თუ შედეგების განვრცობა გვხდება სვეტობრივად, მაშინ ფორმულაში მონაწილე Excel-ის Excel-ის Excel-ის შესაცვლელი ცვლადის მითითება ხდება ველში - Column input cell (სურ. 18).



სურ. 18 Data Table-ის

სურ. 17. მონაცემთა ანალიზის  
საშუალების „Data table” გამოძახება

მაგალითისთვის განვიხილოთ სხვადასხვა წლიური საპროცენტო განაკვეთების (Rate) შემთხვევაში როგორ იცვლება ყოველთვიური გადასახადის სიდიდე (*Pmt*). თავდაპირველად მტ გამოვითვალოთ შემდეგი პირობებისთვის:

სესხის ოდენობა (*PV*) - 20000 ლარი, წლიური საპროცენტო განაკვეთი - 36%,  
პერიოდების რიცხვი (*Nper*) - 10 თვე.

გამოვიყენოთ Data table საშუალება და სვეტობრივად D3:D5 დიაპაზონში მივიღოთ PMT-ს მნიშვნელობები სხვადასხვა წლიური საპროცენტო განაკვეთების შემთხვევაში, ე. ი. ფორმულაში მონაწილე ცვლად პარამეტრს შეადგენს უჯრა B3.

	A	B	C	D	E	F	G	H
1	ყოველთვიური გადასახდელი თანხის გაანგარიშება							
2				=PMT(B3/12,B4,-B5)				
3	წლიური საპრ.	36%	22%					
4	პერიოდების რიცხვი (თვეებში)	10	18%					
5	სესხის ოდენობა	20000	24%					
6								
7								
8								
9								

**Function Arguments**

PMT

- Rate: B3/12 = 0.03
- Nper: B4 = 10
- Pv: -B5 = -20000
- Fv: = number
- Type: = number

Calculates the payment for a loan based on constant payments and a constant interest rate.

სურ. 19. ყოველთვიური გადასახადის გაანგარიშება გამოსაყენებლად

	A	B	C	D	E	F	G	
1	ყოველთვიური გადასახდელი თანხის გაანგარიშება							
2	წლიური საპრ.	\$2,344.61						
3	გაანაკვეთი	36%	22%					
4	პერიოდების რიცხვი (თვეებში)	10	18%					
5	სესხის ოდენობა	20000	24%					
6								
7								
8								
9								

**Data Tools**

Scenario Manager...

Goal Seek...

Data Table...

**Data Table**

Row input cell: \$B\$3

Column input cell: \$B\$3

OK Cancel

სურ. 20. Data table-ის გამოყენებით სხვადასხვა წლიური საპროცენტო განაკვეთების შემთხვევაში PMT-ს შედეგზე დაკვირვება

ამისათვის მივყვეთ მოქმედებათა შემდეგ თანმიმდევრობას:

- შევიტანოთ მონაცემები A3:B5 დიაპაზონში სურ. 22-ზე ნაჩვენები სახით.
- გავააქტიუროთ უჯრა D2 და ფუნქციების ოსტატის საშუალებით გამოვიძახოთ ფუნქცია PMT. როგორც სურ. 19-დან ჩანს, ველში Rate წლიური საპროცენტო განაკვეთი შეფარდებულია 12-თან, ეს ცხადია, რადგან პერიოდი გამოსახულია თვეებში, ხოლო რადგან 36% წლიური საპროცენტო განაკვეთი იყო, უნდა მოხდეს მისი თვეებში გადაყვანა. შედეგს თუ დაგამრგვალებთ თრ ათწილად ნიშნამდე, უჯრაში D2 მივიღებთ შედეგს: 2344.61.
- დიაპაზონში C3:C5 ჩამოვწეროთ სხვადასხვა საპროცენტო განაკვეთები, რომელთა ცვლილებითაც უნდა მოვახდინოთ დაკვირვება შედეგზე და რომლებიც ცვლიან B3 უჯრაში განთავსებულ საწყის სიდიდეს 36%-ს. ყოველი მათგანის გასწვრივ უნდა ჩაიწეროს შესაბამისი ცვლილებით მიღებული შედეგი.
- მოვნიშნოთ დიაპაზონი C2:D5 (სურ. 20) და გამოვიძახოთ ანალიზის საშუალება Data table, შედეგად გამოსულ ფანჯარაში ველში Column Input Cell დავაყენოთ

	A	B	C	D
შოველთვიური გადასახდელი თანხის გაანგარიშება				
1				
2				\$2,344.61
3	წლიური საპრ. გაანაკვეთი პერიოდების რიცხვი (თვეებში)	36%	22%	2207.16
4		10	18%	2168.68
5	სესხის ოდენობა	20000	24%	2226.53
6				

სურ. 21. Data Table საშუალებით შევსებული საშედეგო უჯრები ცვლადი საპროცენტო განაკვეთების შემთხვევაში

კურსორი და ვიმოქმედოთ ცლადის უჯრაზე B3 (რათა ავტომატურად დაფიქსირდეს ამ უჯრის მისამართი მოცემულ ველში).

- გიმოქმედოთ ბრძანებაზე OK (sur. 20). შედეგად მივიღებთ Data Table საშუალებით შევსებულ საშედეგო უჯრებს ცვლადი საპროცენტო განაკვეთების შემთხვევაში (სურ. 21).

*Data Table* საშუალებით შეგვიძლია აგრეთვე სტრიქონის და სვეტების უჯრების შესაბამის გადაკვეთაზე საშედეგო უჯრების შევსება ფორმულის საფუძველზე, ელემენტარულ მაგალითად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ გამრავლების ტაბულა<sup>11</sup>:


შევიტანოთ რიცხვები დიაპაზონში *C2:O2* და *B3:B15* (ჩავწეროთ 1 და 2, შემდეგ მოვნიშნოთ და მონიშვნის მარკერით განვავრცოთ). თუ დავუკვირდებით (სურ.22), საშედეგო უჯრა მიიღება მის მარცხნივ და ზემოთ მდებარე მეზობელი უჯრების სიდიდეების გამრავლებით. ამიტომ უჯრაში *B2* ჩავწეროთ ფორმულა: " $=A2*C1$ " და ვიმოქმედოთ *OK* ბრძანებაზე. უჯრაში *B2* დაფიქსირდება 0.

	A	B	C	D	E	F	G	H	I	J	K	L	M	N	O
1															
2		=A2*C1	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
3			1												
4			2												
5			3												
6			4												
7			5												
8			6												
9			7												
10			8												
11			9												
12			10												
13			11												
14			12												
15			13												

სურ. 22 გამრავლების ტაბულის მისაღებად რიცხვების შეტანა და ფორმულის გაანგარიშება საწყისი რიცხვებისთვის

შემდეგ ეტაპზე მოვნიშნოთ მთელი ცხრილი დიაპაზონით: *B2:O15* და ვიმოქმედოთ *Data/ Data Tools/ Data table* ბრძანებაზე (სურ. 23). რადგან ცხრილში საშედეგო უჯრები ივსება როგორც სტრიქონობრივად, ისე სვეტობრივად, ფანჯარაში *Data table* ველში *Row Input Cell* დავაყენოთ კურსორი და ვიმოქმედოთ უჯრაზე *C1*, ხოლო ველში *Column Input Cell* უჯრაზე *A2*. ვიმოქმედოთ ბრძანებაზე *OK*. მივიღებთ გამრავლების ცხრილს (სურ. 24)

<sup>11</sup> ეს მაგალითი განხილულია იმისათვის, რომ უფრო სრული წარმოდგენა შეგვექმნას *data Table* ანალიზის საშუალებაზე. გამრავლების ნაცვლად შესაძლოა სხვა ფორმულის გამოყენებაც.



სურ. 23. გამრავლების ტაბულის მისაღებად Data table გამოყენება

0	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
1	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
2	2	4	6	8	10	12	14	16	18	20	22	24	26
3	3	6	9	12	15	18	21	24	27	30	33	36	39
4	4	8	12	16	20	24	28	32	36	40	44	48	52
5	5	10	15	20	25	30	35	40	45	50	55	60	65
6	6	12	18	24	30	36	42	48	54	60	66	72	78
7	7	14	21	28	35	42	49	56	63	70	77	84	91
8	8	16	24	32	40	48	56	64	72	80	88	96	104
9	9	18	27	36	45	54	63	72	81	90	99	108	117
10	10	20	30	40	50	60	70	80	90	100	110	120	130
11	11	22	33	44	55	66	77	88	99	110	121	132	143
12	12	24	36	48	60	72	84	96	108	120	132	144	156
13	13	26	39	52	65	78	91	104	117	130	143	156	169

სურ. 24 გამრავლების ტაბულის მიღება Data table საშუალებით

კითხვები და სავრჯიშოები:

- რა დანიშნულება გააჩნია მონაცემთა ანალიზის საშუალებას "Data Table"?
- რომი განსხვავდება "Data Table" მონაცემთა ანალიზის "Scenario Manager"-სგან?
- დახვით ამოცანა, სადაც "Data Table" საშუალებით მიღებოთ შედეგებს.

## II თავი - მონაცემთა ორგანიზაცია

### 2.1 შესატანი მონაცემების კონტროლი


მონაცემთა კონტროლი ხშირად საჭიროა მონაცემთა დიდი რაოდენობით შეტანის დროს, ზოგჯერ კი მნიშვნელოვანი ინფორმაციის შეტანისას.

მონაცემთა კონტროლი გვეხმარება მონაცემთა შეტანის დროს თავიდან ავიცილოთ შეცდომები, კონკრეტულ უჯრაში მონაცემთა შეტანისას გაგვაფრთხილოს რა შეზღუდვაა დაწესებული, ამასთან, არასწორი მონაცემების შეტანის დროს მოახდინოს რეაგირება, მაგ., შეწყვიტოს მუშაობა.

კონტროლი შეგვიძლია დავაწესოთ უპევ შეტანილ მონაცემებზე, ამ შემთხვევაში საშუალება გვეძლევა მოვნიშნოთ არასწორი მონაცემები.

მონაცემთა კონტროლი წესდება ჩანართიდან Data ბრძანებათა ლილაკიდან Data Validation (სურ. 25) ბრძანებაზე Data Validation მოქმედებით.

მონაცემთა კონტროლის ფანჯარა (სურ. 26) მოიცავს სამ ჩანართს: Settings (პარამეტრები), Input Message (შეტყობინების შეტანა) და Error alert (შეცდომაზე რეაგირება).




სურ. 25 მონაცემთა კონტროლის ბრძანებათა სია

**რას ემსახურება მონაცემთა კონტროლის (Data Validation) ფანჯრის Settings (პარამეტრები) ჩანართი?**

Settings (პარამეტრები) ჩანართში განყოფილებაში Validation criteria (შემოწმების პირობები) ფიქსირდება შეზღუდვები, პირობები (მაგალითად, გარკვეული სიდიდისადმი მეტობა, ნაკლებობა, ტოლობა, სიიდან ამორჩევა და ა. შ.), რომლებსაც უნდა ექვემდებარებოდეს შესატანი მონაცემები. პირობები ამოირჩევა ველიდან Allow (სურ. 26).

## რას ემსახურება მონაცემთა კონტროლის (Data Validation) ფანჯარაში ჩანართი Input Message (შემოიტანე შეტყობინება)?

ჩანართში Input Message (შემოიტანე შეტყობინება) მიეთითება სიტყვიერი



სურ. 26 მონაცემთა კონტროლის ფანჯარა


გაფრთხილება კონკრეტულ უჯრაში მონაცემის შეტანის წინ. ველში Title შეიტანება შეზღუდვის სათაური, ეს ველი შეგვიძლია არც შევავსოთ, საკმარისია შეივსოს ველი: Input Message, სადაც ჩაიწერება პირობა. (სურ. 29)

## რას ემსახურება მონაცემთა კონტროლის (Data Validation) ფანჯრის Error Alert (შეცდომაზე რეაგირება) ჩანართი?

Error Alert ჩანართში გვაქვს შესაძლებლობა შეცდომაზე რეაგირება მოხდეს სამი საშუალებით: Stop (შეწყვეტა), Warning (გაფრთხილება), Information (ინფორმაცია). თითოეულს შესაბამისი გრაფიკული ნიშნაკი გააჩნია. ამ საშუალებებიდან მხოლოდ პირველ შემთხვევაში წყდება არასწორი მონაცემის შეტანა, სანამ სწორ მონაცემს არ შევიტანო, მეორე და მესამე შემთხვევაში ვგებულობთ რომ შეგვაქვს შეუსაბამო მონაცემი, მაგრამ მონაცემთა შეტანა მაინც გრძელდება. სურ. 27-ზე ნაჩვენებია შეცდომაზე რეაგირების საშუალებები შესაბამისი პიქტოგრამებით და დანიშნულებით.

პირობის ამორჩევის შემდეგ Data Validation/Setting ჩანართიდან OK-ზე მოქმედების გარეშე გადავდივართ მეორე ჩანართზე Input Message (შემოიტანე შეტყობინება), ამ ჩანართში Title – შეიტანება შეტყობინების სათაური, რომელიც შეგვიძლია გამოვტოვოთ, ხოლო ველში: Input Message ჩაიწერება პირობა. ამ ჩანართიდანაც OK-

ზე მოქმედების გარეშე გადავდივართ ჩანართში Error Alert, სადაც ვირჩევთ შეცდომაზე რეაგირების სახეს და ვმოქმედებთ OK-ზე.




სურ. 27 მონაცემთა შეტანაზე შეცდომის რეაგირების სახეები

	C	D	E
1			
2			
3			
4	პროდუქციის კოდი	პროდუქციის რაოდენობა	
5	1111	400	
6	1112	560	
7	1113	300	
8	1121	600	
9	2223	460	
10	1116	456	
11	3335		
12	2256		
13	1119		

სურ. 28 მაგალითი მონაცემთა  
კონტროლის წარმოებაზე

**მაგალითი 1.** შევიტანოთ მონაცემები სურ. 31-ის მიხედვით, ასეთი პირობით: ხაწყობის შეზღუდული ფართის გამო შეგვიძლია გარკვეული ხახვის პროდუქტის მოლოდ 600-მდე რაოდენობით მოთავსება, ამიტომ გვხვრებან დავაწეროთ კონტროლი რაოდენობაზე. როგორც სურათიდან (სურ. 28) ჩანს,



სურ. 29 შეზღუდვების დაფიქსირება

სურ. 30 გაფრთხილება შეზღუდვაზე

მონაცემების ხაწილი უკვე შეტანილია, მაგრამ სანამ გავაგრძელებდეთ მათ შეტანას, მანამდე ვაწერებთ კონტროლს მოლიან სვეტზე (შეტანილი მონაცემების უკრებზე). მოვნიშვნოთ “პროდუქტის რაოდენობის” სვეტის დიაპაზონი E5:E13, ვიმუქდეთ Data ჩანართში Data Validation დილაპზე (იხ. სურ 28). ჩვენი მაგალითისთვის Settings დიალოგზე ვეღვი (სურ. 29) ავირჩიოთ Whole Number, ვეღვი Data ჩავწეროთ შეზღუდვა - Less than (ნაკლებია ვიდრე), ხოლო Maximum ვეღვი ჩავწეროთ სიდიდე, რომელზე ნაკლებიც უნდა იყოს დიაპაზონში შეტანილი ყველა რიცხვი, ე. ი. 600. გავასუფთაოთ ჩამრთველი „Ignore Blank“ (ცარიელი უკრების იგნორერება).

OK-ზე მოქმედების გარეშე გავააქტიუროთ ჩანართი Input Message (სურ. 30), ვეღვი - Title ჩავწეროთ სათაური შეზღუდვის შეტყობინების, მაგ. “შეზღუდვაა:”, ვეღვი - Input Message ჩავწეროთ უკვე გაფრთხილებას (პირობას), ჩვენი მაგალითის შემთხვევაში: ”ნაკლები უნდა იყოს 600-ზე”.

ამ მოქმედებების შესრულების შემდეგ ხაკმარისია უკვე თაგვის მაჩვენებელი მიზიტანოთ პროდუქტის რაოდენობის სვეტის რომელიმე უჯრასოან, რომელიც

მონიშვლი იყო საკონტროლო დიაპაზონის მონიშვნის დროს, რომ მაშინვე კომუნიკაციის სახით გამოჩნდება შეტყობინება: ”შეზღუდვა: ნაკლები უნდა იყოს 600-ზე”.

*Data Validation* ფანჯრის მესამე ჩანართში - *Error Alert* (სურ. 31) საშუალება გვეძლება მოვახდინოთ შეცდომაზე რეაგირება შესაბამისი შეტყობინებით, კერძოდ, შეწყდეს (stop) მონაცემთა შეტანა შეცდომის დროს და დააფიქსიროს შეცდომა (Error message), ჩვენი მაგალითისთვის “შეასწორეთ მონაცემი!”. სამივე ჩანართში პარამეტრების შეტანის შემდეგ უკვე ვმოქმედებო **OK**- ზე.

მივიტანოთ თაგვის მაჩვენებელი მონაცემების შეტანის გასაგრძელებლად (სურ. 28), ყოველ უჯრასთან კომუნიკაციის სახით გამოვა გაფრთხილება, ხოლო შეცდომის შემთხვევაში წყდება მონაცემთა შეტანა. მაგ **E11** უჯრაში შევიტანოთ 600-ზე მეტი რიცხვი, კოქვათ 760 და კვადროთ შემდეგ უჯრაზე გადასვლა მონაცემთა შეტანის გასაგრძელებლად. გამოვა ფანჯარა შემდეგი შეტყობინებით: “შეასწორეთ მონაცემი!” და სანამ არ ჩავწერთ 600-ზე ნაკლებ რიცხვს, პროცესს ვერ გავაგრძელებთ. ამიტომ ვიმოქმედებთ **Cancel**-ზე, ვწერთ სწორ მონაცემს და გაგრძელებთ მონაცემთა შეტანას.



სურ. 31 შეცდომაზე რეაგირება

**როგორ მოვნიშნოთ ადრე შეტანილ მონაცემებში არასწორი მონაცემები?**

	C	D	E
1			
2			
3			
4			
5			
6			
7			
8			
9			
10			
11			
12			
13			
	პროდუქციის კოდი	პროდუქციის რაოდენობა	
5	1111	400	
6	1112	560	
7	1113	300	
8	1121	600	შეზღუდვა: ნაკლები უნდა იყოს 600-ზე
9	2223	460	
10	1116	456	
11	3335	345	
12	2256	456	
13	1119	543	

სურ. 32 არასწორი მონაცემების შემოხაზვა

მოვნიშნოთ ისევ დიაპაზონი შესატანი ველის, E5:E11 და ვიმოქმედოთ Circle Invalid data-ზე (სურ. 28). არასწორი მონაცემები შემოიხაზება (სურ. 32).

როგორც გხედავთ არასწორი მონაცემები წითელი ოვალით შემოიხაზა.

**როგორ მოვხსნათ მონიშვნები (ოვალები) არასწორ მონაცემებზე?**

იგივე ფანჯრიდან „Clear Validation Circles“ ღილაკზე მოქმედებით (იხ. სურ.26).

**როგორ გავაუქმოთ საერთოდ კონტროლი შესამოწმებელ სვეტზე?**

ვიმოქმედოთ Data Validation ფანჯრის ქვემოთ მოთავსებულ ღილაკზე: „Clear All“ (სურ. 25).

**მაგალითი 2:** დავაწეროთ კონტროლი პროცესის შემოტანის თარიღზე და

პროდ.	შემოტანის თარიღი
4444	3/23/2009
4445	11/24/2009
4446	8/25/2008
4447	3/26/2010
4448	10/26/2010
4449	3/26/2009
4450	6/29/2011
4451	4/5/2012
4452	3/31/2012

სურ. 33 კონტროლი თარიღის მიხედვით

ვარგისად ჩაითვალოს მხრივ 2010 წლიდან დღემდე შემოტანილი პროცესის, თვალსაჩინოებისათვის ადრინდელი თარიღების მონაცემები მოცემულ დიაპაზონში შემოვხაზოთ თვალით (იხ. სურ. 33)

მითითება:

1. მოვნიშვნოთ “შემოტანის თარიღის” სვეტის მონაცემები და კიმოქმედოთ: Data/Data Tools/DATA VALIDATION (იხ. სურ. 25).

პროდ.	რაოდ.	შემოტანის თარიღი
4444	400	3/23/2009
4445	560	11/24/2009
4446	300	8/25/2008
4447	600	3/26/2010
4448	460	10/26/2010
4449	456	3/26/2009
4450	345	6/29/2011
4451	456	4/5/2012
4452	543	3/31/2012

სურ. 34 ვადაგასული პროცესების შემოხაზვა

2. Setting ჩანართში მივუთითოთ პარამეტრები აღნიშნული სახით (სურ 33)

3. რადგან უკვე დასრულებულია მონაცემთა შეტანა, შეგვიძლია მეორე და მესამე ჩანართი აღარ შევავსოთ, არ არის აუცილებელი, ამიტომ ვიმოქმედებთ OK-ზე, მოვნიშნავთ თარიღის სვეტს და ვმოქმედებთ ბრძანებათა თანმიმდევრობაზე: Data/Data Validation/Circle Invalid Data/OK. არასწორი მონაცემები შემოიხატება რვალით (სურ. 34).

**მაგალითი 3:** შეცდომის დაშვება რომ არ მოხდეს მონაცემთა შეტანისას, შეგვიძლია მონაცემები წინასწარ შევიტანოთ, ხოლო შემდეგ მოვახდინოთ სიიდან ამორჩევა.

A	B	C	D	E
1				
2	გვარი, სახელი	პროფესია	დიზაინი	
3	თოთამე ლელა		არქიტექტორი	
4	ლომსამე მერი		პროფესორი	
5	ლომსამე სალომე		ექიმი	
6	ბაიამე ანა		მხატვარი	
7	ბაიამე ლიკა		კომპოზიტორი	
8				
9				

მოვნიშნოთ  
შესატანი ველი

სურ. 35 მონაცემთა შეტანა სიიდან ამორჩევით

შევიტანოთ მონაცემები B3:C7 სურ. 35-ის მიხედვით. წინასწარ პროფესიის შესაძლო ჩამონათვალის სია დაგვაფიქსიროთ დიაპაზონი: E2:E7.

მივყვეთ მოქმედებათა თანმიმდევრობას სურ. 35-ზე ნაჩვენები სახით, ანუ:

1. მოვნიშნოთ შესატანი მონაცემების დიაპაზონი: C3:C7

2. გამოვიდახოთ მონაცემთა კონტროლის ფანჯარა ბრძანებათა თანმიმდევრობით:

*Data/ Data Tools/ DataValidation*

3. ჩანართში Setting ველში Allow ამოვირჩოთ List, შევამოწმოთ რომ მის მარჯვნივ აღამი უნდა ჰქონდეს ჩამონათვალი: In-cell Dropdown

4. ველში *Source* (წყარო) დავაყენოთ კურსორი და მოვნიშნოთ ის დიაპაზონი *E2:E7*, საიდანაც უნდა შეირჩეს პროფესია.

5. ჩანართში *Input Message* ველში *Input message* დაგვაფიქსიროთ: “ამორჩიეთ მოცემული სიიდან”, ხოლო *Error Alert*-ში შეცდომაზე რეაგირების სახე ავირჩიოთ *Warning* (გაფრთხილება) და ვიმოქმედებთ *OK*-ზე.

ვიმოქმედოთ უჯრაზე *C3*. გამოჩენდება ისარი, რომელზე მოქმედებითაც ჩამოიშლება პროფესიათა ჩამონათვალი, რომლიდანაც ვირჩევთ რომელიმეს, გარდა ამისა, თან ახლავს გამაფრთხილებელი შეტყობინება, რომ პროფესიის ამორჩევა მოხდება

A	B	C	D	E
1				
2	გვარი, სახელი	პროფესია		
3	თოთამე ლელა	დიზაინერი	ამორჩიეთ მოცემული სიიდან:	
4	ლომსამე მერი	დიზაინერი	ექიმი	
5	ლომსამე სალომე	არქიტექტორი	მხატვარი	
6	ბაიამე ანა	პროფესორი	კომპოზიტორი	
7	ბაიამე ლიკა	უქიმი	კომპოზიტორი	
8				
9				

სურ. 36 მონაცემთა შეტანა სიიდან ამორჩევით.

მითითებული სიიდან (სურ. 36).

კითხვები და საგარჯო შოგბი:

1. რომელი ბრძანებათა თანმიმდევრობითაა შესაძლებელი მონაცემთა კონტროლის განხორციელება?
2. მონაცემთა კონტროლის (*Data Validation*) ფანჯარაში რომელ ჩანართში ხდება საკონტროლო პარამეტრების (პირობების) დაყენება?
3. რომელ ველში ხდება შესამოწმებელ მონაცემთა ტიპის მითითება?
4. რომელი პარამეტრით უნდა მივუთითოთ შესამოწმებელი მონაცემებისთვის მთელი რიცხვების ტიპი/თარიღის ტიპი?

5. შესაძლებელია თუ არა მონაცემთა კონტროლი რიცხვითი მნიშვნელობის მიხედვით გარკვეული შუალედისთვის და მაშინ რა პარამეტრიც ამოირჩევა allow ველში?
6. როგორ დავაფიქსიროთ კონტროლი მონაცემებზე, თუ შესატანი მონაცემები არ უნდა აღემატებოდნენ გარკვეულ სიდიდეს, მაგ. 2000-ს?
7. რას უზრუნველყოფს მონაცემთა შემოწმების ფანჯარაში ჩანართი „Input Message“?
8. რას უზრუნველყოფს მონაცემთა შემოწმების ფანჯარაში ჩანართი „Error Alert“?
9. რა გზით უზრუნველვყოთ არასწორი მონაცემის შემოხაზვა?
10. რა გზით უზრუნველვყოთ არასწორი მონაცემის შეტანის შემთახვევაში შეტყობინების გამოტანა?
11. როგორ წაგშალოთ მონიშვნები არასწორ მონაცემებზე?
12. როგორ ამოვირჩიოთ მონაცემები სიიდან?

## 2.2 მუშაობა მასივებთან

### **რას წარმოადგენს მასივი?**

Excel-ში მასივი ეს არის ერთგვაროვან ელემენტთა ერთობლიობა, წარმოდგენილი დიაპაზონის სახით. მასივის ელემენტები შეიძლება იყოს როგორც ჩვეულებრივი საწყისი სიდიდეები, ასევე ფორმულები. მასივი გამოიყენება ერთტიპიან მონაცემთა ნაკრებზე გათვლების ჩასატარებლად. მასივის ფორმულაში სიდიდეთა რამდენიმე დიაპაზონი შეიძლება ფიგურირებდეს. სიდიდეთა ეს დიაპაზონები მასივის არგუმენტებს წარმოადგენენ, მაგ:  $\{=\text{SUM}(\text{A2:A10}*\text{B2:B10})\}$  A2:A10 და B2:B10 მასივის არგუმენტებია.

### **რა არის საჭირო მასივის ფორმულის შესასრულებლად?**

სურ. 37. მაგალითი 1 მასივებზე

1. ფორმულის ზოლში ან  
საშედეგო უჯრაში ჩავწეროთ  
მასივის ფორმულა  
ჩვეულებრივ ტოლობის  
ნიშნით დაწყებული:  
 $=SUM(A2:A10*B2:B10)$

2. მასივის ფორმულის  
შესასრულებლად  
ვიმოქმედოთ არა Enter  
დილაკზე, როგორც ადრე,  
არამედ დილაკთა

კომბინაციაზე: [Shift]+[CTRL]+[Enter]. დილაკთა ეს კომბინაცია უზრუნველყოფს სწორედ ფორმულის აღქმას მასივის ელემენტებზე შესასრულებლად. ამ დროს მთელი ფორმულა მოექცევა ფიგურულ ფრჩხილებში.

### რა პირობაა საჭირო მასივებზე გათვლების საწარმოებლად?

მასივებზე გათვლების საწარმოებლად საწყისი და საშედეგო მასივები ერთნაირი განზომილების უნდა იყოს.

**მაგალითი 1:** შევიტანოთ მონაცემები  $A2:E2$  სურ.37-ის მიხედვით. მოვნიშნოთ დიაპაზონი  $E3:E8$  და ფორმულის ზოლში ჩავწეროთ ფორმულა:  $=C3:C8*D3:D8$ , ( $E3:E8$  დიაპაზონის მონიშნის შემდეგ დავაუკროთ კურსორი ფორმულის ზოლში, დავწეროთ ტოლობის ნიშანი, მოვნიშნოთ  $C3:C8$  დიაპაზონი, დავწეროთ გამრავლების ნიშანი, მოვნიშნოთ ახლა  $D3:D8$  დიაპაზონი) შემდეგ კი ბრძანების შესასრულებლად ვიმოქმედოთ  $[Shift]+[CTRL]+[Enter]$  დილაკთა კომბინაციაზე, როგორც ფორმულის ზოლიდან ჩანს, აღნიშნული ფორმულა მოთავსდება ფიგურულ ფრჩხილებში და დირექტულების სვეტიც შეიგება გამოთვლილი შედეგებით.

თუ ფორმულაში გამოყენებულია დიაპაზონის სახელები, ამით გათვლები უფრო გამარტივდება. წინამდებარე მაგალითში შეგვეძლო  $C3:C8$  დიაპაზონისთვის მიგვენიჭებინა სახელი: „რაოდენობა“, ხოლო  $D3:D8$  დიაპაზონისთვის – ერთეულის ფასი. მაშინ ჩაწერა „ $=C3:C8*D3:D8$ “ მიიღებს სახეს: „ $=$  რაოდენობა \* ერთეულის ფასი“.

სახელი შეიძლება მინიჭებული პქონდეს არა მარტო უჯრებს, სვეტებს, სტრიქონებს, დიაპაზონებს, კონსტანტებს და ფორმულებს, არამედ მთელ ცხრილსაც.

	A	B	C	D	F
1					
2	განყოფი ლება	პროდ დასახ	რაოდ	ერთ ფასი	
3	1	მოწიტო	200	400	
4	2	სკანერი	10	200	
5	2	პრინტე	20	220	
6	1	მაუსი	300	8	
7	1	კლავიატ	400	20	
8					
9		განყოფი ლება	სულ რაოდ.		
10		1	900		
11		2	30		

სურ. 38 მაგალითი 2 მასივებზე

**მაგალითი:** შევიტანოთ მონაცემები სურ. 38-ის მიხედვით და გამოვითვალოთ პროდუქტის მთლიანი რაოდენობა პირველი განყოფილების მიხედვით. შევიტანოთ ფორმულის ზოლში ნაჩვენები ფორმულა ფიგურული ფრჩხილების გარეშე და კიმოქმნებოთ Shift ctrl Enter ღილაკთა კომბინაციაზე. განვავრცოთ მოცემული ფორმულა ერთი უჯრით ქვემოთ. იგივეს გამოვითვლით ახლა მეორე განყოფილებისთვისაც. ფორმულის აღვილად ჩაწერის მიზნით შეგვიძლია დიაპაზონების მითითებისას მოვნიშნოთ შესაბამისი დიაპაზონები ჩვენი ჩაწერის ნაცვლად.

	D	F
1		
2	ერთ ფასი	გაორმაგ ებული ფასი
3	400	800
4	200	400
5	220	440
6	8	16
7	20	40
8		

სურ. 39 მუშაობა მასივებთან, მონაცემთა გაორმაგება

**მაგალითი 3.** გავაორმაგოთ D3:D7 დიაპაზონი მოცემული ერთეულის ფასები (სურ. 39). შედეგი ჩაიწეროს F3:F7 დიაპაზონში. ამისათვის მოვნიშნოთ საშედეგო დიაპაზონი, ანუ F3:F7, დაგწეროთ ტოლობის ნიშანი ფორმულის ზოლში, მოვნიშნოთ დიაპაზონი D3:D7, დაგწეროთ გამრავლების ნიშანი და 2

(გამრავლებული 2-ზე), როგორც ეს ხურ. 39-დან ჩანს, ფორმულა ჩავწეროთ ვიგურული ფრჩხილების გარეშე.

კიმოქმედოთ Shift Ctrl Enter დილაკთა კომბინაციაზე. როგორც ვხედავთ, F3:F7 დიაპაზონი კლებულობთ გაორმაგებულ მონაცემებს.

### პითხები და საგარჯო შოგბი.

1. რა არის აუცილებელი პირობა მასივებზე მოქმედებების შესასრულებლად?
2. რომელ დილაკთა კომბინაციას ვხმარობთ “Enter”-ის ნაცვლად მასივებზე გაანგარიშების შესასრულებლად?
3. მოიფიქრეთ ამოცანა და შეასრულეთ მოქმედებები მასივების საშუალებით.

## 2.3 მონაცემთა სტრუქტურიზაცია

მონაცემთა სტრუქტურიზაცია უზრუნველყოფს მონაცემების განსაზღვრული დონით დეტალიზაციას. გამოიყენება მაშინ, როცა მონაცემები წარმოდგენილია იერარქიული (ხისებური) სტრუქტურით.

მონაცემთა სტრუქტურიზაციისთვის უნდა მოინიშნოს მონაცემთა ის დიაპაზონი, რომლისთვისაც ვახდენთ სტრუქტურიზაციას და ვიმოქმედოთ ჩანართიდან Data ბრძანებათა ჯგუფის Group and Outline ბრძანებაზე Auto Outline (სურ. 40).

სტრუქტურირების შემდეგ სვეტებისა და სტრიქონების გასწვრივ გამოჩნდება



სურ. 40 მონაცემთა სტრუქტურირება

ცხრილის დონეების დაყოფის ზოლები და დონეების მაჩვენებელი რიცხვები.

დეტალიზაციის რომელიმე დონის მოხსნა ხდება

დონის მაჩვენებლის გასწვრივ მინუს ნიშანზე მოქმედებით, ანუ მოხდება მონაცემთა გამსხვილებული სახით წარმოდგენა. გამსხვილებული მონაცემებისთვის კი უკვე ჩნდება პლიუს ნიშანი, და დეტალური მონაცემების გამოსაჩენად ახლა პლიუს ნიშანზე უნდა ვიმოქმედოთ. ასე, რომ დონის მაჩვენებლებზე ან პლიუს/მინუს ნიშნებზე მოქმედებით შეგვიძლია გამოვყოთ ცხრილის ნებისმიერი

A	B	C	D	E	F	G	H	I	J
1									
2	უაღმოსოლო სასმელების ექსპორტი (ლიტრი)								
3	იანვარი	თებ.	მარტი		I კვარტ.		აპრილი	მაისი	ივნისი
4					(სულ)				II კვარტ.
5									
5	ბორჯომი	3000	4000	4500	11500	4500	4500	4500	13500
6	ნაბეღლავი	2000	1000	1000	4000	3000	3000	3000	9000
7	საირმე	1000	1500	1500	4000	1500	1500	1500	4500
8	ლიქანი	900	900	900	2700	1200	1200	1200	3600
9	სულ მინ წყალი	6900	7400	7900	22200	10200	10200	10200	30600
10	გაზიანი სასმელები								
11	ნატახტარი	54200	50000	50000	154200	50000	50000	50000	150000
12	ვეპსი	60000	60000	60000	180000	55000	55000	55000	165000
13	ცივი ჩაი	25000	25000	25000	75000	15000	15000	15000	45000
14	სულ გაზიანი სასმელები	139200	135000	135000	409200	120000	120000	120000	360000
15	ხილის წვენები								
16	ალუბალი	35000	35000	35000	105000	35000	35000	35000	105000
17	ფორთოხალი	40000	40000	40000	120000	40000	40000	40000	120000
18	ვაშლი	30000	30000	30000	90000	30000	30000	30000	90000
19	გარგარი	25000	25000	25000	75000	25000	25000	25000	75000
20	სულ ხილის წვენები	130000	130000	130000	390000	130000	130000	130000	390000
21	სულ უაღმოსოლო სასმ.	276100	272400	272900	821400	260200	260200	260200	780600

სურ. 41 მაგალითი მონაცემთა სტრუქტურირებისთვის

ფრაგმენტი. მაგალითისთვის შევიტანოთ მონაცემები სურ.41-ზე ნაჩვენები სახით.

მოვნიშნოთ დიაპაზონი B3:J21 და მონაცემთა დასაჯუფებლად ვიმოქმედოთ Data ჩანართში Outline ბრძანებათა ჯგუფში Group –ის ბრძანებების სიიდან Auto Outline-ზე. სვეტებისა და სტრიქონების გასწვრივ გამოჩნდება მაჯგუფებელი დონის საზები, იხ. სურ. 42.

როგორც სურ. 42-დან ჩანს, პორიზონტალური სტრუქტურიზაცია მოხდა 3 დონით, ხოლო ვერტიკალური - 2 დონით. თუ ვიმოქმედებთ პორიზონტალური და ვერტიკალური მიმართულებითაც მინუს ნიშნებზე, მივიღებთ მონაცემთა გამსხვილებული სახით წარმოდგენას (სურ. 43). როგორ გავშალოთ მონაცემები? ვიმოქმედოთ რომელიმე პლიუს ნიშანზე, გამოჩნდება ამ დონის შესაბამისი მონაცემები.

## როგორ გავაუქმოთ სტრუქტურირება?

პორიზონტალური დეტალიზაცია

ვერტიკალური დეტალიზაცია

	A	B	C	D	E	F	G	H	I	J
1	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
2										
<b>უაღვითობო სასმელების ექსპორტი (ლიტრი)</b>										
	იარაღი	თებ.	მარტი	I კვარტ- (ლიტ.)	აპრილი	მაისი	ივნისი	ივნისი	II კვარტ	
<b>მინ წყლები</b>										
ბორჯომი	3000	4000	4500	11500	4500	4500	4500	4500	13500	
ნაბეღლავი	2000	1000	1000	4000	3000	3000	3000	3000	9000	
საირმე	1000	1500	1500	4000	1500	1500	1500	1500	4500	
კლიკანი	900	900	900	2700	1200	1200	1200	1200	3600	
<b>შესაბამისობა</b>	<b>6900</b>	<b>7400</b>	<b>7900</b>	<b>22200</b>	<b>10200</b>	<b>10200</b>	<b>10200</b>	<b>N/N</b>		
<b>სასმელები</b>										
ნატანერი	54200	50000	50000	154200	50000	50000	50000	50000	2 →5	
ვეპსი	60000	60000	60000	180000	55000	55000	55000	55000	2 →5	
ციცვი ჩაი	25000	25000	25000	75000	15000	15000	15000	15000	45000	
<b>განაკვეთი</b>	<b>139200</b>	<b>135000</b>	<b>135000</b>	<b>409200</b>	<b>120000</b>	<b>120000</b>	<b>N/N</b>	<b>N/N</b>		
<b>კვარტი</b>										
აღუბალი	35000	35000	35000	105000	35000	35000	35000	35000	1 →5	
ფორმონალი	40000	40000	40000	120000	40000	40000	40000	40000	1 →5	
ვაშლი	30000	30000	30000	90000	30000	30000	30000	30000	90000	
გარებარი	25000	25000	25000	75000	25000	25000	25000	25000	75000	
<b>შესაბამისობა</b>	<b>130000</b>	<b>130000</b>	<b>130000</b>	<b>390000</b>	<b>130000</b>	<b>130000</b>	<b>N/N</b>	<b>N/N</b>		
<b>სულ</b>	<b>276100</b>	<b>272400</b>	<b>272900</b>	<b>821400</b>	<b>260200</b>	<b>260200</b>	<b>N/N</b>	<b>N/N</b>		
<b>მონაცემები</b>										


სურ. 42 სტრუქტურიზებული მონაცემები

ცალკეული მაჯგუფებელი დონის მოხსნა ხდება Data ჩანართში Outline ბრძანებათა ჯგუფში UnGroup -ის ბრძანებების სიიდან ბრძანება Ungroup - ზე მოქმედებით, ხოლო მთლიანად სტრუქტურირების გაუქმება ხდება ბრძანებით: Clear Outline (სურ. 44).

The screenshot shows a Microsoft Excel spreadsheet with a table containing financial data. The table has columns labeled A, F, and J. Row 2 contains the header "უალკოპოლო სასმელების ექსპორტი (ლიტრი)" and sub-headers "I გვარტ. (სულ)" and "II გვარტ. (სულ)". Rows 4 and 5 show group summary rows: "მინ წყლები" and "სულ მინ წყალი". Rows 9 and 10 show detailed data: "გაზიანი სასმელები" and "სულ გაზიანი სასმელები". Rows 14 and 15 show another group summary row: "ხილის წვენები". Rows 20 and 21 show the final total rows: "სულ ხილის წვენები" and "სულ უალკოპოლო სასმელები". On the left side, there are grouping controls with '+' and '-' symbols.

	1						
	2						
1 2 3	A	B	F	J			
	2	უალკოპოლო სასმელების ექსპორტი (ლიტრი)					
	3		I გვარტ. (სულ)	II გვარტ. (სულ)			
	4	მინ წყლები					
	9	სულ მინ წყალი	22200	30600			
	10	გაზიანი სასმელები					
	14	სულ გაზიანი სასმელები	409200	360000			
	15	ხილის წვენები					
	20	სულ ხილის წვენები	390000	390000			
	21	სულ უალკოპოლო სასმელები	821400	780600			

სურ. 43. მონაცემთა წარმოდგენა დაჯგუფებული სახით.



სურ. 44. სტრუქტურირების გაუქმება

### კითხვები და საგარჯოშოები

- როგორ მოვახდინოთ მონაცემთა სტრუქტურიზება?
- როგორ გამოვყოთ ცხრილის რომელიმე ფრაგმენტი?
- როგორ გავაუქმოთ სტრუქტურიზება?

## 2.4 მონაცემთა კონსოლიდაცია


მონაცემთა კონსოლიდაცია საშუალებას იძლევა მოხდეს ერთნაირი სტრუქტურის მქონე ცხრილებში მონაცემების შერწყმა, გაერთიანება. ცხრილი, სადაც ხდება მონაცემთა შერწყმა, შემაჯამებელ ცხრილს წარმოადგენს. შემაჯამებელი ცხრილი და მონაცემები შესაძლებელია ერთსა და იგივე წიგნში ან სხვა წიგნის სხვადასხვა ფურცლებზე იყოს განთავსებული.



სურ. 45. მონაცემთა კონსოლიდაციის გამოყენება

### რა არის აუცილებელი პირობა მონაცემთა კონსოლიდაციისათვის?

მონაცემთა კონსოლიდაციისათვის საჭიროა რომ მონაცემები წარმოდგენილი



სურ. 46. მონაცემთა კონსოლიდაციის ფანჯარა

იყოს ერთნაირი სტრუქტურით და მონაცემები იყოს რიცხვითი.

კონსოლიდაციის შესასრულებლად მოქმედებათა თანმიმდევრობა შემდეგი სახით შეიძლება წარმოვადგინოთ:

1. შემაჯამებელი ცხრილის სტრუქტურის განსაზღვრა და იმავე სტრუქტურის მონაცემთა ნაკრებების არსებობა. შემაჯამებელ ცხრილში საწყისი მონაცემის არე ცარიელია. იგი შეივსება კონსოლიდაციის შემდეგ.
2. შემაჯამებელ ცხრილში მონაცემების ჩაწერის საწყისი უჯრის გააქტიურება.
3. კონსოლიდაციის ბრძანების გამოძახება: Data /Data tools/consolidate (სურ. 45).
4. კონსოლიდაციის ფანჯრიდან მონაცემთა კონსოლიდაციისთვის ფუნქციის არჩევა ველში Function(სურ. 46). როგორც ვხედავთ, აქაც იგივე ფუნქციების ჩამონათვალია, რაც მონაცემთა ქვეჯამებისთვის გამოიყენებოდა.
5. მოქმედება ბრძანებაზე Add და გასაერთიანებელი მონაცემების მისამართის მითითება ველში Reference (სურ. 46). მისამართი ავტომატურად რომ დაფიქსირდეს, კურსორს ვაყენებოთ ამ ველში და მოვნიშნავთ იმ მონაცემთა ნაკრებს, რომელთა შერწყმაც არის გათვალისწინებული. ყოველი ახალი მონაცემთა ნაკრების დასამატებლად ვმოქმედებოთ დამატების ლილაკზე - Add.

იმ შემთხვევაში, თუ დასამატებელი მონაცემთა ნაკრები მოთავსებულია სხვა წიგნში, ფაილის მოძებნდა შერჩევა ხდება კონსოლიდაციის ფანჯრიდან ბრძანებაზე Browse მოქმედებით. ფაილის გასააქტიურებლად ვმოქმედებოთ ბრძანებათა თანმიმდევრობით: View/Window/Switch Windows (სხვა ფანჯრის გააქტიურება), სადაც ასევე მოვნიშნავთ მონაცემებს კონსოლიდაციის ფანჯარაში Add ლილაკზე მოქმედების შემდეგ.

6. ყველა მონაცემთა ნაკრების დამატების შემდეგ ვმოქმედებოთ Ok-ზე. შემაჯამებელ ცხრილში შეივსება საწყისი მონაცემების არე

**მაგალითი:** დაგარქვათ ფურცლებს სახელები „შემაჯამებელი”, „ლეკამბერი“, „იანვარი“ და „თებერვალი“ და შევიტანოთ შესაბამისი მონაცემები სურ. 47, 48, 49 - ის მიხედვით. და ვიმოქმედოთ შემდეგ მოქმედებათა თანმიმდევრობით.

1. გავააქტიუროთ ფურცელზე „შემაჯამებელი“ საწყისი მონაცემების პირველი უჯრა C5 (სურ. 50-ზე წითელი ოვალით შემოხაზული)

2. ვიმოქმედოთ ბრძანებათა თანმიმდევრობაზე: Data/data Consolidation და კურსორი დაგაყენოთ ველში reference.

	A	B	C	D	E	F
1						
2	ზამთრის თვეებში დამსვენებლთა რაოდენობა სამთო სათხილამურო კომპლექსში					
3	კვირა					
4	სპორტ კომპლექსის დასახ	1	2	3	4	
5	გუდაური					
6	ფასანაური					
7	ბაკურიანი					
8						
9						
10						
11						

	A	B	C	D	E	F
1						
2	ზამთრის თვეებში დამსვენებლთა რაოდენობა სამთო სათხილამურო კომპლექსში					
3	კვირა					
4	სპორტ კომპლექსის დასახ	1	2	3	4	
5	გუდაური	400	500	700	800	
6	ფასანაური	200	450	600	900	
7	ბაკურიანი	50	300	400	800	
8						

სურ. 47 კრეფსითი ცხრილის სტრუქტურის განსაზღვრა ფურცელზე:  
შემაჯამებელი"

სურ. 48 მონაცემების პირველი ნაკრები ფურცელზე "დეკემბერი"

3. გავაქტიუროთ ფურცელი "დეკემბერი", მოვნიშნოთ საწყის მონაცემთა დიაპაზონი (სურ. 50-ზე წითელი ოთხკუთხა ჩარჩოთი მონიშნული), ვიმოქმედოთ ბრძანებაზე Add.

	A	B	C	D	E	F
1						
2	ზამთრის თვეებში დამსვენებლთა რაოდენობა სამთო სათხილამურო კომპლექსში					
3	კვირა					
4	სპორტ კომპლექსის დასახ	1	2	3	4	
5	გუდაური	200	800	2000	3000	
6	ფასანაური	300	900	1500	1600	
7	ბაკურიანი	500	1000	1000	2000	
8						

	A	B	C	D	E	F
1						
2	ზამთრის თვეებში დამსვენებლთა რაოდენობა სამთო სათხილამურო კომპლექსში					
3	კვირა					
4	სპორტ კომპლექსის დასახ	1	2	3	4	
5	გუდაური	2000	3000	4500	4500	
6	ფასანაური	1500	1500	1500	3000	
7	ბაკურიანი	2000	2500	3000	3500	
8						
9						
10						

სურ. 49 მონაცემების მეორე და მესამე ნაკრები ფურცელზე  
იანვარი და თებერვალი

4. გავააქტიუროთ ფურცელი „იანვარი”, მოვნიშნოთ მონაცემთა დიაპაზონი, ვიმოქმედოთ ბრძანებაზე Add .
- 5 გავააქტიუროთ ფურცელი „თებერვალი“, მოვნიშნოთ მონაცემთა დიაპაზონი და რადგან მეტი მონაცემთა ნაკრები აღარ არის დასამატებელი, ვიმოქმედოთ ბრძანებაზე Ok. (სურ. 51).
6. გავააქტიუროთ ფურცელი „შემაჯამებელი“, ვნახავთ რომ საწყისი მონაცემების არე უკვე შევსებული იქნება (სურ. 52).


The screenshot shows the 'Consolidate' dialog box in Excel. The 'data/consolidation' tab is active. In the 'Reference' dropdown, '\$C\$5:\$F\$7' is selected. The 'Add' button is highlighted with a red arrow. The main area displays three data series: 'გუდაური' (Row 5), 'გასანაური' (Row 6), and 'საკურიანი' (Row 7). The 'OK' button is at the bottom.

სურ. 50 მონაცემთა კონსოლიდაციის სქემა

სურ. 50 ასახავს კონსოლიდაციის სქემას ჩვენი ამოცანისთვის.

მონაცემთა კონსოლიდაციის ფანჯრიდან – Consolidate შეგვიძლია ველში All references მოვნიშნოთ რომელიმე მონაცემთა ნაკრები და წავშალოთ delete-ზე მოქმედებით, ან პირიქით დავამატოთ სხვა მონაცემთა ნაკრებიც Add-ზე მოქმედებით (სურ. 51).

ყველა მონაცემთა ნაკრების დამატების შემდეგ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კონსოლიდაციის ფანჯარაში ვმოქმედებთ ბრძანებაზე OK.



სურ. 51. მონაცემთა კონსოლიდაციის ფანჯარა შეგსებული

ჩვენი მაგალითისთვის მივიღებთ შემაჯამებელი ცხრილის მონაცემებს სურ. 52-ზე ნაჩვენები სახით.

	A	B	C	D	E	F
1		ზამთრის თვეებში დამსვენებლთა რაოდენობა სამთო სათხილამურო კომპლექსში				
2			კვირა			
3	სპორტ კომპლექსის დასახ	1	2	3	4	
4	გუდაური	2600	4300	7200	8300	
5	ფასანაური	2000	2850	3600	5500	
6	ბაკურიანი	2550	3800	4400	6300	
7						
8						
9						
10						

სურ. 52. კონსოლიდაციის შედეგად მიღებული მონაცემები

## **ՃՈՒԵՑՅՈՒԹՅՈՒՆ ԴԱ ՏԱՐԱԾՈՅԻՇՄԱՅԻՆ:**

1. Ի՞նչ գործությունները կատարվում են մասնակիությամբ մասնակիությամբ կամ առաջարկություններում?
2. Ի՞նչ պահանջման մեջ մասնակիությամբ կամ առաջարկություններում առաջարկությունները կատարվում են մասնակիությամբ կամ առաջարկություններում?
3. Ի՞նչ պահանջման մեջ մասնակիությամբ կամ առաջարկություններում առաջարկությունները կատարվում են մասնակիությամբ կամ առաջարկություններում?
4. Ի՞նչ պահանջման մեջ մասնակիությամբ կամ առաջարկություններում առաջարկությունները կատարվում են մասնակիությամբ կամ առաջարկություններում?
5. Ի՞նչ պահանջման մեջ մասնակիությամբ կամ առաջարկություններում առաջարկությունները կատարվում են մասնակիությամբ կամ առաջարկություններում?
6. Ի՞նչ պահանջման մեջ մասնակիությամբ կամ առաջարկություններում առաջարկությունները կատարվում են մասնակիությամբ կամ առաջարկություններում?
7. Ի՞նչ պահանջման մեջ մասնակիությամբ կամ առաջարկություններում առաջարկությունները կատարվում են մասնակիությամբ կամ առաջարկություններում?

## 2.5 დინამიური ცხრილები

დინამიური ცხრილები იძლევიან კრეფსითი მონაცემების მიღების საშუალებას რაიმე მაჯგუფებელი ნიშნის/ნიშნების მიხედვით.

დინამიური ცხრილის შექმნის გზა: **Insert/PivotTable** (სურ. 53). შედეგად გამოდის

დინამიური ცხრილის ფანჯარა (სურ. 54), სადაც ველში Table/Range


მიეთითება იმ ცხრილის დიაპაზონი,

რომლისთვისაც ვახდენთ კრეფსითი

ცხრილის აგებას. **Use an External Data**


**Source** ჩამოთველს ვაკტიურებოთ იმ

შემთხვევაში, თუ მონაცემები სხვა



სურ. 53. დინამიური ცხრილის ჩასმა


ფაილშია განთავსებული.



სურ. 54. დინამიური ცხრილის ფანჯარა

**Choose where you want the PivotTable report to be placed** (ამოირჩიეთ სად გსურთ კრეფსითი ცხრილის განთავსება) ჩამოთველი **New Worksheet** მიუთითებს ახალ ფურცელზე განთავსებას, ხოლო **Existing Worksheet** მიუთითებს არსებულ სამუშაო ფურცელზე განთავსებას. ველში **Location** მიეთითება განთავსების მისამართი (სურ. 54).

დინამიური ცხრილის ფანჯარაში (სურ. 54) ok-ზე მოქმედებით Excel-ის ახალ სამუშაო ფურცელზე ჩნდება დინამიური ცხრილის გელების ჩასასმელი არე (სურ. 55).



სურ. 55 დინამიური ცხრილის გელების სია

საკმარისია დინამიური ცხრილის გარეთ რომელიმე უჯრაზე ვიმოქმედოთ რომ ფანჯარა "PivotTable Field List" გაქრება, ხოლო თუ კრეფსითი ცხრილის არეში ვიმოქმედებთ, ისევ გამოჩნდება. ამ გელის გაქრობა შეგვიძლია ასევე PivotTable Tools/ Options/Fiels List ბრძანებაზე მოქმედებით.


დინამიური ცხრილის გელების სიის ფანჯარაში (სურ. 55). Pivot Table Field List

მარცხნივ პიქტოგრამის სიის ღილაკზე (სამკუთხა ისარზე) მოქმედებით გამოდის ამ გელების დალაგების სხვადასხვა მაკეტი, მაგალითად, შეგვიძლია ქვემოთ მოცემულ განყოფილებებს: Repot Filter, Row Labels შევუცვალოთ ადგილი და კრეფსითი ცხრილის გამოსატანი გელების (Choose fields to add to report) გვერდით გამოვიტანოთ, ამისათვის ჩამონათვალიდან უნდა ავირჩიოთ მაკეტი:

Fields Section and Ateas Section Side-By-Side.

მივიღებთ სურ. 56-ზე წარმოდგენილი სახის მაკეტს.

Column Labels ველში თუ გადავიტანთ კომპიუტერულ ფირმას, ხოლო Row Labels-ში პროდუქციის სახეობას, Value-ში კი რაოდენობას, მაშინ მივიღებთ ცხრილს, სადაც სვეტის სახელად დაფიქსირებულია კომპიუტერული ფირმა, სტრიქონში - პროდუქციის სახეობა, ხოლო მათ გადაკვეთაზე განთავსდება პროდქუციის სახეობის მიხედვით შესაბამისი რაოდენობა.



**სურ. 56 დინამიური ცხრილის მაკეტის: Fields Section and Areas Section Side-By-Side არჩევა**

**მაგალითი:** შევიტანოთ მონაცემები B2:F11 დიაპაზონში. შევადგინოთ დინამიური ცხრილი მოცემული ცხრილისთვის (სურ. 57) და მივიღოთ შემაჯამებელი მონაცემები წლების, ფირმის, და განყოფილების მიხედვით.

მივყვეთ მოქმედებათა შემდეგ თანმიმდევრობას:

1. გავაძებიუროთ ცხრილის რომელიმე უჯრა ან მოვნიშნოთ მთელი ცხრილი და ვიმოქმედოთ **Insert** ჩანართის **PivotTable** პიქტოგრამაზე. დიალოგური ფანჯრის Table/Range (ცხრილის ან დიაპაზონის არჩევა) ველში გამოჩნდება ცხრილის მისამართი. გავაძებიუროთ New Worksheet (ახალი ფურცელი) და ვიმოქმედოთ ბრძანებაზე OK (სურ.57).
2. ფანჯარაში PivotTable Field List (დინამიური ცხრილის ველის სია) Choose fields to add to Report განყოფილებიდან Row Labels ველში გადავასრიალოთ თაგვით ველის

## დასახელებები წელი, ფირმა, ხოლო - Values (მნიშვნელობა) ველში

The screenshot shows a Microsoft Excel spreadsheet with data from row 3 to 11. The first column contains dates ('2010-2012') and the second column contains categories ('აღმოჩენა'). The third column is labeled 'მოცემული დროის განვითარების მაღალი დონეზე'. The fourth column is 'წელი', the fifth is 'რაოდენობა', and the sixth is 'გელი'. A red box highlights the range B3:F11. Above the spreadsheet, the 'Insert' tab is selected in the ribbon. A red arrow points from the 'Insert' tab to the 'PivotTable' icon. Another red arrow points from the 'Create PivotTable' dialog box to the 'Table/Range' field, which contains '\$B\$3:\$F\$11'.

სურ. 57 დინამიური ცხრილის შექმნა მოცემული ცხრილის მიხედვით

გადავასრიალოთ რიცხვითი ველი რომლის შემაჯამებელი მონაცემების გამოტანაც გვსურს, ჩვენი მაგალითისთვის – ”რაოდენობა”.

უკრავდება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ კრეფსითი ცხრილის სვეტები

The screenshot shows a PivotTable report with data from 2010 to 2012. The columns are 'weli', 'kompiuteruli firma', 'ganyofilebis nomeri', and 'Total'. The 'weli' column has values '2010', '2011', and '2012'. The 'kompiuteruli firma' column has values 'algoriTmi' and 'alta'. The 'ganyofilebis nomeri' column has values '02', '01', and '02'. The 'Total' column has values '250', '250', '450', '450', '700', '300', '300', '500', '500', '800', '354', '354', '600', '800', '1400', '1754', and '3254'. To the right of the PivotTable, the 'PivotTable Field List' dialog box is open. It shows fields to add to the report: 'kompiuteruli f...', 'ganyofilebis n...', 'produqcis saxeoba', 'weli', and 'raodenoba'. In the 'Row Labels' section, 'weli' is checked. A red box highlights 'weli' in the 'Row Labels' section. Red arrows point from the 'weli' field in the 'Row Labels' section to the 'weli' field in the 'Choose fields to add to report' list, and from the 'weli' field in the 'Row Labels' section to the 'weli' field in the 'Row Labels' list.

სურ. 58 დინამიური ცხრილის მიღება

ივსება და გამოდის Row Labels განყოფილებაში ველების თანმიმდევრობის შესაბამისად. ჩვენს მიერ გააქტიურებული ველების და თანმიმდევრობის მიხედვით მივიღებთ დინამიურ ცხრილს შესაბამისი მაკეტით (სურ. 58).

დინამიურ ცხრილში შესაძლებელია ველებისთვის ადგილების შეცვლაც და დაჯამების გარდა სხვა ფუნქციების გამოყენებაც.

### **რატომ პეგია კრეფსით ცხრილს დინამიური?**

სურ. 59. მონაცემთა გამსხვილებული სახით მიღება:  
რაოდენობების გამოტანა მხოლოდ კომპიუტერული  
ფირმების მიხედვით


კრეფსითი	ცხრილი
დინამიურია,	რადგან
მონაცემების	შეცვლასთან
ერთად	იცვლება
შესაბამისი	კრეფსითი
ცხრილიც. თუ მაგალითად	
ველების	სიიდან
ამოვრთავთ ველს “წელი”	
(სურ. 59-ზე გავაუქმოთ	
ალამი),	მივიღებთ
გამსხილებულ მონაცემებს	

ანუ მხოლოდ ფირმების მიხედვით შემოტანილი პროდუქციის რაოდენობას (სურ.59).


შევცვალოთ თანმიმდევრობა კრეფსით ცხრილში გამოსატანი ველების: ჯერ გადავასრიალოთ (ან ორჯერ ვიმოქმედოთ თაგვის მარცხენა დილაკით) “წელი” შემდეგ ველი”კომპიუტერული ფირმა”, და ბოლოს “განყოფილება”. მივიღებთ შესაბამისი ჭრილით გამოტანილ კრეფსით ცხრილს.

ველების თანმიმდევრობის შეცვლა შეგვიძლია ასევე “Row Labels” განყოფილებაში თაგვის საშუალებით ველების ადგილების შეცვლით.

დინამიურ ცხრილებთან მუშაობის დროს ჩნდება დამატებითი ჩანართი PivotTable Tools ორი ქვეჩანართით: Options ( სურ. 60) და Design (სურ. 61).



სურ. 60 დინამიური ცხრილის ქვეჩანართი “option” (მუშაობის რეჟიმი)




სურ. 61. დინამიური ცხრილის ქვეჩანართი “Design”

### III თავის EXCEL-ის სპეციალური ინსტრუმენტები

#### 3.1 SOLVER – ოპტიმიზაციის ამოცანების გადაწყვეტა

Excel-ის სპეციალური ინსტრუმენტი - Solver განკუთვნილია ოპტიმიზაციის ამოცანების გადასაწყვეტად, მაგრამ იმისათვის რომ ამ საშუალებით ვისარგებლოთ საჭიროა მისი დაინსტალირება, რის შემდეგაც ეს საშუალება მოექცევა ჩანართში Data ბრძანებათა ჯგუფში Analysis. დაინსტალირებას ვახდენთ შემდეგი წესით:

File/Option - ზე მოქმედებით Excel-ის პარამეტრების ფანჯრიდან Excel Option (სურ. 62) გახსნილ დიალოგურ ფანჯარაში ვმოქმედებთ Add-Ins-ზე, რის შემდეგაც მის



სურ. 62. ექსელის პარამეტრების ფანჯარა

სურ. 63. Solver-ის დამატება


მარჯვნივ Name -ში ვმოქმედებთ Solver Add-in-ზე და ქვემოთ Go-ზე (სურ. 63).

ამ მოქმედებათა შედეგად გამოსულ ფანჯარაში Add-Ins გავააქტიურებთ Solver Add-in-ს, როგორც ეს სურ. 64-ეა ნაჩვენები და ვმოქმედებთ OK-ზე.

გამოდის შეტყობინება, რაზედაც ვპასუხობთ “yes”, რათა შეასრულოს ინსტალირება. ინსტალირების პროცესი საჭიროებს რამოდენიმე წამს.

**როგორ მივხვდეთ მოხდა თუ არა Solver ინსტრუმენტის დამატება?**

დაინსტალირების შემდეგ ვიმოქმედოთ ხცელის მენიუს სტრიქონში Data ჩანართში. მარჯვნივ ბრძანებათა



სურ. 64. სოლვერის დამატების ფანჯარა

ჯგუფში Analysis გამოჩნდება ბრძანება Solver (სურ 65). მისი გამოძახება შეგვიძლია ბრძანებით: Data/Analysis/Solver, რის შემდეგაც იხსნება სოლვერის ფანჯარა. როგორც სურ. 66-ზე ვხედავთ, სრულდება ერთ-ერთი ფუნქცია: მაქსიმიზაციის, მინიმიზაციის ან როცა მოცემული გვაქვს გარკვეული სიდიდე და მისი

გადანაწილება გვსურს ოპტიმალურად.

სოლვერის ფანჯარაში ველში By Changing Cells მიეთითება ის უჯრები, რომელთა შეცვლაც გვსურს ოპტიმიზირების შედეგად. By Changing Cells განყოფილებაში მიეთითება შეზღუდვები, პირობები, რომლის მიხედვითაც ვახდენთ ამოცანის ოპტიმიზირებას.


შეზღუდვა მიეთითება Add ბრძანებაზე მოქმედებით. შეზღუდვების მითიტებსი შემდეგ ამონახსნის საპოვნელად ვმოქმედებთ ბრძანებაზე Solve. ამონახსნი შეგვიძლია გავაუქმოთ ბრძანებით Reset All.



სურ. 65. Solver ის დამატება Data/Analysis ჯგუფში

ოპტიმიზაციის დროს ერთდროულად შესაძლებელია მხოლოდ ერთი მიზნის ფუნქციის შესრულება: მაქსიმიზაციის (max), მინიმაზაციის (min) ან განაწილების (Value of).

**მაგალითი.** გვაქვს გარკვეული თანხა 20000 ლარის ოდენობით და გვხურს ეს თანხა გადავანაწილოთ ოპტიმალურად ოფისისთვის ინვენტარის შესაძენად შემდეგი პირობების მიხედვით: მაგიდების რაოდენობა 10, კომპიუტერი არაუმეტეს



სურ. 66 სოლვერის ფანჯარა

13, სკამი არაუმეტეს 20, საბეჭდი ქადალდების შეკვერა არაუმეტეს 6, საბეჭდი მოწყობილობაც არაუმეტეს 2, საკანცელარიო ნივთების კომპლექსი – აღემატებოდეს 5-ს. ვიანგარიშოთ ჯერ რა თანხაა საჭირო მინიმალური რაოდენობით შეძენისას.

ჩავწეროთ ცხრილის სახით (სურ. 67) მონაცემები: საქონლის დასახელება, ღირებულება, რაოდენობაში მივუთითოთ მინიმალური რაოდენობა 1-ის ტოლი,


მოცემულ ცხრილში თანხის სვეტში D3 უჯრაში ჩავწეროთ თანხის გასაანგარიშებელი ფორმულა, ანუ “= B3\*C3” და ვიმოქმედოთ Enter კლავიშაზე. მიღებული შედეგი განვავრცოთ D8-ის ჩათვლით. D9-ში კი ვიმოქმედოთ  $\Sigma$ -ზე D3:D8-ის ჯამის მისაღებად. როგორც ვხედავთ მიღებული ჯამი ტოლია 1640-ის. ეს არის ყველაზე მინიმალური თანხა ოფისში მხოლოდ თითო-თითო ინვენტარის შესაძენად. ჩვენ გვაქვს 20000 ლარი და გვხურს Solver-ით როგორი როგორ გადანაწილდება აღნიშნული თანხა მოცემული შეზღუდვების პირობებში. 1640-ის ნაცვლად უნდა მივიღოთ შედეგი 20000 და შეიცვალოს რაოდენობის სვეტის (C3:C8) მონაცემებიც მოცემული შეზღუდვების გათვალისწინებით.

A	B	C	D
ოფისისთვის საჭირო საქონლის შემცნა			
1 საქონლის	ღირებულება	რაოდენობა	
2 დასახელება	ლარებში	თანხა	
3 მაგიდა	120	1	120
4 კომპიუტერი	1200	1	1200
5 სკამი	35	1	35
6 საბეჭდი ქაღალდების			
7 შეკვრა	10	1	10
8 საბეჭდი			
9 მოწყობილობა	220	1	220
10 საკანცელარიო			
11 ნივთების კომპლექსი	55	1	55
<b>9</b>			<b>1640</b>

სურ. 67 მინიმალური თანხის გაანგარიშება

ოპტიმიზაციის ამოცანის გადასაწყვეტად მივყვეთ შემდეგ მოქმედებათა თანმიმდევრობას:


- კურსორი დავაყენოთ საშედეგო უჯრაში (D9 უჯრაში) და ვიმოქმედოთ Data/Analysis/Solver. იხსნება სოლვერის პარამეტრების ფანჯარა (Solver Parameters) (სურ. 68), სადაც ველში Set Target Cell-ის საშედეგო უჯრის მისამართი დაფიქსირდება (საშედეგო უჯრის მონიშვნის დროს ავტომატურად თავსდება ეს



სურ. 68. სოლვერის პარამეტრების მითითება

მისამართი). ველში Value of ჩავწეროთ სიდიდე, რისი გადანაწილებაც გვსურს, ანუ რითიც უნდა შეიცვალოს საშედეგო უჯრა, ე. ი. 20000.


კურსორი დავაყენოთ ველში By Changing Cell და მოვნიშნავთ რაოდენობის სვეტი ანუ C3:C8 დიაპაზონი, იმ უჯრების მისამართები, რომელთა ცვლილების საფუძველზედაც მიიღება ჩვენი მიზნობრივი ფუნქცია შეზღუდვების გათვალისწინებით.



სურ. 69. შეზღუდვის დადება: მთელი რიცხვის ამორჩევა

2. განყოფილებაში Subject to the Constraints გმოქმედებთ ბრძანებაზე Add (სურ 69). პირველი შეზღუდვა არის ის, რომ რაოდენობა უნდა იყოს მთელი რიცხვი


და ამისათვის ვირჩევთ Int-ს, Constraint-ის ველში დაფიქსირდება “Integer” (მთელი). თითოეული შეზღუდვის დასაფიქსირებლად გმოქმედებთ ბრძანებაზე: Add.




სურ. 70. შეზღუდვის დადება მაგიდების შესაძენად

3. შემდეგი შეზღუდვის დასადებად გმოქმედებთ ისევ Add-ლილაკზე, ისევ მოვნიშნავთ რაოდენობის მთელ დიაპაზონს და Int-ის მაგივრად ვირჩევთ მეტი ან ტოლი ნოლზე, რადგან რაოდენობა უარყოფითი სიდიდეც არ უნდა იყოს.


4. ვმოქმედებთ Add-ლილაკზე და ამოცანის პირობის თანახმად ვაფიქსირებთ




სურ. 71 შეზღუდვა კომპ-ზე




სურ. 72 შეზღუდვა სკამებზე



სურ. 73 შეზღუდვა საბეჭდ ქაღალდებზე



სურ. 74 შეზღუდვა საკანცელარიო ნივთებზე




სურ. 75 შეზღუდვა საბეჭდ მოწყ-ზე

შეზღუდვებს მაგიდებისთვის (სურ. 70), კომპიუტერისთვის (სურ. 71),

5. შეზღუდვების შემდეგ ვმოქმედებთ OK- ზე (სურ. 68). გამოდის ფანჯარა (სურ. 76), სადაც Subject to the Constraints – განყოფილებაში საბოლოო სახით შეგვიძლია კიდევ მოლიანობაში გადავხედოთ თუ რა შეზღუდვები გვაქვს, გვჭირდება თუ არა რედაქტირება, შეზღუდვის დამატება (Add), რომელიმეს შეცვლა (Change), ან წაშლა (Delete).

6. ოპტიმიზაციის ამოცანის გადასაწყვეტილობის ვიმოქმედოთ პრდანებაზე Solve (სურ. 76). ამოცანის ამოხსნის შემდეგ ჩვენს ცხრილში (სურ. 77) განთავსდება ეს ნაპოვნი შედეგები, ანუ ოპტიმალური გადანაწილება, ე. ი. მივიღეთ მიზნის ფუნქციის ამონახსნი გარკვეული შეზღუდვების პირობებში.

ოპტიმიზაციის ამოცანის გადაწყვეტის შემდეგ იხსენება ფანჯარა Solver Results (სოლვერის შედეგების - სურ. 78) და თუ გვსურს მიღებული შედეგები შევინახოთ, მაშინ გავააქტიურებოთ ჩამოთველს Keep Solver Solution (Solver-ის ამონახსნის შენახვა) და ამონახსნი შეგვიძლია როგორც სცენარი, ისე შევინახოთ, თუ




სურ. 76 შეზღუდვები სოლვერის პარამეტრების ფანჯარაში

A	B	C	D	
ოპტიმიზაციის საჭირო საქონლის შეძენა				
1				
2	საქონლის დასახულება	ღირებულ ება	რაოდენო ბა	
3	მაგიდა	120	10	1200
4	კომპიუტერი	1200	11	13200
5	სკამი	35	20	700
6	საბეჭდი ქაღალდების			
7	შეკვრა	10	6	60
8	საბეჭდი			
9	მოწყობილობა	220	2	440
	საკანკენი			
	ნივთების კომპლექსი	55	80	4400
				20000

სურ. 77 ოპტიმიზაციის შედეგად მიღებული ცხრილი

ვიმოქმედებთ ღილაკზე- Save Scenario, ხოლო Reports განყოფილებაში Answer პასუხზე მოქმედებით გამოდის მიღებული ოპტიმალური ცხრილი Solver ინსტრუმენტით მიღებული.

მიღებული შედეგები თუ არ არის ჩვენთვის მისაღები, შეგვიძლია გავაუქმოთ და თავდაპირველ მონაცემებზე დავბრუნდეთ, ამისათვის უნდა გავააქტიუროთ ჩამრთველი: Restore Original Values (სურ. 78).



სურ. 78 ოპტიმიზაციის შედეგად მიღებული ცხრილი

**ՃՈՒԵՑՅՈՒՆԻ ՀԱՅԱՀԱՐԱՐՅՈՒՄՆԵՐԸ:**

1. ՌՈԵՄՈՒՅՄ ՃՈՒԵՑՅՈՒՆԻ ՀԱՅԱՀԱՐԱՐՅՈՒՄՆԵՐԸ:
2. ԽՈՎԱԿԱՐ ՃՈՒԵՑՅՈՒՆԻ ՀԱՅԱՀԱՐԱՐՅՈՒՄՆԵՐԸ:
3. ԽՈՎԱԿԱՐ ՃՈՒԵՑՅՈՒՆԻ ՀԱՅԱՀԱՐԱՐՅՈՒՄՆԵՐԸ:
4. ԽՈՎԱԿԱՐ ՃՈՒԵՑՅՈՒՆԻ ՀԱՅԱՀԱՐԱՐՅՈՒՄՆԵՐԸ:
5. ԽՈՎԱԿԱՐ ՃՈՒԵՑՅՈՒՆԻ ՀԱՅԱՀԱՐԱՐՅՈՒՄՆԵՐԸ:
6. ԽՈՎԱԿԱՐ ՃՈՒԵՑՅՈՒՆԻ ՀԱՅԱՀԱՐԱՐՅՈՒՄՆԵՐԸ:
7. ԽՈՎԱԿԱՐ ՃՈՒԵՑՅՈՒՆԻ ՀԱՅԱՀԱՐԱՐՅՈՒՄՆԵՐԸ:

თავი IV. ვინანსური ფუნქციები დაპატიჟაციასთან, საინვესტიციო პროექტების შეფასებასთან

#### 4.1 ამორტიზაციის გაანგარიშება

ფინანსურ ფუნქციებს მიეკუთვნება აგრეთვე ამორტიზაციის თანხის გაანგარიშების ფუქციებიც, რომლებიც ასახავენ სხვადასხვა მეთოდით გაანგარიშებულ ამორტიზაციის თანხას.

##### 4.1.1 ფუნქცია SLN - ამორტიზაციის გაანგარიშება წრფივი მეთოდით ერთი პერიოდისათვის

ფუნქცია SLN წარმოადგენს ამორტიზაციის გაანგარიშებას წრფივი მეთოდით.

SLN ფუნქციის ჩატერის სინტაქსი:

=SLN(COST; SALVAGE; LIFE)

სადაც COST წარმოადგენს ძირითადი საშუალების საბადოსო ღირებულებას, SALVAGE - ძირითადი საშუალების სალიკვიდაციო ღირებულებას, ხოლო LIFE - ძირითადი საშუალების ექსპლოატაციის ვადას (ტექნიკური დოკუმენტაციის მიხედვით)


**მაგალითი.** ნაყინის წარმოებისთვის შეიძინებს აპარატურა, რომლის საბადოსო ღირებულება შეადგენს 4500 ლარს, ექსპლოატაციის ვადა 5 წელი, ხოლო სალიკვიდაციო ღირებულება 400 ლარი. გამოვითვალოთ ამორტიზაციის თანხა. გისარგებლოთ ფორმულით:

=SLN(COST, SALVAGE, LIFE)

საშედეგო უჯრაში, სადაც გვხურს შედეგის მიღება, ჩავწეროთ ფორმულა ასეთი სახით:

=SLN(4500, 400, 5) და გიმოქმდოთ Enter ღილაკზე. შედეგად მივიღებთ 820 ლარს წელიწადში.

შეგვიძლია ვისარგებლოთ აგრეთვე ფუნქციის გამოძახების ოსტატის fx საშუალებითაც. ამ შემთხვევაში კურსორს დავაყენებთ შესაბამისი არგუმენტების ველში და ჩავწერთ მათ მნიშვნელობებს (იხ. სურ. 79).



სურ. 79 ფუნქციის გამოძახება ფუნქციების ოსტატით

#### 4.1.2 ვუნდცია SYD ამორტიზაციის გაანგარიშებას რიცხვთა ჯამის მეთოდით

**ფუნქცია SYD წარმოადგენს ამორტიზაციის გაანგარიშებას რიცხვთა ჯამის მეთოდით.**

ამ მეთოდით გაანგარიშების დროს ამორტიზაციის თანხა საწყის პერიოდებში უფრო მეტია, ვიდრე შემდგომ, გაითვალისწინება ის გარემოება, რომ ძირითადი საშუალებები ექსპლოატაციის პერიოდში არათანაბრად ცვდება და პირველ წლებში უფრო მეტი მწარმოებლურობით მუშაობს, ვიდრე ექსპლოატაციის ბოლო წლებში. ამიტომ მთელ რიგ ქვეყნებში ამორტიზაციის გაანგარიშებისას სწორედ ამ მეთოდით სარგებლობენ. SYD ფუნქციის ჩაწერის სინტაქსი:

=SYD(COST, SALVAGE, LIFE, PER)

სადაც PER წარმოადგენს კონკრეტული პერიოდის ნომერს, რომლისთვისაც ხდება ამორტიზაციის თანხის გაანგარიშება.

**მაგალითი:** შევიძინეთ დაზგა-დანადგარები 40000 ლარად, ექსპლოატაციის ვადა 10 წელი, სალიკვიდაციო ღირებულება 10000 ლარი. გავიანგარიშოთ ამორტიზაციის ანარიცხების თანხა მეორე და მესამე წელს.

გეორგ წლისთვის ფუნქცია ასე ჩაიწერება (სურ. 80):

$$= SYD(40000, 10000, 10, 2)$$

შედეგად მივიღებთ 4909 ლარს.

ხოლო გენერალ წლისთვის ფუნქციას ექნება ასეთი სახე (სურ. 81):

$$= SYD(40000, 10000, 10, 3)$$

შედეგად მივიღებთ 4364 ლარს. როგორც კიდევათ შეძლებ პერიოდში უფრო მოკლო ამორტიზაციის თანხის ოდენობამ.

ფუნქციების თხზავის საშუალებით ასე ჩაიწერება არგუმენტები:

Action Arguments	Function Arguments
<p><b>SYD</b></p> <p><b>Cost</b> 40000  <b>Salvage</b> 10000  <b>Life</b> 10  <b>Per</b> 2</p> <p>= 4909,090909</p> <p>Returns the sum-of-years' digits depreciation of an asset for a specified period.</p> <p><b>Per</b> is the period and must use the</p> <p>Formula result = 4909,090909</p> <p><a href="#">Help on this function</a></p>	<p><b>SYD</b></p> <p><b>Cost</b> 40000  <b>Salvage</b> 10000  <b>Life</b> 10  <b>Per</b> 3</p> <p>= 4363,636364</p> <p>Returns the sum-of-years' digits depreciation of an asset for a specified period.</p> <p><b>Per</b> is the period and must use the</p> <p>Formula result = 4363,636364</p> <p><a href="#">Help on this function</a></p>

სურ. 80 ამორტიზაციის გაანგარიშება SYD ფუნქციით მეორე პერიოდისთვის

სურ. 81 ამორტიზაციის გაანგარიშება SYD ფუნქციით მესამე პერიოდისთვის

4.1.3 ფუნქცია DB - ამორტიზაციის გაანგარიშება ფიქსირებული ნორმით ფუნქცია DB წარმოადგენს ამორტიზაციის გაანგარიშებას ფიქსირებული ნორმით.

**DB** ფუნქციის ჩაწერის სინტაქსი:

= DB(cost,salvage, life, period, [month]),<sup>12</sup>

period წარმოადგენს იმ პერიოდს, რომლისთვისაც ხდება ამორტიზაციის თანხის გაანგარიშება, ხოლო month არგუმენტი წამოადგენს ექსპლოატაციაში შესვლის თვეს.

**მაგალითი:** შევიძინეთ ფართი 60000 დოლარად. ექსპლოატაციის ვადა 10 წელი, სალიკვიდაციო ღირებულება 10000 ლარი. ექსპლოატაციური შეხვდის თვე მარტი, ანუ მესამე თვე. გავიანგარიშოთ ამორტიზაციის ანარიცხების თანხა პირველ, მეორე და მესამე წელს.

პირველი წლისთვის ფუნქცია ასე ჩაიწერება:

= DB(60000,10000,10,1,3)


მეორე წლისთვის ფუნქცია ასე ჩაიწერება:

= DB(60000,10000,10,2,3)

ხოლო მესამე წლისთვის ფუნქციას ექნება ასეთი სახე:

= DB(60000,10000,10,2,3)

**შენიშვნა:** როცა ფუნქციების ოსტატის გარეშე ვწერთ ამ ფუნქციებს, ჩავწერთ ტოლობის ნიშნის შემდეგ ფუნქციის ჩაწერისთანავე ამოდის ამ ფუნქციის ჩაწერის სინტაქსი, სადაც ჩნდება არგუმენტები ერთმანეთისგან მდიმით გამოიყოფიან თუ წერტილმდიმით (სურ. 82)



სურ. 82 არგუმენტების გამოყოფა ერთმანეთისგან

<sup>12</sup> კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებული არგუმენტი ნიშნავს, რომ შესაძლებელია ამ არგუმენტის გამოტოვება, არ მითითება.

#### 4.1.4 ფუნქცია DDB

ფუნქცია DDB წარმოადგენს ამორტიზაციის თანხის გაანგარიშებას კონკრეტული პერიოდისათვის ნაშთის კლებადობის (საბალანო დირებულების ორჯერ შემცირების ან სხვა თქვენს მიერ განსაზღვრული) მეთოდით.

ფუნქცია DDB – ჩაწერის სინტაქსი:

=DDB(cost,salvage,life,Period, [ Factor])

სადაც Period და Life უნდა იყვნენ ერთი განზომილებით მოცემული. Period მიუთითებს პერიოდს, რომლისთვისაც ხდება გაანგარიშება ამორტიზაციის თანხის.

Factor –აჩქარებული ამორტიზაციის კოეფიციენტი, იგი მიუთითებს კურსს, რის მიხედვითაც ხდება ნაშთის კლება. ავტომატურად იგი 2-ის ტოლია. ე. ი. თუ არგუმენტი - Factor გამოტოვილია, იგი 2-ის ტოლია, ე. ი. საბალანსო დირებულების 2-ჯერ შემცირების მეთოდია გამოყენებული.

**მაგალითი:** შეძენილი აქტივის საბალანსო ღირებულება შეადგენს 25000 ლარს, გებალოატაციის ვადა 5 წელი, სალიკვიდაციო ღირებულება 5000 ლარი. ვიანგარიშოთ ამორტიზაციის ანარიცხების თანხა მეორე და მესამე წელს საბალანსო ღირებულების ორჯერ შემცირების მეთოდით. ე. ი. Factor ტოლია 2-ის, და შეიძლება ეს არგუმენტი არ მივუთითოთ.

#### 4.1.5 ფუნქცია VDB ამორტიზაციის თანხის გაანგარიშება რიცხვთა ჯამის მეთოდით პერიოდების გათვალისწინებით

ფუნქცია VDB წარმოადგენს ამორტიზაციის თანხის გაანგარიშებას რიცხვთა ჯამის მეთოდით.

ფუნქცია VDB – ჩაწერის სინტაქსი:

=VDB(cost, salvage, life, start\_period, end\_period, factor, {no\_switch}).

DDB		VDB	
Cost	25000	Cost	25000
Salvage	5000	Salvage	5000
Life	5	Life	5
Period	2	Period	3
Factor		Factor	
II პერიოდისთვის		III პერიოდისთვის	
	= 6000		= 3600

ამორტიზაციის თანხის გაანგარიშება DDB ფუნქციით

სადაც Start Period წარმოადგენს ამორტიზაციის განგარიშების კონკრეტული პერიოდის საწყის პერიოდს,

End Period - პერიოდის ბოლოს

no\_switch წარმოადგენს ლოგიკურ გამოსახულებას.

**მაგალითი:** აქვთის თავდაპირეელი ღირებულება შეადგენს 45000ლარს. სალიკვიდაციო ღირებულება 15000 ლარი, ექსპლოატაციის ვადა 10 წელი. გავიანგარიშოთ ამორტიზაციის თანხა ა) პირველი წლისათვის, ბ) მე-5-დან 11 თვემდე, გ) მე-3-დან 6 წლამდე

ა). პირველი წლისათვის ამორტიზაციის გაანგარიშების ფუნქციას ექნება შემდეგი სახე:

=VDB(45000, 15000, 10, 0, 1)

ბ) მე-5-დან 11 თვემდე ამორტიზაციის გაანგარიშების ფუნქციას ექნება შემდეგი სახე:

=VDB(45000, 15000, 10\*12, 4, 11)

გ) მე-3-დან 6 წლამდე ამორტიზაციის გაანგარიშების ფუნქციას ექნება შემდეგი სახე:

=VDB(45000, 15000, 10, 3, 6)

## 4.2 ფინანსური ფუნქციები პროექტების შეფასებისთვის

### 4.2.1 NPV – წმინდა მოგების გაანგარიშება

NPV – წარმოადგენს საინვესტიციო პროექტების შეფასების სტანდარტულ მეთოდს. მისი საშუალებით ვადგენთ არის თუ არა პროექტი მომგებიანი, დირს თუ არა მათი განხორციელება.

NPV ფუნქციით შეიძლება შევაფასოთ რამდენად ეფექტური იქნება პროექტის რეალიზება, იგი წარმოადგენს მიმდინარე წმინდა ღირებულებას, მოგების ქვედა ზღვარს, რაც რჩება გადასახადების გადახდის შემდეგ და გაიანგარიშება პერიოდული შემოსავლებისა და გასავლების დროს. როცა NPV მეტია

ინვესტიციაზე, ეს ნიშნავს, რომ ამ პროექტის რეალიზება დირს და ხარჯების დაფარვის შემდეგ გვრჩება მოგება.

ფუნქციის ჩაწერის სინტაქსი შემდეგია:

**NPV(Rate, Value1, Value2, Value3...)**

NPV – ს შემთხვევაში შემოსავალთა მნიშვნელობები სხვადასხვა სიდიდისაა და გადახდა მხოლოდ პერიოდის ბოლოს ხორციელდება, განსხვავებით PV – საგან, როცა გადახდა გაითვალისწინებოდა როგორც პერიოდის ბოლოს, ასევე დასაწყისშიც. ამასთან

NPV – ფუნქცია გაითვალისწინება პერიოდულად ცვლადი შემოსავლებისა და გასავლების დროს.

**მაგალითი:** დავადგინოთ ეფექტურია თუ არა 600000 ლარის ღირებულების ინვესტიციის ჩადება პროექტში, თუ მისი შემოსავალი იზრდება 15%-ით ყოველი პერიოდისთვის, და თუ პირველი პერიოდის შემდეგ მოგებამ შეადგინა 30000, მეორე პერიოდში – 345000, მესამე პერიოდში კი 39675 ლარი.

შევიტანოთ მონაცემები სურ. 83-ის მიხედვით და ფუნქციების თხზატით გამოვიძახოთ ფუნქცია NPV.

შეგვიძლია გელში Value1 დავაყენოთ პურსორი და მოვნიშნოთ პერიოდული შემოსავლების დიაპაზონი, ცალ-ცალკე მითითება აღარ დაგჭირდება.

სურ. 83 მაგალითი 1 NPV ფუნქციის გამოყენებით

შედეგად მივიღეთ 78261 ლარი, რაც აღემატება 60000 ლარს (ჩადებული ინვესტიციას) დაახლოებით  $300000 < 700000$ . როგორც ვხედავთ ინვესტორი 700000 ლარის დაბანდებით მიიღებს მხოლოდ 300000 ლარს რაც არაუფექტურია და მიუღებელია.

ფუნქციის შესრულება შეგვიძლია შემდეგი გზითაც: საშედეგო უჯრაში ფუნქციის შემდეგი სახით ჩაწერით: =NPV(15%, 30000, 34500, 39675)

შეგვიძლია პერიოდული შემოსავლები ცალ-ცალკე კი არ ჩამოვწეროთ, არამედ დიაპაზონის სახით მივუთითოთ.

**მაგალითი 2.** დავადგინოთ ეფექტურია თუ არა 400000 ლარის დირებულების ინვესტიციის ჩადება პროექტში, თუ მისი შემოსავალი იზრდება 20%-ით ყოველი პერიოდისთვის, და თუ პირველი პერიოდის შემდეგ მოგებამ შეადგინა 90000, მეორე პერიოდში – 108000, მესამე პერიოდში 129000 ლარი. მეოთხე პერიოდში კი 155520 ლარი. ფუნქციის შესრულების გზები:

1. ჩამოვწეროთ ეს სიდიდეები ხცელის უჯრებში, დავწეროთ საშედეგო უჯრაში „=NPV(“შემდეგ თაგვით ვიმოქმედოთ ჯერ იმ უჯრაზე, სადაც 20% არის ჩაწერილი, ისევ თაგვით მოვნიშნოთ დიაპაზონი, სადაც შემოსავლებია (90000, 108000, 129000, 155520) დაფიქსირებული, დავხუროთ ფრჩხილი და ვიმოქმედოთ Enter-ზე.

2. ფუნქციების ოსტატის  $f_x$ -ის დახმარებით, შემოსავლების უჯრებზე ცალ-ცალკე მოქმედებით.
3. ფუნქციების ოსტატის  $f_x$ -ის დახმარებით, შემოსავლების დიაპაზონის მონიშვნით.
4. საშედეგო უჯრაში ფუნქციის შემდეგი სახით ჩაწერით:  $=NPV(20\%, 90000, 108000, 129000, 155520)$

The screenshot shows two adjacent 'Function Arguments' dialog boxes for the NPV function. Both dialogs have 'Rate' set to A3 (containing 0.2) and 'Value1' set to C3 (containing 90000). The left dialog has 'Value2' through 'Value4' empty. The right dialog has 'Value2' through 'Value4' empty. The left dialog is labeled 'I პერიოდის შემოსავლები' and the right dialog is labeled 'II გარიბის შემოსავლები'. The formula bar shows =npv(A3, C3:C6).

A	B	C	D	E	F	G	H	I
1								
2	საპრ. პერიოდის შემოსავლები	გან. ნომ	ლები					
3	20%	I პერიოდი	90000					
4		II პერიოდი	108000					
5		III პერიოდი	129000					
6		IV პერიოდი	155520					
7			=npv(A3, C3:C6)	II გარიბის შემოსავლები				
8	I გარიბის შემოსავლები							

სურ. 84. მაგალითი 2 NPV-ს გამოყენებაზე.

ფუნქციის შესრულებით მივიღეთ შედეგი: 299652 ან დაახლოებით 300000, რაც ნაკლებია ჩადებული ინვესტიციის თანხაზე 400000. როგორც ვხედავთ, ინვესტორი 400000 ლარის დაბანდებით მიიღებს მხოლოდ 300000 ლარს რაც არაეფექტურია და მიუღებელია.

#### 4.2.2 ფუნქცია XNPV

ფუნქცია XNPV წარმოადგენს საინვესტიციო პროექტების შეფასების ფუნქციას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფუნქციით NPV გამოითვლებოდა მოგზის წმინდა ნორმა, პერიოდულად ცვლადი შემოსავლებისა და გასავლების დროს. მაგრამ რა ფუნქცია შეგვიძლია გამოვიყენოთ პროექტების შეფასებისთვის არაპერიოდული ფულადი ნაკადების შემთხვევაში?

საინვესტიციო პროექტების შეფასებისთვის არაპერიოდული ფულადი ნაკადების შემთხვევაში გამოიყენება წმინდა მიმდინარე დირებულების გაანგარიშების ფუნქცია XNPV, რომლის ჩაწერის სინტაქსი შემდეგია:

=XNPV(Rate, Values, Dates), სადაც (Rate შემოსავლის პროცენტს წარმოადგენს, Values შემოსავალ-გასავლებს, ხოლო dates წარმოადგენს მოცემული შემოსავალ-

A	B	C	D	E	F	G
1						
2 %	მოგების შემოსავალ-გასავალი	თარიღი				
3 9%	-15000	1/1/2011				
4	3500	3/15/2011				
5	4550	6/30/2011				
6	3200	1/3/2012				
7	5000	5/15/2012				

სურ. 85 მაგალითი ფუნქცია XNPV –ს გამოყენებით

გასავლების შესაბამის თარიღებს.

## 4.3 შემოსავლიანობის შიდა ნორმების გაანგარიშების ფუნქციები

### 4.3.1 ფუნქცია IRR

ფუნქცია IRR წარმოადგენს მოგების შიდა ნორმის გაანგარიშების ფუნქციას პერიოდულად ცვლადი შემოსავლების და გასავლების დროს.

ფუნქციის ჩაწერის სინტაქსი:

=IRR(Values,Guess), სადაც Values წარმოადგენს შემოსავალ-გასავლების მასივს, ხოლო Guess ინვესტიციათა ბრუნვის სიჩქარის სავარაუდო მნიშვნელობა. ეს არგუმენტი უმეტეს შემთხვევაში არ მიეთითება, იგი ავტომატურად 10%-ის ტოლად იგულისხმება.

**მაგალითი:** კომერციული საინვესტიციო პროექტის რეალიზაციის დანახარჯები შეადგენს 40000 ლარს, ხოლო შემოსავლები პირველ წელს 14000-ს, მეორე წელს 20000-ს და მესამე წელს 42000-ს. შევაფასოთ პროექტის ძინანშეწოდობა, თუ წლიური საბაზო საპროცენტო განაკვეთი 24%-ს შეადგენს.

შევიტანოთ მონაცემები აღნიშნული სურათის მიხედვით და ფუნქციით  $IRR$  გიანგარიშოთ მოგების შიდა ნორმა ორი და სამი წლის შემდეგ. ორი წლის შემდეგ კლებულობთ  $-10\%$ -ს, ამდენად ამ დროისთვის არ არის ეფექტური, ხოლო სამი წლის შემდეგ კლებულობთ  $33\%$ -ს, რაც საბაზო წლიურ საპროცენტო განაკვეთს  $24\%$ -ს აღემატება. ამდენად ასეთი პროექტი ეფექტურია სამი წლის შემდეგ.

#### 4. 3.2 ფუნქცია XIRR

ფუნქცია XIRR წარმოადგენს მოგების შიდა ნორმის გაანგარიშებას არაპერიოდული ცვლადი შემოსავლების და გასავლების დროს.

ფუნქციის ჩაწერის სინტაქსი:

=XIRR(Values,Dates,Guess), სადაც Values წარმოადგენს შემოსავალ-გასავლების მნიშვნელობათა დიაპაზონს ხოლო Dates ამ ოპერაციების შესრულების შესაბამისი თარიღების დიაპაზონს. Guess ინგესტიციათა ბრუნვის სიჩქარის სავარაუდო მნიშვნელობა. ეს არგუმენტი უმეტეს შემთხვევაში არ მიეთითება, იგი ავტომატურად  $10\%$ -ის ტოლად იგულისხმება.

#### 4.3.3 ფუნქცია MIRR

ფუნქცია MIRR წარმოადგენს მოგების შიდა ნორმის გაანგარიშებას პერიოდული ცვლადი შემოსავლებისა და გასავლების დროს რეინვესტირებით მიღებული შემოსავლების გათვალისწინებით.

ფუნქციის ჩაწერის სინტაქსი:


=MIRR(Values, Finance\_Rate, Reinvest\_Rate), სადაც Values წარმოადგენს შემოსავალ-გასავლების მნიშვნელობათა დიაპაზონს, Finance\_Rate საპროცენტო განაკვეთს ინგესტირებამდე, ხოლო Reinvest\_Rate რეინვესტირების პროცენტს.

## V თავი. მონაცემთა ანალიზის შესაძლებლობა - ANALYSIS TOOLPAK მოდულის საშუალებით

### 5.1 მონაცემთა ანალიზი - Analysis Toolpak მოდულის საშუალებით


Excel-ს აქვს მრავალი ინსტრუმენტის დამატების შესაძლებლობა, რაც მის ფუნქციონირებას ზრდის, მაგრამ ეს ინსტრუმენტები არაა გულისხმობის პრინციპით (ავტომატურად) დაყენებული". ასე მაგალითად, მონაცემთა გაანალიზებისათვის Excel-ის პაკეტში შესაძლებელია დამატებითი მოდულის - მონაცემთა ანალიზის მოდულის Analysis Toolpak ჩართვა. მონაცემთა ანალიზის - Analysis Toolpak მოდულის დამატებისთვის საჭიროა

Excel-ში File ჩანართიდან ვიმოქმედოთ Excel-ის პარამეტრების (Options) დილაგზე




სურ .81. ექსელის პარამეტრების ფანჯრის გამოძახება

(სურ.81), ფანჯარაში Options (სურ.82) ბრძანებაზე - Add-Ins, ფანჯრის მარჯვენა პანელში მოვნიშნოთ მონაცემთა ანალიზის სერვისის პროგრამულ პაკეტი – Analysis ToolPak და ვიმოქმედოთ ბრძანებაზე Go (იხ.სურ. 82). Go ბრძანებათა დილაკზე მოქმედების შედეგად გახსნილ დიალოგურ ფანჯარაში (იხ.სურ.83) გააქტიურებთ Analysis ToolPak (ჩავრთავთ ალამს თაგვის მარცხენა დილაკით) და OK




სურ.82. ექსელში მონაცემთა ანალიზის მოდულის დამატება




სურ. 83. მონაცემთა ანალიზის ინსტრუმენტების გააქტიურება

შემდგომ ეტაპზე კომპიუტერის შეკითხვაზე დააინსტალიროს თუ არა დამატებითი მოდული, ვპასუხობთ “YES” და იწყება ინსტალირება. ამ პროცესს რამდენიმე წამი სჭირდება. მართალია, დაინსტალირების შემდეგ შეტყობინება არ გამოდის, მაგრამ




სურ. 84. მონაცემთა ანალიზის მოდულის გამოძახება



სურ. 85. მონაცემთა ანალიზის საშუალებები


როგორც კი გაქრება ინსტალირების ველი, Excel-ში Data ჩანართის ბოლოში უკვე დამატებული იქნება მონაცემთა ანალიზის დამატებითი მოდულის ბრძანებათა ჯგუფი Analysis Data Analysis საშუალებით (სურ. 84), რომელზე მოქმედებითაც იხსნება მონაცემთა ანალიზის საშუალებების სია (სურ. 85 და სურ 86).

სურ.85-ზე წითელი ისრით მითითებულია ნავიგაციის დილაკი, რომლის ქვემოთ ჩამოცურებითაც ვიხილავთ სხვა დანარჩენ საშუალებებსაც (სურ. 86). როგორც სურათებიდან ჩანს, მონაცემთა ანალიზის დამატებითი მოდული მოიცავს ანალიზის შემდეგ საშუალებებს: დისპერსიული ანალიზი: Anova – ერთფაქტორული, Anova - მრავალფაქტორული, კორელაცია, კოვარიაცია, აღწერითი სტატისტიკა, ექსპონენციალური განაწილება, ჰისტოგრამები, მცოცავი საშუალო, შემთხვევითი რიცხვების გენერატორი, რანკი და პერცენტილი, რეგრესიული ანალიზი, t-ტესტები ერთნაირი და განსხვავებული დისპერსიების შემთხვევაში, z-ტესტები და სხვ.



სურ. 86. მონაცემთა ანალიზის დანარჩენი საშუალებები

მაგალითისათვის ჩავატაროთ აღწერითი სტატისტიკა მონიშნულ მონაცემებისთვის. ამისათვის სურ.85-ზე მოვნიშნოთ პუნქტი Descriptive Statistics და ვიმოქმედოთ



### სურ.87. აღწერითი სტატისტიკის ფანჯარა

ბრძანებაზე OK. შედეგად გახსნილი აღწერითი სტატისტიკის ფანჯარა (სურ. 87) მოიცავს ორ ნაწილს: პირველი ნაწილი - Input ექება გასაანალიზებელ მონაცემებს ანუ საწყის მონაცემებს, ხოლო მეორე ნაწილი Output Options - მიღებულ შედეგებს.

პირველ ნაწილში ველში Input Range (შემოიტანე დიაპაზონი) ჩაიწერება ის დიაპაზონი, რომლის აღწერითი სტატისტიკაც გვსურს ჩავატაროთ. თუ დიაპაზონი Excel-ის სამუშაო ფურცელზე წინასწარ მონიშნულია, მაშინ იგი ავტომატურად დაფიქსირდება ამ ველში. წინააღმდეგ შემთხვევაში ვაყენებთ კურსორს (ვიმოქმედებთ თაგვის მარცხენა დილაპით) ველში Input Range და ჩავწერთ მონაცემების მისამართს ან მოგნიშნავთ თაგვით.

თუ გასაანალიზებელი მონაცემები ხცელის სამუშაო ფურცელზე განთავსებულია სვეტობრივად, მაშინ Grouped By განყოფილებაში გააქტიურდება ჩამრთველი Columns, ხოლო თუ სტრიქონობრივადაა მონაცემები განთავსებული, მაშინ გააქტიურდება - Rows.

ჩამრთველის Labels in First Row გააქტიურება ნიშნავს, რომ გასაანალიზებელი მონაცემები შეიცავს პირველ უჯრებში მოთავსებულ სათაურებს.

თუ მონიშნული გვაქვს მხოლოდ რიცხვით დიაპაზონი, ე. ი. სათაურის გარეშე, მაშინ შესაბამისად Labels in First Row ჩამრთველი უნდა იყოს ამორთული. ამ შემთხვევაში მიღებულ შედეგებს სვეტების სათაურად ავტომატურად დაუფიქსირდებათ Column 1, Column 2 და ა.შ. რამდენი სვეტის მიხედვითაცაა ანალიზი ჩატარებული.

თუ მონაცემებს მოვნიშნავთ სათაურთან ერთად, მაშინ უნდა გავააქტიუროთ Labels in First Row უჯრა. გაანალიზების შედეგად მიღებულ მონაცემებს ამ შემთხვევაში იგივე სათაურები ექნება, რაც გაანალიზებამდე.


მიღებული შედეგების ნაწილში (Output options) ველში - Output Range განისაზღვრება ის მისამართი, სადაც ჩაიწერება გაანალიზების შედეგად მიღებული სიდიდეები. ეს ველი ივსება იმ შემთხვევაში, როცა მიღებული შედეგები იწერება იმ სამუშაო ფურცელზე, სადაც საწყისი მონაცემები იყო განთავსებული. ავტომატურად ყოველთვის გააქტიურებულია New Worksheet Ply – ახალი სამუშაო ფურცელი, ეს ავტომატურად ხდება ახლა ფურცელზე შედეგების ჩასმა, მაგალითად, თუ საწყისი მონაცემები განთავსებულია sheet1-ზე, გაანალიზების შედეგად მიღებული სიდიდეები შეიძლება განთავსდეს Sheet4-ზე და ა. შ. მიღებული შედეგების კოპირება-გადატანა, რა თქმა უნდა, შესაძლებელია ჩვეულებრივად.

New Workbook-ის გადამრთველის გააქტიურებისას შედეგები განთავსდება ახალ სამუშაო წიგნში.

თუ გვსურს აღწერითი სტატისტიკის ყველა მაჩვენებლის გამოთვლა, მაშინ უნდა გავააქტიუროთ ჩამრთველი Summary Statistics.

Confidence Level for Mean (ნდობის ალბათობის ველი) მოინიშნება იმ შემთხვევაში, თუ მისი მნიშვნელობა გასაანალიზებელი მონაცემებისათვის განსხვავდება 95 %-საგან. იგი ავტომატურადაა დაფიქსირებული.

Kth Largest და Kth Mallest ჩამრთველებს გავააქტიურებოთ მაშინ, როცა აუცილებელია საშედეგო ცხრილში K-ური უდიდესი ან K-ური მინიმალური ელემენტის ჩვენება.



სურ.88. გასაანალიზებელი მონაცემები

სურ. 89. კლიენტთა რაოდენობის სვეტზე  
ანალიზის ჩატარება სვეტის სათაურის  
გარეშე

მონაცემები როგორც ეს სურ.8-ზეა ნაჩვენები.

I შემთხვევა. მოვნიშნოთ დიაპაზონი C4-დან C9-ის ჩათვლით და ვიმოქმედოთ

A	B
Column1	
3 Mean	4253.333333
4 Standard Error	786.6666667
5 Median	4860
6 Mode	#N/A
7 Standard Deviation	1926.931931
8 Sample Variance	3713066.667
9 Kurtosis	0.367277867
10 Skewness	-1.11141457
11 Range	5000
12 Minimum	1000
13 Maximum	6000
14 Sum	25520
15 Count	6

სურ.90. ადწერითი სტატისტიკური  
ანალიზის ჩატარება პირველი  
სტატის მიხადათ

Data/Data Analysis დილაპზე, შემდეგ მოვნიშნოთ  
Descriptive statistics და OK.

Descriptive statistics ფანჯარაში Input Range ველში, დაფიქსირდება ჩვენს მიერ მოვნიშნული  
არე. გავააქტიუროთ შედეგების ახალ  
ფურცელზე დაფიქსირების გადამრთველი და  
Summary statistics –შედეგობრივი სტატისტიკა,  
ისე როგორც ეს სურ.89-ზეა ნაჩვენები.  
ვიმოქმედოთ დილაპზე – OK. მივიღებთ  
საშედეგო მონაცემებს (იხ. სურ.90).

როგორც ვხედავთ, მიღებულ მონაცემებს სათაურად ავტომატურად დაერქვა Coilumn 1, რადგან ჩვენ მხოლოდ რიცხვითი მონაცემები მოვნიშნეთ სათაურის გარეშე და არ გავააქტიურეთ ჩამრთველი Labels in First Row.

II შემთხვევა: ანალიზი ჩავატაროთ ახლა კლიენტთა რაოდენობისა და შემთხვევის სვეტების მიხედვით (ე.ი. ორი სვეტის მიხედვით). ამ შემთხვევაში მოვნიშნოთ დიაპაზონი სათაურებთან ერთად ანუ დიაპაზონი C3:D9. გამოვიძახოთ ადწერითი სტატისტიკის ფანჯარა და Input Range ველში დავაფიქსიროთ

აღნიშნული დიაპაზონი, ამასთან გავაძებიუროთ ჩამრთველი Labels in First Row, და ასევე გავაძებიუროთ ჩამრთველები New Workshett Ply და Summary statistics.

აღწერითი სტატისტიკის შედეგად მივიღებთ სტატისტიკურ მონაცემებს (იხ. სურ.91).

აღნიშნულ ცხრილს, როგორც ვხედავთ, სათაურები Column1 და Column2 კი არ აქვს, არამედ იგივე სვეტის სათაურები აქვს, რაც ადრევე პქონდა ცხრილს გაანალიზებამდე.

ახლა კი განვიხილოთ გაანალიზების შედეგად მიღებული სტატისტიკური პარამეტრები:

A	B	C	D	
1	<i>klientTa raodenoba</i>	<i>Semosaval</i>		
2				
3 Mean	4253.333333	Mean	15675	
4 Standard Error	786.6666667	Standard Error	2872.099987	
5 Median	4860	Median	17525	
6 Mode	#N/A	Mode	#N/A	
7 Standard Deviation	1926.931931	Standard Deviation	7035.179458	
8 Sample Variance	3713066.667	Sample Variance	49493750	
9 Kurtosis	0.367277867	Kurtosis	0.257452065	
10 Skewness	-1.11141457	Skewness	-0.977337279	
11 Range	5000	Range	19000	
12 Minimum	1000	Minimum	4000	
13 Maximum	6000	Maximum	23000	
14 Sum	25520	Sum	94050	
15 Count	6	Count	6	

სურ.91. აღწერითი სტატისტიკის ჩატარება ორი სვეტის მიხედვით

Mean-საშუალო არითმეტიკული, საშუალოებს შორის იგი ყველაზე გავრცელებულია ძირითადი ტენდენციის ასახვისათვის;

Standart Error-საშუალო კვადრატული გადახრა;

Mode –მოდა, მთავარი ტენდენციის საზომი, ვარიანტი, რომელიც ყველაზე ხშირად მეორდება, ე.ი. მას ყველაზე მაღალი სიხშირე (წონა) გააჩნია. თუ ასეთი ვარიანტი ორია, მაშინ მწკრივი ბიმოდალურია, ხოლო თუ ასეთი ვარიანტი საერთოდ არ გვხვდება, მწკრივი ამოდალურია. დისკრეტული მწკრივისათვის მოდა მაღალი სიხშირის მქონე ვარიანტის მნიშვნელობის ტოლია, ბიმოდალურის დროს კი - მათი საშუალო არითმეტიკულის. მწკრივში შესაძლებელია არ იყოს არც ერთი მოდა, ან პირიქით, შეიძლება იყოს რამდენიმე მოდა. მოდის მაჩვენებლის გასწვრივ შეცდომის ინდიკატორის მიღება მიუთითებს იმას, რომ გასაანალიზებელ მონაცემებში არ გვხვდება ერთნაირი მნიშვნელობის ელემენტები. ამ შემთხვევაში

მოდის მნიშვნელობად ჩაითვლება ის სიდიდე, რომელიც შეესაბამება მაქსიმალურ თრდინატას განაწილების მრუდზე;

Median- მედიანა ეს არის ერთობლიობის ერთეულის შესასწავლი ნიშნის ის მნიშვნელობა, რომელიც დალაგებულ, რანჟირებულ ვარიაციულ მწკრივს ორ ტოლ ნაწილად ყოფს;

Standart Deviation-სტანდარტული გადახრა;

Sample Variance-დისპერსია, გაძნევის მახასიათებელი, თავისი მათემატიკური შინაარსიდან გამომდინარე, ახასიათებს გადახრათა კვადრატების საშუალო სიდიდეს. იგი გაიანგარიშება, როგორც გადახრათა კვადრატების საშუალო არითმეტიკული;

Kurtosis-ექსცესი - ახასიათებს საშუალო მნიშვნელობის ირგვლივ მნიშვნელობათა კონცენტრაციის ხარისხს და წარმოადგენს მრუდის მახვილწვერიანობის თავისებურ მახასიათებელს. ნორმალური განაწილების შემთხვევაში ექსცესის მნიშვნელობა ნულის ტოლია. თუ ექსცესის მნიშვნელობა დადებითია, მაშინ განაწილების წირს გააჩნია ნორმალურზე მაღალი, მახვილი წვერო. წინააღმდეგ შემთხვევევაში, თუ ექსცესის მნიშვნელობა უარყოფითია, წვერო შედარებით დაბალია და ბლაგვი;

Skewness- ასიმეტრია. იგი გვიჩვენებს გადახრათა პროცენტულ მნიშვნელობას, — ახასიათებს ვარიაციული რიგის წანაცვლების ხარისხს საშუალო მნიშვნელობიდან გარკვეული სიდიდით და მიმართულებით. სიმეტრიული მრუდის შემთხვევაში ასიმილაციის კოეფიციენტი ნულის ტოლია. 0.5-ზე ნაკლები მნიშვნელობა ითვლება მცირე ასიმეტრიად.

Range-ინტერვალი, გაქანება -სხვაობა მაქსიმალურ და მინიმალურ მნიშვნელობას შორის;

Minimum-მინიმალური მნიშვნელობა - მონაცემთა ერთობლიობაში

Maximum-მაქსიმალური მნიშვნელობა მონაცემთა ერთობლიობაში

Sum- მონაცემების ჯამი;

Count-მონაცემების რაოდენობა.

აღწერითი სტატისტიკის შედეგად მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით შემდგომში გაკეთდება დასკვნები, რაც დასკვნითი სტატისტიკის ამოცანაა.

როგორც ვხედავთ, აღწერითი სტატისტიკის ჩატარება ხდება საშუალებით  
მაღიან მარტივადაა შესაძლებელი, მთავარია მხოლოდ ვერკვეოდეთ  
ზემოთჩამოთვლილ მთავარ მახასიათებლებში.

**დაგალება:** მოიძიეთ მონაცემები საგარეო ვაჭრობაზე, კერძოდ საქართველოს  
ექსპორტი ქვეყნების მიხედვით (გერმანიის მაგალითზე) და ჩატარეთ აღწერითი  
სტატისტიკა. გამოიყენეთ ინტერნეტ წყაროდ: <http://geostat.ge>

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ინფორმატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში. პრაქტიკუმი. ავტორთა კოლექტივი, პროფესორ დ. სიჭინავას რედაქციით. მეორე გამოცემა, 2021, გვ. 496
2. Excel. Corporate Finance Institute. Copyright © 2018. CFI Education Inc. 206 pages
3. Microsoft Excel 2016 Step-by-step. Guide. Andie Philo; Mike Angstadt, Norristown, 2020, 84 pages
4. Microsoft Excel – Excel from Beginner to Advanced. Kyle Pew, Office Newb, 2021

<b>I ნაზილი. EXCEL-ის საჭუმბლები</b>	<b>3</b>
შესაგალი	3
<b>I თავი. EXCEL-ის ინტერვეისი</b>	<b>4</b>
1.1. EXCEL-ის საწყისი ფანჯარა	4
1.2 სწრაფი წვდომის პანელი	8
როგორ წავშალოთ სწრაფი წვდომის პანელზე ბრძანებათა დილაკები?	9
1.3 სამუშაო ზოლი ანუ ლენტა	12
1.4 სახელის არქ, ფორმულის ზოლი და დამისამართება	14
1.5 სამუშაო ფურცელი	16
1.6. სტატუსის ზოლი და EXCEL-ის მთვლელი	28
<b>II თავი. მონაცემთა გადააღილება EXCEL-ში და ოპერაციები მონიშვნის მარპერით</b>	<b>31</b>
2.1 გადააღილება (ნაზილაცია) EXCEL-ში	31
2.2 მონიშვნის მარპერი	33
2.3 Excel-ში სამომხმარებლო სიის ავტომატური შეტანა	37
2.4 ავტოშევსება და მონაცემთა ამორჩევა	39
2.5 მონიშვნები	40
2.6 უჯრისთვის ან დიაპაზონისთვის სახელის მინიჭება	44
2.7 მონაცემების გადატანა-კოპირება	49
2.8. მრავალდონიანი ბუფერით სარგებლობა	50
2.9 ბუფერული მეხსიერებიდან ჩასმის – PASTE საშუალებები	52
<b>III თავი. მუშაობა EXCEL-ის სამუშაო წიგნებთან</b>	<b>57</b>
3.1 ახალი ფაილის – სამუშაო წიგნის შექმნა	57
3.2 მზა ელექტრონული ფორმების (შაბლონების) გამოყენება	58
3.3 Excel-ის ფაილის შენახვა	59
3.4 არსებული წიგნის გახსნა	60
3.5 წიგნის დაცვა	62
3.6 წიგნის დახურვა	63
3.7. პროგრამის დასრულება	63
3.8 დასაბუჭიდი გვერდის პარამეტრების განსაზღვრა	64
3.9 ბეჭდვა	66
3.10 წიგნის და ფურცელის თემები	67
3.11 სამუშაო ფურცელის დაყოფა ორ დამოუკიდებელ ნაწილად	68
<b>IV თავი. მუშაობა უპრეზიტან</b>	<b>69</b>

4.1	უჯრის სტილი .....	69
4.2	უჯრის კონტექსტური მენიუ.....	71
4.3	უჯრაში კომენტარის ჩასმა .....	72
4.4	მონაცემთა განთავსება უჯრებში .....	74
4.5	უჯრაში ტექსტის ფორმატირება.....	79
4.6	უჯრის გრაფიკული ფორმატირება.....	81
<b>V</b>	<b>თავი მუშაობა სტრიქონებთან და სპეციალისტთან .....</b>	<b>85</b>
5.1	უჯრის, სტრიქონის, სპეციალის ზოლილება .....	85
5.1.2	უჯრის სტანდარტული სიგანის დადგენა .....	86
5.2	სტრიქონებისა და სვეტების დამაგრება .....	91
<b>VI</b>	<b>თავი მონაცემთა ფორმატები .....</b>	<b>94</b>
6.1	მონაცემთა შეტანა და მონაცემთა ტიპები.....	94
6.2	მონაცემთა ფორმატების აღწერა.....	96
<b>VII</b>	<b>თავი მუშაობა მონაცემებთან .....</b>	<b>103</b>
7.1	ცხრილის ავტომატური ფორმირება .....	103
7.2	პირობილი ფორმატირება .....	106
7.2.2	პირობილი ფორმატირების ბაზები .....	109
7.3	მონაცემთა ძებნა .....	111
7.4	მონაცემთა ძებნა და შეცვლა .....	112
7.5	ობიექტების მონიშვნა .....	113
7.6	გადასვლა ობიექტებზე .....	115
7.7	მარტივი დახარისხება .....	116
7.8	დახარისხება რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით .....	118
7.9	ფილტრაცია .....	120
7.10	გაფართოებული ფილტრაცია .....	128
7.11	მონაცემთა დაჯგუფება და შეალებული ჯამების მიღება .....	131
<b>VIII</b>	<b>თავი მუშაობა ფორმულებთან .....</b>	<b>136</b>
8.1	ფორმულები .....	136
8.1.3	ვანძილის განმარტება .....	139
8.1.4	პონსტანტა .....	139
8.1.7.	ტექსტური რამდენიმე – ამავრსანდი (&) .....	141
8.2	მარტივი გაანგარიშებები .....	142
8.3	ფორმულის კოპირება .....	144
8.4	ცვლადის შემცველი გამოსახულებების გაანგარიშება .....	145
8.5	ფორმულების შემოწმება, აუდიტინგი .....	148

8.6 გამოთვლების დროს ხშირად დაშვებული შეცდომების სახეები .....	152
8.7 მაკროსი.....	153
8.8 ჰიპერგავშირი .....	156
<b>IX თავი. ვუნდოები .....</b>	<b>159</b>
9.1 ფუნქციები.....	159
9.2 ლოგიკური ვუნდოები - IF, And, False, Or, Not.....	162
9.3 ტექსტური ფუნქციები.....	165
9.4 მათემატიკური ფუნქციები .....	168
9.5 თარიღის ფუნქციები .....	171
9.6 სტატისტიკური ფუნქციები .....	172
9.7 ინფორმაციული ფუნქციები .....	175
9.8 ფუნქციების გამოყენების მაგალითები.....	176
9.9 ფინანსური ფუნქციები .....	178
<b>X თავი. დიაგრამები .....</b>	<b>188</b>
10.1 დიაგრამები.....	188
10.2 დიაგრამების სახეობები.....	189
10.3 დიაგრამების რედაქტირება და ფორმატირება .....	191
10.4 ტრენდის აგება .....	200
10.5 მზა გრაფიკული სქემების გამოყენება .....	204
10.6 EXCEL-ზი პრძანებების შესრულება კლავიატურის დილაგების კომბინაციით .....	207
<b>II ნაწილი. EXCEL –ის ბაძლიერებული პურსი .....</b>	<b>209</b>
<b>I თავი. მონაცემთა ანალიზი WHAT-IF ANALYSIS საშუალებით.....</b>	<b>209</b>
1.1 ანალიზის საშუალება GOAL SEEK .....	209
1.2 ანალიზის საშუალება SCENARIO MANAGER .....	212
<b>1.3 DATA TABLE.....</b>	<b>219</b>
<b>II თავი - მონაცემთა ორგანიზაცია .....</b>	<b>224</b>
2.1 შესატანი მონაცემების კონტროლი .....	224
2.2 მუშაობა მასივებთან .....	233
2.3 მონაცემთა სტრუქტურიზაცია .....	236
2.4 მონაცემთა კონსოლიდაცია .....	241
2.5 დინამიური ცხრილები .....	247
<b>III თავი. EXCEL-ის საეტიალური ინსტრუმენტები .....</b>	<b>253</b>
3.1 SOLVER – ოპტიმიზაციის ამოცანების გადაწყვეტა .....	253

თავი IV. ზონასური ფუნქციები დაკავშირებული ამორტიზიასთან, საინვესტიციო პროექტების შეფასებასთან .....	262
4.1 ამორტიზაციის გაანგარიშება.....	262
4.2 ფინანსური ფუნქციები პროგექტების შეფასებისთვის .....	267
4.3 შემოსავლიანობის შიდა ნორმების გაანგარიშების ფუნქციები .....	271
V თავი. მონაცემთა ანალიზის შესაძლებლობება - ANALYSIS TOOLPAK მოდულის საშუალებით.....	273
5.1 მონაცემთა ანალიზი - Analysis Toolpak მოდულის საშუალებით.....	273